N38 (537) 23/IX-29/IX-2010 ფასი 1 ლარი

გზა

ქართული პროზის საგანძური

ტომი №30

ალექსანდრე ყაზბეგი

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

ნუგზარ შატაიძე

24 წლის ალპინისტის საბედისწერო ნაბიჯი

„ქვის ცვენა დაიწყო, კარაბინი გატყდა და... ზურას ექიმიც ვერ შეშველიდა“

ნანკა კალატოზიშვილმა ნიკა ქავთარაძე „შეიწირა“

ახალი ინტრიგა რეჟისორისგან

გიორგი ლიფონავა „ნაფიც მსაჯულებს“ შეეჭიდა

საგანძური — მოქვის სახარება დაღუპვის პირასაა

„მისი გადაშლაც კი საფრთხეს წარმოადგენს“

ჩეჩენი სნაიპერების ჭკვიანური გეგმა და ქართველი ჯარისკაცების თავგანწირვა

ნიკა არაბიძის პირველი პაემანი

„დაოჯახება კანფეტების სიყვარულმა გადაგვაფიქრებინა“

ISSN 1987 - 5029

9 771987 502009

დასვენება უფასოდ ანუ ცხოვრება „ბებერი“ ნაშებისა და თურქი კავალრების ხარჯზე

www.britishcentre.ge

BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:



„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".

ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
პეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

განახლებული რესტორანი **თეთრი სახლი**

გეპატიჟებათ ღირსშესანიშნავი თარიღისა და სადღესასწაულო ღონისძიებების აღსანიშნავად.

- გამორჩეული ქართულ - ევროპული სამზარეულო
- სასიამოვნო და კომფორტული გარემო
- მაღალი ხარისხის მომსახურება – დაბალი ფასები
- ცოცხალი მუსიკა

ღიაა ყოველდღე
11:00 –სთ-დან.

მ ა ლ ე

რესტორნის მეორე სართულზე

გაიხსნება საბავშვო სადღესასწაულო ცენტრი

მის: მტკვრის მარცხენა სანაპირო, ტელ:.479567, 893907733, 899104344

№38 (537)
23 - 29 სექტემბერი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
ეზო

■ მინიატიურები 5
სიძე, შე ძველო!
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ ფაქტი და კომენტარი 7
■ პრემიერა 10
■ ტრაგედია 12
■ სამართალი 14
■ ამპლუა 18
თიკო ნატროშვილი დედის როლისთვის მზადაა
■ პროდიუსერი 20
ნანკა კალატოზიშვილმა ნიკა ქავთარაძე შეცვალა
■ პირადი ცხოვრება 22
საფუძვლიანი სიყვარული და
მეუღლისათვის მიძღვნილი თევზი და ლუდი
■ ვარსკვლავები 24
■ მეომარი 26
ჩეჩენი სნაიპერების ჭკვიანური გეგმა და ქართველი
ჯარისკაცების თავგანწირვა
■ ტკივილი 28
პატარა ბიჭი, რომელსაც მეზობელმა
ცხოვრება დაუნგრია
■ თემა 30
დასვენება ზღვაზე — უფასოდ!
■ აღსარება 32
წერილი ჯოჯოხეთიდან
■ ბედი კაცისა 34
„აფხაზის გადარჩენილი ვარ“
■ საგანძური 36
უნიკალური ძეგლი — მოქვის სახარება
დაღუპვის პირასაა მისული
■ ტაძარი 37
ამერიკის მართლმადიდებლური ეკლესია
■ ქართული სპორტის ლეგენდები 39
დისკვალიფიკაციას გადარჩენილი
ოლიმპიური ჩემპიონი

ქვეყანა

„ნაფიცი მსაჯული“ — გიორგი ლიფონავას ახალი ამპლუა

„ეს 12 კაციც და განსასჯელიც საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ, ჭეშმარიტი გადაწყვეტილების მიღებაც საზოგადოების პასუხისმგებლობაა და ამიტომ, ამის შესახებ ხალხისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო“.

7

სახე

ნანკა კალატოზიშვილმა ნიკა ქავთარაძე შეცვალა

„ასეთი აზრი გაჩნდა — რომ ფორმატს ქალი უფრო მოუხდებოდა და არჩევანი ნანკაზე შევაჩერეთ: კარგი წამყვანია და მაყურებელსაც მოსწონს.“

18

ცხოვრება

პატარა ბიჭი, რომელსაც მეზობელმა ცხოვრება დაუნგრია

ანრი თბილისში დაიბადა, მშობლებთან ერთად და საბურთალოზე ცხოვრობდა. პატარას მოულოდნელად მამა ციროზით გარდაეცვალა. მალე მისი ცხოვრებაც შეიცვალა, მატერიალურად ძალიან გაუჭირდათ. დღეს ის თავშესაფარშია და ამბობს, რომ იქ ყოფნა მისთვის გადარჩენის ერთადერთი გზაა.

26

ეზო ბინადრები

სხვისი საიდუმლო

„ერთი კი მიყვარს არანორმალურად, მასაც ვუყვარვარ, მაგრამ კაცია და მაინც იწევს სხვისკენ. მერე მაინც ჩემთანაა... მეც ასე ვარ, ვიწევ სხვისკენ, მაგრამ მაინც მასთან ვარ. ღალატის საზღაურად ვხვდებით, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ შექმნილები. რა თქმა უნდა, არ იცის, მეც რომ ვღალატობ ხოლმე“.

74

- ანტიდეპრესანტი 42
- ავტო 42
- საკითხავი ქალებისათვის 44
- ეს სამყაროა 46
- ისტორიის ლაბირინთები 48
- ჯანმრთელობა 51
  ალკოჰოლი ღვიძლს აზიანებს
- შემოქმედი 54
  ცნობილი ადამიანების პორტრეტები
- ემიგრანტი 56
  „მისტერ ნინოს“ მხიარული თავგადასავალი
- ადგილი ცხოვრებაში 57
  უსამართლობის გამო
  გულდაწყვეტილი ფინალისტი
- თინეიჯერული პონტები 59
  ახალგაზრდების „მოწამლული გონება“
  თუ უფროსების ჭირვეულობა
- წვეთი პოეზია 62
- სახსოვარი 63
- პროზა 64
  ალექსანდრე ყაზბეგი. ნინო
- ფანტასტიკური დეტექტივი 66
  რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ
  მიცვალებულთან (გაგრძელება)
- რომანი 70
  სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა
  თუ დანაშაული?! (გაგრძელება)
- გზავნილები 74
  სხვისი საიდუმლო
- ყველა ერთისათვის 78
- მობილი-ზაცია 80
- მოზაიკა 86
- რეპორტაჟი 89
- საზრდო 90
  სასკოლო პროგრამაში „დაჩაგრული“
  ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება —
  „ქართული პროზის საგანძურში“
- ერუდიტი 92
  გეოგრაფიასა და მათემატიკაზე
  შეყვარებული ექსპერტის გატაცებები
- გასართობი 94
- ასტროლოგია 96
- სკანვორდი 97
- საფირმო კროსვორდი 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



მოქვის სახარება დაღუპვის პირასაა მისული

„1904 წელს მოქვის სახარება ჯერ კიდევ კარგ მდგომარეობაში იყო. მხატვარმა პოლტარეცკიმ მისი მინიატიურების ასლები შეასრულა, რომელთა მიხედვით შეგვიძლია ვნახოთ, რამდენაა დაზიანებული სახარება ამ წლების განმავლობაში.“.

36

ადამიანი

ახალგაზრდების „მოწამლული გონება“ თუ უფროსების ჭირვეულობა

„კარგი ქალის დანახვისას კაცს გული ძალუმად თუ არ აუძგერდა, ის რა კაცია? მეც მომწონს კარგი გოგონები და მათი დანახვისას გული სიხარულით მევსება, მაგრამ ამ თინეიჯერ გოგონებს ვერაფერი გავუგე — თავს ძალით იმახინჯებენ, ისეთ რაღაცებს იცვამენ, აქაოდა, მოდაშიაო, რომ ჩექმებიან კატებს ემსგავსებიან და მერე უკვირთ, შინაბერებად რომ რჩებიან...“

54

ბიბლუსი

ნინო

— დედავ! — დაიწყო ფშრუკუნი ერთმა ბალღმა, — მცივა, მცივა! დედამ შეხედა შეწუხებულის თვალით და პირისახეზედ აშკარად დაეტყო ის მწარე მტანჯველი მოქმედება, რომელიც იქონია ამ სიტყვების გაგონებამ.

— გაჩუმდი, — წყნარად წარმოთქვა მოხუცმა, — აი, კვერს ამოგიღებ და გათბები.

— ოჰ, კვერს!.. არ მინდა კვერი, ცეცხლი მინდა! — ჭირვეულად გაიმეორა ბალღმა.

62

ტაიმ-აუტი

ქეთათო ჩარკვიანის საყვარელი ოთხფეხა მეგობარი

„ჩვენს სახლში არის ყეფა, ყეფა და ყეფა! ძაღლის წყალობით, სადარბაზოში ყოველი ადამიანის გადაადგილების საქმის კურსში ვარ...“

86

სიძე, შე ძველო!

შესავლის ნაცვლად **შემოდგომა ქორწილების პერიოდია ჩვენში, მაგრამ თურმე, მხოლოდ ჩვენში კი არა, გერმანიაშიც ასე ყოფილა! ეტყობა, იქაც ხალხური ყოფიდან გამომდინარეობს ეს ტრადიცია — დააბინავებენ მოსავალს, მიალაგებენ ეზო-კარ-მიდამოს, მოაწესრიგებენ სამეზობლო სადავო-სამევალო საქმე-ურთიერთობებს და მიდის მერე ლუდის სმა ყანწებით, ჰაერში „შმაისერებისა“ და „პარაბელუმების“ ბათქაბუთქი...**

შემატყობდით — გახარებული ვარ! ზოგმა ალბათ, იფიქრეთ, — გერმანიაში, ვიღაცის ქორწილში იქნება დაპატიჟებული და იმის გამოა კარგ ხასიათზეაო... ვერ გამოიცანით — კი იყო გერმანიაში ქორწილი, მაგრამ მე იქ ვინ დამპატიჟებდა, როცა სულ მინისტრები და პრეზიდენტები უსხდნენ სუფრას. აბა, რაღა მიხარია და, ამდენი ხანია, ვწუწუნებ, „საპროვოკატორო“ აღარაფერი ხდებამეთქი, ჰოდა, აჰა — სულ ერთად „ამინაზღაურდა“: გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი „გათხოვდა“!!! თუმცა, რა საჭიროა ბრჭყალები — მართლა გათხოვდა!.. მერე რა მოხდაო? — მხოლოდ ის მკითხველი გაიკვირვებს, ვისაც ბოლო კვირის განმავლობაში არც ტელევიზორი ჩაურთავს და არც გაზეთი წაუკითხავს, დანარჩენებმა კი ვიცით, რომ ეს „ახალგათხოვილი“ (ისევ ბრჭყალები „წამომცდა“) საგარეო საქმეთა მინისტრი... კაცი გახლავთ (ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იწოდებოდა)!!!

სწორედ ისე მოხდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ: „მოსავალი“ დააბინავა (გაზაფხულამდე დასაწვავი გაზის ფული გადაუხადა რუსებს), მეზობლებთან და ყოფილ მოკეთეებთან გასარკვევი გაარკვია (ვინც „დასაკიდებელი“ იყო — მათ შორის ჩვენც — „დაიკიდა“) და როგორც გურიაში იტყვიან, „ქორწილი ქნა“!

ქორწილი ყოფილა ისეთი, რომ ჩიტის რძის მაწონი არ ჰკლებია. ანგელას უთქვამს, მერკელს, — ასე ტკბილად შეაბერდით ერთმანეთსო და ორლიტრიანი ლუდის კათხა ერთ „მიყუდებაზე“ გამოუცლია. ღმერთმა გამრავლოთო და მალე, პატარა ბიჭის ნათლობაზე გვექეიფოსო, — თქვა ბუნდესტაგის თავმჯდომარემ და სტუმრად ჩამოსული პარიზის მერისა (ისიც „კაცია“!) და მისი „მეუღლის“ (და ისიც, ისიც „კაცია“!!!) პუტკუნა შვილი ჩაუგორა „კალთაში“. მოკლედ, იგრიალეს, რა...

კი იყო ქორწილი „ვიწრო მეგობრულ წრეში“, მაგრამ მინისტრი მაინც მინისტრია, თანაც, საგარეო საქმეთა და თანაც, ამხელა ქვეყნის და ამიტომ პაპარაცებმა მაინც მოახერხეს ამბისა თუ ფოტოების გამოტანა — კარგი, „ღრმა“, მამაპაპური ქეიფი ყოფილა!..

ჰო, მართლა — მიქაელი ანუ ჩვენებურად, მიხო-მიშა ჰქვია „ახლად ჯვარნაფსკვნებ“ მინისტრს... ეს ისე გამახსენდა, თორემ ჯვარი გვწერია! ეგღა გვაკლია და მთლად ავშენდებით...

არა, ჩვენი მიშა რატომ გამახსენდა, იცით? რაღაც ოფიციალურ ვახშამ-სადილებზე ხომ მიდი-მოდიან, „მეუღლეებითურთ“; კარგი, მიშა და სანდრა არ წავლენ — ცენზით მაღლა დგანან და მხოლოდ მერკელს ეწვევიან, მაგრამ ვაშაძე რომ მივა, ქ-ნ ნინო ანანიაშვილთან ერთად, ეს ჩემის საგარეო საქმეთა პედერ-მინისტრი თავის „ქმართან“ ერთად ეწვევა იმ წვეულებას?! წარმომიდგენია, როგორი ულვაშების ცმაცუნი აუტყდება ვაშაძეს... არადა, მიუსვლელობა არ იქნება — დიპლომატიური ეტიკეტი უმნიშვნელოვანესია.

მოკლედ, ამ გერმანელის გაბედნიერება ისე გამიხარდა, რომ სხვა „სიხარულები“ სულ გადამავიწყდა, არადა, რამდენი რამ მქონდა სათქმელი: იქ ჩვენი მიხეილ-უფროსი გაეროს ტრიბუნაზე „შადგა“ და ცარიელ დარბაზს 15 წუთი უმტკიცებდა, ჩვენთან 18%-ზე მეტი არ შიმშილობსო (ვინც დარბაზში იყო დარჩენილი, შიმშილისგან ფეხზე ვერამდგარი აფრიკელები იყვნენ და „მაძღარი“ ქვეყნის პრეზიდენტს შურით უსმენდნენ); ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი ბოლოს და ბოლოს (17 წლის მერე), გადადგა — სანამ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ჩამოეძინა მთელ გუნდს, მანამდე „ვერ მიხვდნენ“, რომ „თევზი თავიდან ყარს“; ისე, ჩვენი ძიუდო რა სათქმელია, როდესაც თვით მოსკოვის „უკვდავ“ მერსაც წყალი შეუდგა...

ერთი სიტყვით, უამრავი რამ იყო სათქმელ-გასარჩევი, მაგრამ ამ ბიჭის (მიქაელის) „შინაბერობა“ ისე მაწვა გულზე, რომ მისმა გაბედნიერებამ ყველაფერი დამავიწყა...

P.S. **ჰიტლერს „ძაღლი მიაკვდეს სულში“, მაგრამ გულწრფელად რომ ვთქვა, რაღაცნაირად შემეცოდა... ზის ახლა, ალბათ, ჯოჯოხეთში, მოთუხთუხე კუპრით სავსე კასრში და ფიქრობს: „შაიზე! კიდევ კარგი, იქ არ ვარ! ისევ აქ ყოფნა სჯობს...“**

P.P.S. **აუჰ!!! ეს რა გავიგე!!! ბოდიში, ბატონო, დიიიდი ბოდიში!!! მინისტრი მიქაელი კი არ გათხოვილა, პირიქით (უფრო სწორად — პირაქეთ) — აქეთ მოუყვანია ის კაცი ცოლად ანუ ეს ჩვენი ახალგაბედნიერებული, „პატარძალი“ რომ გვეგონა, სინამდვილეში „სიძე“ ყოფილა, ვაუკაცი!**

სიძე, შე ძველო!..

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

რუსეთი დაღესტნიდან საქართველოზე შეტევას ამზადებს?!

რუსული გამოცემა — „ეხო პეტერბურგა“ სკანდალურ ამბავს ავრცელებს — მის ფურცლებზე გამოქვეყნებულია ინტერვიუ ორგანიზაცია „ჯარისკაცთა დედების“ წარმომადგენელ სვეტლანა უტკინასთან, რომელიც ირწმუნება, რომ პეტერბურგელი ჯარისკაცები მასობრივად მიჰყავთ დაღესტანში, რადგან რუსეთი საქართველოზე გალაშქრებას სწორედ იქიდან აპირებს. „3526-ე ნაწილიდან სამხედრო მოსამსახურეების მშობელთა განცხადებები შემოვიდა, რომლებიც მიუთითებენ, რომ ჯარისკაცებს კონტრაქტზე იძულებით აწერინებენ ხელს. სამხედრო ნაწილის მეთაურების თქმით, სამხედრო მოსამსახურეებს დაღესტანში, სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების პროგრამის ასათვისებლად გზავნიან. ეს სრულიად გაუგებარია: ოლიმპიადა 3 წლის შემდეგ უნდა გაიმართოს, სწავლებაზე კი მიჰყავთ ჯარისკაცები, რომლებიც რამდენიმე თვეში სამსახურს ამთავრებენ“, — ამბობს უტკინა. მისივე ინფორმაციით, ჯარისკაცებს ართმევენ მობილურ ტელეფონებს და სიმბარათებს. ჩრდილოეთ კავკასიაში მათი გადაყვანა მომავალი კვირისთვის იგეგმება. ორგანიზაცია იუწყება, რომ ნაღმმტყორცნელთა ბატალიონში ბოლო პერიოდში ყოველდღიური წვრთნა ტარდება. „სცენარი ძალიან ჰგავს იმას, რასაც ჩეჩნეთის ომის წინ ვხედავდით. ასეთივე შანტაჟი იყო: ჯარისკაცებს ინფორმაციის მიღების, ოჯახთან კავშირის უფლებას ართმევდნენ. ძალიან ვშიშობ, რომ დაღესტნიდან საქართველოზე თავდასხმა მზადდება“, — ამას „ჯარისკაცთა დედების“ თავმჯდომარე ელა პოლიაკოვა აცხადებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სამხედრო მოსამსახურეთა დედებმა სანქტ-პეტერბურგის სამხედრო ოლქის შინაგანი ჯარების შტაბთან რამდენიმე პიკეტი გამართეს. ■

მექსიკას 400 ნიანგი შეესია

მექსიკაში, ვერაკრუსის შტატში ნიანგების სანაშენიდან 400 რეპტილია გაიქცა. ძლიერი წვიმების შედეგად ადიდებულმა მდინარემ სანაშენეს ზღუდე მოშალა და ნიანგები, რომელთა სიგრძე 3 მეტრია, დინებამ წაიღო. ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას მოუწოდებს, არ დახოცონ ნიანგები. რამდენიმე დღის წინ აშშ-ში გიგანტურ ალიგატორზე ნადირობისას, მონადირე სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ოთხმეტრიან რეპტილიას ტყვიამაც ვერაფერი დააკლო. ■

ინდოელებმა ქრისტიანული სკოლა და ეკლესია დაწვეს

ინდოეთში მუსლიმანებმა, აშშ-ში ყურანის შეურაცხყოფის საპასუხოდ, მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქცია გამართეს, რაც მოგვიანებით ანტისახელისუფლებო დემონსტრაციაში გადაიზარდა. ბრბომ ქრისტიანული მისიონერული სკოლა, ორი ადმინისტრაციული შენობა და ეკლესია დაწვა. აქციის მონაწილეები ავტომობილებსა და სახელისუფლებო დაწესებულებებს ცეცხლს უკიდებდნენ. მათ დასაშლელად პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა. არეულობის დროს 14 ადამიანი დაიღუპა. ■

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ

ქვეყანა

სამართლიანობის რუსული გაგება და აფხაზების ხელით ჩადენილი ბოროტება

ნათუნა გახტურიძე

რუსეთი ისევ ცდილობს, მსოფლიოს თვალში ნაცარი შეაყაროს. როგორც უკვე მოგეხსენებათ, საქართველოს ხელისუფლებამ ჰაგის სასამართლოში ჩრდილოელი მეზობლის წინააღმდეგ 2008 წლის 12 აგვისტოს შეიტანა სარჩელი. ოფიციალურმა თბილისმა რუსეთის ფედერაცია 1990-იანი წლებიდან დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის“ დარღვევაში დაადანაშაულა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებმა და რუსებმა, ერთობლივი ძალისხმევით ქართველები საკუთარი სახლებიდან გამოდევნეს, შვილები მშობლების წინაშე აწამეს, ცოლები ქმრების თვალწინ შეურაცხყვეს, დღეს ოფიციალური რუსეთი ირწმუნება, რომ 2008 წლის 8 აგვისტომდე საქართველოსა და რუსეთს შორის არ არსებობდა არავითარი დავა აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაციის გამო. „ეს არის საქმე, რომელშიც რაოდენობა ვერ გადადის ხარისხში. დოკუმენტი, რომელიც საქართველომ წარადგინა, არ უკავშირდება არც რასობრივ დისკრიმინაციას და არც რუსეთს, როგორც პასუხისმგებელ მხარეს“, — აცხადებს რუსეთის ელჩი, რომან კოლოდკინი. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ 1992 წლისთვის აფხაზეთში ქართველთა რაოდენობა 244872 ადამიანს შეადგენდა, 1997 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 43442-მდე შემცირდა — ე.ი. ქართველი მოსახლეობა აფხაზეთში 201430 ადამიანით შემცირდა.

შეეცადე, თავად დევნილებისგან შემეტყო, ილახებოდა თუ არა რუსების მიერ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უფლებები აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში. ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორს, ვასილ ჭყოიძეს კი იმის შესახებ ვესაუბრე, თუ რამდენად შეესაბამება ოფიციალური მოსკოვის განცხადებები რეალობას და რას შეიძლება ველოდოთ ჰაგის ტრიბუნალისგან.

თემურ ქირია:

— აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, 35 წლის ვიყავი. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება იქ გავატარე — ბაბუშერაში ვცხოვრობდი. მძღოლად ვმუშაობდი, ხის დამამუშავებელ საამქროში. აფხაზებმა, რომლებსაც რუსი სამხედროები უმაგრებდნენ ზურგს, სახლ-კარი გადამიწვეს. რაც მე და ჩემს მშობლებს გვიშრომია და გვიწვალია, ერთ დღეში გაგვინადგურეს. თუ რუსეთი ეთნიკური ნიშნით არ სდევნის ადამიანებს, მაშ, რატომ არა მაქვს ჩემს სახლში შესვლის უფლება?! შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ სახლი აფხაზებმა გადამიწვეს, მაგრამ ეს სისულელე იქნება; გარწმუნებთ — აფხაზები რუსების „ზურგის“ გარეშე ჩემს სახლს თითსაც ვერ დააკარებდნენ... აქ მარტო ჩემს სახლზე არ არის ლაპარაკი, რუსები ყოველთვის, აფხაზი სეპარატისტების ხელით აკეთებდნენ შავ საქმეს. თუ აფხაზები ქართველებს აწამებდნენ, იქვე იყვნენ რუსებიც. მათ გარეშე არაფერი ხდებოდა. უფრო მეტსაც გეტყვით — ყოფილა შემთხვევა, რომ ბრძოლის ველზე ან ამა თუ იმ სიტუაციაში ქართველებს აფხაზები რუსებისგან უჩუმრად დაგვხმარებიან; თუ მხოლოდ აფხაზებს ჰქონდათ ჩვენთან პრეტენზია, რუსებს რატომღა უმალავდნენ, რომ ზოგჯერ გვეხმარებოდნენ კიდეც?!.

დევიკო სანაია:

— აფხაზებმა ცოლ-შვილი დამიხოცეს თვალწინ: ჩემს ბიჭს დანა ყელში გამოუსვეს... დღემდე მზარავს ამ ამბის გახსენება... რუსი ე.წ. სამშვიდობოები იქვე იდგნენ და სეირს უყურებდნენ. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ რუსებს მხოლოდ ფორმალურად ერქვათ მშვიდობისმყოფლები, სინამდვილეში ისინი ან სეპარატისტების მფარველები იყვნენ, ან — უშუალო ბოროტმოქმედები.

თინა ესეგუა:

— ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, თითქოს ქართველებს აფხაზები ხოცავდნენ, აწამებდნენ, სდევნიდნენ, რუსები კი ჩვენს საქმეში არ ერეოდნენ. სიცრუეა ეს ყველაფერი! აფხაზეთის ომის დროს რუსი ჯარისკაცები, განსაკუთრებით კაზაკები, აფხაზებზე გაცილებით სასტიკები იყვნენ. დღესაც ასეა, ოღონდ ახლა აფხაზების მიმართ იჩენენ სისასტიკეს და უმადურობას. დღეს აფხაზეთში მყოფ რუს ჯარისკაცს უპრობლემოდ შეუძლია, რიგ-

ითი აფხაზის სახლში შევიდეს და რაც მოესურვება — ნივთი იქნება ეს თუ საჭმელი — წაართვას. ამისთვის მას არავინ დასჯის. ომის დროს აფხაზს ხანდახან მაინც შეაწუხებდა სინდისი, ძველი მეგობრობა ან ნათესაობა გაახსენდებოდა და ქართველზე აღმართული მახვილიანი ხელი ჰაერში უშეშდებოდა; მაგრამ იქვე იდგა რუსი,

რომელიც აფხაზს გრძნობების აყოლის საშუალებას არ აძლევდა. აფხაზები ქალებს ძალიან იშვიათად შეურაცხყოფდნენ, ამას ძირითადად, რუსები აკეთებდნენ. სხვათა შორის, რუსისთვის არც კაცის შეურაცხყოფა წარმოადგენდა პრობლემას...

— ბატონო ვასილ, როგორ ახსნით ოფიციალური მოსკოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ აგვისტოს ომის დაწყებამდე საქართველოსა და რუსეთს შორის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაციის გამო დავა არ ყოფილა და ოფიციალური თბილისის მიერ ჰაეაგაში წარდგენილი დოკუმენტიც რასობრივ დისკრიმინაციას არ უკავშირდება?

— ეს დემაგოგიაა. „რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ საერთაშორისო კონვენცია“ მხოლოდ რასობრივ დისკრიმინაციას არ გულისხმობს — ამ დოკუმენტში საუბარია ეთნიკური და რელიგიური ნიშნით ადამიანების შევიწროებასა და დევნაზე. რუსეთი იტყუება, როდესაც აცხადებს, რომ ჩვენ შორის არ არსებობდა არავითარი დავა აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაციის გამო. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართულ მხარეს აგვისტოს ომის დაწყებამდეც არაერთი განცხადება გაუკეთებია. გაეროს, ეუთოსა და სხვა უცხოური ორგანიზაციების დოკუმენტებში არაერთხელაა აღნიშნული, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსების მხრიდან ქართველების ეთნიკური წმენდა განხორციელდა. გარდა ამისა, არსებობს უამრავი ინდივიდუალური სარჩელიც, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ ქართველების წინააღმდეგ რუსი სამხედროების მიერ ან მათი ხელშეწყობით დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. ამ ყველაფერმა განსაკუთრებული გამოვლინება აგვისტოს ომის პერიოდში პოვა.

— თქვენი ინფორმაციით, სასამართლო პროცესისთვის ქართული მხარე რამდენად კარგად არის მომზადებული? უცხოური პრესა უკვე წერს იმის შესახებ, რომ „რუსეთის მთავრობას, არც მეტი, არც ნაკლები, 23 აგენტი, ადვოკატი ჰყავს მთელი მსოფლიოდან, რომელიც მათ სასარგებლოდ გამოდის მაშინ, როდესაც საქართველოს სულ 14 ადამიანი წარმოადგენს“.

სხვათა შორის, ცნობილია ისიც, რომ მოსამართლეებს შორის ერთ-ერთი, ეროვნებით რუსია...

— მთავარია, რომ ქართულ მხარეს სასამართლოში კონკრეტული, არგუმენტირებული, დადასტურებული ფაქტები აქვს წარმოდგენილი — როგორც სატელიტური ფოტოები, ისე მონიტორინგის შედეგები... გარდა ამისა, უამრავი თვითმხილველის ჩვენებაა, რომლის საშუალებითაც, ქართველების ეთნიკური ნიშნით დევნა დასტურდება. ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ექსპერტების მიერ დაფიქსირებული ფაქტები, რომლებიც რუსი ჯარისკაცების მხრიდან სხვადასხვა ტიპის დარღვევას ასახავს. ამ ყველაფრის უარყოფა რუსულ მხარეს ძალიან გაუჭირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ აგვისტოს ომის შემდეგ, თანამგზავრმა შესანიშნავად დააფიქსირა, თუ რა მეთოდურად, შერჩევით ნადგურდებოდა ქართველებით დასახლებული სოფლები. ერთი სიტყვით, ქართულ მხარეს წარდგენილი აქვს უტყუარი არგუმენტები, რომლითაც დასტურდება რუსეთის მიერ „რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის“ დარღვევა. რა თქმა უნდა, მოსკოვი შეეცდება გააბათილოს ქართული მხარის სარჩელი, მოახდინოს მისი პოლიტიზაცია, მაგრამ არა მგონია, ეს მოახერხოს. ასე რომ, ქართული მხარის სარჩელის აბსოლუტურად დაუკმაყოფილებლობა გამორიცხულია. ეჭვს არ იწვევს, რომ ეთნიკური ნიშნით ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაციის ფაქტების აღიარება მოხდება და ამ ტიპის დანაშაულის ჩამდენებიც მხილებული იქნებიან. შესაძლოა, კამათი იყოს იმაზე, თუ რამდენად შორს წავა სასამართლო რუსეთისათვის სანქციების დაწესებაში და არა იმაზე, საერთოდ აღიარებს თუ არა ქართული მხარის სარჩელის მართებულობას.

— ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ რუსეთი, რეალური ფაქტების გაყალბებასთან ერთად, არც სასამართლოზე ზეწოლასა და მოსამართლეების მოქრთამვაზე იტყვის უარს. დღეისათვის აქვს თუ არა მოსკოვს რაიმე ბერკეტი სასამართლოზე ზეწოლის განსახორციელებლად?

— არა, ჩემი აზრით, მოსკოვს რაიმე ზეწოლის ბერკეტი რომ ჰქონოდა, სერბეთისა და მილოშევიჩის საკითხთან დაკავშირებით გამოიყენებდა.

— რა შეიძლება სასჯელის სახით დაეკისროს იმ ქვეყანას, რომლის მიერ „რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის“ დარღვევა დადასტურდება?

— ამის წინასწარ თქმა ცოტა რთულია, მაგრამ შესაძლოა, ეს იყოს: დევნილთა დაბრუნების ხელშეწყობის დაკისრება, ეთნიკურ ნიადაგზე გამოვლენილი, დისკრინიმაციული მიდგომების აღკვეთა, ფინანსური გადასახადი, პოლიტიკური სანქციები... გააჩნია, რა კვალიფიკაცია მიეცემა დარღვევას. ისე, არ გამოვრიცხავ, რომ ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებამ რუსეთის მიმართ გარკვეული პოლიტიკური სანქციების ფორმაც მიიღოს.

— პროცესი სავარაუდოდ, რამდენ ხანს გაგრძელდება? და კიდევ — პოლიტიკურ სანქციებში რას გულისხმობთ?

— პროცესი ხანმოკლე ნამდვილად არ იქნება, რამდენიმე თვე მაინც გაგრძელდება. რაც შეეხება პოლიტიკურ სანქციებს, — ეს შეიძლება იყოს გაეროში ხმის უფლების შეჩერება, ან შეზღუდვა, ან გარკვეული ფინანსური ვალდებულებების დაკისრება, ან კიდევ, გარკვეულ ღონისძიებებში მონაწილეობის აკრძალვა. შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს ვინმე კონკრეტული პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი, თუკი გამოიკვეთება, თუ ვინ ჩაიდინა

პერსონალურად დანაშაული, რომელსაც „რასობრივი დისკრიმინაციის საერთაშორისო კონვენციის“ დარღვევის მუხლი ითვალისწინებს.

— რუსეთისთვის არც საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმაა პრობლემა. ასეთ შემთხვევაში რა მოხდება?

— სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმას უეჭველად მოჰყვება ფინანსური სანქციები. ეს ყველაფერი კი რუსეთის პრესტიჟს საერთაშორისო არენაზე კიდევ ერთხელ მიაყენებს სერიოზულ ზიანს.

■

ბიბლუსი

Books

წიგნის მაღაზიათა ქსელი მთელ საქართველოში

სიახლე!

ამ კვირიდან „ბიბლუსის“ ახალი ფილიალი გელით უკვე „თბილისი ცენტრალში“

თბილისი:
რუსთაველის 40/1
ალმაშენებლის № 121
იოსებიძის № 49
რობაქიძის № 7
ბახტრიონის №12

ბათუმი:
მემედ აბაშიძის №62
ფარნავაზ მეფის №18

ზუგდიდი:
რუსთაველის №92

სენაკი:
რუსთაველის №239

ფოთი:
ფარნავაზ მეფის №15

ქუთაისი:
ლ. ნუცუბიძის №1

სამტრედია:
სააკაძის № 6

ხაშური:
რუსთაველის №69

დუშეთი:
რუსთაველის №11

რუსთავი:
მეგობრობის №12

ოზურგეთი:
9 აპრილის პარკი

ბოლნისი:
სულხან-საბას №106

სასკოლო წიგნები ბიბლუსის ყველა მაღაზიაში

307 402 www.biblusi.ge

„ნაფიცი მსაჯული“ — გიორგი ლიფონავას ახალი ამპლუა

„დრამა-სერიალი – ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟანრია მსოფლიოში“...

ჯერ მცირერიცხოვანი ქართული ტელესერიალების რიგს ერთი საინტერესო ნიმუში — „ნაფიცი მსაჯული“ შეემატა. 3-სერიიანი მხატვრული ფილმი რეჟისორმა გიორგი ლიფონავამ უმოკლეს დროში გადაიღო. ქართული დეტექტიური დრამის სცენარის ავტორი მიშა მშვილდაძე გახლავთ, პროდიუსინგი — „ფორმულა კრეატივს“, მუსიკალური გაფორმება — ირაკლი მანჩხაშვილს ეკუთვნის. მთავარ როლებს ცნობილი მსახიობები ასრულებენ.

„ნაფიცი მსაჯულის“ გადაღებები თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ერთ-ერთ ბინაში მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტი რეალურ ამბავს ეფუძნება. მოგეხსენებათ — პარლამენტის მიერ ახალმიღებული კანონის თანახმად, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი 1-ელი ოქტომბრიდან შევა ძალაში, ჯერჯერობით — მხოლოდ დედაქალაქში.

თამთა დადეშელი

„კლინიკას“ თუ არ ჩავთვლით, მსგავსი დეტექტივი არასდროს გადამიღია და ჩემთვის საინტერესო ჟანრია

გიორგი ლიფონავა, *რეჟისორი:*

— ამ ფილმის გადაღება იუსტიციის სამინისტრომ შემოგვთავაზა. როგორც ცნობილია, ახალი კანონის თანახმად, მძიმე დანაშაულისთვის ვერდიქტი ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა გამოიტანონ. ეს 12 კაციც და განსასჯელიც საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ, ჭეშმარიტი გადაწყვეტილების მიღებაც საზოგადოების პასუხისმგებლობაა და ამიტომ, ამის შესახებ ხალხისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო.

— თქვენ რამ დაგაინტერესათ ყველაზე მეტად? რის გამო დათანხმდით ამ ფილმის გადაღებას?

— „კლინიკას“ თუ არ ჩავთვლით, მსგავსი დეტექტივი არასდროს გადამიღია და ჩემთვის საინტერესო ჟანრია. გარდა სამართლებრივი ნაწილისა, სცენარში ნაფიცი მსაჯულების პარალელური ხაზია, სადაც ამ ჩვეულებრივი, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული ადამიანების ხასიათი იკვეთება. ისინი 9 საათის განმავლობაში ჩაკეტილ სივრცეში იმყოფებიან და მსჯელობენ იმაზე, თუ როგორი განაჩენი უნდა გამოიტანონ. ამას თავისი თავისებური დრამატურგია აქვს... საინტერესოა ამ ყველაფრის კეთება და იმის ძიება, თუ რა ხდება ზოგადად ჩვენს საზოგადოებაში და როგორი ვართ თითოეული ჩვენგანი...

— თქვენ თვითონ, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, რამდენად ემხრობით ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღებას?

— შეიძლება ჰქონდეს თავისი მინუსებიც, მაგრამ არც ერთი სისტემა არ არის იდეალური. მსოფლიო საზოგადოება ცდილობს, ყველაფერი უკეთესობისკენ შეცვალოს და რაღაც პლუსები, რა თქმა უნდა, ამ პროექტსაც აქვს. როდესაც ნაფიცი მსაჯულები გაიაზრებენ, რომ იმ კონკრეტული ადამიანის ბედი მათზეა დამოკიდებული, აუცილებლად ეცდებიან, ობიექტურები იყვნენ, სწორად გააანალიზონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია და მცდარი გადაწყვეტილება არ მიიღონ. ამ ყველაფერს გარკვეული აზარტიც ახლავს, წმინდა მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასთან ერთად. ჩვენს ფილმშიც ეს არის ნაჩვენები.

— რამდენი ხანი მოანდომეთ „ნაფიცი მსაჯულების“ გადაღებას?

— ფილმის გადაღება საკმაოდ მოკლე დროში მოხდა — დაახლოებით 10 დღეში. მსახიობების შესარჩევად კასტინგის ჩასატარებელი დრო არც გვქონდა, ამიტომ იმ პროფესიონალებზე შევაჩერეთ არჩევანი, ვინც ზუსტად ვიცით, რომ კარგად მუშაობენ. არჩევანმა გაამართლა — დასახულ ამოცანებს კარგად გაართვეს თავი.

მიშა მშვილდაძე, *სცენარის ავტორი:*

— დრამა-სერიალი — ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟანრია მსოფლიოში. დრამა თავისთავად საინტერესოა და თვით პროექტი — ნაფიცი მსაჯულების თემა — აქტუალურია. სცენარი ამ საქმეში ჩახედულ კონსულტანტებთან ერთად „გავიარეთ“. ფილმში რეალური ამბავია ასახული. ისეთი თემაა, მაყურებლისთვის საინტერესო უნდა იყოს. თანაც, ნაფიცი მსაჯულები ჩვენთვის ახალი ხილია, სიახლე კი ყოველთვის ყურადღებას იპყრობს. დეტექტივი და დრამა ის ჟანრებია, რომლებიც კარგად ერწყმის ერთმანეთს.

— ხომ არ გაგიჭირდათ ამ ჟანრში მუშაობა? ალბათ პირველად გქონდათ მასთან შეხება.

— ზუსტად ასეთი რამ აქამდე არ გამიკეთებია, დრამა-სერიალი ნამდვილად პირველი იყო. რთულია და ამავდროულად — საინტერესო. ჩემი მთავარი ამოცანა ისეთი დეტექტიური ამბის „გაკეთება“ იყო, რომელშიც კარგად გაიშლებოდა მთელი ეს სიუჟეტი, თავისი მოულოდნელი კულმინაციით, კვანძის გახსნითა და ამ ჟანრის ყველა კანონის დაცვით. ამავდროულად, უნდა წარმოჩენილიყო 12 ნაფიცი მსაჯულის — 12 განსხვავებული ადამიანის ხასიათი. შესაბამისად, სამუშაო მრავალფეროვანი და საინტერესო იყო ჩემთვის.

„ნაფიც მსაჯულში“ მთავარ პერსონაჟს — ავთო გიუნაშვილს მსახიობი თემო გოგიძე ასახიერებს, რომელსაც მაყურებელი სხვა ფილმებიდანაც იცნობს. მართალია, ამჟამად თეატრში არ მუშაობს, მაგრამ ზოგიერთ ჩვენგანს თეატრალურ ინსტიტუტში გიზო ჟორდანიას მიერ დადგმული, საუცხოო სპექტაკლიდან — „ბოშები“ (ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით) ახსოვს. ინტერვიუს მიცემა მაინცდამაინც არ უყვარს, მაგრამ დიდი ძალისხმევის შემდეგ, ინტერვიუზე „2 ლარის გარეშე“ (გახსოვთ ალბათ მისი პერსონაჟი ფილმიდან „ქაღალდის ტყვია“) მაინც დავიყოლიე.

თემო გოგიძე:

— განსასჯელი ავთო გიუნაშვილი ჩემგან აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანია. ის საკუთარ მეგობარსა და ცოლზე ეჭვიანობს, რასაც საშინელ შედეგამდე მიჰყავს. ბუნებით ეჭვიანი არა ვარ, მე და ჩემს მეუღლეს ბევრი საერთო მეგობარი გვყავს და ასეთი რამ ჩემთვის წარმოუდგენელია... ავთო ცდილობს, საკუთარი დანაშაული მეგობარს გადააბრალოს და ამით მართლმსაჯულება აიცილოს; რაღაც მომენტებში ეს გამოსდის კიდეც. საბოლოოდ, ნაფიცი მსა-

განსასჯელი ავთო გიუნაშვილი ჩემგან აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანია

ჯულები მაინც მოახერხებენ სწორი ანალიზის გაკეთებას და სამართლიანი განაჩენის გამოტანას.

— როგორ მოგეწონათ სამუშაო პროცესი?

— შემოქმედებითი ჯგუფის წევრები ჩემი მეგობრები არიან. მე და გიორგის ერთადაც გვითამაშია „ქაღალდის ტყვიაში“. ძალიან ენერგიული ადამიანია — ერთი თვის სამუშაო 8-10 დღეში დაამთავრა.

— როგორც აღნიშნეთ, თქვენს პერსონაჟთან საერთო ბევრი არაფერი გაქვთ. მაშ, რატომ დათანხმდით ამ როლის თამაშს?

კინოს სპეციფიკა აბსოლუტურად განსხვავებულია

— მსახიობის პროფესია ისეთია, ყველაფერი უნდა მოსინჯო, უარი არ უნდა თქვა, თანაც — რომ მოვედი, როლზე უკვე დამტკიცებული ვიყავი. ჩემთვის ძალიან საინტერესო სამუშაო იყო. ისე კი სასამართლოში მუშაობას გარკვეული დაძაბულობაც ახლდა: 4-5 დღე საქალაქო სასამართლოს დარბაზში ვიყავით და რომ ვხედავდი, როგორ მოჰყავდა ბადრაგს ნამდვილი, ხელბორკილდადებული განსასჯელები, საშინლად მოქმედებდა ჩემზე... თვით პროექტი, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება ძალიან მომწონს, რადგან მოსამართლე ერთია და ხომ შეიძლება შეცდეს, 12 კაცი კი უფრო მეტს მსჯელობს და სწორი განაჩენის გამოტანის შანსიც მეტია.

რუსო კობიაშვილი პროკურორი ქალბატონის, ნანა ყიფშიძის როლს ასრულებს. ნანა საკმაოდ ჭკვიანი, გაწონასწორებული ადამიანია. ჰყავს გოგონა, რომლის საქმროც არ მოსწონს, მაგრამ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მიხვდება, რომ შვილის არჩევანი ადეკვატურად უნდა მიიღოს, რათა შემდეგ ისეთივე სავალალო შედეგი არ მიიღოს, როგორიც განსასჯელის სკამზე მოხვედრილ სიდედრს ერგო, — მან ხომ თავისი ქალიშვილი, საყვარელი ადამიანის ნაცვლად, „სასურველ კაცზე“ გაათხოვა და ამით ცხოვრება დაუნგრია..

რუსო კობიაშვილი:

— ჩემი პერსონაჟი ძალიან რთული დასახასიათებელია. პროკურორი სპეციფიკურ, მოზომილ ტექსტს წარმოთქვამს და მოკლე დროში მისი გათავისება ცოტა გამიჭირდა, მაგრამ მთელი ჯგუფის დახმარებით, ეს მოვახერხე და საბოლოო ჯამში, სახე შეიქმნა. მსგავსი როლი პირველად მქონდა და მიუხედავად სირთულეებისა, მეამაყება, რომ ასეთ ქალბატონს ვასახიერებ. ამ ფილმის წყალობით საშუალება მომეცა, კარგად გამეგო, თუ რა არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

მსახიობ **ბაია დვალიშვილის** *პერსონაჟი — „გრძნობად-ემოციური“ მსაჯული, თამრიკო ნანობაშვილია:*

— ჩემი პერსონაჟი საკმაოდ საინტერესოა და ამ როლმა ბევრი რამ მომცა. თამრიკო აქტიური ქალია, ბედნიერია, რომ გამოიძახეს. ყველაფრის მიმართ კეთილგანწყობილია, ცოტა ცუღლუტიცაა, ზედაპირულიც, მაგრამ მაინც, ძალიან დადებითი პერსონაჟია და, სხვათა შორის, სიამოვნებით ვითამაშებდი უფრო დიდხანს. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა დიდი სიამოვნება მივიღე სამუშაო პროცესში.

— რეალურ ცხოვრებაში რომ შემოგთავაზონ, ნაფიცი მსაჯული გახდეთ, როგორ მიიღებთ ამას?

— არა, არ მაქვს სურვილი: ძალიან რთული მისიაა.

— საერთოდ, რამდენად მისაღებია თქვენთვის, რომ თორმეტმა, ამ საქმეში დილეტანტმა ადამიანმა დამნაშავის (თუ უდანაშაულოს) ბედი გადაწყვიტოს?

— ეს სხვა ქვეყნებში უკვე აპრობირებული ხერხია, ჩვენ პირველები არ ვიქნებით და საფუძველიც ამან მისცა, რომ საქართველოშიც შემოეღოთ ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი. მთავარია, მსაჯულები სწორად შეირჩნენ და არა უბრალოდ, თითის დადებით, — აქ ხომ ადამიანის ბედი წყდება!..

დაბოლოს, ფილმის, ფაქტობრივად ყველაზე მთავარ გმირს — **ვატო ნემსაძეს** *მივადექით. მის როლს მსახიობი ნიკა კუჭავა ასრულებს და თავის პერსონაჟზე აი, რას გვიამბობს:*

— ვატო ნემსაძე ჩემგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანია, ყველაფრის მიმართ ზერელე დამოკიდებულება აქვს, აბსოლუტურად არ აინტერესებს, ადამიანი ციხეში ჩაჯდება თუ არა, თავისი საქმეებითაა დაკავებული და მთელი ფილმის განმავლობაში ამბობს, — უმეტესობა რასაც იტყვის, მე იმას მივემხრობიო. თუმცა ამ ყველაფრის შემდეგ მოვლენები ისე განვითარდება, რომ სწორედ ვატო ნემსაძის წყალობით გაიხსნება საქმე. ამ ხუმრობასა და ლაზღანდარობაში სწორედ ის აღმოაჩენს სიმართლეს.

— გიორგი ლიფონავა როგორია მუშაობის პროცესში? როდესაც მსახიობს რაიმე ბევრჯერ ეშლება, ხომ არ ბრაზობს? მკაცრია?

— მასთან ბევრჯერ მიმუშავია და ჩემთვის ის გადამღები ჯგუფიც ახლობელია. გამიხარდა, რომ კიდევ ერთხელ მოგვიწია ერთად მუშაობამ და ამჯერად — ბევრად უფრო სერიოზულ პროექტზე, ვიდრე აქამდე. საინტერესო იყო იმ უფროსი თაობის მსახიობებთან გადასაღებ მოედანზე მუშაობა, რომლებთანაც სცენაზე მითამაშია და მათგან ბევრი რამ მისწავლია. კინოს სპეციფიკა აბსოლუტურად განსხვავებულია და ისინიც სხვა კუთხით დავინახე. „გრადუსი“ სცენაზე მეტია. რაც შეეხება გიორგის, არაჩვეულებრივია მუშაობის პროცესში, მისგან ხმამაღალი სიტყვა არ ისმის. გადაღების დროს ხშირად ხდება, რომ მსახიობი ფირს რამდენჯერმე აფუჭებს, ყოველთვისაა რაიმე შეუსაბამობა, რაღაცაზე ნერვიულობა ან ჩხუბი, ყვირილი, მაგრამ გიორგის შემთხვევაში ასე არ ხდება; თავისთვის თუ ჩაიბურტყუნებს ხოლმე რამეს...

ისღა დაგვრჩენია, დავძინოთ — ფილმი, სიუჟეტურადაც და ინფორმაციული თვალსაზრისითაც, საკმაოდ საინტერესოა და იმედია, მაყურებელი ახალი კანონის არსშიც კარგად გაერკვევა, სიამოვნებასაც მიიღებს და ქართულ ტელესივრცეში ახალ-ფეხშემოდგმულ პირველ დრამა-სერიალს ობიექტურად შეაფასებს. ■

ინგლისური და რუსული ენების შემსწავლელი ცენტრი FutureWorld გთავაზობთ:

- ენების სწავლა ჯგუფში და ინდივიდუალურად!
- საერთაშორისო და ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება!
- საბავშვო საერთაშორისო ინგლისური ენის დრამწრე!
- სტუდია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის!
- საერთაშორისო სერტიფიკატები!
- საზაფხულო საერთაშორისო ბანაკები ევროპაში!
- გაცვლითი პროგრამები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში!

FutureWorld
ჩვენი მისამართია:
თბილისი, საბურთალო,
მიცკევიჩის ქ. 17, ბ. 10
38-22-96, 899-53-61-96
www.futureworld.ge

მთის სიყვარულით შეპყრობილი ახალგაზრდის საბედისწერო ნაბიჯი

„მთელი არსებით მიილტვოდა მთისკენ...“

თვეში რამდენჯერმე მთაში იყო. სიცოცხლე უყვარდა, ოღონდ — მთასთან ერთად... დილაობით, სანამ ბანაკი წამოიშლებოდა, ზურა „ზბორზე“ წამოღებულ წიგნს კითხულობდა და მეგობრებს საყვარელი ნაწარმოებებიდან ამოღებული ციტატებით ესაუბრებოდა. ხუმარა იყო, ოღონდ ყოველთვის ღირსეულად ხუმრობდა... გამოცდილი იყო, მაგრამ თავის უპირატესობას არასდროს უსვამდა ხაზს... ასე იგონებენ 24 წლის ზურაბ ებანოიძეს მეგობრები... სიცოცხლის მოკლე, მაგრამ სიყვარულით სავსე მანძილი გამოიარა. მეტი წილი მთაში იყო, მეგობრებთან ერთად. ალპინიზმს 19 წლის ასაკში ეზიარა და მას შემდეგ, ბარში ვეღარ ჩერდებოდა, თვეში 3-4 გასვლა ჰქონდა. უშბაც კი დალაშქრა... ახალგაზრდა მთამსვლელს უკვე „ერთიანი“ სირთულით დამწყები მთამსვლელები ებარა.

ლალი პაპასკირი

ალპინიზმში მთათა სისტემის სირთულე სკალის მიხედვით იზომება. სულ 6 სირთულის სკალა არსებობს. საქართველოში რამდენიმე მთას იმ ალპინისტის გვარით მოიხსენიებენ, ვინც პირველად დალაშქრა... 24 წლის ზურაბ ებანოიძე სოფელ ჯუთას მახლობლად, ე.წ. ჯავახიშვილის მთაზე ასვლისას, მასობრივი ქვის ცვენაში მოყვა და საყვარელ საქმეს შეეწირა... „მთელი არსებით მიილტვოდა მთისკენ და ბოლოს იქ დატოვა თავისი ლამაზი სული“, — მითხრეს მეგობრებმა...

ნიკა ლეგანიძე:

— მიჭირს ზურაზე წარსულ დროში ლაპარაკი. სიცოცხლით სავსე ბიჭი იყო. მთა მისთვის სიცოცხლესავით მნიშვნელოვანი იყო... შემთხვევის ადგილზე მას შემდეგ ავედი, როცა ამ ტრაგედიაზე ინფორმაცია გავრცელდა... როგორც ბიჭებმა მითხრეს, 3 ადამიანი იყო მარშრუტზე და 9-სართულიანი კორპუსის სიმაღლის კლდე ჩამოიშალა. იმხელა დარტყმა ჰქონდა, ზურა თოკიდან ამოაგდო და ძირს ჩამოვარდა. კლდის კედლის ძირში იპოვეს... მასთან ერთად, დათო მჭედლიძე და ვანო იმნაიძე იყვნენ. ერთ მარშრუტზე ანუ ერთ თოკზე იყვნენ გაბმული. გვერდზე კიდევ ერთი ხაზი ანუ — ორი ადამიანი მიცოცავდა. მაღალი მარშრუტია, დაახლოებით 800-მეტრიანი. ზურა 150 მეტრიდან არის გადმოვარდნილი და პირდაპირ კლდის ძირში დაეცა... ისეთ ადგილზეა დახეთქებული, მაშინვე გარდაიცვალა. ექიმი იქვე რომც ყოფილიყო, მაინც ვერაფერი უშველიდა. საბედნიეროდ, დანარჩენები უვნებლად გადარჩნენ. ვინც ყველაზე კარგად იცის ცოცვა, ის პირველი ადის და დანარჩენები მიჰყვებიან. თითოეულს შორის 50-მეტრიანი მანძილია.

„მისი დაკიდებული თოკი ყოველთვის სანდო იყო...“

— ნიკა, ეს მისი მერამდენე მარშრუტი იყო?

— ძალიან ბევრი უვლია მთაში, სვანეთი კი სულ მოვლილი ჰქონდა... სირთულის მიხედვით, სკალას 6-ად ყოფენ. ზურა მე-5 სკალის კატეგორიას ეკუთვნოდა და „ხუთიანებზე“ ბევრგან იყო ნამყოფი. სხვათა შორის, იმ მასივში ადრეც იყო, ოღონდ სხვა მარშრუტზე.

მაკა ჩინჩალაძე, *ზურას მეგობარი:*

— 2006 წელს თბილისის ბოტანიკურ ბაღში გავიცანით ერთმანეთი. პირველ ალპინიამდე იქ ვიკრიბებოდით და კედელზე ვცოცავდით, მთაში წასვლამდე ვვარჯიშობდით. ტექნიკურ მომზადებას იქ გავდიოდით.

— პროფესიონალი ალპინისტები გამზადებდნენ თუ უბრალოდ სამოყვარულო წრე იყო?

— გამოცდილი ალპინისტები გვყავდნენ. ისინი გვასწავლიდნენ და თავიანთ გამოცდილებას გვიზიარებდნენ... მაშინ დამწყებები ვიყავით და ამიტომ რთულ გზებზე არ გვიშვებდნენ. „ერთიანებში“ ჩაგვწერეს და 14 დღის განმავლობაში, შესაბამისი სირთულის 7 მწვერვალი უნდა გადაგველახა. მე და ზურა ცალ-ცალკე ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ რადგან „ერთიანებში“ ვიყავით, მაინც ხშირი და ახლო ურთიერთობა გვქონდა... ვინ რომელ ჯგუფში უნდა გაანაწილონ, ამას ის ადამიანი წყვეტს, ვისაც სპორტის ამ სახეობაში დიდი გამოცდილება აქვს და „ზბორებსაც“ ხელმძღვანელობს. თითოეულ ჯგუფს თავისი ინსტრუქტორი და მთამსვლელი ენიშნება... ეს იყო პირველი გასვლა; შემდეგ იყო „სამიანი“ და „ოთხიანი“, სადაც მე და ზურა ერთად აღმოვჩნდით. ჩვენთან ერთად, საერთო მეგობარი დათო ჩიტაიაც (სწორედ მის მიერ გადაღებულ ფოტოებს გთავაზობთ) იყო, რომელიც ფოტოგადაღებითაც არის დაინტერესებული... იმ წელს ჩასვლა დამიგვიანდა და 3 დღის შემდეგ ჩავედი; დათოსა და ზურას უკვე რამდენიმე ადგილი ჰქონდათ მოვლილი...

— ჯგუფში გოგო მხოლოდ თქვენ იყავით?

— დიახ და, ვინაიდან მთელ ჯგუფში ერთი გოგო ვიყავი, ბიჭებს ყველაფერს ვუჯერებდი. ვცდილობდი, მათთვის პრობლემები არ შემექმნა და ტვირთად არ ვქცეუ-

ლიყავი. არც ის მინდოდა, ჩემ გამო რომელიმე მნიშვნელოვანი მწვერვალის დაპყრობაზე ხელი აეღოთ, ამიტომ რასაც მეტყოდნენ, ყოველთვის უსიტყვოდ ვასრულებდი... ყოველ წელს იმართება გასვლითი ღონისძიებები, ე.წ. „ზბორები“. მას „ჭაუხის შეკრებებს“ ვეძახით. მთათა ეს სისტემა ყაზბეგის რაიონში მდებარეობს და სოფელ ჯუთიდან 2 საათის სავალზეა. ამ ადგილას ერთი დიდი მასივია (მთამსვლელები ასე ვეძახით), ბევრი სხვადასხვა მწვერვალია. ზოგიერთ მთას სხვადასხვა სირთულის გზა აქვს და იმ მთაზე, სადაც ახლა ზურა დაიღუპა, ნამყოფი ვართ, ოღონდ — სხვა გზით...

— ალპინისტებისგან მსმენია, რომ ადამიანის ხასიათი და ბუნება ყველაზე უკეთ მთაში იცნობა. ამ დროს ზურა რაიმე განსხვავებულ თვისებებს თუ ამჟღავნებდა?

— მე და ზურამ ერთმანეთი თბილისში გავიცანით, მაგრამ უფრო ხშირად მთაში ვხვდებოდით ან ბოტანიკურ ბაღში. მაგრამ ის ერთად ყოფნის ორკვირიანი დრო საკმარისია ადამიანის ხასიათის ღრმად გასაცნობად. ზურა ძალიან ახლობელი ადამიანი იყო ჩემთვის... გარდა იმისა, რომ რამდენიმე დღე ერთად ვიყავით, მთის მარშრუტის დროს ისეთი ადგილები და წუთებია, ფაქტობრივად, სიცოცხლეს ანდობ ადამიანს, ზურას კი თვალდახუჭული ვენდობოდი... ზურა, როგორც უფრო გამოცდილი, წინ მიდიოდა, ან ბოლოს, სადაც ასევე გამოცდილი ადამიანი უნდა ყოფილიყო. მე ყოველთვის მესამე ვიყავი, რადგან მანამდე ბიჭები სინჯავდნენ, რამდენად მყარი იყო თოკი... ზურას დაკიდებულ თოკზე ყოველთვის მყარად მივდიოდი, ვინაიდან ვიცოდი, რომ ყველაფერს ძალიან ფრთხილად და საიმედოდ აკეთებდა. იყო შემთხვევები, როცა ჩემ უკან მოდიოდა და ამ დროს სულ რაღაცაზე ვლაპარაკობდით. ძალიან კარგი იუმორი ჰქონდა. ცანცარა არ იყო, პირიქით — სერიოზულობითა და სიდინჯით გამოირჩეოდა, მაგრამ რაღაც თავისებური იუმორი ჰქონდა, განსხვავებული... ხალასი ბიჭი იყო და ასევე ხუმრობდა, — ყოველგვარი ირონიისა და დაცინვის გარეშე... კლდეზე ცოცვისას თუ თავს არ შეუძახე და ნერვებს აჰყევი, თავის მოთოკვა ძნელია. ზურა კი ამას ახერხებდა... მახსოვს, ერთხელ — მაშინაც ჭაუხში — „რჩეულიშვილის სამიანზე“ ვიყავით... თოკზე მე და ზურა ვიყავით დარჩენილები. ამინდი მოულოდნელად გაფუჭდა. სეტყვა წამოვიდა. დანარჩენები ზევით იყვნენ, მაგრამ იმდენად ცუდი ამინდი იყო, რამის დანახვა ჭირდა... მაშინ გამოუცდელები ვიყავით და ზურა მამხნევებდა. ცუდზე რომ არ მეფიქრა, რაღაცას სასაცილოს მიყვებოდა. დამიჯერეთ, ასეთ დროს საკუთარ თავში იუმორის გრძნობის პოვნა ძნელია და ეს ყველას როდი შეუძლია... ცუდ ამინდში ძალიან მნიშვნელოვანია, გაიგო — სად ვარდება მეხი, ვინაიდან ალპინისტს ბევრი რკინა აქვს ტანზე ასხმული... როცა მეხის გავარდნის ხმას გაიგონებ, მაშინვე უნდა მოიხსნა, თუ რაიმე რკინა გიკეთია, და შორს უნდა მოისროლო... არ ვიცი, მოგვეჩვენა თუ არა, მაგრამ მეხის გავარდნის ხმა მართლა გავიგონეთ. წერაყინი ზურგზე მეკეთა და რადგანაც თოკზე ვიყავი დაკიდებული, ჩემით ველარ ვიხსნიდი; ზურა წამებში ჩამოვიდა, თოკს ჩაება, წერაყინი მომხსნა და გადააგდო. მერე მალევე მივხვდით, რომ მეხის საშიშროება აღარ იყო, ისევ ჩავიდა და ამომიტანა... ძალიან ყურადღებიანი და ფრთხილი იყო, მაგრამ ამას ისე გააკეთებდა, საკუთარ უპირატესობას არ გაგრძობინებდა, პირიქით — ძალიან მოკრძალებული იყო... ალპინისტებს გვაქვს ე.წ. ჟომარი — მოწყობილობა, რომელიც მხოლოდ ზემოთ ასვლის დროს გამოიყენება, მაგრამ ერთბაშად ვერ გაიკეთებ, უნდა შეეგუო ანუ — უნდა დაამუღამო. თავიდან ძალიან მიჭირდა და ყოველთვის, როცა მას ვიყენებდი, ზურა უსიტყვოდ მეხმარებოდა... სულით ხორცამდე ალპინისტი იყო და ამ სფეროში ჩვენ თვალწინ გაიზარდა. 19 წლის იყო, ერთად რომ დავიწყეთ მთაში სიარული და უკვე მაშინ ისეთ თვისებებს ამჟღავნებდა, რაც ალპინისტისთვის აუცილებელია. ძალიან სწრაფად დაცოცავდა კლდეზე და — რაც ასევე აუცილებელია მთამსვლელისთვის — ძალიან სხარტი გონების პატრონი იყო. მთაში სიარულისთვის მხოლოდ კარგი გამოცდილება და ტექნიკური მომზადება საკმარისი როდია; თუ ადამიანს გონება კარგად უჭრის, ის გამოსავალსაც სწრაფად იპოვის. ასეთი იყო ზურა — როცა შეატყობდა, რომ ადამიანებს შორის სიტუაცია იძაბებოდა, უცებ რაღაც სასაცილოს იტყოდა და დაძაბულობას მოხსნიდა. გოგოებთან საოცარი დამოკიდებულება ჰქონდა, ყურადღებიანი და ღირსეული იყო.

„ეს მწვერვალი რომ დავლამქრეთ, ისე გაგვიხარდა, რომ ზურას მკერდზე საქართველოს დროშა მივაფინეთ“...

— ალპინიზმი ჩემთვის, და ალბათ ბევრისთვის, ბეწვის ხიდზე გავლას ნიშნავს...

— დიახ, ასეა. მივხვდი, რასაც მეკითხებით... როცა ეს ტრაგედია მოხდა, დედაჩემს ვეუბნებოდი, — შორიდან ეს ყველაფერი ძალიან რომანტიკული ჩანს, თუნდაც გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებიდან, მაგრამ სინამდვილეში, იქ თითოეუ-

ლი ნაბიჯი მართლაც, ბეწვის ხიდზე გავლას ნიშნავს... დიახ, ვისაც მთის სიყვარული არა აქვს, მისთვის შეიძლება, ეს გაუგებარიც იყოს. ძალიან ბევრჯერ გავდიოდით ბეწვის ხიდზე, მაგრამ ამ დროს მთის დალაშქვრის ჟინი იმდენად დიდია, რომ მაშინ სიკვდილზე არ ვფიქრობდი. თოკზე მიბმულს გადამიხედავს და იმ სიმაღლეზე ვყოფილვარ, რომ მიწა არ ჩანდა, მაგრამ შიში გულში არც გამივლია. დაუდევრობას ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს და იქ ადამიანი ძალიან მომზადებული უნდა იყოს, მაგრამ ამავდროულად — რისკიანიც... ოჯახის შექმნის შემდეგ თითქმის თავი დავანებე ალპინიზმს. მანამდე „ოთხიანი“ უკვე გავლილი მქონდა.

— ზურასთან მეგობრობას აგრძელებდით?

— დიახ. ჩემი მეუღლეც ალპინისტია, საერთო ინტერესი გვქონდა. ოჯახშიც მოდიოდა ჩვენთან... დაღუპვამდე 2 კვირით ადრე იყო მოსული... სანამ მთაში წავიდოდა, მანამდე 2 დღით ადრე დამირეკა, დაბადების დღე მომილოცა და ჩემს მეუღლეს შესთავაზა, — ჭაუხში მივდივართ და ხომ არ წამოხვალო?.. ჯგუფში მეორე ზურაც იყო და მეგობრები „პატარა ზურას“ ვეძახდით. ადრეც იყო იმ მთაზე, ოღონდ — ხევსურეთის მხრიდან. ძალიან რთული მარშრუტის გავლა უწევდათ და მობრუნდნენ. ზურა გულდაწყვეტილი იყო და ვამხნევებდით, — ხომ იცი, მთაში ზოგჯერ გონივრული მოქმედება უფრო გამართლებულია-თქო. მეგობრები სულ ვამბობდით, რომ მას, როგორც ალპინისტს, დიდი მომავალი ჰქონდა... მთაში როცა ერთი კენჭი ჩამოვარდება, ეს შეიძლება, ხელის შემშლელი იყოს და ამისთვის ჩაფხუტი გვიკეთია, მაგრამ როცა კლდიდან ქვების ცვენა იწყება, ამ დროს ადამიანის სიცოცხლე მართლაც რომ უფლის ხელშია. ზურას შემთხვევაში, ვიცი, რომ ქვების ცვენა დაიწყო, კარაბინი — მთავარი კვანძი, რომლითაც ალპინისტი ერთ-ერთ თოკზეა ჩაბმული, გატყდა; ასეთ დროს, მთამსვლელის გადარჩენის შანსი თითქმის არ არსებობს: ეს კარაბინი რკინის ბოქლომივით არის და ჩამკეტით იკეტება. როგორც ვიცი, სწორედ ეს კარაბინი გატყდა ქვის ცვენის დროს.

— იმ თოკზე ჩაბმული ადამიანები საბედნიეროდ, გადარჩნენ...

— დიახ, საბედნიეროდ... თოკს ქვა რომ გაეწყვიტა, მაშინ მისი დარტყმის ძალა სხვებსაც გადაიყოლებდა; ამ შემთხვევაში თოკი არ გაწყვეტილა... ■

სამართალი

რა ხარვეზები აქვს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს?

მხარეთა თანასწორობა ეჭქვეშ დგება

1-ელი ოქტომბრიდან ძალაში შედის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ავტორთა მტკიცებით, კოდექსმა ადამიანის უფლებათა დაცვას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელებას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქმის წარმოებისას მხარეთა შორის რეალური თანასწორობის დამკვიდრებას უნდა შეუწყოს ხელი. მის შექმნაში უზენაესი სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურის, შს სამინისტროს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, თავისუფლების ინსტიტუტის, ევროპის საბჭოს, ევროკავშირის მისიის, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ერთადერთს — ადვოკატთა ასოციაციას, სადაც ათასობით მოქმედი ადვოკატია გაერთიანებული, მონაწილეობა არ მიუღია.

თეა ხურცილავა

რამდენიმე თვის წინ ასოციაციაში პრაქტიკოს ადვოკატთა და ექსპერტთა 12-კაციანი ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელმაც შენიშვნები და წინადადებები შეიმუშავა. დღეს ისინი კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას ითხოვენ. ჯგუფს გამოცდილი იურისტი, უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ***გიორგი ძოლავა*** *ხელმძღვანელობს, რომელსაც ახალ კოდექსზე სასაუბროდ შევხვდით.*

— ბატონო გიორგი, როგორც ვიცი, ახალ კოდექსთან დაკავშირებით ბევრი შენიშვნა გაქვთ.

— ეს კოდექსი პარლამენტმა 2009 წლის 9 ოქტომბერს მიიღო. უდავოა, კოდექსი მრავალ ნოვაციას შეიცავს და მასში დადებითი მომენტებია, მაგრამ ისეთი ხარვეზებიცაა, რომლებიც ძალიან გაუძნელებს მუშაობას, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეს.

— რატომ არ მიიღეთ მონაწილეობა განხილვაში?

— ადვოკატები უბრალოდ, არავის მიუწვევია. ადვოკატთა პროფკავშირების კრება შედგა და გადაწყდა, რომ აუცილებელია, ხელისუფლებას ჩვენი შენიშვნები შევთავაზოთ, რათა კოდექსში შეიტანონ. ამ ჯგუფში ცნობილი იურისტები მონაწილეობდნენ — გვარების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. შევიმუშავეთ ცვლილებების პაკეტი, რომელიც პარლამენტს გადაეცა. ვერ გეტყვით, რამდენად გაითვალისწინებს ამას ხელისუფლება, შეიძლება, ბრალი დაგვდოს, რომ დაგვიანებულია.

— კოდექსის ამოქმედებამდე სულ ცოტა დრო დარჩა; ამდენ ხანს რატომ დუმდით? მართლა დაგვიანებული ხომ არ არის თქვენი შენიშვნები?

— თითოეული ჩვენგანი აღიარებს, რომ დაგვიანებულია, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს — ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ ობიექტური. ასოციაციის ადრინდელი ხელმძღვანელობა ამაში არ ჩარეულა. აზრის გამოთქმა ადრე უნდა დაწყებულიყო, რაც არ გაკეთდა. ამიტომ ვთავაზობთ ახლა გარკვეულ ცვლილებებს, რომლებიც ობიექტური რეალობიდან გამომდინარეობს; ცვლილებათა პაკეტი გამზადებულია.

— კანონის ამოქმედების შეჩერებას ითხოვთ?

— ცვლილებების შეტანის მოთხოვნით, პარლამენტს მივმართეთ; თუკი ეს ვერ მოესწრება, მაშინ კანონის ამოქმედება უნდა შეაჩერონ: ამ საპროცესო კოდექსით მუშაობა შეუძლებელია და უამრავი პრობლემა შეიქმნება.

— არაერთხელ მოგვისმენია, რომ ახალ კოდექსში მხარეების თანასწორობის პრინციპი დაცულია და ორივე მხარეს გაცილებით მეტი უფლებები ექნება, ვიდრე ეს დღესაა. თქვენთვის მიუღებელი რა არის?

— დაგისაბუთებთ, რომ ასეა საქმე. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ დღეისათვის სახელისუფლებო წრეებს უკვე გამზადებული აქვთ ცვლილებების პროექტი — სულ 58 მუხლში უნდა შევიდეს ცვლილება. თუ ასეთი კარგია ეს საპროცესო კოდექსი, რომელიც სულ 333 მუხლისგან შედგება, რატომ ითხოვენ

თვითონვე, 58 მუხლში ცვლილების შეტანას?..

— როგორც მახსოვს, მოქმედ საპროცესო კოდექსში გაცილებით მეტი მუხლი იყო, არა?

— ადრინდელში 685 მუხლი იყო. კოდექსი განახევრდა, რადგან წინასწარი გამოძიების ინსტიტუტი გაუქმდა. საბრალდებო დასკვნა საქმეზე აღარ შედგება, მაგრამ ამაში უბედურებას ვერ ვხედავ. შენიშვნებს ახალი საპროცესო კოდექსის პირველი მუხლიდან დავიწყებ. კოდექსში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა არის ამ კოდექსის წყარო და ამოცანები, რაც ბევრ ბუნდოვანებას წარმოშობს: არ წერია, რომ კოდექსის წყაროებია — საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლის ნორმები და პრინციპები; არ არის მითითებული, რა არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოცანა. დღეს მოქმედ საპროცესო კოდექსშიც კი არის მითითებული, რომ უნდა დაადგინოს დანაშაულის ფაქტობრივი გარემოება და ა.შ. დიდ უბედურებად მიმაჩნია, რომ ახალი საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში — ტერმინთა განმარტებაში — დაზარალებულის როლს ვერსად იპოვით.

— საქმის განხილვისას დაზარალებული მხარე არ იქნება?

— სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მხარეს წარმოადგენენ: ბრალდებული, მსჯავრდადებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი — ანუ ბრალდებისა და დაცვის მხარეები. მოქმედი საპროცესო კოდექსით, ბრალდების მხარეს წარმოადგენენ: პროკურატურა და დაზარალებული; ახალ კოდექსში დაზარალებული მხარე საერთოდ არ არის და მას არაფერს ეკითხებიან. ვთქვათ, ადამიანს მოუკლეს შვილი, ვიცით, როგორი მწვავეა ჭირისუფალთა რეაქცია პროცესზე დამნაშავის ყოველ გამოჩენაზე. ამ დროს დაზარალებულს ეუბნები, — შენ მხარე არა ხარ, არანაირი უფლებები არა გაქვსო...

— საქმის განხილვაში დაზარალებული მონაწილეობას ვერ მიიღებს?

— მას პროცესში მონაწილეობის უფლება აქვს, როგორც მოწმეს — არც მეტი, არც ნაკლები. უფრო მეტიც, დაზარალებულს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაც კი არა აქვს. მას შეუძლია, პროკურორის მოქმედება მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივროს.

— სასამართლოში საქმის გასაჩივრების უფლება მოესპო?

— ის პროცესზე ისე დაიკითხება, როგორც მოწმე; მოწმისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მას ბრალდების არსს აცნობენ. საქმის მასალებს ვერ გაეცნობა. მოწმეს არ შეუძლია, მის დაკითხვამდე დაესწროს სხდომებს; როდის მიიჩნევს საჭიროდ დაზარალებულის დაკითხვას პროკურორი, ეს მისი გადასაწყვეტია და შეიძლება, სხდომებზე დასწრებაც ვეღარ შეძლოს დაზარალებულმა. თუკი დღევანდელ და საბჭოთა პერიოდის საპროცესო კოდექსშიც კი მას ჰქონდა უფლება, ჰყოლოდა ადვოკატი, დღეს ეს უფლება არ გააჩნია. მას არ შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ სასამართლოში. ყველაზე მეტი უფლება, რაც აქვს, — შეუძლია, მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით სასამართლოს განმარტება მისცეს. ეს ყველაფერი კატეგორიულად ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, საერთაშორისო კონვენციას და ადამიანის უფლებათა დარღვევაა.

— დაზარალებულის უფლებას ვინ დაიცავს?

— პროკურორს მისცეს დისკრეციულობის უფლება. პროკურორი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას აღძრავს საკუთარი შეხედულებით, დაზარალებულის მოსაზრება მისთვის არაფერს ნიშნავს. მას შეუძლია, საერთოდ, არც აღძრას დევნა. დაზარალებული კი ამ დროს თავის უფლებას ვერ დაიცავს. ვთქვათ, გაიგო, რომ მისი შვილის მკვლელობა დაკვალიფიცირებულია 108-ე მუხლით და რეალურად, უფრო მძიმე დანაშაულია — 109-ე მუხლი უდგება; მას არ შეუძლია, ეს გაასაჩივროს სასამართლოში, შეუძლია, მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან ერთხელ გაასაჩივროს და თუ უარს მიიღებს, სხვაგან ვერ გაასაჩივრებს, თავის დარღვეულ უფლებებს ვერსად აღიდგენს.

— პროკურორის უფლებები გაიზარდა?

— უსაზღვროდაა გაზრდილი. დღეს მოქმედ კოდექსში დაზარალებული სუბსიდიური ბრალმდებელია და ბრალდების მხარეს წარმოადგენს. ხომ შეიძლება, რაღაც ინტერესებიდან გამომდინარე, პროკურორმა დევნის აღძვრა სავალდებულოდ არ მიიჩნიოს?!

— რამ გამოიწვია ამის აუცილებლობა?

— ეს გირგვლიანის, ვაზაგაშვილისა და სხვათა საქმეებმა განაპირობა: ვნახეთ, როგორ იბრძოდნენ დაზარალებულები თავიანთი უფლებების დასაცავად. ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ, დაზარალებული საქმეს ვერც სტრასბურგში გაასა-

ჩივრებს. კონსტიტუციით კი, დაზარალებული არის პიროვნება, ვისი უფლებებიც დაცული უნდა იყოს.

— კანონით ხომ სახელმწიფოა ვალდებული, მოქალაქის უფლება დაიცვას?

— კონსტიტუციით გარანტირებულია, რომ სახელმწიფო იცავს პირის უფლებას, მაგრამ რამდენად — ამას კონკრეტული მაგალითებიდან ვხედავთ: კაცს შვილი მოუკლეს, სასამართლომ გამოიტანა არასამართლიანი განაჩენი და ეუბნები, რომ არ შეუძლია, საქმე გაასაჩივროს, — ეს ნორმალურია?! კოდექსში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს დაზარალებულის პატივისა და ღირსების დაცვა, ფიზიკური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ახლა ბრალდებისა და დაცვის მხარეთა დეკლარირებულ თანასწორუფლებიანობაზე მოგახსენებთ. ბრალდების მხარის ნებისმიერი მოთხოვნა მტკიცებულების მოპოვების პროცესში — კერძო პირის, იურიდიული პირის, სახელმწიფო ორგანოს მიმართ — შესასრულებლად სავალდებულოა; დაცვის მხარეს კი ასეთი უფლება არ გააჩნია — მისი მოთხოვნის შესრულების სავალდებულობა კანონში აღნიშნული არსად არის.

— ანუ ადვოკატს შეიძლება, უარი უთხრან ინფორმაციის მიწოდებაზე?

— ადვოკატმა დამოუკიდებლად უნდა მოიპოვოს მტკიცებულება: მიმართავ ამ მოთხოვნით; თუ არ გაგცემენ პასუხს, ვერაფერს მოითხოვ. უფრო მეტიც — დაცვის მხარეს არა აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით, ფარული ოპერატიული მოქმედებების ჩატარების, ჩხრეკისა და ამოღების თაობაზე. ხომ შეიძლება, ადვოკატს ჰქონდეს ინფორმაცია — ის ნივთი, რასაც მის დასაცავს ედავებიან, ან საბუთი არის კონკრეტულ ადგილას, და მისი ამოღების შემთხვევაში, შეიძლება, ყველაფერი თავდაყირა დადგეს, ხოლო დაცვის ქვეშ მყოფი გაამართლონ?! თუკი ბრალდების მხარეს აქვს ფარული მოსმენის უფლება, დაცვას რატომ არ უნდა ჰქონდეს? რომელ თანასწორობაზე ვსაუბრობთ? მით უმეტეს, ბრალდების მხარის ზურგს უკან მთელი სახელმწიფო აპარატი დგას: ფინანსები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა.შ. ეს დაცვას არ გააჩნია იმისათვის, რომ აწარმოოს გარკვეული საგამოძიებო მოქმედება; ისევ დამქირავებელმა ანუ დასაცავმა უნდა გაიღოს ხარჯები — აქვს კი პატიმარს ამის საშუალება?! თან, ჯერჯერობით არ არის შექმნილი დეტექტივის სამსახური და როგორ უნდა იმოქმედოს ადვოკატმა?.. კანონიდან ასევე, საერთოდ ამოღებულია კერძო — საჯარო ბრალდების საქმეთა წარმოება... მოწმეს ადვოკატის ყოლის უფლებაც არა აქვს. არსებულ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც პირს, რომელიც პრაქტიკულად ეჭვმიტანილია, მაგრამ მის მიმართ არა აქვთ სერიოზული მტკიცებულებები, მოწმის სტატუსით ჰკითხავენ; ზეწოლის შედეგად ისეთ რამეს ათქმევინებენ, რაც შემდეგ მის წინააღმდეგ გამოადგებათ და ბრალსაც წაუყენებენ. ასეთ დროს, როცა ადვოკატის ყოლის უფლებაც არ ექნება, რაც უნდათ, იმას ათქმევინებენ. არ მითხრათ, რომ ყველა ადამიანი გაცნობიერებულია იურისპრუდენციაში.

— დაგეთანხმებით — მოქალაქეთა დიდ ნაწილს თავიანთი უფლება-მოვალეობების შესახებ ხშირად, ინფორმაციაც კი არა აქვს.

— ზეწოლაც რომ არის, ამაშიც დამეთანხმეთ. რატომ არ უნდა ჰყავდეს მოწმეს ადვოკატი? საუბარია, რომ მხოლოდ გამოსაკითხ პირს შეუძლია იყოლიოს ადვოკატი. გამოკითხვა არ არის მტკიცებულება, ამ დროს პირს არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება, რადგან მას არ აფრთხილებენ მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ... დღეს მოქმედ კოდექსში არის მე-18 მუხლი, რომელიც ბრალდების მხარეს ავალდებულებს — საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური; თანაბარი ძალისხმევით უნდა დადგინდეს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის როგორც მამხილებელი თუ დამამძიმებელი, ასევე გამამართლებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოებები. ეს ვალდებულება ახალი კოდექსით, ბრალდებას აღარ აქვს — ახლა მან უნდა გამოიძიოს ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულება, დანარჩენის მოპოვება დაცვის მხარეს ევალება. 83-ე და 85-ე მუხლებში დარღვეულია მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი. კანონით, მხარეებს მტკიცებულებათა გაცვლის ვალდებულება ეკისრებათ. ეს თავისთავად, დადებითი მოვლენაა: დაცვას უფლება აქვს, ბრალმდებელს მოსთხოვოს მის ხელთ არსებული გამოკვლეული ინფორმაცია და — პირიქით; მაგრამ პროკურორს აქვს უფლება, არ დააკმაყოფილოს შენი შუამდგომლობა და მთლიანად არ მოგცეს საქმის მასალები — მას ამისთვის არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება; დაცვის მხარე კი, თუ დამალავს რაიმე მტკიცებულებას, ჯარიმდება და ასევე, საპროცესო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება. ბრალდების მხარეს ასეთი ვალდებულება არა აქვს და არც დაჯარიმებენ. პროკურორს შეუძლია, მნიშვნელოვანი დოკუმენტი დამალოს და პირდაპირ სასამართლოს სხდომაზე გამოაჩინოს, — არადა, იქნებ ისეთი მტკიცებულებაა, რომელსაც ადვოკატი უნდა შეებრძოლოს?!. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ადვოკატი აპელანტი არ არის — მას სასამართლოში სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება არა აქვს, პროკურორს კი აქვს.

— საქმე ვინ უნდა გაასაჩივროს?

— საქმის გასაჩივრების უფლება აქვს ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს და მსჯავრდადებულს. ადვოკატს მხოლოდ მაშინ შეუძლია შეიტანოს საჩივარი, თუ ბრალდებული არასრულწლოვანია ან ისეთი ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი აქვს, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას. ადვოკატი ყოველთვის იყო აპელანტი, მაგრამ ეს უფლებაც წაართვეს.

— საზოგადოების დიდი ნაწილი კანონებში ვერ ერკვევა, სააპელაციო სარჩელის დაწერაც საკმაოდ რთულია; იქნებ მსჯავრდადებულმა ვერ გამართა საჩივარი, მას იურისტის დახმარება ხომ სჭირდება?!

— მსჯავრდადებულთა უმრავლესობა კანონში ვერ ერკვევა. ახალი კანონით, მსჯავრდადებულმა თვითონ უნდა დაწეროს საჩივარი; რამდენად გამართული იქნება — ეს უკვე სხვა საკითხია. ციხის ადმინისტრაციიდან მოხდება საჩივრის სასამართლოსთვის გადაცემა. შეიძლება, მსჯავრდადებულმა ვერც გაიგოს განაჩენის არსი — რატომ არ უნდა მისცე მის ადვოკატს საქმის გასაჩივრების უფლება?! იცით, ეს იმიტომ ხდება, რომ ძალიან ბევრი საჩივარია სტრასბურგში გაგზავნილი და უნდათ, ეს ციფრი ამ ხერხით შეამცირონ, მერე თქვან, რომ სასამართლოების მიმართ ნდობა გაიზარდა. კიდევ ერთი საკითხი: ექსპერტიზის დასკვნა ნებისმიერ საქმეში უმთავრესი მტკიცებულებაა, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვინ არის დასკვნის გამცემი პირი. ახალი კანონით, სასამართლო განიხილავს მხოლოდ სახელმწიფო საექსპერტო სამსახურის მიერ გაცემულ დასკვნას; მაშინ ექსპერტის სერტიფიკატი რაღა საჭიროა?! მიგვაჩნია, რომ ყველა სერტიფიცირებული ექსპერტის გაცემული დასკვნა თანაბარი მტკიცებულებითი ძალის მქონე უნდა იყოს. ერთი სიტყვით, ის ცვლილებები, რომლებიც შევიმუშავეთ და პარლამენტს ვთავაზობთ, გასათვალისწინებელია. მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა შეიტანონ კოდექსში ცვლილებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეალურ თანასწორობაზე საუბარი ზედმეტია. ■

მოიხსენი სტრესი „ლიკანის“ დახმარებით

თანამედროვე ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება უფრო მეტად დაძაბულია, ვიდრე ათწლეულების წინ. ტექნიკურმა პროგრესმა დადებითთან ერთად უარყოფითი გავლენაც იქონია ადამიანების ემოციურ წონასწორობაზე და განწყობაზე. ეკოლოგიური გარემოს შეცვლა და ბევრი სხვა ფაქტორიც არანაკლებ გავლენას ახდენს ადამიანების ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე.

შეიცვალა ცხოვრების ტემპი. დრო თითქოს აჩქარდა. ყველა მუდამ სადღაც ჩქარობს, რაღაცას ვერ ასწრებს. შედეგად კი იმას ვიღებთ, რომ გამუდმებით ვცხოვრობთ სტრესულ გარემოში, რაც ჩვენც და ჩვენ გარშემო მყოფთაც ბევრ პრობლემას უქმნის. ორგანიზმის იმუნური რეზერვები იწურება და ადამიანი იფიტება, კარგავს შრომისუნარიანობას და სიმხნევეს.

ხანგრძლივი სტრესული მდგომარეობა იწვევს ნერვული სისტემის გამოფიტვას, კუჭ-ნაწლავის ფუნქციონირების დარღვევას, გულსისხლძარღვთა სისტემის მოშლას, ოსტეოპოროზს და იმუნური სისტემის დაქვეითებას. ეს ყველაფერი ვლინდება უძილობით, მეხსიერების გაუარესებით და ქრონიკული დაღლილობით.

მაკა ჩინჩალაძე *(ექიმი ენდოკრინოლოგი):*

„სტრესი ფსიქოფიზიკური დაძაბულობის მდგომარეობაა, რომელიც ადამიანს ძლიერი ზემოქმედების შედეგად უვლინდება. მას თან ახლავს ორგანიზმის და ფსიქიკის დამცავი სისტემის მობილიზება. სხვაგვარად რომ ვთქვათ — სტრესი — ორგანიზმის რეაქციაა ნებისმიერ გამღიზიანებელზე. სტრესი უფრო ხშირად ისეთ ადამიანებს აქვთ, რომლებიც საკუთარ თავს მაღალ მოთხოვნებს უყენებენ. ცდილობენ, მოკლე დროში ბევრი რამ მოასწრონ.

თანამედროვე სამედიცინო დარგის მკვლევრები ამტკიცებენ, რომ დაავადებათა 90%-ის მიზეზი სტრესია. იგი აქვეითებს იმუნიტეტს, ანადგურებს ვიტამინებს და მინერალებს ორგანიზმში, რასაც ადამიანი ნივთიერებათა ცვლის დარღვევამდე მიჰყავს. ამ დროს აქტიურად გამოიყოფა ადრენალინი და სხვა სტრესის ჰორმონები, რაც იწვევს გულისცემის აჩქარებას, წნევის მატებას, სუნთქვის გახშირებას; იცვლება წყლის ბალანსი ორგანიზმში, რაც თავის მხრივ, იწვევს შაქრის შემადგენლობის მატებას სისხლში.

იმისათვის, რომ თავიდან ავირიდოთ ყველა უსიამოვნება, რასაც ადამიანს სტრესი უქადის, საჭიროა მისგან თავის დაცვა და ყოველდღიური დაძაბულობის მოხსნა სხვადასხვა საშუალებით.

ალკოჰოლი და თამბაქო სტრესისგან ვერ დაგიცავთ. მხოლოდ გააღრმავებს მას და გაგიუარესებთ მდგომარეობას. სტრესის დროს გირჩევთ სუფთა ჰაერზე სეირნობას, ჯანსაღი საკვების მიღებას და ფიზიკურ ვარჯიშს.

გარდა ამისა, აუცილებელია ორგანიზმისათვის კალციუმისა და მაგნიუმის მიწოდება, საჭიროა მისი სათანადო ოდენობით ყოველდღიურად მიღება.

სტრესისგან და ბევრი სხვა დაავადებისაგან თავის დასაცავად შესანიშნავი პროფილაქტიკური საშუალებაა მინერალური წყალი „ლიკანი“, რომელიც ორგანიზმისათვის სწორედ ამ ორი ელემენტის მიწოდებას უზრუნველყოფს. ამ ნივთიერებების უნიკალური თანაფარდობა — „ლიკანის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია და განაპირობებს მის უნიკალურობას. ამიტომ გირჩევთ „ლიკანის“ სისტემატიურად მიღებას, ეს მხოლოდ და მხოლოდ წაადგება თქვენს ჯანმრთელობას“.

ლელა გაფრინდაშვილი *(ფსიქოლოგი):*

„თანამედროვე ადამიანი მუდმივად იმყოფება სტრესულ გარემოში. ამის მიზეზი დღეს სამყაროში უამრავია: თვითრეალიზაციისა და დამკვიდრებისათვის ბრძოლა დიდი კონკურენციის პირობებში; დაძაბული ცხოვრების რიტმი, ამას ემატება კონფლიქტები სახლში, სამსახურში, ფინანსური კრიზისი. სტრესის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზი ადრე თუ გვიან, ფიზიკური სიმპტომების სახით ვლინდება. სტრესი ორგანიზმის საპასუხო რეაქციაა ექსტრემალურ პირობებზე, რომლებიც არღვევენ პიროვნების ემოციურ წონასწორობას.

იმისათვის, რომ საქმიანმა ადამიანმა შეინარჩუნოს შრომისუნარიანობა მთელი დღის მანძილზე, საჭიროა ორგანიზმის სტიმულირება. მინერალური წყალი სწორედ ის საშუალებაა, რომელიც ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ბევრად უფრო მდგრადს გახდის, ვიდრე ჩაი ან ყავა.

იმისათვის, რომ თქვენი საქმიანობა და ცხოვრება ჰარმონიული და წარმატებული იყოს, იზრუნეთ თქვენს ჯანმრთელობასა და სიმშვიდეზე. ამაში თქვენ დიდწილად დაგეხმარებათ „ლიკანი“.

მიირთვით „ლიკანი“, დააღწიეთ თავი სტრესს და გაიუმჯობესეთ ცხოვრება. ■

სახე

თიკო ნატროშვილი დედის როლისთვის მზადაა

„მირჩევნია, ტკივილს 7-8 საათი გავუძლო და შვილი ბუნებრივი გზით გავაჩინო“

ქართველი მოდელი, ჟურნალისტი და უბრალოდ ლამაზი გოგონა, თიკო ნატროშვილი ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც დაოჯახდა და ახლა პატარას ელოდება. როგორც ცნობილია, თიკომ და მისმა მეუღლემ, გაგა ხაბულიანმა ერთმანეთი ირინა ონაშვილისა და ლადო ვარძელაშვილის ქორწილში გაიცნეს, 3 თვეში კი ოჯახიც შექმნეს. თიკოს ინტერვიუსთვის შინ ვეწვიეთ და მანაც საკუთარი ცხოვრების შესახებ გულახდილი ინტერვიუ მოგვცა.

ნათია ჟვიჟე

— თიკო, როდის ელოდებით პატარას და თუ იცით წინასწარ მისი სქესი?

— რა თქმა უნდა, ვიცით. 13 კვირის ორსული ვიყავი, აღრიცხვაზე რომ დავდექი და პირველი ექოსკოპიაც მაშინ გადავიღე. საოცარია, მაგრამ მაშინვე მითხრეს ჩემი შვილის სქესიც. წესით, ამ დროს ბავშვის სქესს კარგად ვერ არჩევენ, მაგრამ კახა ტატიშვილი პროფესიონალია. მისთვის არაფერი მიკითხავს, თვითონვე მითხრა, — შენი ბიჭი უკვე 3 თვისაა, თანაც, მას ყველაფერი წესრიგში აქვსო. ეს რომ მითხრა, შვებით ამოვისუნთქე, თუმცა მთელი ორსულობის პერიოდი მაინც ცოტათი ვნერვიულობ. ეს ალბათ ყველა ორსული ქალისთვისაა დამახასიათებელი.

— თქვენთვის ბავშვის სქესს მნიშვნელობა ჰქონდა?

— ჩემთვის აბსოლუტურად სულერთი იყო, გოგო იქნებოდა, თუ — ბიჭი, ორივეს სიხარულით მივიღებდი. თუმცა ბიჭებთან ურთიერთობას ვარ მიჩვეული. ჩემს სანათესავოში ერთადერთი გოგო ვარ, შესაბამისად, სულ ბიჭების გარემოცვაში ვიზრდებოდი. ჩემს ძმასაც 2 ბიჭი ჰყავს და ყველა ჩემი ბიძაშვილის შვილებიც ბიჭები არიან. რომ მითხრეს, ბიჭი გეყოლებაო, ეს იმდენად „შინაურული“ ფაქტი იყო ჩემთვის, რომ არც გამკვირვებია. თუმცა მიმაჩნია, რომ გოგოსთან ურთიერთობაც საკმაოდ საინტერესო იქნება და მინდა, მეორე შვილი გოგო მყავდეს. თუ ისიც ბიჭი იქნება, არც ეს წარმოადგენს ჩემთვის პრობლემას, პირიქით — ისეთივე ბედნიერი ვიქნები, როგორიც ახლა ვარ. მოკლედ, სქესზე ყურადღებას არ ვამახვილებ. მთავარია, ჩემი შვილები ჯანმრთელები იყვნენ. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, — მოგეხსენებათ, რომ სვანია და შესაბამისად, დიდი სურვილი ჰქონდა, პირველი შვილი ბიჭი ჰყოლოდა. სვანებს მიაჩნიათ, რომ მემკვიდრე და გვარის გამგრძელებელი აუცილებლად უნდა ჰყავდეთ. გაგა საკმაოდ ტრადიციული სვანია...

— ანეკდოტებს რომ ჰყვებიან, ისეთი სვანია?..

— არა, რას ამბობ?! ასეთი ნამდვილად არ არის. უხეშობა არ ახასიათებს. შედარებით მსუბუქი სვანია, თუმცა თავის ფესვებსა და კუთხეს დიდ პატივს სცემს.

— პატარას როდისთვის ელოდებით?

— ახლა უკვე მეცხრე თვეში ვარ და პატარის დაბადებას, სავარაუდოდ, ოქტომბრის შუა რიცხვებში ველოდებით; როდის „ინებებს გამობრძანებას“, ცხადია, ეს ზუსტად არ ვიცით. ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, 10 ოქტომბერს დაიბადოს და ვამბობ, — ჩავაწყვე-მეთქი, რადგან ასეთ შემთხვევაში, მისი დაბადების თარიღი — 10, მეათე თვე, 2010 წელი იქნება... შეიძლება, 11 ოქტომბერს გაჩნდეს. მე და გაგამ სწორედ 11 ოქტომბერს გავიცანით ერთმანეთი და თუ ჩვენი შვილი ამ რიცხვში დაიბადება, ძალიან გაგ-

ვიხარდება. 14 ოქტომბერი ხომ სვეტიცხოვლობაა და ამ დღეს შვილის დაბადებაც დიდი მადლია. მოკლედ, ოქტომბერში 3 საინტერესო თარიღი გვაქვს...

— რატომღაც, „მოდაში“ შეიმოვიდა — ბევრი ქალი ახლა შვილს საკეისრო კვეთით აჩენს...

— საერთოდ, ვცდილობ ხოლმე, ყველა მოვლენის მიმართ სწორი დამოკიდებულება მქონდეს. თუ საკეისრო დამჭირდება, რა თქმა უნდა, გავიკეთებ, მაგრამ ვიცი, რომ სამედიცინო თვალსაზრისით, საკეისრო კვეთა ბუნებრივი მშობიარობის ალტერნატივას არ წარმოადგენს, — ეს არის გამოსავალი რთული მდგომარეობიდან. მეგონა, თვალზე პრობლემა მქონდა და გადავამოწმე; თუ რაღაცას უარყოფითს მეტყოდნენ, მაშინ მეც საკეისროს გავიკეთებდი, მაგრამ საბედნიეროდ, ასე არ არის... ახლა მშობელთა სკოლაში დავდივარ და ამ ყველაფერს იქ მასწავლიან. ვიცი, საკეისროს ვითომ სამშობიარო ტკივილების თავიდან ასაცილებლად იკეთებენ, მაგრამ სინამდვილეში, საკეისროს შემდგომი პერიოდი ხანგრძლივ რეაბილიტაციას მოითხოვს. ეს ხომ ჩვეულებრივი ოპერაციაა!.. მირჩევნია, ტკივილს 7-8 საათი გავუძლო და შვილი ბუნებრივი გზით გავაჩინო. მინდა, რომ ბავშვი დაბადებისთანავე დავინახო და მუცელზეც დავიწვინო: ეს იმდენად საინტერესო ცხოვრებისეული ეპიზოდებია, რომ ამ ყველაფერს ნამდვილად ვერ დავთმობ. თან ვიცი, რომ ნაყოფი როცა სამშობიარო პროცესებს გადის, ცხოვრებას პირველივე წუთებიდან სწავლობს და მისი იმუნიტეტიც გაცილებით მაღალია.

— მომავალმა მშობლებმა ბავშვის სახელი უკვე შეარჩიეთ?

— რამდენიმე ვერსია გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით არ გადაგვიწყვეტია, რომელს ავირჩევთ. ის კი ზუსტად ვიცით, რომ ბავშვს ის სახელი ერქმევა, რომელიც ორივეს მოგვწონს. შევთანხმდით — როცა ბავშვი დაიბადება, მას შევხედოთ და იმის მიხედვით გადავწყვიტოთ, ჩვენ მიერ შერჩეული ვერსიებიდან რომელი სახელი დავარქვათ. მგონია, რომ ბავშვის გარეგნობა ამას გვიკარნახებს.

— თემა შევცვალოთ და შენს მეუღლეზე ვისაუბროთ. ამბობენ, დაოჯახების პირველი წელი წყვილისთვის ყველაზე რთული პერიოდიაო. მით უმეტეს, რომ შენ და გაგა საკმაოდ მცირე ხანში — გაცნობიდან 3 თვეში დაქორწინდით. თქვენი ურთიერთობა დაოჯახების შემდეგ შეიცვალა?

— არ მიმაჩნია, რომ დაქორწინების პირველი წელი კრიზისულია. რა თქმა უნდა, შეგუების პროცესი არის. თან, ისე მოხდა, რომ დაქორწინებიდან სულ ცოტა ხანში დავორსულდი... გათხოვება ქალისთვის დიდი გარდატეხაა, რადგან ერთი გარემოდან მისთვის აბსოლუტურად სხვა გარემოში ინაცვლებს, თან — თუ ამას ორსულობაც ერთვის, რომელიც ქალს საერთოდ „ამტვრევს“ და მის ხასიათსაც ცვლის... ეს ორი ფაქტორი ქალისთვის საკმაოდ რთულია, მაგრამ საბედნიეროდ, ეს პერიოდი ჩემთვის ხანგრძლივად არ გაგრძელებულა. გათხოვებიდან 2 თვის შემდეგ ამ ყველაფერმა გამიარა. რა თქმა უნდა, დაოჯახების შემდეგ, მე და გაგამ ერთმანეთის ხასიათში უამრავი რამ აღმოვაჩინეთ. ორივეს გვაქვს დადებითი და უარყოფითი თვისებები, მაგრამ მიხარია, რომ საერთო ჯამში, ვთანხმდებით. გაგასთან თავს ჰარმონიულად ვგრძნობ. მაგალითად, გუშინ სამსახურის საქმეზე რეგიონში იყო წასული ერთი დღე-ღამით და სულ ვფიქრობდი, რომ ჩემი ქმარი ძალიან მომენატრა. გაგას გარეშე დისკომფორტი შემექმნა და მინდა, რომ წლების შემდეგ, ეს ყველაფერი ისევ ასე იყოს. მგონია, რომ ჰარმონიული ცოლ-ქმარი ვართ. ჩვენც გვსმენია, რომ პირველი წელი წყვილისთვის კრიზისულია და ამაზე ხშირად ვსაუბრობთ. საბოლოოდ კი იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ჩვენ ეს პრობლემა არ გვაქვს. თუ რაიმე გაურკვევლობა წარმოიქმნება ოჯახში, ორივე იმდენად შეგნებული და ზრდასრული ადამიანები ვართ, რომ იოლად ვწყვეტთ. გარდა ამისა, არა ვართ ეჭვიანები, რასაც შესაძლოა, ოჯახში სერიოზული პრობლემა გამოეწვია. ერთმანეთს ძალიან ვენდობით. ხშირად მეკითხებიან, როგორ გარისკე, რომ გაცნობიდან 3 თვეში გათხოვდიო? არ მიმაჩნია, რომ გავრისკე. გაგა ძალზე მოკლე დროში ჩემთვის ახლობელ ადამიანად იქცა. თან, საერთო სამეგობრო წრე გვქონდა და მეგონა, მას დიდი ხნის მანძილზე ვიცნობდი. სხვა დანარჩენი კი თანაცხოვრების პროცესში მოდის.

— პრეტენზიული ორსული ხარ?

— არა. ამ მხრივ, გაგა ნამდვილად არ დამიტანჯავს. უბრალოდ, ბოლო პერიოდში სიცხე მაწუხებდა და გაგა ამას განიცდიდა. საერთოდ, ჩემი მეუღლე ძალიან ყურადღებიანია. კონსულტაციაზეც სულ ერთად დავდივართ. მოკლედ, გაგა ჩართულია ამ პროცესში და ისევე გადააქვს ეს ყველაფერი, როგორც — მე. მთელი 9 თვის განმავლობაში რასაც მე განვიცდიდი, გაგაც იმავეს განიცდიდა. მოკლედ, ჩემთან ერთად ნერვიულობს. ვამბობ, — მეორე შვილიც მალევე უნდა გავაჩინო-მეთქი, — და იმ დღეს მითხრა, ცოტა ხანს დამასვენეო. ეს ისე მითხრა, თითქოს თვი-

Ш.Ѳ.Ს КАИСА

САОФИСЕ АВЕЯХИ,
САЯАНЦЕЛАРИО НИВТЕБИ

- საბითუმო ფასები
- ადგილზე მიტანა
- ხარისხიანი მომსახურება

ვაჟა-ფშაველას №14
ტელ: 37 21 22

www.kaisa.ge

თონ არის ორსულად.

— **ბავშვისთვის საჭირო ნივთები წინასწარ შეიძინეთ?**

— ამწუთას სახლში არც ერთი საბავშვო ნივთი არ გვაქვს. აქამდე მორალურად ვემზადებოდით მისი დაბადებისთვის, ახლა კი ვაპირებთ, რაღაცები შევიძინოთ. წინასწარ ვიცი, რომ ახლობლები რაღაცებს მაჩუქებენ. არ მინდა, ზედმეტი ხარჯი გავიღო. მაქსიმალურად პრაქტიკულად უნდა გავთვალო ყველაფერი. ვიცი — პატარას ერთი კვირის განმავლობაში ტანსაცმელს რომ ჩაიცმევ, ის მეორე კვირაში აღარ მოერგება. ამ ყველაფერს გავითვალისწინებ. მე და გაგა ხშირად ვსაუბრობთ ბავშვის აღზრდის მეთოდებზე და საბედნიეროდ, ამაშიც ვთანხმდებით.

— **რამდენი შვილის ყოლას აპირებ?**

— ძალიან ბანალური პასუხია, მაგრამ — რამდენსაც ღმერთი მომცემს. ის ნამდვილად ვიცი, რომ ორ შვილზე მეტი მეყოლება. მიმაჩნია, რომ ორი — ცოტაა.

— **გათხოვებამდე იმდენად დაკავებული იყავი შენი კარიერით, რომ პირადი ცხოვრებისთვის არ გეცალა. ამ მხრივ ახლა როგორ გაქვს საქმე?**

— ორსულობის პერიოდში ბევრი უქმე დღე მაქვს, რაც ჩემთვის არასახარბიელოა. ეს იმან გამოიწვია, რომ რადიო „ფორტუნიდან“ წამოვედი. პრინციპში, ეს ნაბიჯი მანამდეც დაგეგმილი მქონდა, რადგან ამ რადიოში 4 წელი გავატარე და შემოქმედებითად ვეღარ ვიზრდებოდი, ვერც საკუთარი თავის რეალიზებას ვახდენდი. გარდა ამისა, მაგისტრატურაც დავამთავრე, სადაც გარკვეული ცოდნა შევიძინე და ვერც ამ ცოდნას ვიყენებდი. ამ დროს უკვე ორსულად ვიყავი და სხვა სამსახურს ვერ მოვძებნიდი. ჟურნალში ახლაც ვწერ, თუმცა ამას მუშაობას არ ვეძახი, რადგან ეს ინტენსიური მუშაობის პროცესი არ არის.

— **ბავშვის გაჩენის შემდეგ სად აპირებ კარიერის გაგრძელებას?**

— ჩემი სპეციალობაა — მედიისა და კომუნიკაციის მენეჯმენტი. საერთოდ, მენეჯმენტი მომწონს. არ ვიცი, მასმედიაში ვიქნები თუ სხვაგან, მაგრამ ჩემი თავი სწორედ მენეჯერის ადგილას წარმომიდგენია. „ნიუს-რუმში“ საკუთარი თავი ვერ წარმომიდგენია. ერთი წლის განმავლობაში ვიმუშავე ამ სფეროში და ქალის გარდა, ყველაფერი ვიყავი; ამ გარემოს გამო, დეპრესიაშიც კი ჩავვარდი...

— **სამოდელო სააგენტოს დაუბრუნდები?**

— ბოლოს, 4 თვის ორსული გავედი პოდიუმზე და დისკომფორტი არ შემქმნია. ეს მარი გოლდის ჩვენებაზე იყო. მანამდე კი 3 თვის ორსულმა, ირაკლი ნასიძის ფოტოსესიაში ვმონაწილეობდი. თუ ფორმაში ჩავდგები, პოდიუმს აუცილებლად დავუბრუნდები, მაგრამ უსინდისო მოდელებივით არ მოვიქცევი — „ღიპითა და ქონებით“ რომ დადიან პოდიუმზე. იმედი მაქვს, მომავალ გაზაფხულზე მოდის სფეროში დავბრუნდები.

— **ახლა გული არ გწყდება, ქართულმა მოდამ კვლავ ფეხი რომ აიდგა? რამდენჯერმე „ფეშენ ვიკიც“ გაიმართა, შენ კი ეს ყველაფერი გამოტოვე?**

— პირველი „ფეშენ ვიკის“ დროს ორსულად კი ვიყავი, მაგრამ ერთ-ერთ ჩვენებაში მაინც ვმონაწილეობდი. ახლა ოქტომბერში იგეგმება მეორე „ფეშენ ვიკი“ და იქ ალბათ სტუმრის სტატუსითაც კი ვერ მივალ. ამ ყველაფრის გამო, ცოტა გული კი მწყდება, მაგრამ მიმაჩნია, რომ გაცილებით მნიშვნელოვან საქმეს მოვეკიდე...

■

ახალ სატელევიზიო სეზონზე ტელეკომპანია „იმედის“ ზოგიერთი გადაცემა სახეცვლილებით გავა. ტელეკომპანიის გადაცემების პროდიუსერს, ნოე სულაბერიძეს დავუკავშირდით და ვთხოვეთ, ჩვენთვის სიახლეების შესახებ მოეთხრო.

თამთა დადეშელი

— ახალი ისაა, რომ ის შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც „სიმართლის დროზე“ მუშაობს, ამჟამად „ინტუიციის“ კეთებითაა დაკავებული. ეს გადაცემა განახლებული სახითა და ახალი წამყვანით გავა ეთერში. რაც შეეხება „სიმართლის დროს“ — პაუზა აიღო, რაც შეწყვეტას არ ნიშნავს და გარკვეული დროის შემდეგ, აუცილებლად დაბრუნდება ეთერში. „მაფიის ღამეც“ ჩვეულებრივად გაგრძელდება და თითოეულ გადაცემაში ერთი და იმავე პროფესიის ადამიანები შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

— **ისევ მხოლოდ ცნობილი ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას თუ შესაძლოა, უცნობი სახეებიც ვიხილოთ?**

— არა, ცნობილები იქნებიან.

— **წამყვანი ამ გადაცემასაც ხომ არ შეუცვალეთ?**

— არა, „მაფიის ღამეს“ კვლავ მალხაზ ქვრივიშვილი წაიყვანს.

— **„სიმართლის დროის“ შეჩერება ფინანსურ პრობლემებთან ხომ არ არის დაკავშირებული?**

— იმდენად — არა, უბრალოდ მივიჩნიეთ, რომ ბოლო სეზონზე მაყურებელს დიდი დოზით ჰქონდა ეპატაჟი. ცოტას დავასვენებთ და შემდეგ, განსხვავებული კუთხით, დავაბრუნებთ. ჯერჯერობით ამაზე არაა ლაპარაკი და ახალი წლის შემდეგ შესაძლოა, მოვიფიქროთ.

— **რატომ ჩაენაცვლა „ინტუიციაში“ ნანკა კალატოზიშვილი ნიკა ქავთარაძეს?**

ნანკა კალატოზიშვილმა ნიკა ქავთარაძე შეცვალა

„სიმართლის დრო“ გაურკვეველი ვადით „დაიმალა“...

— ასეთი აზრი გაჩნდა — რომ ფორმატს ქალი უფრო მოუხდებოდა და არჩევანი ნანკაზე შევაჩერეთ: კარგი წამყვანია და მაყურებელსაც მოსწონს.

— თქვენ შესახებაც გვიამბეთ — რა პროფესიის ხართ და რას საქმიანობდით ტელევიზიაში მუშაობის დაწყებამდე?

— პედაგოგიური უნივერსიტეტი დავამთავრე, ფილოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ — ასპირანტურა, პოლიტოლოგიის განხრით, მეორადი ფაკულტეტი კი — ფსიქოლოგია. საზღვარგარეთ სხვადასხვა თემაზე ბევრი ტრენინგი და სემინარი მაქვს გავლილი. რაღაც პერიოდი გაეროს პროექტშიც ვმუშაობდი, შიდსისა და ნარკომანიის პრევენციის თემაზე; მერე — სარეკლამო კომპანია „სარკეში“; შემდეგ — „თი-ბი-სი ტი-ვი-ში“ წავედი, სადაც გენერალური პროდიუსერი გახლდით. ტელევიზიამ „მოწამვლა“ იცის... „იმედთან“ უკვე მეორე სეზონია, ვთანამშრომლობ, მანამდე „რუსთავი 2“-შიც ვიყავი, მარკეტინგის მენეჯერად, და ცოტა ხანს „ჯეოსტარსაც“ ვაკეთებდი.

— თქვენი მეუღლე, ეკა სამხარაძე როდის გაიცანით?

— მე და ეკამ „რუსთავი 2“-ში გავიცანით ერთმანეთი. რომ დავოჯახდით, მერე ამ ტელევიზიიდან მალე წამოვედი, მაგრამ გარკვეული პერიოდი ერთ შენობაში, სხვადასხვა კომპანიაში ვმუშაობდით.

— რითი მოიხიბლეთ ყველაზე მეტად?

— ყველაფერი მომეწონა — გარეგნობა, ხასიათი, ნიჭი... ძალიან ჭკვიანია, რასაც ყველაზე მეტად ვაფასებ ადამიანში, და როცა ეს ყველაფერი გაერთიანებულია, მნიშვნელოვანია.

— როგორ ახერხებთ დღის განმავლობაში ერთმანეთის ნახვას, როცა ორივეს დატვირთული სამუშაო გრაფიკი გაქვთ?

— ეკა სახლში დილას რომ მოდის, მე მაშინ სამსახურში მივდივარ ან — პირიქით, მაგრამ დღის განმავლობაში ვცდილობთ, დრო გამოვნახოთ და ერთმანეთი ვნახოთ, ყავა დავლიოთ, ვივახშმოთ; შაბათ-კვირა კი თავისუფალი გვაქვს.

— მარკეტინგი და პროდიუსინგი თქვენი პროფესიებისგან განსხვავებული სფეროებია...

— მართალია, მაგრამ ფსიქოლოგია ახლოსაა: ცდილობ, ადამიანებს ის მოარგო და შესთავაზო, რაც მათ ინტერესებში ჯდება. ამიტომ ეს პროფესია ძალიან დამეხმარა საქმიანობაში.

— საერთოდ, რა შედის პროდიუსერის ფუნქციებში? დღეს ძალიან მომრავლდნენ ამ სპეციალობის ადამიანები და პოპულარულია. თუმცა შესაძლოა, ბევრმა არც კი იცოდეს ბოლომდე მისი მნიშვნელობა... თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს კარგი პროდიუსერი?

— პირველ რიგში, კარგი ხედვა უნდა ჰქონდეს იმისა, თუ რამდენად ღირებული და გაყიდვადია ის პროდუქტი, რომელსაც ქმნის. ცოტა რისკის უნარიც უნდა ჰქონდეს — ამის გარეშე არაფერი გამოვა. აუცილებლად უნდა ჰქონდეს კომუნიკაციების დიდი ბაზა და განათლება.

— თქვენ რამდენად ადვილად აუღეთ ალღო ამ საქმიანობას? შეცდომას ხშირად უშვებდით?

— თავიდანვე მივხვდი, რომ რაღაცნაირად, „ჩემი“ იყო ეს ყველაფერი — სარეკლამო კომპანიაში მუშაობის დაწყებიდანვე... ძალიან მნიშვნელოვანია, იმ საქმეს აკეთებდე, რომელიც სიამოვნებას განიჭებს, — ამ შემთხვევაში, ყოველთვის კარგ შედეგს აღწევ; როცა იღლები, მაგრამ.. არ იღლები (*იღიმის*).

■

პირადი ცხოვრება

საფუძვლიანი სიყვარული და მეუღლისთვის მიძღვნილი თევზი და ლუდი

ახალი სატელევიზიო სეზონი დაიწყო და „რუსთავი 2“-ის „Comedy ჯგუფიც“ სამუშაო პროცესში აქტიურად ჩაება. „კომედი შოუს“ შემოქმედებითი ჯგუფი მაყურებელს გადაცემას მცირე რუბრიკული ცვლილებით სთავაზობს, ახალი პერსონაჟების შექმნაზეც მუშაობს. ჩვენ ერთ-ერთი ძველი პერსონაჟის — „ცისფერთვალება ზვიგენის“, იმავე ნიკოლოზის როლის შემსრულებლის — ნიკა არაბიძის პირადი ცხოვრებით დავინტერესდით, რომელიც „სინანულით“ აღნიშნავს: უსაშველოდ სიმპათიური მამაკაცის გაჩენის დღე ცეცხლში დაიწვასო!.. გაურკვეველი წარსულის მქონე ქალბატონი ცისმარისგან განსხვავებით, ცხოვრებაში ნიკას გვერდით არაჩვეულებრივი მეუღლე (რომელსაც რაც მთავარია, კარგად იცნობს!) და პატარა ვაჟიშვილი — დემეტრე (რომელიც ჯერჯერობით ყველაფერს ამტკრევს, რასაც კი მისწვდება) ჰყავს.

ეთო ყორღანაშვილი

— სუსტი სქესის წარმომადგენლებით ადრეული ასაკიდანვე დავინტერესდი. მე თვითონ კარგად არ მახსოვს, მაგრამ დედაჩემის ნაამბობიდან ვიცი, რომ დაახლოებით 3-4 წლის ვიყავი, როცა მე და ჩემმა ძმამ (რომელიც ჩემზე წლინახევრით უფროსია) ოჯახში განვაცხადეთ: გადავწყვიტეთ, ცოლები მოვიყვანოთ-თქო! დაოჯახება კანფეტებით გადაგვაფიქრებინეს...

— საინტერესოა, იმ ასაკში თქვენი რჩეულები ვინ იყვნენ?

— ნუ, ეს იმ წუთში გადაწყვეტილი არ გვქონდა, მაგრამ ცოლის მოყვანა რომ გვინდოდა, ეს კარგად ვიცოდით!

— შენს ცხოვრებაში სიყვარულის რეალური ობიექტი როდის გაჩნდა?

— ალბათ, სკოლაში სწავლის პერიოდში. ამ დროს საკუთარ თავში უფრო ჩამოყალიბებული გახლდით. მივხვდი, რომ ცოლის შერთვა ძალიან ადრეც არ შეიძლებოდა. სტუდენტობისას სერიოზული გატაცება მქონდა, მანამდე — პატარ-პატარა „ფლირტები“. ცოლის შერთვაზე გადარეული რომ ვიყავი, დედაჩემმა ერთხელ დამსვა და ამიხსნა, თუ რა გვარის გოგონები არ უნდა მომეყვანა ცოლად. ჩვენი ყველა ნათესავის გვარი რომ ჩამოთვალა, ტირილით გავსკდი — აბა, დავრჩენილვარ უცოლოდ, რა მეშველება-მეთქი! სხვა გვარებიც თუ არსებობდა, არ მეგონა. მთელი ღამე ვსლუკუნებდი (*იცინის*)... რომ გავიზარდე, აღმოვაჩინე, რომ სხვა გვარებიც არსებობს და უცოლოდ არ დავრჩებოდი. ამ აღმოჩენამ ძალიან გამახარა.

— პირველად ვინ დაგაინტერესა?

— პირველ კლასში ალბათ, რომელიმე გოგონა ყველა ბიჭს მოსწონს. დედაჩემი მასწავლებელი იყო და ვთხოვდი: იქნებ „იმასთან“ ცოტა ახლოს დამსვა-მეთქი?.. მაინცდამაინც გვერდით დაჯდომის გამო თავს არ ვიკლავდი — ახლომახლო უნდა ვმჯდარიყავი.

— გოგონას გვერდით დაჯდომა გეთაკილებოდა?

— ჰო. მის უკან ვჯდებოდი. გოგონას თმაში რომ სწვდებოდი და გაჩეჩდი — მაშინ სიყვარულისა და მოწონების გამოხატვა ეს იყო! მერე გავიგე — თურმე სხვა ფასეულობები ყოფილა — მთლად არ უნდა დააპუტო თმა გოგოს (*იცინის*).

— როცა სიყვარულის რეალურ ობიექტზე გეკითხები, ზოგადად მპასუხობ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი გოგონა გიყვარდა?

— მართალია, რადგან მაგ დროს გულში ძალიან ბევრი ეტევა — გულია თუ „ობშეჟიტიე“, ვერ გაიგებ! შეიძლებოდა, ყოველკვირა ახალი გატაცება მქონოდა, მერე „ახალ წრეზე“ წავიდოდი... ყველაზე მაგარი იყო, როცა სკოლაში ახალი მოსწავლე გოგონა გადმოდიოდა. მინიმუმ, 5 ბიჭს იმწუთშივე უყვარდა! ალბათ, მსგავსი ამბები ყველას ჰქონია — ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ.

— გარდა თმის დაპუტვისა, გოგონების ყურადღების მიქცევას რით ცდილობდი?

— სოფელში ვსწავლობდი. გაკვეთილების შემდეგ, ბავშვები შინ ერთად ვბრუნდებოდით. ბიჭები ვიღაცის ბაღში გადავიპარებოდით და იქიდან გოგონებისთვის მწიფე ხილი მოგვქონდა. მაგალითად, მახსოვს, ერთხელ ჯიბეებში მარწყვი ჩავიყარეთ. მართალია, როცა გოგონებს მივართვით, აღარც მარწყვი ვარგოდა, აღარც — შარვალი და აღარც — პერანგი, მაგრამ თავი რომ გადავდეთ, ფაქტია...

— გოგონას გამო თუ გიჩხუბია?

— სიმართლე გითხრა, „საკუთარის“ გამო — არა, მაგრამ „საქმეების გასარჩევად“ სხვებს დავყვებოდი. ერთხელ მოჩხუბრის მეგობრის მეგობრის მეგობარს გავყევი. ვჩხუბობდი, მაგრამ რისთვის — კარგად და დარწმუნებით არ ვიცოდი (*იცინის*)!..

— სკოლაში პოპულარული ბიჭი

გაწუყრულ პარგნიორ — თათიასთან ერთად

იყავი? ბევრ გოგონას მოსწონდი?

— უსაშველოდ ლამაზი და სიმპათიური რომ გაჩნდები!.. ლამაზი კაცის გაჩენა დაიწვას ცეცხლში (*იცინის*)!.. ალბათ, ვიღაცებს მეც მოვწონდი. თანამედროვე თინეიჯერებისგან განსხვავებით, მაშინ პატარ-პატარა სასიყვარულო ამბებს არ ვახმაურებდით. როცა ურთიერთობა დიდხანს გრძელდებოდა, ამას ყველა იგებდა.

— მოდი, როგორმე შენი პირველი პაემანი გაიხსენე.

— დედა, რაღა ვქნა (*ფიქრობს*)?! ალბათ, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე იქნებოდა: ბუფეტი, მოედანი... ზუსტად ნამდვილად არ მახსოვს.

— მაშინ ცოტა უფრო სერიოზული პაემანი გაიხსენე.

— სტუდენტობა ცუდ პერიოდში მომიხდა: 90-იანი წლები, უშუქობა... გოგონა ქუთაისის ერთ-ერთ კაფეში დავპატიჟე. მაშინ სანთლები მაინცდამაინც, რომანტიკის გამომჟღავნებად არ მიგვაჩნდა — ჭაღი რომ ჩახჩახებდა, უკეთესი იყო... ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ისეთი კაფე მოვძებნე, სადაც შუქი იყო. კაფეს მოძებნამდე, ფულს 2 კვირის განმავლობაში ვაგროვებდი. მოკლედ, საქმეს სერიოზულად მივუდექი. მაშინდელი პირობების კვალობაზე, გოგონაზე შთაბეჭდილება მოვახდინე!

— ღელავდი?

— რა თქმა უნდა! ზოგადად, მღელვარე ადამიანი ვარ და ცხადია, მაგ დროსაც ვღელავდი. განსაკუთრებულად ჩავიცვი, თმა დავივარცხნე... იმ დღისთვის სერიოზულად განვეწყე. პირველმა პაემანმა მღელვარებით ჩაიარა, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— დღეს ერთად რომ არ ხართ?..

— იმ დღეს დამთავრდა ყველაფერი კარგად (*იცინის*)!.. ყველას თავისი გზა აქვს...

— პირველი სიყვარული როდის გეწვია?

— უნივერსიტეტში სწავლისას (ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი დავამთავრე). მე რომ გოგონა მომეწონებოდა, ცუდი არ იქნებოდა: კარგი, სიმპათიური, განათლებული, ჭკვიანი... ჩვენი ურთიერთობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა. შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო, ერთმანეთს დავშორდით.

— მეუღლე შენი მერამდენე სიყვარულია?

— მეორე და — საფუძვლიანი!

— სიყვარული გაცნობიდან რამდენ ხანში აუხსენი?

— 6 თვის შემდეგ. უფრო სწრაფადაც შეიძლებოდა, მაგრამ თავისუფალი დროის სიმცირის გამო, ეს საქმე ნახევარი წლით გადავდე.

— მასთან პირველი პაემანი ალბათ გახსოვს...

— მაშინ მისთვის სიყვარული ჯერ ახსნილი არ მქონდა. ასე ვთქვათ, მეგობრულად შევხვდით. შემდეგ ჩემთვის ყველაზე დიდი ნაბიჯი გადავდგი — ყვავილები მივუტანე!

— „ყველაზე დიდი ნაბიჯი“ — რატომ? ყვავილები არ გიყვარს?

— შენ არ იცი, ჩემთვის ეს რამხელა მსხვერპლის გაღებას ნიშნავს! 1 ცალი ყვავილი რომ იყოს, სადმე დავმალავ. კარგია, რომ ახლა მანქანა მყავს — თაიგულს მანქანაში ჩავდებ და — მორჩა. შარშანწინ, 8 მარტს მეუღლეს ყვავილები რომ ვაჩუქე, ისე გაუხარდა!.. შარშან 8 მარტს კი ფოთში, რაღაც ღონისძიებაზე ვიყავი. იქიდან 1 ყუთი ლუდი და თევზი ჩამოვიტანე და დილით მეუღლეს საწოლთან დავუდე — ქალთა დღე ლუდითა და თევზით მივულოცე!

— იმედია, უყვარს.

— კი, უყვარს.

— მეუღლეს ასეთ „რომანტიკულ“ საჩუქარს ხშირად უძღვნი?

— (*იცინის*) არა, უბრალოდ, მაშინ ასე დაემთხვა: ფოთში ლუდი და თევზი მაჩუქეს. დედაქალაქში გამთენიისას დავბრუნდი. დილის 7 საათზე რა საჩუქარი უნდა მეყიდა?! გადავწყვიტე, ლუდი და თევზი მიმეძღვნა... ისე კი, ვცდილობ, კარგი საჩუქრები მივართვა. შეიძლება, ადამიანს სიურპრიზი გავუკეთო, მაგრამ თუ თავად მეტყვის — რა უნდა, მირჩევნია. ბევრს ვფიქრობ — რა ვუყიდო, რომ ესიამოვნოს.

— ნიკა, დაოჯახების შემდეგ შენს ცხოვრებაში რა შეიცვალა?

— ჩემს შემთხვევაში, ბევრი რაღაც შეიცვალა: როცა დავოჯახდი, თავდაპირველად მავიწყდებოდა, რომ უკვე ცოლი მყავდა; სადმე რომ წავიდოდი, მეუღლე ტელეფონით მირეკავდა: სად ხარ ამდენ ხანსო?! — უი, ჩემი სიკვდილი, სულ არ გამხსენებია, რომ ცოლი მყავს-მეთქი! — ვამბობდი და სახლში მივდიოდი (*იცინის*)... ახლა ყველაფერს შევეგუე. თავისუფლებას წერტილი დაესვა.

— ამას განიცდი?

— ისეთი მეუღლე არ მყავს, რომ თუ მეგობრებთან ერთად ლუდის დალევა, რესტორანში ქეიფი მომინდება, პრობლემა შემიქმნას. „თავისუფლებას წერტილი დაესვა“ უფრო სხვა რაღაცებში გამოიხატება: მე პატიოსანი ადამიანი ვარ, ცოლისთვის არასოდეს მიღალატია — მართლა არ მიღალატია! ჩემნაირი მამაკაცი სულ ერთი-ორია!.. როცა ცოლი მოგყავს, ამისთვის მზად უნდა იყო — „გულაობა“ დამთავრდა!

— ნიკა, სიდედრს „დედას“ თუ ეძახი?

— „დედას“ — არა (*იცინის*). ჩემზე სულ რაღაც 9 წლითაა უფროსი, მასთან ვმეგობრობ. ერთად ვცხოვრობთ, მაგრამ საკუთარი ბინა რომ მექნება, სიდედრ-სიმამრს უნდა ვთხოვო — საცხოვრებლად ჩემთან წამოვიდნენ, რადგან მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს! სახლში მისვლა მიხარია — თბილი, ოჯახური გარემო მხვდება.

— მყარი ოჯახური ცხოვრებისთვის რა არის აუცილებელი?

— უპირველეს ყოვლისა, საკუთარ გრძნობაში კარგად უნდა იყო გარკვეული. ადამიანმა დაუფიქრებლად, პატარა ნაბიჯიც კი არ უნდა

უი, ჩემი სიკვდილი, სულ არ გამხსენებია, რომ ცოლი მყავს-მეთქი! — ვამბობდი და სახლში მივდიოდი

გადადგას. მყარი ოჯახისთვის საჭიროა, მეუღლეს კარგად იცნობდე... დღეს თავს ბედნიერ ადამიანად მივიჩნევ. ამის საფუძველი მაქვს: მყავს მეუღლე, კარგი შვილი... რაც მთავარია, ბევრი შვილი უნდა გყავდეს! ძალიან ბევრიც არ შეიძლება, მაგრამ (*იცინის*)...

— ბოლოს გკითხავ: პატარა დემეტრე როგორ არის?

— ძალიან მენატრება — 3 კვირაა, არ მინახავს. დასავლეთში, გურიაში არიან, ზღვაზე ნებივრობენ, მე კი, როგორც ხედავ, სამუშაო პროცესში ვარ ჩაბმული. დემეტრემ აგვისტოში ფეხი აიდგა. რომ მიხაროდა, ფეხს აიდგამს და ცოტას დავისვენებ-მეთქი, პირიქით მოხდა — ახლა უნდა სდიო! რასაც მისწვდება, ყველაფერს ამტვრევს! ძალიან ცელქი, ინტერესიანი ბავშვია.

— ლაპარაკიც ხომ არ დაუწყია?

— რაც მთავარია, „მამას“ ამბობს (*იცინის*)!..

■

თინა კანდელაკი სოციალური პროგრამის წამყვანი გახდა

ტელეწამყვანი თინა კანდელაკი რადიოსადგურ Âåñòè ÔÌ-ზე ახალ ყოველკვირეულ პროგრამას გაუძღვება — ამის შესახებ ცნობა საპროდიუსერო კომპანია Àïîñòîë Ìåäèà-ს პრესრელიზით გავრცელდა. შოუს პირველი გამოშვება, რომელსაც Àëüòåðíàòèâà ეწოდება, ეთერში 22 სექტემბერს გავიდა.

თინა კანდელაკი, თითოეული პროგრამის შედეგის მიხედვით, სოციალური სფეროს აქტუალური პრობლემების გადაჭრის წინადადებათა სიას შეადგენს, რომელთაც განსახილველად შესაბამის უწყებებს გაუგზავნის. თინა საზოგადოებრივი პალატის წევრია და ამიტომაც, მისი მიმართვა ყველა სამინისტროში განსაკუთრებულ კონტროლზე უნდა იყოს აყვანილი. „ცოცხალ ჟურნალში“ განთავსებულ ბლოგში ტელეწამყვანი აცხადებს, რომ Àëüòåðíàòèâà-ს მთავარი სლოგანი იქნება ფრაზა — „ყველაფრის გადაწყვეტა შესაძლებელია!“

პროგრამა „Àëüòåðíàòèâà“-ს თანაწამყვანები პოლიტიკოსები, მეწარმეები, ჟურნალისტები და მეცნიერები იქნებიან. პროგრამის პირველი გამოშვების სტუმრები ჟურნალ „რუსული Newsweek“-ის მთავარი რედაქტორი მიხეილ ფიშმანი, გაზეთ „კომერსანტის“ მიმომხილველი ოლეგ კაშინი და კიროვის ოლქის გუბერნატორი ნიკიტა ბელიხი იყვნენ. პირველი გამოშვების განხილვის თემა ტურისტებისთვის რუსეთის მიმზიდველობის გაზრდის საკითხი იყო. უკვე ცნობილია, რომ მომდევნო გამოშვებებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემისა და უცხოეთის პასპორტების ინტერნეტის მეშვეობით მიღების საკითხს განიხილავენ.

საპროდიუსერო კომპანია Àïîñòîë Ìåäèà ტელეარხ ÑÒÑ-ზე ტელეპროგრამა „ინფომანიას“ ამზადებს. თინა კანდელაკს სხვადასხვა დროს ÑÒÑ-ზე რამდენიმე პროგრამა მიჰყავდა, ახლა კი ამ შოუს პროდიუსერია. როგორც ცნობილია, პოპულარული ტელეწამყვანი კიდევ რამდენიმე ტელეარხთან თანამშრომლობს. ამ დღეებში ცნობილი გახდა ისიც, რომ ანდრეი კოლესნიკოვისა და თინას ერთობლივი პოლიტიკური გადაცემა — „არარეალური პოლიტიკა“, რომლის სტუმრები პოლიტიკასთან არაფრით არიან დაკავშირებულნი, ტელეარხ ÐÅÍÒÂ-დან ÍÒÂ-ზე გადავიდა და ეთერში ყოველ სამშაბათს გავა — ამის შესახებ განცხადება თავად ანდრეი კოლესნიკოვმა გააკეთა. „ეს პროგრამის განვითარებას ნიშნავს, რაც ავტორებისთვის უდიდესი გამოწვევაა... ჩვენ გადაცემისთვის რამდენიმე საინტერესო სიახლე მოვიფიქრეთ“, — განაცხადა ჟურნალისტმა, რომელიც პროგრამის ÍÒÂ-ზე გადატანის მიზეზების შესახებ არაფერს ამბობს. ■

ნიდერლანდების მოქალაქე მზადაა დაამტკიცოს, რომ მაიკლ ჯექსონის ქალიშვილია...

ნიდერლანდელი მოსიენ პტი ჯექსონი აცხადებს, რომ იგი პოპმუსიკის გარდაცვლილი მეფის, მაიკლ ჯექსონის ქალიშვილია და იმედს არ კარგავს, რომ ამ ფაქტის დამტკიცებას შეძლებს. მოსიენმა ამერიკის სასამართლოს დნმ-ის ტესტის ჩატარების თხოვნით უკვე რამდენჯერმე მიმართა, მაგრამ მოსამართლემ მისი განცხადება სისულელედ მიიჩნია და ტესტის ჩატარების მოთხოვნა არც კი განიხილა. ამიტომაც, მოსიენ პტი ჯექსონმა დახმარებისთვის ლოს-ანჯელესის უმაღლეს სასამართლოს მიმართა. იგი უმაღლეს ხელისუფლებს კიდევ ერთხელ დაფიქრებას სთხოვს და ირწმუნება, რომ აუდიოჩანაწერი აქვს, რომელშიც მაიკლ ჯოზეფ ჯექსონი მის არსებობას საჯაროდ აღიარებს. ■

ვუნდერკინდი მომღერალი გოგონა ნიჭიერთა კონკურსის ფინალში დამარცხდა

10 წლის პიტსბურგელი ჯეკი ივენკო, რომელმაც ამერიკაში საოპერო არიების შესრულებით გაითქვა სახელი, პოპულარული ტელეშოუს America's Got Talent ფინალში დამარცხდა. ფინალში, რომელიც NBC-ს ეთერით გადაიცემოდა, გამარჯვება მისისიპელ ბლუზის შემსრულებელ მაიკლ გრიმს ერგო წილად. კონკურსის გამარჯვებულმა აღიარებული ფავორიტის, ჯეკი ივენკოს გარდა, სცენაზე Prince Poppycock-ის ფსევდონიმით გამოსული ლოს-ანჯელესელი მომღერალი ჯონ კელი და ვირჯინიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მოცეკვავეთა ჯგუფი — Fighting Gravity დაამარცხა.

მაიკლ გრიმმა ჯილდოდ 1 მილიონი დოლარი და ამერიკაში საკონცერტო ტურის კონტრაქტი მიიღო. მუსიკოსი მოგებულ თანხას ბებიას აჩუქებს, რომლის ქონება 2005 წელს ქარიშხალმა „კატრინამ“ გაანადგურა.

ჯეკი ივენკომ კონკურსზე ჯაკომო პუჩინის ოპერა „ჯანი სკიკიდან“ არია — O mio babbino caro შეასრულა და მთელ ამერიკაში გაითქვა სახელი. ამ გამოსვლის შემდეგ გოგონა შოტლანდიელ დიასახლის სიუზენ ბოილს შეადარეს, რომელიც ბრიტანული შოუს — Britain's Got Talent — ვარსკვლავი გახდა, მაგრამ ჯეკი ივენკოს მსგავსად, ფინალში დამარცხდა.

ნორჩმა ვარსკვლავმა უკვე გამოუშვა სოლო ალბომი, რომელსაც Prelude to a Dream ეწოდება, ხოლო დეკემბერში კარნეგი-ჰოლში მისი დებიუტი შედგება. ■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

მითები და რეალობა ოკეანეების შესახებ!

რას გამოიწვევს ოკეანეების გათბობა?

წყლის სიღრმეთა უჩვეულო ბინადრები!

გაიგეთ უფრო მეტი !

27 სექტემბრიდან - 4 ოქტომბრამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

სპეციალური ფასი 15 ლარი!

სამგანზომილებიანი (3D) გამოსახულებები

შეიძინეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს

ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

ეს სამყარო

* - მალე

*

სერია „ეს სამყაროა”-ს წიგნები: №1, №2, №3, №4, №5, №6 და №7 გაყიდვაშია წიგნის მაღაზიებში!

ცხოვრება

ჩეჩენი სნაიპერების ჭკვიანური გეგმა და ქართველი ჯარისკაცების თავგანწირვა

„ჩემი ქვეყნის სადარაჯოზე ცალი ფეხითაც დავდგები“

20 წლის იყო, ომის ქარცეცხლში რომ მოხვდა. რიგითი ჯარისკაცი გიორგი ჯაბახიძე ცხინვალის მისადგომებთან, საბრძოლო დავალების შესრულების დროს, რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად, რუსული თვით-მფრინავების დაბომბვაში მოჰყვა და მარჯვენა ფეხი დაკარგა. ახალგაზრ-და კაცს ყურები არ ჩამოუყრია, უფრო მეტიც — ღიმილით მითხრა: გამიმართლა, რომ გადავრჩი. ჩემმა მეგობრებმა სამშობლოს სიცოცხლე შესწირეს, მე კი ცალი ფეხითაც არაფერი მიჭირსო... ახალგაზრდა ბიჭი ფეხის პროთეზსაც შეეგუა, ოჯახიც შექმნა და არც საყვარელი საქმისთვის დაუნებებია თავი...

ლალი პაპასქირი

— სავალდებულო სამხედრო სამსახურში არ ვყოფილვარ, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებთან 4-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე. თარიღი მახსოვს — 2007 წლის 6 აგვისტო იყო, ზუსტად ერთი წლის თავზე კი ომი დაიწყო... იმ ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე. ყველაზე საფუძვლიანი სწავლება ებრაელების 6-თვიანი სადაზვერვო მომზადებისას მივიღე, შემდეგ იყო ამერიკელი ინსტრუქტორების მონაწილეობით, ვაზიანის სამხედრო ბაზაზე გავლილი სწრაფი რეაგირების კურსები. ერაყშიც ვაპირებდი წასვლას... ნებისმიერი მომზადება რეალურ ომთან მიახლოებული იყო, მაგრამ ომი სხვა ყოფილა... ბოლო დროს განვლილ წვრთნებზე ხშირად ვფიქრობ: ებრაელების სწავლება რომ არ გამევლო, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი. სასწავლო კურსებმა დიდი გამოცდილება შემძინა.

— რაც რეალური ომისთვის ფსიქოლოგიურ მომზადებასაც გულისხმობს, არა?

— დიახ. ჯარისკაცი ომისთვის ყოველთვის მზადაა, მაგრამ მაინც არ გვეგონა, ყველაფერი ასე უცებ თუ მოხდებოდა... როცა განგაში გამოცხადდა, იარაღი ავისხით, სამხედრო მანქანებში ჩავსხედით და ცხინვალის მიმართულებით დავიძარით, მაგრამ ბოლომდე მაინც არ გვჯეროდა, რომ ომში მივდიოდით. გვეგონა, მორიგი შეტევა იყო და ყველაფერი ერთ დღეში დასრულდებოდა... ჩვენი სადაზვერვო ასეული აგარის რაიონში, სოფელ ქვენატკოცაში შეჩერდა. ბრძანების თანახმად, ბრიგადისთვის უნდა მოგვეძებნა ადგილი, სადაც შევყოვნდებოდით და მეთაურები სამოქმედო გეგმას შეადგენდნენ; ამის შემდეგ, გორის მხრიდან ოსურ სოფლებში შევედით.

— ამ დროისთვის ოსური სოფლები დაცლილი იყო?

— დიახ, იქაურობა უკვე არტილერიით იბომბებოდა. გზადაგზა ადგილობრივები გვხვდებოდნენ, უფრო სწორად — ვიღაც მამაკაცები, მაგრამ სამხედროები იყვნენ თუ სამოქალაქოები, ვერ მივხვდით...

— რატომ?

— უცნაურად ეცვათ: სამხედრო შარვალი, ბოტასები და ჩვეულებრივი მაისურები; ზოგს ჰქონდა იარაღი, ზოგს — არა. უეცრად საიდანღაც გამოვარდებოდნენ, სროლას ატეხდნენ და შემდეგ იკარგებოდნენ. ჩვენც ამ მცირე წინააღმდეგობას მოვიგერიებდით და გზას განვაგრძობდით... 7 აგვისტოს ღამე ერთ-ერთ ოსურ სოფელში გავათენეთ. ჩვენს მახლობლად რუსების საგუშაგო იყო — ისინი ვერ გვხედავდნენ, ჩვენ კი მთელი ღამე ვუთვალთვალეთ.

— რას აკეთებდნენ?

— განსაკუთრებულს არაფერს... 3 თუ 4 კაცი იყო, ორი კარავი ედგათ და ერთი ჯავშანტრანსპორტიორი ჰყავდათ. როცა გათენდა, დაგვინახეს და მაშინვე ჯავშანტრანსპორტიორი დაქოქეს, მაგრამ რომ დაინახეს, ბევრნი ვიყავით, ისევ კარვებში შებრუნდნენ. არ ვიცი, რა იფიქრეს და რა გეგმები ჰქონდათ... ჩვენმა მეთაურმა, კაპიტანმა ჯემალ თოდუამ (ომის შემდეგ მას მაიორის წოდება მიანიჭეს) გაგვაფრთხილა, — რუს სამშვიდობოებს არ ესროლოთო... გზაში რამდენიმე მოკლული ოსი ჯარისკაციც ვნახე. მათ რუსული სამხედრო ფორმა ეცვათ, უმეტესობას ფეხზე ბოტასი ან კედი ეცვა. ძირითადად, ავტომატები ჰქონდათ... წვრთნები თითქმის ყველას გავლილი გვქონდა, მაგრამ შევამჩნიე, მკვდრების დანახვამ რამდენიმე ჯარისკაცზე ცუდად იმოქმედა.

— შენზე?

— ჩემზეც... თავიდან ყველანი დავიძაბეთ, მაგრამ შემდეგ თავი ხელში ავიყვანე; მივხვდი, რომ ეს იყო რეალობა და ემოციები უნდა მომეთოკა... 4 საათზე მეტხანს შეუჩერებლად ვიარეთ, 8 ოსური სოფელი გამოვიარეთ და ამ ხნის განმავლობაში ინტენსიური ბრძოლები არ ყოფილა, მხოლოდ შიგადაშიგ გვესროდნენ, მაგრამ როგორც კი ცხინვალს მივადექით, ვითარება შეიცვალა — იქ ნამდვილი ომი იყო, ყველანაირი ტიპის იარაღიდან ისროდნენ. ქალაქის შესას-

ვლელთან, ნაძვნარში შევჩერდით... ცხინვალის ტრაფარეტთან სამახსოვრო ფოტოც კი გადავიღეთ. მეთაურებმა ოცეულებად და ათეულებად დაგვყვეს და ჩვენ „ჩასაფრებაში“ გაგვიშვეს. ჩასაფრების ადგილიდან ცხინვალი გაშლილი ხელისგულივით მოჩანდა. დანარჩენებიც ისე გადაანაწილეს, რომ წრე შეიკრა... 8 აგვისტოს შუადღე იდგა. წინა დღისგან განსხვავებით, საოცრად მშვიდად ვიყავით. ამ დროს შიშისთვის არავის ეცალა, ყველა დავალების შესრულებაზე ფიქრობდა. ომში სხვისი სიცოცხლის მოფრთხილება, საკუთარის გადარჩენის ტოლფასია იმიტომ, რომ ჯაჭვის ერთი თვალი თუ ჩაიშალა, მთელი რგოლი ირღვევა. ბიჭები ხუმრობასაც კი ვცდილობდით — სხვანაირად ვერ იომებ... 42-ე ბატალიონის რამდენიმე ოცეული ქალაქის მიმართულებით დაიძრა, მაგრამ შეღწევა გაუჭირდათ.

— ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდათ?

— დიახ. ნაძვნარის იქით ტრიალი მინდორი იწყებოდა და პირდაპირ მტრის სამიზნე ხდებოდნენ; იმდენად გაშლილი ადგილი იყო, არც ხოხვით სიარული შეიძლებოდა... ქალაქის შესასვლელს კორპუსების სახურავებზე განლაგებული სნაიპერები და ტყვიამფრქვევით შეიარაღებული მეომრები აკონტროლებდნენ. ბიჭები მაინც წინ მიიწევდნენ და ბევრი მათგანიც დაიჭრა... მანამდე ჯავშანჟილეტები არ გვეცვა, მაგრამ ამ სურათის ნახვამ შეგვცვალა — ცხინვალში ნამდვილი ომი იყო. ჩვენ არტილერიასა და ავიაციას ინფორმაციას ვაწვდიდით. კავშირის პრობლემა ჯერ წინა ღამეს, 7 აგვისტოს დაიწყო და მობილურით ვსარგებლობდით; როგორც კი აქტიური სროლები დაიწყო, სიხშირე ჩაახშეს და რაციები არც კი გამოგვიყენებია... ვეღარც ის დავაზუსტეთ, თუ სად უნდა მივსულიყავით, რა ინფორმაცია უნდა მოგვეგროვებინა და ჩვენი ოცეული პირდაპირ ბრძოლებში ჩაება... ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, ალბათ ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ სახმელეთო ბრძოლებში ოსები ვერ მოგვერეოდნენ. რუსული ავიაცია მაშინ ჩართეს ბრძოლაში, როცა ორგანიზებულად დავიწყეთ შეტევა. მოწინააღმდეგე ამას მალევე მიხვდა და ამიტომ მოიქცა ასე... მართალია, ჩემი სპეციალობა დაზვერვაა, მაგრამ ის, რაც მაშინ დაგვჭირდა — ქალაქში ბრძოლა, უსაფრთხო გადაადგილება და დამოუკიდებელი მოქმედება — ნასწავლი მქონდა და თავი გავართვი. თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ რამდენიმე ახალბედას შეშინებული სახეც ვნახე...

ცხინვალის შესასვლელთან, როცა დაჭრილი ბიჭები ვნახე, შემეშინდა და ამის აღიარების არც მრცხვენია

— რაც ალბათ ცუდად მოქმედებდა თქვენზე...

— კი, მაგრამ პანიკა მაინც არ ყოფილა... როცა ტანკი ტრიალდებოდა, შეშინებული ჯარისკაცები მასთან იმდენად ახლოს იდგნენ, რომ ლულა ღამის თავში ხვდებოდათ. ტანკის გვერდით ისინი ერთი მხრიდან მაინც იყვნენ უსაფრთხოდ, მეორეს კი თავად აკონტროლებდნენ... სიტუაციას თანდათან ალღო ავუღეთ, მაგრამ ჩვენმა ორგანიზებულმა მოქმედებებმა მანამდე გასტანა, ვიდრე რუსული თვითმფრინავები გამოჩნდებოდნენ. მტერმა ბომბები პირველად ცხინვალის თავზე ჩამოყარა — პირდაპირ საცხოვრებელ კორპუსებს დაარტყა და ვიფიქრეთ, რომ ჩვენები იყვნენ... ომის დროს დასახლებულ პუნქტში შესვლამდე, ნებისმიერი ადგილი ჯერ ავიაციის მიერ იბომბება, შემდეგ შედის ქვეითი ჯარი. ამ შემთხვევაშიც ასე გვეგონა, მაგრამ იმ თვითმფრინავებმა ცხინვალს გადაუფრინეს და მერე ჩვენს პოზიციებზე მოიტანეს იერიში... ნებისმიერ რთულ, უთანასწორო ბრძოლაშიც კი, როცა შენს საქმეს აკეთებ, ბრძოლა გიადვილდება, მაგრამ როცა არ იცი, რა უნდა ქნა (არადა, თითოეული წამი მნიშვნელოვანია), ყველაფერი რთულდება... ცხინვალის შესასვლელთან, როცა დაჭრილი ბიჭები ვნახე, შემეშინდა და ამის აღიარების არც მრცხვენია. ვინც იტყვის, ომში შიში არ მიგრძნიაო, ის ან გიჟია, ან იტყუება... ყოველ წამს სიკვდილს ვუყურებდით თვალებში, ჩვენ გარშემო ადამიანები იხოცებოდნენ, ტყვიები ზუზუნებდა, ჭურვები სკდებოდა და ჰაერში სიკვდილის „სუნი“ ტრიალებდა, — აბა, როგორ შეიძლებოდა, ამ დროს არხეინად ყოფილიყავი?!. მთავარი იყო, შიში დამეძლია... მახსოვს, ცხინვალის შესასვლელთან ვისხედით და ბრძანებას ველოდებოდით. კორპუსებში განლაგებული სნაიპერები გვხედავდნენ და გვესროდნენ, ჩვენ კი ვერ ვხვდებოდით, საიდან გვიტევდნენ. შეუძლებელი იყო, დაგვენახა, რომელი ფანჯრიდან მოდიოდა ტყვია... მაშინ ჩვენი ასეულიდან ბევრი დაიჭრა — ტყვია უმეტესად, ფეხში ხვდებოდათ. ვიჯექი და ღმერთს ვეხვეწებოდი: მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალება არ მომისპო-მეთქი!.. სნაიპერები ჭკვიანურად მოქმედებდნენ — არ კლავდნენ.

— ძნელი დასაჯერებელია, რომ მოწინააღმდეგეს ინდობდნენ...

— არა, მაგრამ გონივრულად იქცეოდნენ: დაჭრილი ბრძოლას ვერ გააგრძელებდა, ფრონტის ხაზიდან დამოუკიდებლადაც ვერ გავიდოდა და იგი ორ მეომარს უნდა გამოეყვანა... სასიკვდილო ჭრილობა რომ მიეყენებინათ, იძულებული გავხდებოდით, თანამებრძოლები მიგვეტოვებინა და ბრძოლა გაგვეგრძელებინა. ჩეჩნები იყვნენ და ეტყობოდათ, საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ...

— თქვენ როგორ დაიჭერით?

— ინფორმაცია მივიღეთ — ცხინვალში ჩეჩენთა დესანტი ჩამოსხესო და ოცეულის სერჟანტმა ჩასაფრების ბრძანება მოგვცა: მარცხენა ფლანგი უნდა გაგვემაგრებინა, რათა დესანტი ზურგიდან არ მოგვპარვოდა. დავალებას მობილური ტელეფონით ვიღებდით, სხვა გზა არ გვქონდა... 6 კაცი დავალების შესასრულებლად წავედით... არ ვიცი, ვიჩქარეთ თუ გამოუცდელობის გამო დაგვემართა, მაგრამ იქვე მდგარ ჯავშანტრანსპორტიორთან ახლოს გავირბინეთ და სწორედ ამ დროს

მაშინ ჩვენი ასეულიდან ბევრი დაიჭრა — ტყვია უმეტესად, ფეხში ხვდებოდათ

იქაურობა დაბომბეს. ექვსივე დავიჭერით, მე — ყველაზე მძიმედ... მახსოვს, თვითმფრინავი ისე დაბლა მოფრინავდა, ლამის თავზე გადაგვიფრინა. როცა ზევით ავიხედე, პილოტიც კი დავინახე, რომელსაც ლურჯი ჩაფხუტი ეხურა... მერე იქაურობა გამაყრუებელმა ხმაურმა შეძრა და დაბომბვის წნევამ ჰაერში ამისროლა. მიწაზე დაცემამდე, ფეხში საშინელი დარტყმა ვიგრძენი. ტკივილს ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობდი, მაგრამ მივხვდი, მარჯვენა ფეხი არ მქონდა. ვიდრე დაბომბვის ტალღამ არ გადაიარა, იქ ვეგდე...

— სისხლდენის შეჩერება შეძელი?

— დიახ. საბედნიეროდ, ტკივილისგან გონება არ დამიკარგავს და ბენდენა შემოვიჭირე. ხელებში ძალა არ მქონდა და ჯოხი მოვიშველიე: ჯერ კვანძი გავიკეთე, მერე ჯოხი დავატრიალე და იმ ადგილას შემოვიჭირე, სადაც ფეხი „მთავრდებოდა“ — ეს ებრაელმა ინსტრუქტორებმა მასწავლეს. მოსაყოლად ადვილია, მაგრამ გასაკეთებლად ძნელი იყო... გონი რომ დამეკარგა, ცოცხალი ველარ გადავრჩებოდი... როგორც კი წამოჯდომა შევძელი, ყვირილი დავიწყე, რადგან ამ მდგომარეობაში დიდხანს ვერ გავძლებდი, ჩემებისთვის ხმა უნდა მიმეწვდინა... თანამებრძოლმა — დათო ქიმაძემ მიპოვა. სამშვიდობოს მარტო ვერ გამიყვანდა და ასეულის ბიჭები ამოიყვანა... ის ჯავშანტრანსპორტიორი ისევ იქ იდგა, ალბათ დაბომბვას გადაურჩა; შიგ ჩვენი ჯარისკაცები ისხდნენ. ბიჭებმა, სხვა დაჭრილებთან ერთად, მასში მეც ჩამსვეს, გორის სამხედრო ჰოსპიტალში წაგვიყვანეს, თავად კი ცხინვალისკენ მიბრუნდნენ... ჰოსპიტალში რომ დამაძინეს, თბილისის №8 საავადმყოფოში გამეღვიძა და 3 თვე იქ დავყავი... მერე იყო მკურნალობის ხანგრძლივი პროცესი; თურქეთის სამხედრო კლინიკა „გათაში“ დროებითი პროთეზი გამიკეთეს... მუხლის ძვალი მთელი მაქვს და მპირდებიან, რომ წვივის ძვალსა და სილიკონის ტერფს გამიკეთებენ, რომლითაც უფრო თავისუფლად შევძლებ სიარულს... შეიარაღებულ ძალებთან კონტრაქტს ვაგრძელებ, ვადის ამოწურვის შემდეგაც ახალი კონტრაქტის დადებას ვაპირებ... ვიცი, ძნელია ამ სტატუსით ცხოვრება, მაგრამ ყურების ჩამოყრას არ ვაპირებ. როცა ომში მივდიოდი, იმაზეც ვფიქრობდი, — შეიძლებოდა, იქიდან ცოცხალი ველარც დავბრუნდე-მეთქი. ბრძოლაში ვიღაც ჯანმრთელობას კარგავს, ვიღაც — სიცოცხლეს. ფეხი დავკარგე, მაგრამ მაინც გამიმართლა, ცოცხალი ვარ! მას შემდეგ, ოჯახი შევქმენი და ცხოვრებას ვაგრძელებ... ჩემს სამშობლოს თუ დასჭირდა, მის სადარაჯოზე ცალი ფეხითაც დავდგები.

ინტერვიუს შემდეგ გიორგის მეუღლესაც ვესაუბრე, რომელიც ქმრის ნაამბობს ყურადღებით უსმენდა. მან ჩემს შეკითხვაზე, — ამ გადაწყვეტილების მიღება ხომ არ გაგიჭირდა-მეთქი? — ამაყად მიპასუხა, — არა, რას ამბობთ?! ჩემი მეუღლე ხომ სამშობლოსთვის იბრძოდა!.. ■

ტკივილი

პატარა ბიჭი, რომელსაც მეზობელმა ცხოვრება დაუნგრია

„ბავშვთა სახლში ყოფნა სირცხვილი არ არის...“

რედაქციაში 15 წლის ბიჭის ტკივილიანი წერილი მივიღეთ, იგი თავის წარსულზე წუხდა. გვწერდა, რომ მარტოსულია. ანრი აბაშიძეს თავშესაფარში — „საქართველოს კარიტასში“ მივაკითხეთ. ჩვენ შორის გულახდილი საუბარი შედგა.

თეა ხურცილავა

ანრი თბილისში დაიბადა, მშობლებთან ერთად და საბურთალოზე ცხოვრობდა. პატარას მოულოდნელად მამა ციროზით გარდაეცვალა. მალე მისი ცხოვრებაც შეიცვალა, მატერიალურად ძალიან გაუჭირდათ. დღეს ის თავშესაფარშია და ამბობს, რომ იქ ყოფნა მისთვის გადარჩენის ერთადერთი გზაა. პედაგოგი ჯაბა ალადაშვილი ანრის დადებითად ახასიათებს და ამბობს, რომ ის ძალიან ნიჭიერი, მგრძნობიარე ბიჭია. ლექსებს წერს, თავისი სამყარო აქვს და მომავალზე ბევრს ფიქრობს.

— 5 წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა. მასთან ურთიერთობიდან ფრაგმენტები მახსოვს — სათვალე ეკეთა, წვერს ატარებდა... ფოტოებს ვინახავ. მამას ძალიან ვუყვარდი. მაღაზია გვქონდა, იქ მაგზავნიდა და „ქინდერებს“, შოკოლადებს მაძლევდნენ. ბებიაც ჩვენთან ცხოვრობდა. დედა მუშაობდა, ძიძა მზრდიდა. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე კარგი პერიოდი იყო, მაშინ უზრუნველი ბავშვობა მქონდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ყველაფერი ცუდად წავიდა. ორხევში 2-ოთახიანი ბინა ვიყიდეთ და დედასთან ერთად საცხოვრებლად იქ გადავედი. ახალ გარემოს შევეგუე, თანატოლებიც გავიცანი. იმ კერძო სკოლაში, სადაც დავდიოდი, დედა ფრანგულს ასწავლიდა და ხელფასი მხოლოდ ჩემი სწავლის ქირის გადასახდელად ჰყოფნიდა... ოლეგის გამოჩენამ ცხოვრება დაგვინგრია.

— ოლეგი ვინ არის?

— ეს კაცი ორხევში, ჩვენს კორპუსში ცხოვრობს. მგონი, მეუღლეს გაცილებულია და დედასთან ერთად ცხოვრობდა. ერთ დღეს გარეცხილი თეთრეული ოლეგის „ბალკონზე“ გადაგვივარდა. მასთან ამის გამო მივედი. გამომელაპარაკა და დამიახლოვდა. ჩემზე ასაკით დიდი იყო, მაგრამ მეგობრად მივიჩნიე. სახლშიც მოდიოდა, დედაჩემი გავაცანი. აღმოჩნდა, რომ ძალიან ცუდი ადამიანი იყო. ის ხშირად თვრებოდა და ჩვენს ბინაში ამოდიოდა. შეიძლება ითქვას, რომ დედაჩემის საყვარელი გახდა — აბა, რა ჰქვია კაცს, რომელიც ღამე შენს სახლში რჩება?.. დედაჩემი 2 თვის გაცნობილი ჰყავდა, როდესაც პირველად სცემა.

— რატომ?

— ასეთი ხასიათი ჰქონდა. სიმთვრალეში ჩხუბობდა და დედაჩემსაც სცემდა. დღემდე არ ვიცი, რატომ. მთვრალი მოდიოდა, უფრო — ღამით და დედაჩემის ლოგინში ეძინა. ამ დროს დედა აივანზე გადიოდა, მასთან ყოფნა არ უნდოდა. რამდენჯერმე ოლეგს მეც ჩავარტყი, რადგან მსურდა, მასზე შური მეძია და ახლაც მკლავს შურისძიების სურვილი. დღეს ორხევში ჩვენს ბინას არც კარი აქვს და არც — ფანჯარა, ყველაფერი მან დაამსხვრია და დედა ასეთ სახლში ცხოვრობს. საცოდვას, ბინაში არც შუქი აქვს, არც წყალი, არც გაზი, რადგან გადახდის საშუალებაც აღარ აქვს და ყველაფერი ჩაუჭრეს. მხოლოდ პატარა ბალონი აქვს, რომლითაც სადილს მოამზადებს, თუ რასაკვირველია, პროდუქტი ექნება. ფაქტობრივად, დედას ღია სახლში სძინავს და როგორც კი დაღამდება, წვება.

— ოლეგმა ფანჯრები და კარი რატომ ჩაამსხვრია?

— დედა კარს არ უღებდა და ამიტომაც ჩაამტვრია, ჩხუბის დროს კი ყველაფერი დალეწა. სხვათა შორის, ორჯერ მეც მცემა; როცა დედას სცემდა, გაშველებას ვცდილობდი —

როგორც ყოველთვის, გამშველებელს მეტი ხვდება. მერე დახმარებისთვის უბნის ბიჭებს მივმართე. ოლეგი სცემეს და მას მერე არ მოსულა, მაგრამ საფინალო აკორდი ყველაფრის მტვრევით დაასრულა. მამის გარდაცვალების შემდეგ ბიძაჩემი (მამის ძმა) დედას ყოველთვე 100 ლარს აძლევდა, მერე არ ვიცი, მათ შორის რა მოხდა, მაგრამ ვფიქრობ, დედა არასწორად მოიქცა და ბიძამ ფულის მიცემა შეუწყვიტა. მამაჩემის ძმა ყოველთვის კარგად მექცეოდა და დღესაც ასეა... მერე სკოლაში სიარულის პირობები არ მქონდა და 2 წელი არც მივლია. მატერიალურად ძალიან გაგვიჭირდა, პურის ფულიც არ გვქონდა. პურის მანქანა მაღაზიას რომ მიადგებოდა, მივდიოდი და ვთხოვდი, ერთი პური ნისიით მოეცათ. მაძლევდნენ, მერე კი ფულს აღარ მთხოვდნენ. ერთ დღეს ამ პურით ვძლებდით, მერე კიდევ ვიღაცა რაღაცას მოგვცემდა და ასე გადიოდა დღეები. ოლეგის გამო დედას არაფრის თავი აღარ ჰქონდა (მანამდე ბავშვებსაც ამზადებდა)... მერე ნათლიამ მითხრა, რომ არსებობდა დაწესებულება, სადაც ბავშვებს იღებენ. გადავწყვიტე, იქ წავსულიყავი. დედას სახლიდან გამოვეპარე და გლდანის ბავშვთა სახლში აღმოვჩნდი. 6 თვე იქ ვიყავი, იქიდან კი თავშესაფარში, „საქართველოს კარიტასში“ გაგვანაწილეს 4 წელია, აქ ვარ და თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

— **სკოლაში დადიხარ?**

— თავშესაფართან ახლოს, მე-12 საჯარო სკოლაში დავდივართ. რადგანაც 2 წელი გამიცდა, ერთი წლით ჩემზე უმცროსებთან დამსვეს, ჰოდა, ახლა მეცხრე კლასში ვარ. დილით 7 საათზე ვდგებით და სახლს ვალაგებთ. ოთახში 4 ბიჭი ვართ. თავშესაფარში სულ 14 ბავშვია, ყველაზე პატარა 12 წლისაა. ჩვენ სკოლაში ერთად მივდივართ, დაბრუნების შემდეგ კი ვსადილობთ. აქ სხვადასხვა წრე გვაქვს: ინგლისურ ენას, ოქრომჭედლობას, ჭედურობას, ქსოვას, ქარგვას გვასწავლიან. სკოლაში ფრანგულს ვსწავლობ, აქ კი შემიძლია ინგლისურიც ვისწავლო, მაგრამ ცოტა ზარმაცი ვარ. თუმცა, თუ ასეთი დიდი მოთხოვნა იქნა ინგლისურზე, მეც ვისწავლი. ჭედურობაზე 2 წელი ვიარე და ვისწავლე, ატესტატიც მაქვს.

— **შენი პირველი ნამუშევარი რა იყო?**

— პირველად ჩემი სახელი ამოვტვიფრე — მაშინ 11 წლის ვიყავი. ეს ნამუშევარი სახელოსნოში ინახება. ჩემი დამზადებული, წმინდა გიორგის ხატი ძმას ვაჩუქე. სერიოზული ნამუშევრები მქონდა. ჩვენ გამოფენებს ვაწყობდით და რამდენიმე ჯილდოც მაქვს — ეს სასიამოვნოა. ახლა ოქრომჭედლობას ვისწავლი. ბავშვები ბიჟუტერიასაც ამზადებენ. ხელობა კარგია, მაგრამ ეს ჩემი ჰობი იქნება. მინდა, ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩავაბარო და კომპიუტერს კარგად დავეუფლო, მაგრამ სამომავლოდ მაინც, ბანკირობა მინდა. კარგი იქნება, თუ საკუთარი ბიზნესიც მექნება.

— **ანრი, სულ რამდენი დედამამიშვილი გყავს?**

— ნახევარ და-ძმა მყავს. ისინი მამაჩემის სიკვდილის შემდეგ გავიცანი და მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. სხვათა შორის, ჩემი ძმა ხშირად მაკითხავს, სახლშიც მივყავარ, მასწავლის კომპიუტერს, საიტების შექმნას და სხვა დეტალებს. ნათლიაც მაკითხავს და დედა კვირაში ორჯერ მაინც მოდის. სამწუხაროდ, ის არ მუშაობს. მე პენსია მაქვს დანიშნული და დედა ჩემი პენსიის ფულით ცხოვრობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, აქ ხელცარიელი არასდროს მოდის — ხილი მოაქვს ან ერთი კანფეტი მაინც. სულ ვეუბნები, — აქ არაფერი მაკლია და მირჩევნია, ფული საკუთარ თავს მოახმარო, ნურაფერს მოიტანმეთქი. სამჯერადი კვება გვაქვს. შაბათ-კვირას ბავშვები ჩვენი ხელით ვამზადებთ საჭმელს. პირადად მე შემიძლია, სხვადასხვანაირი წვნიანი მოვამზადო. ჩემი გაკეთებული „ვარენიკები“ მომწონს, მშვენიერია. საჭმელს ერთ დღეს ბიჭები ვამზადებთ, მეორე დღეს — გოგონები, რათა არავინ დაიჩაგროს. არიან პატარებიც, რომლებმაც ბევრი რამის მომზადება არ იციან, მაგრამ კარტოფილის დაფცქვნა და შეწვა ყველას ეხერხება. ყოველ წელს დასასვენებლად დავდივართ, ამის შესაძლებლობა კი ბევრ ოჯახს არა აქვს. წელს 12 დღე ურეკში ვიყავით, სასტუმროში, კარგ პირობებში. გავირუჯეთ, მშვენიერი დრო ვატარეთ. ნუნისში, ბაკურიანში დავყავართ... დედას ვამშვიდებ ხოლმე, — გავიზრდები და სამუშაოს ვიშოვი-მეთქი. სხვა გამოსავალი არ არის, თორემ ერთად ვიცხოვრებდით. მერწმუნეთ, ოჯახთან ყოფნას არაფერი ჯობს. ადამიანს დედას ვერავინ შეუცვლის.

— **დედა სამსახურის შოვნას არ ცდილობს?**

— ელემენტარულად, ტანსაცმელი არა აქვს, დაძონძილი სამოსით დადის, ძალიან ცუდად გამოიყურება. 18 წლამდე შემიძლია, აქ ვიყო, მერე ალბათ სწავლას გავაგრძელებ, თან სამსახურს ვიშოვი. მე და დედას ცოტა ხანი იმ ბინაში ერთად ცხოვრება მოგვიწევს, მერე გავყიდით და ცალ-ცალკე, თითო ოთახიან ბინას ვიყიდით. დედა სულ ამბობს, — მინდა, ახალი ცხოვრება დავიწყოო. ჰოდა, ხელს არ შევუშლი; თუ ის ბედნიერი იქნება, ეს ჩემთვისაც კარგია. დედა ნაშვილები იყო ანუ მისმა მშობლებმა გაყიდეს. დედას არც უცდია, ბიოლოგიური მშობლები მოეძებნა... შეყვარებული მყავს, მაგრამ ცოლის მოყვანას არ ვაპირებ.

— **რატომ?**

— ბიზნესოლიმპიადაში ვმონაწილეობდი და წარმატებას მივაღწიე. სწორედ იქ გავიცანი მარი. მას ლექსიც დავუწერე. სამწუხაროდ, არა მაქვს საშუალება, სადმე დავპატიჟო. ახლა დედას ვთხოვე — ჩემს პენსიას რომ აიღებს, ცოტა ფული მომცეს, რათა მარის შეხვედრა ვთხოვო. ალბათ ცოლს არ მოვიყვან — მექნება სამუშაო და ვიცხოვრებ მარტო. არ მინდა, მემკვიდრე მყავდეს.

— **რატომ?**

— მე რომ რამე დამემართოს, არ მინდა, მერე ბავშვიც ჩემნაირად დაიტანჯოს.

— **ცუდზე რატომ ფიქრობ? კარგი ბიჭი ხარ, ბედნიერებას იმსახურებ და წარმატებებსაც მიაღწევ.**

— ხშირად თავის მოკვლაზე ვფიქრობ. არ ვიცი, რატომ მემართება, მაგრამ განსაკუთრებით შუადღეს ყველაფერი უაზროდ მეჩვენება. როცა საღამო ახლოვდება, ხასიათი მეცვლება და კარგ განწყობილებაზე ვდგები... არა, თავს მაინც არ მოვიკლავ! ჩემი მოძღვარია მამა დავითი, მე კი სტიქაროსანი ვარ ტაძარში, სადაც მხოლოდ პარაკლისები ტარდება, რადგან ჯერ ისევ მშენებარეა. მამა გარდაცვლილი რომ არ მყავდეს, აქ არ ვიქნებოდი, ჩემი ცხოვრებაც სხვანაირი იქნებოდა. მინდა, ოლეგზე შური ვიძიო, მას დედაჩემის ცემას არ ვაპატიებ.

— **ამბობ, რომ ტაძარში დადიხარ, მიმტევებელი ხომ უნდა იყო...**

— ვიცი, ეს ქრისტიანი ადამიანისთვის მიუღებელია, მაგრამ... კარგია, ეს თავშესაფარი რომ მაქვს, სხვაგვარად, არ ვიცი, რა იქნებოდა. გული მწყდება, ასეთი ცხოვრება რომ მერგო... ერთხელ წიგნის დაწერაც გადავწყვიტე. სიზმარი ვნახე, თითქოს მეცნიერებათა დოქტორი ვიყავი, გენური ინჟინერიის „მამა“ და ამ ამბავს ჩემი ამბებით ვალამაზებდი, მაგრამ მერე მომბეზრდა. ლექსებს ვწერ — ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ — არა. მინდა, ბავშვთა სახლში მცხოვრებ მოზარდებს მივმართო: ნუ იფიქრებენ, რომ ბავშვთა სახლში ყოფნა სირცხვილია! როცა ცხოვრებასთან ბრძოლა გიწევს, გადარჩენისთვის უნდა იბრძოლო, ქუჩაში ყოფნას კი მერწმუნეთ, აქ ყოფნა ჯობია...

დაბოლოს, თუ ვინმეს ჩემთან მეგობრობის სურვილი გაგიჩნდებათ, გთხოვთ, დამიკავშირდით — ტელეფონი არა მაქვს, მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით თუ დამეკონტაქტებით. დამიმეგობრდით facebook-ზე: anri abashidze ან მომწერეთ მეილზე: djlevana18@mail.ru ■

დასვენება ზღვაზე — უფასოდ!

„ბებერი“ საყვარლები, თურქი „მასპინძლები“ და წუწურაქი კავალრები

ანუ დასვენების უჩვეულო მეთოდი

ზღვისპირა ქალაქებში საკურორტო სეზონი უკვე დაიხურა. ვინც შეძლო და დასვენება მოასწრო, ხომ კარგი, ბევრს კი მატერიალურმა მდგომარეობამ შეუშალა ხელი იმაში, რომ ზღვის ცქერით დამტკბარიყო... თუმცა აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა დასვენებას უფულოდაც ახერხებს. ჩემი რესპონდენტები საკმაოდ თამამი გოგო-ბიჭები არიან, რომლებმაც არდადეგები ისე გაატარეს, რომ ოჯახი არ შეუწუხებიათ.

ელენე ბასილიძე

ალბათ, ამ თემით არც დავინტერესდებოდი, რომ არა ერთი გოგონა — ანი, რომელიც პლაჟზე მეგობართან ერთად იყო და მათ ბიჭების მრავალრიცხოვანი „არმია“ ეხვია გარს. გოგონების მოურიდებელმა ქცევამ, მათმა საუბარმა ჩემი ყურადღება მიიქცია. მოგვიანებით, ბიჭები გოგონებს დროებით გამოემშვიდობნენ და მეც მომეცა საშუალება, ანის დავლაპარაკებოდი.

ანი, *21 წლის:*

— მე და თეო ბიძაშვილ-მამიდაშვილები ვართ. ზღვა და ნამზეური ორივეს გვიყვარს, მაგრამ მატერიალური მდგომარეობა არ გვიწყობს ხელს იმაში, რომ ჩვენს გემოზე დავისვენოთ. თეო სტუდენტია, მე კი აგერ უკვე მეორე წელია, მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნას უშედეგოდ ვცდილობ... წელს (ისევე, როგორც ყოველთვის) ზღვისპირა ქალაქში წამოსვლა ძალიან გვინდოდა, მაგრამ ფული არ გვქონდა. დავდიოდით თბილისის ზღვაზე და იქაურ ნამზეურს „ქობულეთურად“ ვასაღებდით, მერე კი ძალიან გაგვიმართლა და ბათუმში ჩამოვედით...

— **ვინმემ დაგაფინანსათ?**

— ივნისში „სკაიპით“ ერთი ბიჭი გავიცანი. ერთმანეთს კარგად გავუგეთ და როცა შეხვედრის დრო დადგა, სინანულით მაცნობა, — ხვალ ქობულეთში მივდივარ, ამიტომ შეხვედრის გადადება 14 დღით მოგვიწევსო... სულ ცოტა ხანში კი „გაახსენდა“, რომ შეიძლებოდა, ზღვისპირეთში მეც ჩავსულიყავი და შემომთავაზა, — ქობულეთში ჩამოდი და იქ შევხვდეთო... გულახდილად ვუთხარი, რომ ფული არ მქონდა.

— **და მან დაგპატიჟა?**

— კი. ზურამ მითხრა: — ოღონდ ქობულეთში ჩამოდი და შენზე მე ვიზრუნებო. დამპირდა, რომ არაფერს გამიჭირვებდა. სანამ მის წინადადებას დავთანხმდებოდი, მთხოვა: — დაქალიც წამოიყვანე; მე ძმაკაცთან ერთად ვიქნები და მეწყვილე მასაც გამოვუძებნოთო. მაშინვე ჩემი მამიდაშვილი გამახსენდა — აბა, მასზე ახლობელსა და უკეთესს ვის წავიყვანდი? თეოს რომ ვუთხარი, ზღვაზე გვეპატიჟებიან-მეთქი, სიხარულისგან ლამის გადაირია. მატარებლის ბილეთის შესაძენად ფული ძლივს ვიშოვეთ, მერე კი ბარგიც შევკარით. ქობულეთში ზურა თავის ძმაკაცთან ერთად დაგვხვდა. ისიც საკმაოდ სიმპათიური ბიჭი აღმოჩნდა, არაფერი დაეწუნებოდა... გვითხრეს: — იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ოთახები აღარ ქირავდება და სხვაგან დაგაბინავებთო. სიმართლე გითხრა, ჩემთვის და თეოსთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად გვაცხოვრებდნენ, მთავარი ის იყო, რომ ზღვაზე გასვლის შესაძლებლობა გვქონოდა (იცინის). ბიჭებმა ერთ სახლში მიგვიყვანეს და დიასახლისს 3 დღის ფული წინასწარ გადაუხადეს. სხვათა შორის, საკმაოდ ხელგაშლილები იყვნენ — რესტორანში, კლუბსა და ბუნგალოში გართობას არ გვაკლებდნენ...

— **წელან ბიჭები რომ გახლდნენ, მათ შორის ზურაც იყო?**

— არა, ესენი სხვები არიან... 3 დღე ხომ „გვაგულავეს“, მერე კი ზურაც და ზაზაც „აორთქლდნენ“. ჩვენ ბიჭებს მთელი დღე უშედეგოდ ველოდით; მხოლოდ ზურას ნომერი ვიცოდი და ვურეკავდი კიდეც, მაგრამ მობილური გათიშული ჰქონდა. ბოლოს მივხვდით, რომ „გადაგვაგდეს“ — ალბათ ჩვენი შენახვა ძვირი უჯდებოდათ და „მოტყდნენ“. რა უნდა გვექნა? — ავიკიდეთ ჩანთები და სადგურზე წავედით, თბილისში დაბრუნებას ვაპირებდით.

— **მაგრამ როგორც ჩანს, არდადეგები გაგიგრძელდათ...**

— (*იცინის*) ჰო, მატარებელს ველოდით, როცა გიომ გამოიარა და გამოგველაპარაკა, გვკითხა, — სად მიდიხართო? პასუხი რომ დავუბრუნეთ, გაიკვირვა, — ხალხი თბილისიდან აქეთ ჩამოდის და თქვენ რა მიგარბენინებთ იმ „ადუღებულ“ დედაქალაქშიო?! გავუმხილეთ, რომ ფული აღარ გვქონდა. გიომ მეგობარს რაღაც გადაულაპარაკა, მერე მოგვიბრუნდა და გვითხრა: — ჩემთან დაგპატიჟებთ; ბათუმში სახლი მაქვს და შეგიძლიათ, ჩემთან იცხოვროთ; ჯერ ისე არ გაგვჭირვებია, რომ ორი ლამაზი გოგონა ვერ შევინახოთო...

— **და ახლა მასთან ცხოვრობთ?**

— კი. გიოს ბათუმში 2 სახლი აქვს. ჩვენ მიტოვებულ ბინაში დაგვაბინავა და უკვე ორი კვირაა, დროს მშვენივრად ვატარებთ.

— **მშობლებმა თუ იციან, აქ რომ ხართ?**

— არა, რას ამბობ?! მშობლებს ვუთხარით, რომ დაქალთან, კახეთის ერთ-ერთ სოფელში ვართ... რომ იცოდნენ, ასე ცარიელ-ტარიელები წამოვედით ზღვაზე და თანაც, ბიჭებთან ვცხოვრობთ, გადაირეოდნენ. თბილისში რომ ჩავალთ, ვიტყვით, რომ სოფლის მდინარეზე გავირუჯეთ (*იცინის*)...

ერთ-ერთი კლუბის საპირფარეშოში გოგონები მაკიაჟს ისწორებდნენ და თან, აღფრთოვანებულები თავიანთ თურქ კავალრებზე ლაპარაკობდნენ. უცნობებს გამოველაპარ-

აკე და ვთხოვე, ჩემთვის ინტერვიუ მოეცათ.

თათა, *25 წლის:*

— შარშან ერთი ჟურნალისტი მთხოვდა ინტერვიუს, მაგრამ ვერ გავბედე, მისთვის ჩემ შესახებ მომეთხრო.

— იცი, რა თემაზეც უნდა გელაპარაკო?

— რა თქმა უნდა! შენ ხომ ჩვენი ლაპარაკი მოისმინე და დარწმუნებული ვარ, ყველაფერს მიხვდი...

— თბილისელი ხარ?

— არა, ქუთაისელი. მე და ჩემი დაქალი — ქეთა, უკვე მეორე თვეა, ბათუმში ვცხოვრობთ...

— როგორც ვხვდები, სხვის ხარჯზე, არა?

— მართალი ხარ. 2 თვე ბათუმში რომ იცხოვრო, ამისთვის საკმაოდ სოლიდური თანხაა საჭირო. მით უმეტეს, რომ საკმაოდ კარგ სასტუმროში ვართ დაბინავებულები და არაჩვეულებრივადაც ვერთობით... 3 წლის წინ მე და ჩემი მეგობარი ბათუმში ჩამოვედით. მთელი წლის განმავლობაში ფულს ვაგროვებდი, რათა ზაფხულში 2 კვირა ბათუმში გამეტარებინა. ჰოდა, როცა ნანატრი შვებულების დრო მოვიდა, არც კი ვიცოდი, ღირდა თუ არა წვალებით შეკოწიწებული ფულის 2 კვირაში დახარჯვა (იღიმის). მაშინ „კარგი“ გოგონები ვიყავით და ვერც წარმოგვედგინა, სხვის ხარჯზე ცხოვრება თუ შეიძლებოდა. ერთხელ კლუბში ვიღაც თურქი „ამეკიდა“ და ინგლისურად გამომელაპარაკა. მითხრა, — ძალიან მომწონხარ, ჰოდა, თუ წინააღმდეგი არ იქნები, შვებულებას შენთან ერთად გავატარებო... ის კაცი მთელი საღამო ზედ გადაგვყვა და ჩვენი გულიც მოიგო. სხვათა შორის, ემრე ბათუმში მარტო არ იყო. მას მეგობარი ახლდა, რომელსაც ჩემი დაქალი მოეწონა... იმ დღის შემდეგ თურქი თაყვანისმცემლები გვერდიდან არ მოგვშორებიან, თავს გვევლებოდნენ და ცდილობდნენ, ჩვენთვის ყველა სურვილი შეესრულებინათ. მოკლედ, 2 კვირა ზღაპარში გვეგონა თავი. როცა სახლში დაბრუნება გადავწყვიტეთ, აღმოჩნდა, რომ ის ფული, რომელიც ზღვაზე უნდა დაგვეხარჯა, ხელუხლებელი გვქონდა (იღიმის). ჰოდა, რასაკვირველია, მივხვდით, რომ დასვენებისა და გართობის ყველაზე იოლ გზას მივაგენით, მერე კი გადავწყვიტეთ, „სპონსორი“ მომავალშიც გვეპოვა.

— მას შემდეგ, რაც ბათუმიდან გაემგზავრეთ, ზღვაზე გაცნობილი თურქები აღარ შეგხმიანებიან?

— არა, ჩვენთან რა საქმე ჰქონდათ?! მათაც და ჩვენც შვებულება არაჩვეულებრივად გავატარეთ, მერე კი ერთმანეთს მშვიდობიანად დავშორდით.

— მაშინ, როცა თურქებს საკუთარი კურორტები აქვთ, საინტერესოა, დასასვენებლად საქართველოში რატომ ჩამოდიან? მათთვის მსგავსი კითხვა არასდროს დაგისვამს?

— პირველი მიზეზი, რის გამოც საქართველოში ჩამოდიან, რამაზანის დღესასწაულია... შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში მორწმუნე თურქი არც ჭამს, არც სვამს და არც ერთობა. ჰოდა, გართობის მოყვარული თურქები ცდილობენ, ასეთ დროს საქართველოში გადმოვიდნენ და აქ გაერთონ (იღიმის); მეორე მიზეზი კი ლამაზი ქალებია — თურქებს ხომ ოდითგანვე მოსწონდათ ქართველი ქალები და დღესაც ასეა (*იცინის*)!

— ეი. წელსაც ვიღაცის ხარჯზე ცხოვრობთ, არა?

— კი, ასეა. სხვათა შორის, შარშანაც იმ იმედით ჩამოვედით, რომ აქ ვინმეს „გამოვიჭერდით“. მალევე ვიპოვეთ ახალგაზრდა თურქები, მაგრამ ისინი არც ისეთი ხელგაშლილები იყვნენ, მეტიც — დაგვტანჯეს თავიანთი წუწურაქობით! ერთი სახალისო ამბავი გამახსენდა: მე და ქეთი მათ მანქანაში, უკანა სავარძელზე ვისხედით, წინ კი ჩვენი კავალრები იყვნენ მოკალათებულნი. ერთ-ერთი მათგანი ჩვენკენ გახლდათ მობრუნებული და რაღაცას გვიყვებოდა. უეცრად, კბილები ჩამოძვრა (*იცინის*): როგორც აღმოჩნდა, პროთეზი ჰქონდა. სხვათა შორის, ხელმომჭირნეობის გამო ისინი მალევე მოვიშორეთ და სხვა კავალრები ვიპოვეთ, რომლებმაც არც რუსული იცოდნენ, არც ინგლისური და ქართული, მაგრამ ფული არ ენანებოდათ (*იცინის*)! ისე, თუ მოინდომებ, ყველაფერი გამოგივა! ჩვენ ხელებითა და ფეხებით „ვსაუბრობდით“ (*იცინის*). მერწმუნე, ენობრივ ბარიერს სულაც არ შეუშლია ხელი იმაში, რომ დრო კარგად გვეტარებინა.

— კავალრებად თურქებს რატომ ირჩევთ?

— ქართველებს არ ვენდობით და იმიტომ!

— თათა, როგორ ფიქრობ — ზღვისპირეთში ბევრი ისეთი გოგონაა ჩამოსული, რომელიც შენი და შენი მეგობრის მსგავსად ირჩენს თავს?

— მერწმუნე, ნებისმიერ ბუნგალოსთან არიან გოგონები, რომლებიც „საკბილოს“ ეძებენ (*იცინის*)...

გუგაც იმ კატეგორიის ახალგაზრდების რიგს მიეკუთვნება, რომლებიც ზღვაზე დასვენებას სხვების ხარჯზე ამჯობინებენ. „ასაკშეპარული“ ქალბატონები ახალგაზრდა, სიმპათიური ბიჭის მომხიბვლელ ღიმილს ვერ უძლებენ და მის მიერ დაგებულ მახეში იოლად ებმებიან.

გუგა, *24 წლის:*

— პროფესიით ჟურნალისტი ვარ. თბილისში 3 ადგილას ვმუშაობ, მაგრამ თავს მაინც გაჭირვებით ვინახავ. შარშანწინ ზღვაზე წამოსვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ ვინაიდან ფული ვერა და ვერ შევაგროვე, ივნისში ერთ-ერთი აუზის აბონემენტი ავიღე. სწორედ იქ გავიცანი ნინო — არაჩვეულებრივი, მოვლილი, სიმპათიური 45 წლის ქალბატონი, რომელსაც ასაკი ნამდვილად, არ ეტყობოდა... ჩვენ მალევე დავახლოვდით. მან მითხრა, რომ მეუღლე არ ჰყავდა... ერთ დღეს დამირეკა და შემომთავაზა, — ბათუმში მივდივარ და შენც წამოდიო. ვიუარე. აბა, სად მქონდა იმის ფული, რომ დასასვენებლად ზღვაზე წავსულიყავი და თან, იქ ქალიც „შემენახა“?! როგორც ჩანს, ნინო ჩემი უარის მიზეზს მიხვდა და მანუგეშა, — შენ არ იდარდო. ოღონდ წამომყევი, პლაჟზე მარტო არ მამყოფო და დასვენების ხარჯები ჩემზე იყოსო... თავიდან გავუბრაზდი, — რას ამბობ, მასეთი უნამუსო კი არა ვარ, ეს როგორ მაკადრე-მეთქი?! მაგრამ ნინო არ მომეშვა და საბოლოოდ, ჩემი დაყოლიებაც მოახერხა. ბათუმში არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ. ჩემ გვერდით ნინო კიდევ უფრო „გაახალგაზრდავდა“ და ბულვარში გამვლელები შურით გვიცქერდნენ... როცა თბილისში დავბრუნდი, ეს ყველაფერი ძმაკაცს ვუამბე. ლაშას თვალები გაუბრწყინდა და მითხრა: — რა კარგი რამე მოგიფიქრებია! აბა, დროზე ჩაალაგე

ჩემოდანი, ბათუმში მივდივართ, „ბებრების“ შესაბმელადო! აღარ მომეშვა, ძალიან უნდოდა ზღვაზე დასვენება და მეც ხათრი ვერ გავუტეხე, მეორე დღესვე გავემგზავრეთ. ზღვაზე „სპონსორი“ ქალბატონების „მოჩანგვლა“ იოლი აღმოჩნდა. მე და ლაშა ცალ-ცალკე „ვნადირობდით“, რათა ერთმანეთისთვის ხელი არ შეგვეშალა. ბათუმში ჩასვლისთანავე პლაჟზე გავედით და დღის ბოლოს „დამა“ ქალებთან ერთად, რესტორანში ვქეიფობდით (*იცინის*). მოკლედ, ორი კვირა ბედნიერად გავატარეთ, მერე კი თბილისში დავბრუნდით.

— „საკბილოს“ როგორ ირჩევთ?

— იოლად. მაგალითად, თუ პლაჟზე ისეთი ქალბატონია, რომელიც მამაკაცებს ათვალიერებს და გამომწვევად იქცევა, ე.ი. ჩემი „ბულკია“; მაინცდამაინც „ყვავის ასაკის“ არ უნდა იყოს და ზედ უნდა შეეხედებოდეს (*იცინის*). ამას წინათ დიდი „იაღლიში“ მომივიდა — მეტისმეტად ბებერი ქალბატონი „გამოვიჭირე“. ჰოდა, ვიღაცამ ჩემზე ჰკითხა, — მხოლოდ ეს ერთი შვილი გყავთო (*იცინის*)?.. შარშან კი ზღვიდან ჩამოსულმა თბილისში ერთი ბიჭი გავიცანი, რომელსაც მალევე დავუმეგობრდი. ერთ დღეს მან შინ მიმიწვია, — მინდა, დედაჩემი გაგაცნოო. მათ სახლში მისულს თავზარი დამეცა — „ძმაკაცის“ დედა ის ქალბატონი აღმოჩნდა, რომელთან ერთადაც ზღვაზე ვერთობოდი (*იღიმის*)... წეღან ჩემი მეგობარი, ლაშა რომ ვახსენე, მას მაგრად გაუმართლა — წელს „სპონსორმა“ ანტალიაში წაიყვანა და არაჩვეულებრივი დრო გააატარებინა... შარშან, ჯერ კიდევ თბილისში ვიყავით, როცა მასთან ვიღაც ქალბატონმა დარეკა და უთხრა: — შენი ნომერი დაქალმა მომცა; ზღვაზე მარტო ვისვენებ, მოწყენილობისგან ვკვდები, იქნებ, ჩამოხვიდეო. იმ ქალს ძალიან მაგარი ხმა ჰქონდა და ლაშამაც სასწრაფოდ „გაჰქუსლა“, მაგრამ მეორე დღეს ყურებჩამოყრილი ჩამოვიდა, ლამის ტირილით მითხრა: — 58 წლის „ბაბო“ იყო და პროთეზის კაკუნით ლაპარაკობდაო (*იცინის*).

— „სპონსორ“ ქალბატონებს რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნა თუ აქვთ?

— ითხოვენ, რომ სულ მათ გვერდით ვიყო. სხვა გოგონას „შებმას“ თუ ვცდი, წასულია ჩემი საქმე (*იცინის*)!.. ვცდილობ, ამ ქალბატონებმა სასურველ ქალებად იგრძნონ თავი. ისე, ზღვაზე დასასვენებლად, რას არ გააკეთებს კაცი, არა (*იღიმის*)?!.

■

ალსარება

წერილი ჯოჯოხეთიდან

36 წლის ლელამ თავისი ჩანაწერები თურქეთიდან, კერძოდ კი სტამბოლიდან გამოგვიგზავნა და სათაურიც თავად შეურჩია — „წერილი ჯოჯოხეთიდან“...

„გამარჯობა, „გზავ“! შენ ჩემი ერთადერთი სიხარული ხარ. დიდი ხანია, საქართველოში არ ვყოფილვარ, მაგრამ თქვენი ჟურნალი ჩემამდე როგორღაც აღწევს და ახლა მინდა, ჩემ შესახებ გიამბო... იცი, მე არ მესმის, რატომ იბადებიან ჩემნაირები ან სულაც, წინაპრის ცოდვების გამო ჩვენ რატომ უნდა ვაგოთ პასუხი?!. ვიცი, ბავშვთა სახლში გაზრდილები იმაზე ოცნებობენ, რომ მშობლები იპოვონ და ოჯახს დაუბრუნდნენ, მე კი ძალიან მინდოდა, დედას ბავშვთა სახლში ჩავებარებინე...

7 წლის ვიყავი, როცა მამა გარდამეცვალა. ჩემთვის მისი სიკვდილი ტრაგედია კი არა, შვება უფრო იყო, რადგან მას არა მარტო დედა, არამედ მეც ვძულდი... ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეგონა. ის აგრესიული, გაბოროტებული, ყველაფრით უკმაყოფილო კაცი იყო და ხშირად მცემდა — გამეტებით, დაუზოგავად. დედა არ ან ვერ მიცავდა — ბევრჯერ მინახავს, თუ როგორ სცემდა მამა დედასაც... სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მამამ ცოლი ისე სცემა, რომ იატაკზე დაგდებულმა ქალმა ჩემ თვალწინ გააჩინა უდღეური ბავშვი. ის საცოდავი არსება ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ მამამ ექიმი არ გამოიძახა: კიდევ ერთი გომბიო არაფერში მჭირდებაო (ახალშობილი გოგონა იყო)!.. ამ ყველაფერს საწოლქვეშ შემძვრალი ვუცქერდი და ხმის ამოღების მეშინოდა. იმწუთას დედაც მკვდარი მეგონა, რადგან მის ფეხებთან სისხლის გუბე იდგა...

მამა მშენებლობაზე მუშაობდა და მესამე სართულიდან გადავარდა. საავადმყოფოში წაუყვანიათ, მაგრამ საოპერაციო მაგიდაზე დაულევია სული... კარგა ხანს მკვდარი მამისაც კი მეშინოდა. მესიზმრებოდა, რომ გაცოცხლებული შინ ბრუნდებოდა, მე და დედას ისევ გვცემდა...

დედას სამსახური არ ჰქონდა და მამის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრება ძალიან გაგვიჭირდა. იმის ნაცვლად, რომ მშობელს შევცოდებოდი, 7-8 წლის გოგო ქუჩაში გამაგდო, იმათხოვრეო. მემუქრებოდა: თუ საღამოს ფულს არ მოიტან, შინ არ შემოგიშვებო. ქუჩაში დგომის ძალიან მრცხვენოდა და ამიტომ ვეხვეწებოდი დედას, ბავშვთა სახლში მიმიყვანე-მეთქი, რაზეც ის მპასუხობდა, — იმიტომ გაგაჩინე, რომ ჩემ გვერდით იყო და მიპატრონო; თუ მათხოვრობა არ მოგწონს, სხვა საქმე აკეთე, მთავარია, ფული მომიტანოო!

ჩვენი სახლი ბაზართან ახლოს იყო და მამის გარდაცვალების შემდეგ, დედა ორ ოთახს გლეხებზე აქირავებდა. ასე გაიცნო ვინმე სერგო, რომელიც ალბათ, ჩვენს სახლს უფრო დახარბდა და დედა შეირთო. ის ორმოცს მიღწეული კაცი იყო, შრომა დიდად არ უყვარდა და ამიტომაც, ქალაქში გასაყიდად არა საკუთარი ხელით მოწეული მოსავალი, არამედ მეზობლების ჭირნახული ჩამოჰქონდა. დედა მასზე 14 წლით უმცროსი გახლდათ, მაგრამ უფრო ასაკოვნად გამოიყურებოდა... მამინაცვალი სამათხოვროდ აღარ მიშვებდა და სკოლაში სიარულიც დამაწყებინა — 9 წლის ასაკში პირველკლასელებს მივუჯექი გვერდით. წიგნს გული დიდად ვერ დავუდე და ამიტომაც, დედა ხშირად მეუბნებოდა: — მამაშენმა იმდენი გირტყა, ეტყობა, ტვინი გამოგილაყაო! — და შეიძლება, მართალიც იყო. 8 კლასი გაჭირვებით დავამთავრე, მასწავლებლები სამიანებს მჩუქნიდნენ...

13 წლისას ახალი უბედურება დამატყდა თავს — მამინაცვალმა „სხვანაირად“ დამიწყო ცქერა და როცა დედაჩემი შინ არ იყო, ერთი-ორჯერ კუთხეშიც მიმიმწყვდია. მართალია, ნამუსი არ ამხადა, მაგრამ... როცა ეს დედას მოვუყევი, არ დამიჯერა, პირიქით, სულ უმადური და უზნეო მეძახა: კაცი გაჭმევს, გასმევს და სკოლაში გატარებს, შენ კი რაებს უგონებ? გინდა, სახლიდან გავაგდო, მაგრამ ამას ვერ ეღირსებიო!.. ამის შემდეგ სერგომ შემიძულა. ეტყობა, შეეშინდა კიდეც და ძალადობა აღარ გაუბედავს, მაგრამ უხეშად კი მექცეოდა: — წადი, იმათხოვრე და თუნდაც, სხვას დაუწექი, ფული შენით იშოვე, ჩვენგან კი კაპიკსაც ვეღარ ეღირსებიო!.. მეზობელს შევეცოდე და დედას ურჩია, გავეთხოვებინე. მან თავადვე გამირიგა საკუთარი ნათესავი. გოჩა სოფელში ცხოვრობდა, დედამისი ლოგინად იყო ჩავარდნილი და ამიტომაც ჩქარობდა დაქორწინებას. მაშინ ის 19 წლის იყო, მე — მხოლოდ 14-ის... ქმრის ოჯახში უკიდურესი სიღატაკე და გაჭირვება დამხვდა. 16 წლისას უკვე ორი შვილი მყავდა — ჯერ გიო გაჩნდა, მერე მაკუნა. ახლა დიდები არიან, მაგრამ მათ შესახებ კარგა ხანია, არაფერი ვიცი...

ლოგინად ჩავარდნილ დედამთილს დიდხანს არ უცოცხლია, რადგან მისთვის არც წამალი იყო, არც საკვები და არც — სითბო. მათ თეთრეულიც კი არ ჰქონდათ; საბრალო ქალი ჭუჭყიან ლეიბ-

საბანში იწვა და მკბენარი ესია. ორი გათხოვილი მული მყავდა. მართალია, მდიდრები არ იყვნენ, მაგრამ იმდენი კი შეეძლოთ, რომ დედა თავისთან წაეყვანათ და ასეთ გაუსაძლის პირობებში არ ჰყოლოდათ, მაგრამ... გოჩასაც უყვარდა სასმელი. ხშირად, სადილისა და ღვინის გამო ეხმარებოდა სხვას და სულაც არ ედარდებოდა ავადმყოფი დედა ან ფეხმძიმე ცოლი, შვილები. თუ რამეს ვეტყოდი, მცემდა...

გიო 5 წლის იყო, მაკუნა კი 4-ის, როცა მორიგი ცემის შემდეგ გოჩამ სახლიდან გამომაგდო და კარი ჩაკეტა. მდინარისკენ გავიქეცი, მინდოდა, თავი დამეხრჩო, მაგრამ სამანქანო გზაზე გასულს გული წამივიდა. სატვირთო მანქანის მძღოლმა შემამჩნია და მომასულიერა. მკითხა, ვინ ვიყავი და დახმარება, უფრო სწორად, სახლში მიყვანა შემომთავაზა. მისთვის არ დამიმალავს, რომ თავის მოკვლა მქონდა განზრახული... ქალაქში მიდიოდა და ვთხოვე, — მეც წამიყვანე-მეთქი. იმწუთას დედაჩემთან მისვლა მქონდა გადაწყვეტილი — მინდოდა, მშობლისთვის მომეთხოვა პასუხი ყველა იმ უბედურებისთვის, რაც ჩემს თავს დატრიალდა და ისეთ ხასიათზე ვიყავი, შეიძლება, მომეკლა კიდეც...

ქალაქში გვიან ღამით ჩამოვედით. უკვე გონს მოსული მივხვდი, რომ მშობლიურ სახლში არ უნდა მივსულიყავი, რადგანაც იქ გოჩა აუცილებლად მიპოვიდა და სოფელში, იმ ჯოჯოხეთში დამაბრუნებდა. — თუ შეიძლება, დილამდე თქვენს მანქანაში დავრჩები! — ვთხოვე მძღოლს. გაკვირვებულმა შემომხედა და დანანებით მითხრა: — სახლში ვერ აგიყვან, რადგან ცოლი და შენი ასაკის შვილები მყავს, ისინი არ დაიჯერებენ, რომ ქუჩაში ნაპოვნი გოგო შეგიფარე; აქვე სასტუმროა, სადაც „რეისავიკი“ მძღოლები ჩერდებიან ხოლმე; დიასახლისი ჩემი ნაცნობია და იმას ვთხოვ, რომ დროებით შეგიფაროსო... ეს „დროებით“ 6 წელიწადი გაგრძელდა. დეიდა კლარას ანუ სასტუმროს დიასახლისს არ გავუმხილე, რომ სოფელში ქმარი და ორი შვილი მივატოვე; არც ის ვუთხარი, რომ ქალაქში დედა და მამინაცვალი მყავდა. ვუთხარი, — ბავშვთა სახლში გავიზარდე და ახლობლები არ მყავს-მეთქი. ამ ამბავმა კლარა ძალიან გაახარა, რადგანაც გართობის მოყვარულ მძღოლებს, რომელთა შორის უმეტესობა თურქი იყო, ახალგაზრდა ქალებითაც ამარაგებდა; არ დამიმალავს, რომ ქალწული აღარ ვიყავი და ცხადია, არც ეს სწყენია... ახლა, როცა ამ ამბიდან 16 წელია გასული, ველარც ვიხსენებ, გამიჭირდა თუ არა პირველი ნაბიჯის გადადგმა და ნამუსზე ხელის აღება... ალბათ გამიჭირდა, რადგან ბევრი დამცირება და შეურაცხყოფა ამიტანია კაცებისგან, რომლებიც ერთნაირად ბინძურები და ამაზრზენები იყვნენ...

ჩემი ოჯახის შესახებ ამბებს ჩუმად ვიგებდი. თურმე, ბავშვებს უჩემოდ გაუჭირდათ და გოჩამ ისინი დედაჩემს ჩაუყვანა, მაგრამ იმას თავის დროზე ჩემი მოვლით არ შეუწუხებია თავი და ჩემი შვილებისთვის შეწუხდებოდა?!. იმათაც სამათხოვროდ დაუპირა გაშვება. კიდევ კარგი, ჩემმა ერთ-ერთმა მულმა, რომელიც გათხოვილი იყო და ღმერთმა შვილი არ მისცა, გადაწყვიტა, ძმისშვილები ეშვილებინა... უმადური ვერ ვიქნები, იმან გადაარჩინა ჩემი გიო და მაკუნა, მართლა შვილებივით გაზარდა, მაგრამ მათ ჩემი თავი შეაძულა. ბავშვებს აშინებდა და ემუქრებოდა, რომ თუ ჩემს ხსენებას გაბედავდნენ, სახლიდან გაყრიდა. ისინიც არ მახსენებდნენ და ალბათ, ნელ-ნელა დამივიწყეს კიდეც. მამიდასა და ბიძას ეძახიან „დედას“ და „მამას“. გიო 21 წლისაა უკვე, მაკუნა — 20-ის. გოჩა რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა.

...დროთა განმავლობაში, დეიდა კლარას წყალობით, მუდმივი კლიენტები გამიჩნდა. ერთ-ერთმა თურქეთში გადასვლა შემომთავაზა: ფულსაც მეტს გაშოვნინებ და „ბიზნესშიც“ დაგეხმარებიო! მისი „ბიზნესი“ კი სხვა არაფერი იყო, თუ არა საუნა-ბორდელი, სადაც ძირითადად, ქართველი ქალები არიან დასაქმებულები, რადგან მათზე დიდი მოთხოვნაა... ახლა მეძავად აღარ ვვარგივარ — უკვე „დამივარდა ფასი“ და შეიძლება, არც დამიჯეროთ, მაგრამ სულით ბოზი მაინც ვერ გავხდი. ახლა ე.წ. „მამაშა“ ვარ და ფულს სხვა გოგონების ექსპლუატაციით ვშოულობთ მე და ჩემი „ბიზნესპარტნიორი“. გული მოგიკვდებათ, რომ ნახოთ, როგორი გოგოები მოდიან ბორდელში სამუშაოდ, ცხადია — საკუთარი ნებით. ძირითადად, ადრეულ ასაკში გათხოვილ-გამოთხოვილები არიან, შვილები საქართველოში ჰყავთ დატოვებული და ოჯახს ფულს უგზავნიან, ოღონდ რა თქმა უნდა, ახლობლებს არ უმხელენ, რა პირობებში და რა გზით შოულობენ ამ ფულს. ბევრი ამბობს, რომ ოფიციანტად, დამლაგებლად მუშაობს ან სულაც, მომღერლობას იბრალებს... თუმცა, თურქეთში სამუშაოდ ბევრი უპატიოსნესი ქალია ჩამოსული და მათ ისიც კი არ იციან, ბორდელი თუ არსებობს. საცოდავები, თურქ მოხუცებს უვლიან და ათასგვარ დამცირებას, შიმშილს იტანენ. თქვენ წარმოიდგინეთ, მათ თბილი წყლით დაბანის უფლებაც არა აქვთ. პატივს ვცემ ამ ქალების თავდადებას, მაგრამ ერთნაირად მძულს ყველა ქმარი, ვინც ცოლს ასეთ პირობებში სამუშაოდ უშვებს.

ძალიან მინდა, საქართველოში დავბრუნდე. იმაზეც ვოცნებობ, რომ შვილებმა ყველაფერი მაპატიონ და სულ ცოტათი მაინც გაამართლონ ჩემი საქციელი. მათგან არაფერს ვითხოვ, პირიქით — მინდა, ორივეს დახმარების ხელი გავუწოდო. წლების განმავლობაში სოლიდური თანხის დაგროვება შევძელი და შემიძლია, სადაც მოისურვებენ, შვილებს იქ ვუყიდო სახლი... სხვათა შორის, მათთან ურთიერთობის აღდგენა რამდენჯერმე ვცადე. თავიდან ყოფილ მულს, ჩემი შვილების გამზრდელს დავუკავშირდი — ნაცნობი მივუგზავნე, მაგრამ მან ჩემი სახელის ხსენებაც არ ისურვა, მის ქმარს კი თოფისთვისაც დაუვლია ხელი: თუ ჩვენი საცხოვრებლის სიახლოვეს გამოჩნდები, ტყვიას დაგახლი და თავსაც მოვიკლავო... ვინ იცის, იქნებ ეს წერილი ჩემმა შვილებმაც წაიკითხონ და ჩემთან შეხვედრა მოინდომონ. მე ხომ 20 წლის ანუ მათი ასაკის ვიყავი, როცა სახლიდან გამოვიქეცი. ფაქტობრივად, ჯერ კიდევ ბავშვი სასტიკი რეალობის წინაშე მარტო აღმოვჩნდი და ბევრი შეცდომაც დავუშვი... ვიცი, ბევრი გამკიცხავს და ქვასაც წამოავლებს ხელს, რათა ჩამქოლოს, ბევრი კი თქვენც გაგამტყუნებთ, რადგან ჩემნაირებს უთმობთ ყურადღებას, მაგრამ მერწმუნეთ, არც მე მიოცნებია ისეთ ცხოვრებაზე, რომელიც ბედისწერამ მარგუნა. ჰოდა, იქნებ ამიტომ მაინც აღარც შემაჩვენოთ და არ „დამმარხოთ ცოცხლად“...

დაბოლოს, მამაკაცებო, გთხოვთ, ნუ გამოუშვებთ საყვარელ ქალებს უცხოეთში — ნებაყოფლობით მონობაში სამუშაოდ, დაიცავით ისინი ჯოჯოხეთისგან!..

პატივისცემით, ლელა ქ-ძე“.

მოამზადა **ინგა ჯაყელმა**

ბედი კაცია

„აფხაზების გადარჩენილი ვარ“

რეზო ბიძიას წისქვილში ჩაწერილი ინტერვიუ

„მე გახლავართ რეზო ბარამია, სოხუმიდან“, — ასე გამეცნო კაცი, რომელიც მისივე ხელით აგებულ წისქვილში შემეგება, როდესაც დასაფქვავად სიმინდი მივუტანე... ჩარგლის ქუჩის №67-ში, ბატონი რეზოს გამჭრიახი გონებისა და ოსტატობის წყალობით, ერთი პატარა წისქვილი მუშაობს, რომელიც თავისი ფუნქციებით ჩვენში სწორედ რომ ნოუ ჰაუა: გარდა იმისა, რომ სიმინდს ფქვავს, მასში მანამდე, სპეციალური დანადგარით, ტაროს დამარცვლა, დასუფთავება და დახარისხება ხდება. ეს შრომისმოყვარე მოხუცი, როგორც პირველი წინადადებიდანვე შეიტყვეთ, სოხუმელი დევნილი გახლავთ და თავის გადარჩენის საშუალებად სწორედ ეს წისქვილი შეუქმნია...

ლალი ფაცია

— პროფესიით ხარატი ვარ. აგუძერაში ფიზიკო-ტექნიკურ ინსტიტუტში, შემდეგ კი სოხუმის ლუდის ქარხანაში ვმუშაობდი. ორივეგან ჩემი პროფესიით ვიყავი დასაქმებული. წარმოშობით მარტვილიდან გახლავართ, იქ დავიბადე და გავიზარდე. წლების შემდეგ კი სოხუმში სახლი ვიყიდე და დავსახლდი. ცხოვრობდი ბზიფის გზატკეცილზე. ბზიფის ჩიხი, №8 — ეს გახლდათ ჩემი მისამართი. შემდეგ იმ ადგილზე ლუდის ქარხანა გაფართოვდა და მოსახლეობას ჩვენი სურვილისამებრ, საცხოვრებელი ადგილის არჩევა შემოგვთავაზეს. ჰოდა, მეც მშენებარე მასივი — გუმისთა ავირჩიე... 4 შვილი მყავს — ორი ვაჟი და ორი ქალი. მეუღლე 1985 წელს დამეღუპა... მას მოულოდნელად, ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა და ოპერაცია გავუკეთეთ... ოპერაციიდან დიდხანს აღარ უცხოვრია...

— როდესაც აფხაზეთში საომარი მოქმედებები გაჩაღდა, იმ პერიოდში სად იყავით?

— სოხუმში. ვინ ელოდა ასეთ ამბავს?!. ნამდვილად არ მეგონა, რომ აფხაზეთს დავკარგავდით, მაგრამ სამწუხაროდ, ასე მოხდა... სოხუმის დაცემის შემდეგ, კარგი სამეზობლოს წყალობით, იქ დავრჩი და იქიდან მხოლოდ მეშვიდე თვეს დავაპირე წამოსვლა.

— მერე სოხუმში თქვენი ყოფნა საშიში არ იყო?

— როგორ არა, მაგრამ ხომ გითხარით, კარგი მეზობლების წყალობით, ხიფათს ავცდი... სხვათა შორის, აფხაზების გადარჩენილი ვარ... ყურადღებას მაქცევდნენ და დიდ პატივს მცემდნენ, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ჩემი იქ ყოფნა მაინც არ სიამოვნებდა. უთქვამთ: „რეზო ჩესტნი ჩელოვეკ, ნო ეგო სინ ვოევალ“... ამის შემდეგ მოვიდა ჩემი აფხაზი მეზობელი და მითხრა, — შენი აქ ყოფნა საშიშია. წამოდი, ჩემს მშობლებთან, მოქვში გადაგიყვანო (სოფელი მოქვი ოჩამჩირის გვერდითაა). დავთანხმდი და ბოლო ერთი თვე იქ დავყავი.

— თქვენი შვილები სოხუმიდან უკვე წასულები იყვნენ?

— კი, მარტვილის რაიონში, ჩემს ძმასთან იყვნენ... მე კი 1994 წლის აპრილში საბოლოოდ დავტოვე აფხაზეთი...

— წამოსვლისას არანაირი წინააღმდეგობა არ შეგქმნიათ?

— იმ დროს ხალხს საზღვარზე „პროპუსკით“ უშვებდნენ. ჩემი „პროპუსკით“ გამოშვება შეუძლებელი იყო, რადგან ჩემი სამსახურისა და ხელობის გამო აღრიცხვაზე ვიყავი აყვანილი. მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი გახლდით.

— ანუ ორგანიზაცია, რომელშიც მუშაობდით, დახურული (სამხედრო) ტიპის იყო?

— კი, მას სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა... ამიტომ წამოსვლისას დახმარება მეზობელ აფხაზს ვთხოვე. მან ინგირამდე მიმიყვანა, მაგრამ ისევ უკან დამაბრუნა. როდესაც ამის მიზეზი ვკითხე, მიპასუხა, — ინგირზე ჩემი კაცი არ დგას და რომ დაგაკავონ, მერე რა ვქნაო?!. მოკლედ, სანამ იქ მისი ნათესავი არ დაიგულა, აფხაზეთიდან არ გამომიშვა. ერთი შეხედვით, „აფხაზებმა გამომაპარეს“ ჰქვია ამას, მაგრამ სინამდვილეში, დიდი პატივისცემით გამომაცილეს — სუფრა გამიშალეს, სიყვარულით მადღეგრძელეს და გზა დამილოცეს... სამწუხაროა, რომ ყველანი საშინელი პოლიტიკის მსხვერპლნი შევიქენით... აბა, ჩვენ და აფხაზებს ომამდე რა გვქონდა გასაყოფი?! ერთმანეთთან შესანიშნავი ურთიერთობა გვქონდა. როცა ქართველები ამბობდნენ, — აფხაზეთი საქართველოაო, ზოგიერთ აფხაზს კი მოსდიოდა გული, მაგრამ ერთმანეთის დახოცვამდე მაინც არ მიდიოდა საქმე... ცხოვრებაში მათზე ისეთი არაფერი მითქვამს, რომ გაბრაზებულიყვნენ, არასდროს გამიღიზიანებია ისინი.

— მითხარით, — სოხუმში სახლთან სახელოსნო და ავტოფარეხი მქონდა, რომელიც საკუთარი ხელით ავაშენეო... თქვენი სახლ-კარი თუ გადაურჩა ომს?

— სახლი არ დანგრეულა, მაგრამ გაიძარცვა, ყველაფერი წაიღეს... ახლა ჩემს ყოფილ სახლში აფხაზი ცხოვრობს...

— თქვენი ნაცნობია?

— კი, ნაცნობია და მგონია, რომ თუ სოხუმში დაბრუნება იქნება, ის ჩემს სახლს აუცილებლად დამიბრუნებს...

— თუ მართლაც, დევნილების აფხაზეთში დაბრუნება მოხდა, რას იზამთ, დაბრუნდებით?

— დიდი სიამოვნებით. მერე რა, რომ 17 წელი გავიდა?!

— მითხარით, — ომის დროს ბევრი მძიმე რამის მომსწრე და თვითმხილველი ვარო...

— მართლაც, საშინელი რაღაცები ვნახე... ჩვენს უბანში დიდი მოსახლეობა იყო. უცებ გავიგონებდი ვიღაცის განწირულ ყვირილს, კივილს და უკვე ვხვდებოდი, რომ ის უნდა მოეკლათ და ასეც ხდებოდა — მას ავტომატის ჯერით ჩაცხრილავდნენ (*მოხუცს თვალზე ცრემლი, ყელში ბურთი ებჯინება, მაგრამ თავის შეკავებას ცდილობს. — ავტ.*)... მიუხედავად ამისა, იქაურობა მაინც არ მეთმობოდა. ვფიქრობდი, იქნებ, შვილებს აქაურობა როგორმე შევუნარჩუნო-მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი, არ გამოვიდა... საბოლოოდ კი ომის დამთავრებიდან მეშვიდე თვეს მივხვდი, რომ ჩემი ყველანაირი მცდელობა ამაო იყო.

— მაშინვე თბილისში ჩამოხვედით?

— არა, ჯერ ბათუმში ჩავედი, რადგანაც ჩემები უკვე სასტუმრო „მესხეთში“ იყვნენ დაბინავებულები. ბათუმში სახსტანდარტის ლაბორატორიის ფილიალი იყო, სადაც მექანიკოსად მოვეწყვე. ერთხელაც მაღალი ძაბვის ლაბორატორია დარბევას გადავარჩინე. ეს საქმე იმ დაწესებულების ხელმძღვანელმა, გვარად დათიაშვილმა დამიფასა და 1998 წელს თბილისში გადმოსვლა შემომთავაზა: — წამოდი ჩემთან, მუშაობასაც დაგაწყებინებ და საცხოვრებელ ფართსაც გამოგიყოფ ჩვენი ინსტიტუტის ტერიტორიაზეო. მან



ყველანი საშინელი პოლიტიკის მსხვერპლნი შევიქენით... აბა, ჩვენ და აფხაზებს ომამდე რა გვქონდა გასაყოფი?!

ჩემი ხელობისთვის „ოქროსხელება“ შემარქვეს...

სიტყვა შეასრულა, უდიდესი ყურადღება მომაქცია და ამიტომაც, მისი უზომოდ მადლობელი ვარ. შემდეგ ის ფართობი, რომელშიც დღემდე ვცხოვრობ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დამიმტკიცა (სულ 76 კვადრატული მეტრია). ნოემბერში ჩემი შვილები საცხოვრებლად მოსკოვიდან თბილისში გადმოდიან (იქ ცხოვრება აღარ ღირს), ოჯახი გაიზრდება, ყველანი ერთად ვიქნებით და არსებული ფართობი აღარ გვეყოფა. ჩემ წინ, პირველ სართულზე, პატარა გამოუყენებელი ფართობია, რომელიც მინდა ავითვისო და მასზე მიშენების ნებართვაც მოვიპოვო. ახლა ეს საზრუნავი მაქვს და იქნებ, მერია ამ საქმეში დამეხმაროს.

— სადაც ახლა ვიმყოფებით, ეს თქვენი სამუშაო ადგილია. პროფესიით ხარატი, დღეს საკუთარ თავს მეწისქვილეს უწოდებთ?

— არასდროს მეგონა, რომ მეწისქვილე გავხდებოდი, მაგრამ სიბერეში თავი ხომ უნდა მერჩინა და სხვასაც მოვმსახურებოდი?! ახლა ესაა ჩემთვის მთავარი. საკუთარი ხელით ისეთი წისქვილი გავაკეთე, სადაც მანქანა სიმინდის მარცვალს თავისით ასუფთავებს, ახარისხებს და ფქვავს. არ არსებობს წისქვილი, თაგვი რომ არ ჰქონდეს „გამონაფქვავი“, მაგრამ ეს დანადგარი, როცა სამუშაოს დაავამთავრებ, ისე გერმეტულად იხურება, რომ აქ თაგვი კი არა, ჭიანჭველაც ვერ შევა. ყველაფერი წესისა და ნორმის დაცვით შევქმენი. მხოლოდ წისქვილის ქვა და ძრავა ვიყიდე, დანარჩენი საკუთარი ხელით მაქვს გაკეთებული. აბა, ყველაფრის შესაძენად ფული სად მქონდა?! რკინები, „უგოლნიკები“ რომ მეშოვა, ჯართის მიმღებ პუნქტში დავდიოდი, ორჯერ მეტ რკინას ვაბარებდი და რაც მესაჭიროებოდა, იქიდან ის მასალა მომქონდა.

— წისქვილი როდის გამართეთ?

— 5 წლის წინ ავამუშავე. ისე, ბევრმა არც იცის მისი არსებობის შესახებ, თორემ ისეთი ფუნქციების მქონე წისქვილია, ხალხი აეროპორტის დასახლებიდანაც კი მოვიდოდა (*იცინის*). მაგრამ ეს არაფერი, გასაკეთებელი კიდევ ბევრი მაქვს...

— რის გაკეთებას აპირებთ?

— ეს წისქვილი ისეა გაკეთებული, რომ ჩემს შვილიშვილებს სიბერემდე ეყოფათ, მაგრამ ახლა მინდა, მათ ერთი „ზაპასნოი“ ქვა დავუტოვო (*იცინის*)... საერთოდ, ტექნიკა ძალიან მიყვარს. ხელი რისთვისაც მომიკიდია, თითქმის ყველაფერი გამიკეთებია. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, 1967 წელს, ჩემი ხელობისთვის „ოქროსხელება“ შემარქვეს... აქაურობა ცოტა ხნის წინ ერთმა ახალგაზრდა კაცმა — გიგა ბიწაძემ ნახა და ძალიან მოეწონა. ნიჭიერი ბიჭია, თან, მისი ნახელავიც მომეწონა და ჩემი გამოცდილება გავუზიარე, შეიძლება ითქვას, რომ იდეაც ვაჩუქე. ასე რომ, ცოტა ხანში მეორე ასეთი წისქვილი მასაც ექნება.

— საერთოდ, ამ ხელობას ასე კარგად სად დაეუფლეთ?

— ხონში სახელოსნო სასწავლებელი მაქვს დამთავრებული; მერე ქუთაისის ავტოქარხანაში გავიარე პრაქტიკა, სადაც ბევრი რამ ვისწავლე. როცა აგუძერაში მუშაობა დავიწყე, მეგონა, ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ გაირკვა, რომ მანამდე არაფერიც არ მცოდნია და ხელობას სერიოზულად სწორედ იქ დავეუფლე.

— ისეთ ადგილას ვმუშაობდი, ყველაფერი დახურული, გასაიდუმლოებული იყო, — თქვით. არც ახლა შეიძლება რაიმეს თქმა?

— ისეთ ადგილას ვმუშაობდი, რომ ვთქვათ, თუ სამსახურიდან წამოვიდოდი, 10 წლის განმავლობაში ქვეყნის დატოვება, სადმე ტურისტად წასვლა არ შემეძლო.

— რა მზადდებოდა იქ?

— ბევრი რამ — მთავარის გამოსაცდელი ხელსაწყოები, სხვადასხვა დეტალი, იარაღი... ყოფილ საბჭოთა კავშირში, როგორც ვიცი, ასეთი სულ 7 ინსტიტუტი იყო. იქ მუშაობა ჯანმრთელობისთვის საზიანო გახლდათ. უსაფრთხოების წესებსა და ნორმებს თუ არ დაიცავდი, შეიძლებოდა, რაიმე დაავადება შეგყროდა. დეტალებს ისეთი მასალისგან ვამუშავებდით, რომლებიც ჯანმრთელობისთვის საზიანო იყო. ზოგიერთ ნახაზს ეწერა, — ამ დეტალის დამუშავების პროცესში ნიღაბი გაიკეთეთ და დამუშავების შემდეგ ხელი დაიბანეთო. რძესაც გვაძლევდნენ, დიდ ყურადღებას გვაქცევდნენ...

— ახლა წარსული ცხოვრებიდან ყველაზე ხშირად რა გახსენდებათ?

— აფხაზეთში გატარებული წლები, იქაური ბუნება... ჩავსვამდი ბავშვებს მანქანაში და სად არ დამყავდა?!. მაშინ ვამბობდი, — ნეტავ, როგორ ცხოვრობს ხალხი უმანქანოდ და უტელეფონოდ-მეთქი, — და თურმე, სად ვიყავი?! რა ვიცოდი, რა მელოდა?! შემდეგ წლებში რაც მე ამ ცხოვრებამ მანახვა, იმას რა მოჰყვება?!. მთელი წლები შრომასა და წვალებაში გავლიე.

— თქვენი მეუღლის საფლავი სოხუმშია?

— დიახ. მას 5 წლის განმავლობაში აკითხავდნენ და უვლიდნენ, მაგრამ მერე იმ ადამიანებთან კავშირი დავკარგე... ახლა მე და ჩემი შვილები თბილისში, ჩარგლის ქუჩაზე, სანზონაში, ლტოლვილების დასახლებაში ვცხოვრობთ — ასე ჰქვია აქაურობას, მე-8 საავადმყოფოსთან ახლოს...

— გამძლეობას, ჯანმრთელობასა და წარმატებებს გისურვებთ!

■

სამყარო

უნიკალური ძეგლი — მოქვის სახარება დაღუპვის პირასაა მისული

1300 წელს დანიელ მოქველ მთავარეპისკოპოსის შეკვეთით ეფრემმა — მხატვარ-მინიატურისტმა, კალიგრაფმა გადაწერა სახარება, რომელიც ჩვენთვის მოქვის სახარების (მოქვის ოთხთავის) სახელითაა ცნობილი. მოზრდილი ფორმატის, კლასიკური ნუსხურით შესრულებული ეს ოთხთავი მორთული საზედაო ასოებისა და მინიატურების რაოდენობის მხრივ უმდიდრესადაა აღიარებული. წიგნში 531 საზედაო ასო და 152 მინიატურაა. სამწუხაროდ, დღეს მოქვის სახარება სავალალო მდგომარეობაშია, მისი გადაშლაც კი დიდ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან სხვადასხვა საღებავით შესრულებული მინიატურები და საზედაო ასოები იშლება.

„ყოველი წუთი ზიანს აყენებს...“

ლელა ჯიყაშვილი



მოქვის სახარებას უმძიმესი და უმდიდრესი ყდა აქვს, რომელიც ვერცხლითაა შემკული და თავისთავადაც, ხელოვნების უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს. დღეს ყდა ცალკე ინახება, წიგნი — ცალკე, რადგან ყდის სიმძიმე დაზიანებულ მინიატურებს უფრო მეტად დაშლის და გაანადგურებს.



ჯერ კიდევ ათეულობით წლების წინ განგაშის ზარს შემოჰკრეს მეცნიერებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა — მოქვის სახარება გადასარჩენი იყო; იგივე მდგომარეობაა დღესაც — ძეგლის გადარჩენის საკითხი დგას. ჩვენ მივაკვლიეთ რესტავრატორს — ქალბატონ ლია სიხარულიძეს, რომელიც წლების წინ მუშაობდა მოქვის სახარების აღდგენაზე, და ვთხოვეთ, აეხსნა, რა მდგომარეობაშია ეს სახარება და რისი გაკეთება შეიძლება. ქალბატონმა ლიამ სპეციალური აპარატურით გადაღებული ფოტოები გვიჩვენა, სადაც კარგად ჩანს, როგორ დაშორებია საღებავი ეტრატს; საკმარისია, ზედმეტი ჰაერის მოძრაობა და ის დაიფშვნება და დაიფანტება. არსებობს გასული საუკუნის 70-იან წლებში გადაღებული ფოტოები. ათწლეულების შემდეგ სხვაობა უდიდესია — დაზიანებები გაათმაგებულია!

ლია სიხარულიძე, *რესტავრატორი*:

— 1904 წელს მოქვის სახარება ჯერ კიდევ კარგ მდგომარეობაში იყო. მხატვარმა პოლტარეცკიმ მისი მინიატურების ასლები შეასრულა, რომელთა მიხედვით შეგვიძლია ვნახოთ, რამდენაა დაზიანებული სახარება ამ წლების განმავლობაში. სხვათა შორის, ხელნაწერი ძალიან დაზიანა იმანაც, რომ 24 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ იყო. ლაქების მიხედვით ირკვევა, რომ ეტრატი დანესტიანებულიც ყოფილა... სავალალო მდგომარეობაშია თვით ეტრატიც, ამიტომ სახარებას მართლაც სასწრაფო შველა ესაჭიროება.

— თქვენ როდის მუშაობდით სახარების აღდგენაზე?

— ეს დაახლოებით 25 წლის წინ იყო. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მე, როგორც კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელი, 36 წლის მანძილზე ვეცნობოდი ბევრ სარესტავრაციო ცენტრს. რესტავრაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მინიატიურების გამაგრების სფეროში უმაღლესი კვალიფიკაციის რესტავრატორი იყო გალინა ბიკოვა. სწორედ მან შემასწავლა, როგორ უნდა მემუშავა მოქვის სახარების მინიატიურებზე. საკუთარი სახსრებით შევიძინე აპარატურა, რომელიც ადგენს ხელნაწერებში ფერადი შრის მდგომარეობას. საქართველოში ჩამოვიტანე ისიც და სპეციალური წებოც, რომელიც შეკვეთით მზადდებოდა. ჯერ მინიატიურები სხვა ხელნაწერზე გავამაგრე, მერე — მოქვის სახარებაზე. ძალიან კარგი შედეგი მივიღე. ადრე მინიატიურების გასამაგრებლად წვრილად დაჭრილი ეტრატისაგან მოხარშულ წებოს იყენებდნენ, მაგრამ ამან არ გაამართლა: აწებებდნენ თბილი წებოთი, გაცივებისას კი ის შუშისებური და უხეში ხდებოდა, კიდევ უფრო მტვრევადს ხდიდა ფერად შრეს. წებო, რომელიც მე ჩამოვიტანე, სპირტზეა დამზადებული, აქროლადია, მალე შრება და უხეშ, მტვრევად აპკს არ ტოვებს. მისი დაწვეთების შემდეგ თავად იშლება ცარიელ ადგილზე და ბრწყინვალედ ამაგრებს მინიატიურას. წარმატებით აღვადგინეთ 12 მინიატიურა და 8 თავსართი ასო. ახლაც, როცა მესმის, რომ მოქვის სახარების გადარჩენის საკითხი დგას, მზად ვარ, ჩემი აპარატურაცა და შეძენილი გამოცდილებაც მოვახმარო მის აღდგენას. დრო მართლაც, აღარ ითმენს, ყოველი წუთი კიდევ უფრო მეტ ზიანს აყენებს დაზიანებულ მოქვის სახარებას.

ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესია

ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ავტოკეფალია ყველაზე გვიან, ამერიკის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოიპოვა.

შორენა მერკვილაძე

ამერიკაში მართლმადიდებლობის გავრცელება ალასკიდან დაიწყო. როგორც ვიცით, 1867 წლამდე ალასკა რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა, შემდეგ კი რუსეთმა ამერიკას მიჰყიდა. ამ დრომდე ალასკაზე, ადგილობრივ აბორიგენებს შორის, რუსი მისიონერები ქადაგებდნენ. XVIII საუკუნეში — 1794 წელს ვარლამის მონასტრის ბერები ჩავიდნენ არქიმანდრიტ იოსაფის მეთაურობით. მათ ადგილობრივ ტომებს — ალეუტებს, ესკიმოსებსა და ინდიელებს შორის ქრისტიანობა იქადაგეს და საკმაო წარმატებასაც მიაღწიეს, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ქრისტიანობაზე მოექცა; დაარსდა პირველი ეკლესია. 1796 წელს ქრისტიანულ სჯულზე მოქცეულთა რიცხვმა 12 ათასს მიაღწია, ამიტომ საჭირო გახდა, საკუთარი ეპისკოპოსი ჰყოლოდათ. ეპისკოპოსად არქიმანდრიტ იოსაფს დაასხეს ხელი. ხელდასხმა ირკუტსკში მოხდა, მაგრამ სამწუხაროდ, პირველმა ეპისკოპოსმა სამწყსომდე ვერ ჩააღწია — როდესაც ალასკაზე ბრუნდებოდა, მისი ხომალდი ოკეანეში ჩაიძირა. ამის შემდეგ ამერიკაში სამისიონერო საქმიანობა შეფერხდა. საეპისკოპოსო კათედრის აღდგენა მხოლოდ 1840 წელს გახდა შესაძლებელი. ჩრდილოეთ ამერიკის საეპისკოპოსო კათედრის ეპისკოპოსად დადგენილ იქნა მღვდელი იოანე ველიამინოვი, რომელიც 1824 წლიდან მოღვაწეობდა ამერიკაში. იგი კამჩატკის, კურილიისა და ალეუტის ეპისკოპოსად იწოდებოდა. საეპისკოპოსო კათედრა კუნძულ სიტკაზე, რუსეთის ამერიკული სამფლობელოს ადმინისტრაციულ ცენტრში, ქალაქ ნოვოარხანგელსკში მდებარეობდა.

1867 წელს, როგორც ვთქვით, რუსეთმა ალასკა აშშ-ს მიჰყიდა, მაგრამ მღვდელმთავარ ინოკენტის მოთხოვნით, ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ ამ ტერიტორიაზე არსებული, რუსეთის კუთვნილი ყველა ტაძარი და მიწის ნაკვეთი, რუსეთის ეკლესიის მფლობელობაში დარჩენილიყო.

1872 წელს საეპისკოპოსო კათედრა ნოვოარხანგელსკიდან სანფრანცისკოში გადაიტანეს. ამერიკაში მოქმედ ეპარქიას ალეუტისა და ალასკის ეპარქია ეწოდა.

XIX საუკუნის ბოლოს, დასავლეთ უკრაინიდან და იმიერკარპატიდან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში მასობრივი ემიგრაცია დაიწყო. მიგრანტთა უმეტესობა უნიატები იყვნენ, რომლებმაც ამერიკაში მართლმადიდებლობა მიიღეს, ტაძრები ააშენეს და ღვთისმსახურების აღსასრულებლად, რუსი მართლმადიდებელი სამღვდელოება მიიწვიეს...



ეკლესია კუნძულ სიტკაზე

1889 წელს ამერიკაში კათოლიკე მღვდელი ალექსი ტოვთი ჩავიდა, რომელიც მინეაპოლისში არსებულ, კარპატოსების უნიატურ სამრევლოს ჩაუდგა სათავეში, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მამა ალექსი მრევლითურთ, მართლმადიდებლად მოექცა. მის მაგალითს სხვა უნიატურმა თემებმაც მიჰბაძეს — 1891-1914 წლებში ამერიკის რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას 120-მდე უნიატური სამრევლო შეუერთდა. 1916 წელს მათ საფუძველზე, პიტსბურგის ეპარქია ჩამოყალიბდა, რომლის პირველი ეპისკოპოსი გახდა სტეფანე (ძიუბაი).

XX საუკუნის დასაწყისში ალეუტისა და ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის ცენტრი (ეს სახელწოდება მან 1900 წელს მიიღო) სან-ფრანცისკოდან ნიუ-იორკში გადაიტანეს. 1907 წელს კი ეპარქიას — ჩრდილოეთ ამერიკის რუსული მართლმადიდებელი ეკლესია ეწოდა... ამავე პერიოდში ამერიკის ეკლესიაში ძალზე რთული ვითარება შეიქმნა:

1924 წელს, ჩრდილოეთ ამერიკის მიტროპოლიტ პლატონის ინიციატივით, დეტროიტში შეიკრიბა ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის კრება, რომელზეც რუსეთის უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებასთან კონსულტაციის გარეშე, ამერიკის ეკლესიის ავტონომია გამოაცხადა. პასუხად რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა მიტროპოლიტი პლატონი ეპარქიის მმართველობისგან გაათავისუფლა, მაგრამ პლატონი პატრიარქის ბრძანებას არ დაემორჩილა. ამ ამბის შემდეგ, რუსეთისა და ამერიკის ეკლესიებს შორის ურთიერთობა დაიძაბა.

რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ალასკაზე

უთანხმოება კარგა ხანს გაგრძელდა. 1933 წელს რუსეთის ეკლესიის პატრიარქის მოვალეობის შემსრულებელმა, მიტროპოლიტმა სერგიმ ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიაში არსებული ვითარების გასარკვევად, მთავარეპისკოპოსი ბენიამინი მიავლინა, მაგრამ მიტროპოლიტ პლატონისა და მისი მიმდევრების შემორიგების მცდელობა კვლავ უშედეგოდ დასრულდა. 1933 წლის 16 აგვისტოს მიტროპოლიტ სერგისა და რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, მიტროპოლიტ პლატონს ღვთისმსახურება აეკრძალა. ამერიკის რუსული ეკლესიის ეპისკოპოსად კი — მოსკოვის საპატრიარქოს ეგზარქოსის ტიტულით — მეუფე ბენიამინი დაინიშნა, მაგრამ მიტროპოლიტი პლატონი რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებას მაინც არ ემორჩილებოდა და ეპარქიის მართვას ცდილობდა. 1934 წელს პლატონი გარდაიცვალა, მაგრამ ვითარება არც ამის შემდეგ მოწესრიგებულა — მისი საქმიანობა მიტროპოლიტმა თეოფილემ გააგრძელა, რომელიც 1950 წელს, დედაეკლესიასთან შეურიგებლად გარდაიცვალა.

1965 წელს ამერიკის ეკლესიას სათავეში ჩაუდგა მიტროპოლიტი ირინეოსი, რომლის დროსაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. მოლაპარაკებების შედეგად, რუსეთის ეკლესიამ ამერიკის მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა. ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმნენ კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და ელადის ეკლესიები. მათ არ ცნეს ამერიკის ეკლესიის ავტოკეფალია, რადგან მხოლოდ ერთი საპატრიარქოს მიერ ავტოკეფალიის მინიჭება არაკანონიერ ქმედებად მიიჩნიეს.

ამჟამად ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესია აერთიანებს 16 ეპარქიას, რომელშიც 500-ზე მეტი სამრევლო შედის. მოქმედებს 4 მამათა და 2 დედათა მონასტერი, ასევე — წმინდა ვარლამის სახელობის სასულიერო აკადემია (ქალაქ კრესტვუდში, ნიუ-იორკის მახლობლად), რომელიც 1938 წელს დაარსდა. აქვთ 2 სასულიერო სემინარია. გარდა ამისა, 1973 წელს ამერიკის ეკლესიის უძველეს ეპარქიაში — ალასკაზე გაიხსნა წმინდა გერმანე ალასკელის სახელობის სემინარია, რომლის ძირითადი დანიშნულება აბორიგენი მოსახლეობის სასულიერო განათლებაა.

რამდენიმე წლის წინანდელი მონაცემებით, ამერიკაში სულ 4 მილიონზე მეტი მართლმადიდებელი ცხოვრობს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათი რაოდენობა სხვა კონფესიებიდან მოქცეულთა ხარჯზე დღითი დღე იზრდება, დღეისათვის მათი რიცხვი გაცილებით მეტი უნდა იყოს. ამერიკაში მცხოვრებ მართლმადიდებელთაგან, უშუალოდ ამერიკის ავტოკეფალიური ეკლესიის მრევლი მილიონზე მეტია, მართლმადიდებელთა დანარჩენი ნაწილი სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფება — ესენი არიან ემიგრაციაში მყოფი მართლმადიდებლები, რომლებიც იმ ქვეყნების ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების დაქვემდებარებაში იმყოფებიან, საიდანაც არიან ჩასულნი. ამერიკაში, გარდა ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიისა, თითქმის ყველა ადგილობრივ ეკლესიას აქვს თავისი წარმომადგენლობა — ეპარქია. არსებული წესის თანახმად, ხშირად იწვევენ ამერიკაში წარმოდგენილი, ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანებულ კრებას, რათა იქ მცხოვრები მართლმადიდებელი მღვდელმთავრები და საერთოდ, მართლმადიდებლები ერთმანეთს დაუკავშირდნენ.

ამჟამად, ამერიკისა და კანადის უმაღლესი მღვდელმთავარი არის უნეტარესი იონა — მიტროპოლიტი სრულიად ამერიკისა და კანადისა.

ამერიკაში მართლმადიდებლურ სჯულზე ტრადიციის გამო არავინ ექცევა — როგორც ეს უძველეს მართლმადიდებლურ ქვეყნებში ხდება; მაგალითად, ჩვენში ზოგჯერ ადამიანი მართლმადიდებლურად მხოლოდ ტრადიციის გამო ინათლება, შემდეგ ეკლესიურად ცხოვრებას არ აგრძელებს. ამერიკაში მცხოვრებ მართლმადიდებელთა ცხოვრების წესი კი მთლიანად ეკლესიურ ცხოვრებაზეა აგებული, ქრისტიანული ცხოვრების სიმტკიცით გამოირჩევიან. რამდენიმე წლის წინ მოხდა ასეთი ფაქტი: 16 პროტესტანტი პასტორი, თავიანთი ოჯახებითურთ, მართლმადიდებლობაზე მოექცა; მათ ქალაქში არსებული მთელი ქონება გაყიდეს, ერთობლივად შეიძინეს ფერმა და იქ დასახლდნენ, რათა ამქვეყნიურ საცდურებს მეტად გაშორებოდნენ და მტკიცე ქრისტიანული ცხოვრებით ეცხოვრათ.

ალასკის დედაქალაქი — ნოვოარხანგელსკი

ამერიკის ტერიტორიაზე საქართველოს ეკლესიასაც აქვს ეპარქია, რომლის მღვდელმთავარიც არის ბათუმის მიტროპოლიტი დიმიტრი. ქართველი სამღვდელოება აქტიურად მოღვაწეობს, საკმაოდ ჰყავს ქართველი მრევლიც. ■

დისკვალიფიკაციას გადარჩენილი ოლიმპიური ჩემპიონი

რომის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან 16 სპორტსმენი მონაწილეობდა. ზოგ მათგანს უკვე ჰქონდა ოლიმპიურ ტურნირებში ასპარეზობის გამოცდილება და იტალიურ მედალსაც დაეუფლა, მაგრამ 1960 წლის ზაფხულის ბოლო დღე ისე ილეოდა, ქართველებს ჯერ ოქროს ჯილდო არ მოუპოვებიათ. მთავრდებოდა კლასიკური სტილით მოჭიდავეთა შეხვედრებიც. ფინალში გივი კარტოზია და ავთანდილ ქორიძე გავიდნენ, მაგრამ რომელი სინჯის ჯილდოს დაისაკუთრებდნენ, ეს არავინ იცოდა. პირველობის შანსი უფრო, მელბურნის თამაშების ჩემპიონს — კარტოზიას ჰქონდა, თუმცა ქორიძეც კარგად ჭიდაობდა. მან მხოლოდ გამოცდილ ფინელთან, ლეჰტონენთან შეხვედრა დაამთავრა ფრედ, დანარჩენ მეტოქეებს კი აშკარა უპირატესობით მოუგო.



დამარცხებულმა „რკინის ფრეიმ“ აღიარა, რომ იგი დიდი ხანია, არ შეხვედრია ასეთ ძლიერ და საინტერესო მეტოქეს

გოგი ფრანგიშვილი

მაშინდელი წესებით, ფინალში 3 ფალავანი გადიოდა და მედლებსაც ისინი ინაწილებდნენ. ავთანდილთან ერთად, ოქროსათვის ბრძოლას იუგოსლავიელი ბრანკო მარტინოვიჩი და ბულგარელი დიმიტრ სტოიანოვი აგრძელებდნენ. სწორედ ამ უკანასკნელთან შეხვედრა აღმოჩნდა ქართველისათვის აბსურდული ვერდიქტის გამოტანის მიზეზი. ერთ-ერთ მომენტში სტოიანოვი ბეჭებით შეეხო ხალიჩას. მსაჯებმა რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ის განგებ „დაუწვა“ საბჭოთა სპორტსმენს და ორივე მოხსნეს ტურნირიდან. არადა, მსაჯები აშკარად შეცდნენ — მათი აზრი ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული იყო. ბულგარელს თავად ჰქონდა ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი და რატომ უნდა დაეთმო ორთაბრძოლა?! მიუხედავად ამისა, დასტური ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის — ფილას პრეზიდენტმა როუე კულინმაც მისცა და მსაჯთა ვერდიქტი ძალაში დატოვა. ავთანდილ ქორიძე ხალიჩის კუთხეში იდგა და სიმწრის ცრემლს ძლივს იკავებდა...

მსუბუქ წონით კატეგორიაში, რომელშიც ავთანდილ ქორიძე ჭიდაობდა, საბჭოთა ნაკრებს ძალზე უჭირდა. მწვრთნელები ხშირად ცვლიდნენ ფალავნებს, მაგრამ ვერც მსოფლიოს ჩემპიონატებში და ვერც ოლიმპიურ თამაშებში ვერ იმარჯვებდნენ. ქორიძე იმ პერიოდისათვის არანაირ ტიტულს არ ფლობდა, სამაგიეროდ, საერთაშორისო ტურნირებში ერთთავად იმარჯვებდა. იგი უნიკალური მოჭიდავე იყო, ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯებოდა და ორთაბრძოლის დროს მისი დაღლა შეუძლებელი იყო. მის შეტევებს მეტოქეები იშვიათად უძლებდნენ — ენერგია აღარ ჰყოფნიდათ. ერთ-ერთ ილეთს, რომელსაც მოჭიდავეები „ვერტუშკას“ ეძახიან, ყველასაგან განსხვავებულად აკეთებდა. კისერზე რომ დაედო ხელი მეტოქეს, ფეხები უკვე ჰაერში ჰქონდა; თითქოს თავად უნდა მოყოლილიყო ქვევიდან, მაგრამ ბოლო მომენტში რაღაცნაირად ტრიალდებოდა და მოწინააღმდეგეს ბეჭებზე აწვენდა...

1958 წელს თბილისში შვეციის ნაკრები ჩამოვიდა. შვედებს იმხანად ძლიერი გუნდი ჰყავდათ და ქართველებისა და სკანდინავიელების სამატჩო შეხვედრის სანახავად, თბილისის ცირკი პირთამდე გაივსო. ქორიძეს მეტოქედ ძალზე გამოცდილი გუსტავ ფრეი ერგო, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. ფიზიკურადაც ძალზე ძლიერი იყო, ამიტომაც მას „რკინის ფრეის“ ეძახდნენ. კულისებში აწონის დროს ფრეის თვალი შეუვლია ახალგაზრდა ქორიძისათვის და გაღიმებია — ალბათ იფიქრა, ადვილად დავამარცხებო. მაგრამ ორთაბრძოლის დასაწყისშივე თავადვე მიხვდა, რომ ქართველი სულაც არ იყო უხეირო ბიჭი. უკვე მეორე წუთზე ქორიძემ ხიდზე დააყენა ფრეი, რომელმაც ამჯერად გამოძრომა მოახერხა. ცოტა ხანში კვლავ იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა და ხალიჩას ბეჭებითაც შეეხო, მაგრამ სტუმრების მსაჯმა ჯერ „ტუშე“ დააფიქსირა, შემდეგ კი გადაწყვეტილება შეცვალა. შეხვედრა მაინც ავთანდილმა მოიგო. დამარცხებულმა „რკინის ფრეიმ“ აღიარა, რომ იგი დიდი ხანია, არ შეხვედრია ასეთ ძლიერ და საინტერესო მეტოქეს და რომ ქორიძე მომავალში მსოფლიოს ჩემპიონი გახდებოდა.

ტიტულოვანი შვედის გარდა, ქორიძის დიდი სპორტსმენობა კიდევ ერთმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა — უკრაინელმა იაკობ პუნკინმა იწინასწარმეტყველა. საბჭოთა კავშირის 1955 წლის ჩემპიონატში თბილისელი და ზაპოროჟიელი ფალავნები პირველ წრეშივე შეხვდნენ ერთმანეთს. დგომში ჭიდაობისას, ქულა ვერც ერთმა ვერ აიღო. შემდეგ, ჩოქბჯენში ჯერ ქორიძე დააყენეს, მაგრამ პუნკინმა კვლავ ვერაფერი მოუხერხა ქართველს, ხოლო როდესაც ავთანდილის ჯერი დადგა, მან მეტოქე ადვილად მოსწყვიტა ხალიჩას, გადაატრიალა და ორი ქულაც აუღო. ქორიძის ეს გამარჯვება სარატოვში გამართული საკავშირო ჩემპიონატის მთავარი სენსაცია გახდა, ხოლო თავად პუნკინი მოგვიანებით იხსენებდა:

— მაშინ ქორიძის წყალობით, მეხუთედ გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი: ამ მარცხით გამწარებულმა, ყველა დანარჩენი შეხვედრა მოვიგე, საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებს კი ვუთხარი, ეს ბიჭი შორს წავა-მეთქი. ქვეყნის მთავარ გუნდში ავთანდილ ქორიძე პირველად სწორედ მაშინ მიიწვიეს. მისი დებიუტი ნაკრების შემადგენ-



მწვრთნელთან – პეტრე იორდანიშვილთან ერთად

ლობაში ფინელებთან ამხანაგურ შეხვედრაში შედგა. მოსკოვის სპორტის სასახლეში ქართველმა ფალავანმა შანსი არ დაუტოვა ფინეთის ჩემპიონს ერმო

დიდი შედეგების მოსაპოვებლად, მხოლოდ ბუნებრივი მონაცემები არ არის საკმარისი. როგორც ჩანს, ეს თავადაც იცოდა და თავდაუზოგავად ვარჯიშობდა

ვიაჰასეირინს. ლამაზი ილეთებით ზედიზედ რამდენჯერმე დაატრიალა და სოლიდური უპირატესობითაც მოუგო. ქორიძემ ჩინებულად იჭიდავა მომდევნო საერთაშორისო ტურნირშიც. 1957 წელს მოსკოვშივე, მესამე საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშები გაიმართა, რომელშიც ჩვენმა ათლეტმა კვლავ ყველა მეტოქეს სძლია და პირველობაც დამსახურებულად მოიპოვა.

ავთანდილ ქორიძემ ჭიდაობაში ვარჯიში პეტრე იორდანიშვილთან დაიწყო. თავიდანვე ფიზიკურად ძლიერი იყო, მაგრამ დიდი შედეგების მოსაპოვებლად, მხოლოდ ბუნებრივი მონაცემები არ არის საკმარისი. როგორც ჩანს, ეს თავადაც იცოდა და თავდაუზოგავად ვარჯიშობდა. ვიდრე გაოფლიანებულ მაისურს ორჯერ-სამჯერ არ გაწურავდა, დარბაზიდან არ გავიდოდა. მწვრთნელიც ხედავდა მის მონდომებას და აუჩქარებლად, თავისებური მეთოდებით ცდილობდა ქორიძის დაოსტატებას. ეს საქმე კი იორდანიშვილს ნამდვილად ეხერხებოდა და ბევრი ჩინებული ფალავანიც აღუზრდია. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძეც მისი შეგირდი იყო. ყოფილ ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე საჭიდაო დარბაზს დღესაც ყველა „პეტრეს დარბაზს“ ეძახის. თავადაც ამავე დარბაზში ცხოვრობდა. ჭიდაობა და ბავშვები უზომოდ უყვარდა. ტაქტიანი იყო, ზედმეტი რჩევებით თავს არ მოგაბეზრებდათ. ცდილობდა, მოზარდებს თავად ეპოვათ საკუთარი სტილი. ზუსტად იცოდა, ჭიდაობის ილეთები ვისთვის როგორ ესწავლებინა. იმდენად მოზომილად უხსნიდა, რომ გამეორება აღარ სჭირდებოდა. ჩვეულებრივ, მეტ-ნაკლები წარმატების მისაღწევად, წლების განმავლობაში სისტემატური წვრთნა არის საჭირო, ავთანდილ ქორიძემ კი მისი ხელმძღვანელობით, რამდენიმე თვეში ჯერ თბილისის მოსწავლეთა პირველობა მოიგო, ხოლო შემდეგ — საქართველოს პირველობაზეც აჯობა თანატოლებს. ეს გასული საუკუნის 50-იან წლებში ხდებოდა. ომის შემდგომ ყველას უჭირდა, ხეირიანად ვერც ცხელ შხაპს მიიღებდი, მაგრამ ავთანდილ ქორიძემ იმ რთულ პერიოდშიც შეძლო, დიდ სარბიელზე გასულიყო.

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ საერთაშორისო შეხვედრებს ავთანდილ ქორიძე განსაკუთრებით ძლიერად ატარებდა და ყოველთვის იმარჯვებდა. მართალია, საკავშირო ჩემპიონატებში წარმატებებს ვერ აღწევდა, მაგრამ მისი იმედი დიდ ტურნირებში მაინც ჰქონდათ. ავთანდილ ქორიძემ ვერც იმავე სეზონის ბოლოს ლენინგრადში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში იმარჯვა, ვერცხლის მედალს დასჯერდა. მიუხედავად ამისა, ნაკრების თავკაცებს გუნდისათვის მაინც სჭირდებოდათ. თუმცა ქორიძემ ის წელი, საბჭოთა ნაკრების ნაცვლად, კინაღამ ციმბირს იქით დაასრულა. ლენინგრადიდან ქართველი მოჭიდავეები მოსკოვს გაემგზავრნენ. იქ თავიანთი საქმეები ჰქონდათ მოსაგვარებელი. სასტუმროში დაბინავდნენ, საღამოს კი ერთად აპირებდნენ ვახშამს. ავთანდილ ქორიძე დავით გვანცელაძესთან ერთად, მაგიდის შესაკვეთათ რესტორანში ჩავიდა და „ბედად“, მთვრალ სვერდლოვსკის მაღალჩინოსან პარტიულ მუშაკებს გადაეყარნენ. მათ რატომღაც, თვალში არ მოუვიდნენ ქართველები და ხმამაღლა ჩაილაპარაკეს: Грузины лавровый лист продали, а теперь на нас же заработанные деньги собираются пировать! — თან, როგორც სჩვევიათ, გინებაც მიაყოლეს. გვანცელაძემ არ დაუთმო, შესაფერლისი პასუხიც გასცა და სიტყვიერ შელაპარაკებას მუშტიკრივიც მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ პარტბილეთებიანები ათზე მეტნი იყვნენ, უზრდელი ჩინოსნები კარგა მაგრად სცემეს. მოჩხუბრები მილიციამ კი გააშველა, მაგრამ ხელბორკილები მხოლოდ ქართველებს დაადეს. წითელი მანდატის წინააღმდეგ მოჭიდავეები რას გახდებოდნენ, ისიც — მოსკოვში?! მათ დასასჯელად, საჩვენებელი სასამართლოს გამართვაც განიზრახეს, — აქაოდა, საბჭოთა სპორტსმენისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინესო. ქართველი ისევ ქართველმა დაიცვა. საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ, ბოლოს და ბოლოს, სამართალი იპოვა, მაგრამ შემდეგ მათი ნაკრებში ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. ქორიძე ყველა საერთაშორისო შეხვედრას იგებდა და მას „აპატიეს“, ხოლო გვანცელაძე გუნდიდან გარიცხეს.

რომის ოლიმპიადის წინ ავთანდილ ქორიძემ თავისი შედეგებით კვლავ გააოცა მწვრთნელებიც და მეტოქეებიც, პირველ რიგში — „ადრიატიკის თასის“ გათამაშებაში მოპოვებული გამარჯვებებით. ეს ტურნირი ტრადიციულად, იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში ტარდებოდა და ყოველთვის ძლიერ შემადგენლობას უყრიდა თავს. 1959 წლის ზაფხულში ქორიძის მთავარი მეტოქეები ამ ტურნირზე, უნგრელი იმრე პოიაკი და თურქი ორიზე დოგანი იყვნენ. განსაკუთრებით ძლიერი იყო პოიაკი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში ათჯერ იჭიდავა და უმედლოდ არასდროს დარჩენილა. თავისი კარიერა მან მსოფლიოს ჩემპიონის სამი და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტულებით დაასრულა. რიზე დოგანიც მსოფლიოს ჩემპიონი იყო. ქორიძემ ჯერ თურქი დაამარცხა, შემდეგ — მასპინძელთა ფავორიტი მარტინოვიჩი, დასავლეთ გერმანელი სეგერი, ავსტრიელი ბრეციერი, ფინალში კი თავად პოიაკს სძლია.

ოლიმპიური ნაკრებისათვის კანდიდატების შესარჩევად დასკვნითი ტურნირი საკავშირო ჩემპიონატი იყო, რომელიც 1960 წლის გაზაფხულზე თბილისსა და სარატოვში ჩატარდა. თბილისში სამმა ქართველმა ფალავანმა მოიპოვა ჩემპიონის ტიტული, მაგრამ რომში არც ერთი არ აჭიდავეს. ავთანდილ ქორიძე სარატოვში ასპარეზობდა. ოქროს კვლავ ვერ დაეუფლა, მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ შემდეგ, დასკვნით შეკრებაზე პოდოლსკში საკონტროლო შეხვედრებში ყველა კონკურენტს მოუგო და მწვრთნელებმაც გუნდში დააყენეს. ამასთან, ახსოვდათ მისი ხასიათიც — ჭიდაობისას ბოლომდე იხარჯებოდა, მეტოქეს უტევდა, თან რაღაცნაირად, თავისთვის თითქოს დუდღუნებდა, ისეთ ხმებს გამოსცემ-

და, ამიტომ მეგობრებმა „ჯუჯღუნა“ შეარქვეს.

პირველ შეხვედრაში ავთანდილ ქორიძემ რომის „მასენციოს“ ბაზილიკის თაღებქვეშ, სადაც მოჭიდავეთა ტურნირი ტარდებოდა, მარიო დე სილვა დაამარცხა. დე სილვა იტალიელი იყო, მაგრამ ავთანდილმა მას იმდენად ლამაზად მოუგო, რომ მასპინძლები მოხიბლა და მისი გულშემატკივრები გახდნენ. თავისებურადაც მონათლეს — „ქორიძინი“ შეარქვეს. მეორე წრეში ავთანდილმა ამერიკელ ბენ ნორტრუპსაც ადვილად მოუგო. აი, მესამეში კი სიფრთხილე იყო საჭირო. ფინელი კიუესტი ლეჰტონენი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იყო და თავისი მეორე ტიტულის მოპოვების რეალური შანსიც ჰქონდა. მასაც უკვე ორი შეხვედრა ჰქონდა მოგებული, ამიტომ ზედმეტად გარისკვა არ ივარგებდა. 12 წუთი ისე მიილია, უპირატესობა ვერც ერთმა ვერ მოიპოვა და ორთაბრძოლაც ფრედ დასრულდა. მათ გარდა, ოქროს მედლისთვის კიდევ რამდენიმე მოჭიდავე აგრძელებდა ბრძოლას. ერთ-ერთი მათგანი, ბერძენი ანასტას მონდისი მომდევნო წრეში ჩამოიცილა გზიდან. ეფექტური გდებით ჯერ ხიდურზე დააყენა, ხოლო შემდეგ ბეჭებზეც დააწვინა.

ავთანდილ ქორიძისათვის ყველაზე მოულოდნელი, ბულგარელ დიმიტრ სტოიანოვთან შეხვედრის შედეგი აღმოჩნდა. სტოიანოვი ვერ უძლებდა ქართველის შეტევებს და ხალიჩიდან გარბოდა. წესით, მსაჯებს იგი უნდა გაეფრთხილებინათ. რამდენჯერმე მაინც დაიჭირა და ილეთზე წამოიღო, მაგრამ მსაჯებმა რატომღაც არ ჩაუთვალეს. ბოლოს კი, როდესაც ბულგარელი ბეჭებით შეეხო ხალიჩას, მსაჯმა შეხვედრა გააჩერა. ხალიჩის ხელმძღვანელმა და არბიტრებმა მიიჩნიეს, რომ საბჭოთა და ბულგარეთის დელეგაციებს შორის წინასწარი შეთანხმებით, სტოიანოვი განგებ „დაუწვა“ ქორიძეს, და ასპარეზობიდან ორივე მოხსნეს. მათ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმნენ გულშემატკივრები. იტალიელები ქორიძეს ქომაგობდნენ და სამართალს ითხოვდნენ. ბედად, ამ ორთაბრძოლას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ევერი ბრენდეჯიც ადევნებდა თვალს და მისი ჩარევის შემდეგ, მსაჯთა კოლეგიამ გადაწყვეტილება შეცვალა. ავთანდილ ქორიძეს ქულებით გამარჯვება მიანიჭეს, დიმიტრ სტოიანოვი კი მაინც მოხსნეს ტურნირიდან.

კლასიკური სტილით მოჭიდავეთა რომაული ფინალი 1960 წლის 31 აგვისტოს გაიმართა. ავთანდილ ქორიძის მეტოქე იუგოსლავიელი ბრანკო მარტინოვიჩი იყო. ბალკანელი ძლიერ მოჭიდავედ ითვლებოდა, იგი თავისი უდრეკი ხიდურით იყო ცნობილი. ძნელი იყო, ვინმეს ბეჭებით დაეწვინა იგი. ვერც ქართველმა დააწვინა, თუმცა ქულებით კი მოუგო. მოგვიანებით, მარტინოვიჩმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა:

— შეხვედრის დაწყებიდან ცოტა ხანში მივხვდი, რომ იმ დღეს ქორიძის დამარცხება შეუძლებელი იყო, მივხვდი და უნებურად ბედს შევურიგდი. იგი იმდენად თავგანწირვით, აზარტითა და ძლიერად მიტევდა, რომ მის ტემპს ვერ გავუძლებდი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მიაღწევდა მიზანს...

ავთანდილ ქორიძემ ფინალი 3:1 მოუგო მარტინოვიჩს და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა, მაგრამ განსაკუთრებულად ემოციურად გამარჯვების სიხარული არ გამოუხატავს. გეგონებოდათ, ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ავთანდილ ქორიძეს არც მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ გამოუხატავს განსაკუთრებული აღტაცება, როდესაც ოქროს მედალი თავად ფილას პრეზიდენტმა, როჟე კულინმა გადასცა, თანაც, ბოდიში მოუხადა, რომში დიმიტრ სტოიანოვთან შეხვედრის დროს ტურნირიდან რომ ხსნიდა. ის მსოფლიოს ჩემპიონატი 1961 წელს, იაპონურ იოკოჰომაში ჩატარდა. ქორიძე იქ ოთხჯერ გამოვიდა ხალიჩაზე და ოთხივე მეტოქე დაამარცხა, მათ შორის — ბრანკო მარტინოვიჩი.

ქორიძეების ოჯახი — ავთანდილი 3 დასთან ერთად, იმხანად, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა. ფართობი იმდენად მცირე იყო, რომ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს მაგიდის ქვეშ, გასაშლელ საწოლზე ეძინა. ბუნებით საოცრად მორიდებული იყო, არავის აწუხებდა. არც საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს, ვასილ მჟავანაძეს სთხოვა დახმარება, როდესაც მან თავად ჰკითხა, — რამე ხომ არ გჭირდებაო? მჟავანაძემ ტიტულოვანი ფალავნები თავის კაბინეტში მიიწვია, წარმატებები მიულოცა და ყველას შესთავაზა საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება. ქორიძეს მადლობა გადაუხდია და კაბინეტიდან გამოსულა. ისევ გივი კარტოზიამ გაუბედა სათქმელი რესპუბლიკის ხელმძღვანელს და მანაც ოროთახიანი ბინა გამოუყო. ოღონდ ჯერ საბუთების შეგროვება იყო საჭირო. მაშინდელი ბიუროკრატიული აპარატი კი ბევრი წვრილმანის დაზუსტებასა და ცნობას მოითხოვდა. ავთანდილმა დიდი ხანი მოანდომა მათ შეგროვებას და 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ საბჭოთა ნაკრების შეკრებაზე დაადგიანდა. ამიტომ გუნდის ხელმძღვანელობას დეპეშა გაუგზავნა — ორ კვირაში ჩამოვალო. ნებართვაც მიიღო, მაგრამ თბილისში ვიღაცას არ მოსწონებია ქორიძის წარმატებები და მოსკოვში სულ სხვა შინაარსის დეპეშაც ჩასულა: ავთანდილ ქორიძე არ ვარჯიშობს და ლოთობსო. ნაკრების წევრებსაც და ჭიდაობის სამმართველოშიც კი გაჰკვირვებიათ — ავთო არ იყო სმის მოყვარული, — მაგრამ კრება მაინც მოიწვიეს და გუნდიდან მისი გარიცხვა გადაწყვიტეს. მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონმა როსტომ აბაშიძემ და კიდევ რამდენიმე კაცმა არ დაუჭირეს მხარი ამ გადაწყვეტილებას: კაცი ჩამოვა და გვეტყვის სიმართლესო. ქორიძე დათქმულ დროს ჩავიდა, საკონტროლო შეხვედრებიც მოიგო, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც არ წაიყვანეს. სხვა აჭიდავეს და ვერც რაიმე შედეგს მიაღწიეს. ავთანდილ ქორიძემ კი, გულგატეხილმა, ჭიდაობას საერთოდ დაანება თავი. მსოფლიოსა და ოლიმპიურ თამაშებში მას მხოლოდ ორჯერ მისცეს ტიტულის მოპოვების შანსი და ორივე ბოლომდე გამოიყენა. ამასთან, ისე, რომ არც ერთი შეხვედრა არ წაუგია. სხვათა შორის, რომში შვედი გუსტავ ფრეიც ასპარეზობდა. პირადმა შეხვედრამ მასთან არ მოუწია, მაგრამ ბულგარელ სტოიანოვთან ქორიძის გამარჯვებით, „რკინის ფრეიმ“ იხეირა. ტურნირი უკვე დამთავრებული ჰქონდა და უკეთეს შემთხვევაში, მეოთხე ადგილს დაიკავებდა, სტოიანოვის მოხსნის წყალობით კი ბრინჯაოს მედალი ერგო. ქორიძემ კიდევ ერთ ლეგენდარულ ფალავანს — უნგრელ იმრე პოიაკსაც აჯობა იოკოჰამის მსოფლიოს ჩემპიონატზე. კენჭისყრამ არც მას შეახვედრა, მაგრამ ოქროს მედალი ქართველმა ფალავანმა მოიპოვა, პოიაკი კი მეორე ადგილს დასჯერდა.

ავთანდილ ქორიძემ სპორტული კარიერა პრაქტიკულად, დაუმარცხებელმა დაასრულა

ავთანდილ ქორიძემ სპორტული კარიერა პრაქტიკულად, დაუმარცხებელმა დაასრულა. გულნაკლული კი წავიდა სპორტიდან, მაგრამ არავისთვის არაფერი უთქვამს. ჯერ მხოლოდ 27 წლის იყო. ჭიდაობა კიდევ შეეძლო. მსოფლიოს ჩემპიონატები და ოლიმპიური თამაშები გაცილებით უფროსებსაც მოუგიათ. ერთი ხანობა, „პეტრეს დარბაზში“ ბავშვებს ავარჯიშებდა, მერე კი იქიდანაც წავიდა, მაგრამ ქართულ სპორტში დაუვიწყარი გამარჯვებები დაგვიტოვა.

■

გზაში საკითხავი კოლაჟი

ძემდგენელი თემურ ივანიძე

1. ეტოშა უდაბნოა აფრიკაში.
2. „ჩანგი“ ყველაზე გავრცელებული გვარია მსოფლიოში.
3. მსოფლიოს მასშტაბით ყოველდღიურად 65 ადამიანი ხდება მილიონერი.
4. კაილაშის მთაზე მოსალოცად მიმავალი ბუდისტი გზაში 30 ათასჯერ ემთხვევა მიწას.
5. მეცნიერთა ვარაუდით, ჩვენს გალაქტიკაში სხვადასხვა ზომის 10 მილიონამდე შავი ხვრელია.
6. ცენტილიონი ყველაზე დიდი ციფრია, რომელსაც სახელწოდება აქვს. მას 600 ნული აქვს.
7. დედალ ჯავშნოსანს სტრესული სიტუაციის დროს შეუძლია, 2 წლამდე შეაჩეროს მშობიარობა.
8. ბრაზილია ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ფეხბურთის ყველა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა.
9. 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად, შეერთებულმა შტატებმა 40 მილიარდი დოლარის ზარალი ნახა.
10. დაჭერილ მორიელებს ზოოლოგები სხვადასხვა ქილაში ათავსებენ, რათა მათ ერთმანეთი არ დაგესლონ.
11. ოდესაში შეიძლება, ყური მოჰკრათ ასეთ ფრაზებს: „ნე მალჩი, ხოტ შტო ნიბუდ!“ და „შჩას კაკ დამ... ი ტი ბუდეშ იმეტ!“
12. იუბერ კელერი განთქმული მზარეულია ლას-ვეგასში. მის მიერ მომზადებული ჰამბურგერი 5.000 დოლარი დაგიჯდებათ.
13. ხო ში მინის მავზოლეუმს ხანოიში ტურისტები ყოველთვის შეიარაღებული ჯარისკაცების თანხლებით ათვალიერებენ.
14. შეერთებული შტატების პრეზიდენტ ენდრიუ ჯექსონს სკოლაში არასდროს უვლია. წერა-კითხვა მას 17 წლის ასაკში მისმა მომავალმა მეუღლემ, ელიზა მაქკარდელმა ასწავლა.

15. 1958 წელს ჯეი ფოსტერმა გაიმარჯვა იამაიკის ნაციონალურ ჩემპიონატში მაგიდის ჩოგბურთში. „ახალგამომცხვარი“ ჩემპიონი 8 წლისა გახლდათ.
16. გიორგი შავგულიძემ საკუთარი ხელით გადატიხრა და მოიწყო საგრიმიორო მარჯანიშვილის თეატრში. მსახიობი კარგად ხატავდა და გრიმსაც საკუთარი ხელით იკეთებდა.

„კრაისლერის“ ახალი ჯიპი

კონცერნმა „კრაისლერმა“ განახლებული არასაგზაო — Jeep Patriot წარმოადგინა. ავტომობილს მოდერნიზებული ექსტერიერი და ინტერიერი, აგრეთვე საჭის მართვის განახლებული სისტემა აქვს. გარდა ამისა, მოდელის სრული აძვრის მქონე ვერსიის გზის ხილვადობა 2,5 სმ-ით გაიზარდა. განახლებულ „ჯიპ პატრიოტს“ წინამორბედისგან წინა ბამპერითაც გამოარჩევ, რომელზეც ნისლის საწინააღმდეგო ფარები ცენტრისკენაა გადაწეული. ასევე თვალში საცემია განსხვავებული რადიატორის ცხაური (ოდნავ შემცირდა სავენტილაციო ჭრილის სიმაღლე), მოდერნიზებული უკანა ბამპერი და 17-დუიმიანი ბორბლების დისკები. არასაგზაოს ძარა ახალ 4 ფრად იქნება შეღებილი. ახალ საჭის რგოლზე დამონტაჟებულია აუდიოსისტემის მართვის კლავიშები და კრუიზ-კონტროლი. შეცვლილია ცენტრალური კონსოლი, თუმცა მისი არქიტექტურა ძველებური დარჩა. არასაგზაოს სალონში წინა მოდელებისგან განსხვავებული, უფრო ხარისხიანი მასალაა გამოყენებული, მათ შორის, სავარძლებისთვისაც. აშშ-ში რესტაილირებული „ჯიპ პატრიოტი“ წლის ბოლოსთვის გამოჩნდება. ავტომობილის ფასი ჯერჯერობით უცნობია. ადრე ანალოგიური ცვლილებები Jeep Wrangler-მა განიცადა. ამ მოდელსაც შეეცვალა გარეგნობა, გაეზარდა ხმის ჩახშობის მაჩვენებელი და ინტერიერი. ■

სპორტავტო Porcshe 911 Carrera GTS

კომპანია „პორშემ“ სპორტული მოდელის — 911 — ახალი მოდიფიკაცია წარმოადგინა, რომელსაც GTS ჰქვია და Carrega-ს სამოდელო რიგის ტოპვერსიას წარმოადგენს. ამ ავტომობილის მსოფლიო პრემიერა ოქტომბრის დასაწყისში პარიზის მოტორშოუზე შედგება. გარეგნულად სტანდარტული სპორტული ავტომობილებისგან „პორშე 911 კარერა“ შავ ფრად შეღებილი წინა სპოილერით, აირგამშვები სისტემით, ასევე — კარებსა და მოტორის სათავსის სახურავზე გაკეთებული წარწერით — Carrera GTS — განსხვავდება, რომელიც ძარას ფერის მიუხედავად, შავ ან ვერცხლისფრადაა შეღებილი. ისევე, როგორც სრულამძრავიან მოდიფიკაციებს, ამ მოდელის ძარას უფრო განიერი უკანა ნაწილი აქვს. ასეთი მანქანა 19-დუიმიანი შავი ბორბლების დისკებითაა დაკომპლექტებული. Porcshe 911 Carrera GTS-ის კუპე და კაბრიოლეტი 408 ცხ.ძ. სიმძლავრის (23 ცხ. ძ-ით უფრო მძლავრი, ვიდრე S მოდიფიკაცია), ე.წ. ოპოზიტური „ექვსიანით“ აღიჭურვება, რომელიც სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი მექანიკური კოლოფით მუშაობს. ოპციის სახით, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია 7-საფეხურიანი წინასელექტიური ტრანსმისია. მწარმოებლის მონაცემებით, „რობოტით“ დამონტაჟებული და Sport Chrono Plus-ის (Sport-ის რეჟიმით) პაკეტის მქონე სპორტავტო 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,2 წამში ავითარებს, რაც 0,1 წამით ნაკლებია Carrera S-ის მაჩვენებელზე. „მექანიკის“ ვერსიით მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 306 კმ/სთ-ია. ■

„ფორდის“ კიდევ ერთი „ფოკუსი“

სულ ცოტა ხნის წინ კომპანია „ფორდმა“ ახალი თაობის ჰეჩბეკის — Focus — გაუმჯობესებული მოდიფიკაციის ფოტოები გაავრცელა. მანქანას ტრადიციისამებრ, ST ეწოდა. ავტომობილის მსოფლიო პრემიერა პარიზის მოტორშოუზე შედგება, ხოლო მისი გაყიდვა ყველა ბაზარზე 2012 წლის დასაწყისიდან აიღებს სტარტს. ახალი მოდელი EcoBoost-ის ოჯახის 2-ლიტრიანი, 250 ცხ.ძ. სიმძლავრის „ოთხიანით“ აღიჭურვება. განახლებული „ფორდ ფოკუსის“ ტექნიკური და დინამიკური მაჩვენებლების შესახებ ამ ეტაპზე ინფორმაცია არ ვრცელდება. წინასწარი მონაცემებით, 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 6 წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ია. შედარებისთვის გაცნობებთ — წინამორბედი 225 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ძრავიანი „ფოკუს ესტე“ 100 კმ/სთ სიჩქარეს 6,8 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 241 კმ/სთ-ია. ადრე გავრცელებული ინფორმაციით, ამჟამად ამერიკული ავტომწარმოებელი RS-ის ყველაზე მძლავრ და სწრაფი ვერსიის ახალ „ფოკუსს“ ამზადებს. სავარაუდოდ, ასეთი მანქანაც EcoBoost-ის მოტორით აღიჭურვება, ოღონდ მისი სიმძლავრე უფრო გაზრდილი იქნება. ამ აგრეგატთან ერთად, RS-ი ელექტროძრავათიც იმუშავებს, რომელიც ჰეჩბეკის უკანა ბორბლებს აამოქმედებს. ახალი „ფოკუს ერესის“ აგრეგატის სიმძლავრე საერთო ჯამში, 300 კმ/სთ-ს შეადგენს. ახალი „ფოკუსის“ გარდა, პარიზის მოტორშოუზე კომპანია „ფორდი“ ასევე გაუმჯობესებულ „მონდეოსაც“ წარადგენს, რომლის მსოფლიო პრემიერაც აგვისტოში მოსკოვის ავტოსალონზე შედგა. პარიზული მოტორშოუს სტუმრები ამერიკული კორპორაციისაგან ასევე იხილავენ კომპაქტვენ C-Max-ს. ■

„მაზდას“ სამკარიანი ჰეჩბეკი

კომპანია „მაზდამ“ კომპაქტური სამკარიანი ჰეჩბეკის ამსახველი ვიდეორგოლი გაავრცელა. ეს არის ავტომობილი, რომელიც იაპონური ბრენდის ახალ საფირმო სტილშია შესრულებული. გამოქვეყნებულ ილუსტრაციებზე აღბეჭდილი მანქანა იმის წარმოდგენას იძლევა, თუ როგორი იქნება მომავალი თაობის მოდელები — Mazda 2 და Mazda 3. კომპანია „მაზდას“ ახალ საფირმო სტილს იაპონური სიტყვა „კოდო“ („მოძრაობის სული“) ეწოდა. როგორც ადრე კომპანიის შეფ-დიზაინერმა იკუდო მაედამ განაცხადა, ასეთივე სტილში იქნება გადაწყვეტილი მარკის ყველა ავტომობილი, რომელიც ბაზარზე უახლოეს მომავალში გამოჩნდება. ამასთან, უცნობია ის, თუ როდის შედგება „მოძრაობის სულის“ სტილში შესრულებული პირველი ახალი სერიული მანქანების დებიუტი. პროტოტიპი Shinari კონცეპტ-ავტოს, — Nagare — ჩაენაცვლა, რომელიც პირველად 2006 წელს წარმოადგინეს და დღემდე, „მაზდას“ ყველა მოდელის საფუძველს შეადგენდა. ახალი სადიზაინერო მიმართულების შემუშავება კომპანიიდან წინამორბედი დიზაინერის, ლოურენს ვან დენ აკერის წასვლისთანავე დაიწყო. მისი ადგილი იკუდო მაედამ დაიკავა, რომელიც ადრე მანქანების — Mazda 2 და RX-8 — შექმნაში მონაწილეობდა. Nagare-ს სტილისტიკის დიზაინით შექმნილი ბოლო მოდელი მომავალი თაობის მინივენი Mazda 5 იქნება. ■



გზაში საკითხავი კოლაჟი

ქემდეენელი თემურ ივანიძე

17. თომას ჯეფერსონმა თავად შექმნა საკუთარი საფლავის ქვის დიზაინი და შეადგინა ტექსტი, რომელიც მასზე უნდა ამოეკვეთათ. ტექსტში არ იყო მითითებული, რომ იგი შეერთებული შტატების პრეზიდენტი იყო.

18. საშუალო ამერიკელი წელიწადში 800 გრამამდე საღეჭ რეზინს მოიხმარს. გამოყენებული საღეჭი რეზინების 50% ტროტუარებზე, სკვერის სკამებზე და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სავარძლების ქვეშ აღმოჩნდება ხოლმე.

19. ჩინეთის ქალაქ კულანგში არსებობს 7 პუნქტი, სადაც კბილის ნახმარ საჩხრეკებს იბარებენ. თითოეულ გირვანქა კბილის საჩხრეკში ჩამბარებელ პუნქტში 35 ცენტს იხდიან.

20. „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ — ასე ეძახიან ფსიქიატრები სინდრომს, როცა პაციენტს დეპერსონალიზაცია, დროის, საკუთარი სხეულისა და გარემოს აღქმის უნარის მოშლა აღენიშნება.

21. შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე ხანმოკლე ვადით ქვეყანას უილიამ ჰარისონი განაგებდა. 1841 წელს იგი საკუთარ ინაუგურაციაზე გაცივდა, პნევმონია დაემართა და ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

22. იმ 1783 ბრილიანტს შორის, რომლითაც ბრიტანეთის სამეფო გვირგვინია შემკული, არის ცნობილი ბრილიანტი „აფრიკის ვარსკვლავი“, რომლის წონა 309 კარატია.

23. შეერთებულ შტატებში გასული საუკუნის 70-იან წლებში არსებობდა რელიგიური გაერთიანება სახელწოდებით „ზეციური კარიბჭე“, რომლის წევრთა უმრავლესობას კომპიუტერული პროგრამისტები წარმოადგენდნენ. მათი რწმენით, ღმერთი და ეშმაკი ორი გადამტერებული ეკიპაჟის მეთაურები არიან, რომლებიც კოსმოსურ ხომალდებში მსხდომნი იბრძვიან დედამიწის დასაუფლებლად. ადამიანებს კი ისღა დარჩენიათ, რომ თვითმკვლელობის გზით, სხვა განზომილებაში გადასახლდნენ.

24. ინგლისელ პასტორებს, რომელთაც ვერ მოასწრეს მორიგი ქადაგებისათვის მომზადება, საშუალება აქვთ, შეიძინონ მზა ტექსტი სპეციალურ საიტზე.

25. ფირმა „ეიჩ-პი“ (Hewlett-Packard) ბილ ჰიულიტისა და დეივ პაკარდის დაარსებულია. იმის დასადგენად, თუ რომელი მათგანის გვარი უნდა ყოფილიყო ფირმის სახელწოდებაში პირველი, დამფუძნებლებმა მონეტა ააგდეს. ჰიულიტმა გაიმარჯვა.

პირველი შთაბეჭდილება რომ შეგინარჩუნოთ...

პირველ პაემანზე კარგი შთაბეჭდილების დატოვება ადვილია, თუმცა რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, უკვე ჩნდება კითხვა: როგორ მოვიქცე, რომ მას ჩემ შესახებ აზრი არ შეეცვალოს?...

იყავით საინტერესო

თუ ცხოვრებაში რაიმე მისწრაფება, ჰობი ან მიზანი არ გაქვთ, შეიძლება ითქვას, რომ ხანგრძლივი და სერიოზული ურთიერთობისთვის არც ისე საინტერესო ხართ... გაიხსენეთ საინტერესო ეპიზოდები თქვენი ცხოვრებიდან, მოუყევით თქვენი გატაცების შესახებ, დაანახვეთ, როგორი მრავალფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობთ.

ის თავს ბედნიერად ჩათვლის, თქვენნაირმა მხიარულმა, საინტერესო ქალმა მასთან ურთიერთობა რომ გადაწყვიტა...

ეცადეთ სექსუალურად ჩაიცვათ...

პაემანზე ყოველთვის ჩაიცვით სამოსი, რომელშიც თავს სექსუალურად გრძნობთ. ამგვარი ჩაცმულობა ემოციურ შტრიხს შემატებს თქვენს განწყობილებას, იქნებით უფრო მიმზიდველი და იდუმალი...

თუმცა, ნუ გადააჭარბებთ, წინ ხომ მომდევნო შეხვედრებია. მიეცით მამაკაცს საშუალება, ყოველი ნახვისას თავიდან აღმოგაჩინოთ...

კოცნა...

აჩუქეთ მას ვნებიანი კოცნა დამშვიდობებისას და ნაზად უსურვეთ ღამე მშვიდობისა... დარწმუნებული იყავით, მთელ ღამეს თქვენზე ოცნებაში გაატარებს.

არაჩვეულებრივი სურნელი

შეეცადეთ გაიგოთ, თუ რომელი სურნელი მოსწონს მას თქვენი სუნამოებიდან... ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანები ერთმანეთს, პირველ რიგში, სურნელით იზიდავენ...

გარდა ამისა, ყოველი კოცნისა და ჩახუტების შემდეგ, მის სამოსზე სუნამოს მსუბუქი სურნელი დარჩება და უთქვენოდ ყოფნის დროს, არაერთხელ შეახსენებს თქვენს თავს...

გამოიჩინეთ ინიციატივა

იყავით უფრო მტკიცე და ინიციატივიანი. ნუ დაელოდებით მხოლოდ მის შემოთავაზებებს... უკვე მერამდენე პაემანია, ერთსა და იმავე ადგილას დადიხართ? შესთავაზეთ რაიმე განსხვავებული: ქალაქგარეთ გასვლა, სანაპიროზე გასეირნება, რომანტიკული საღამოს გატარება ღიის ქვეშ...

შეაქეთ...

შექება მართლაც, უმოკლესი გზაა მამაკაცის გულისკენ... ეს უეჭველია! შეუქეთ დახვეწილი გემოვნება, ახალი პიჯაკი; უთხარით, რომ შესანიშნავად გამოიყურება, რომ სასიამოვნო დროს ატარებთ მასთან ერთად, და რომ საინტერესო და განუმეორებელი პიროვნებაა, რომლის გვერდით ყოფნაც მხოლოდ დადებით განწყობილებას გიქმნით...

ითამაშეთ თქვენი წესებით!

დაივიწყეთ წინადადებები: „პირველი არ დავურეკავ! არ ვეტყვი, რას ვფიქრობ!..“ თქვენ ხომ თანამედროვე ქალი ხართ! აიღეთ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, თამამად გამოხატეთ თქვენი სურვილები!

თუმცა, ზომიერება აქაც გამოიჩინეთ და ზედმეტი მესიჯებითა თუ სატელეფონო ზარებით თავს ნუ მოაბეზრებთ...

დაიმახსოვრეთ: მამაკაცმა უნდა იცოდეს, რომ მსხვერპლი თქვენ ხართ, მონადირე კი — თვითონ!

■

როგორ შეგარჩიოთ სარკე



ძველად სარკე მიიჩნეოდა საიდუმლოებით აღსავსე, მაგიურ ნივთად. დღეისთვის კი — აუცილებელი ატრიბუტია სახლის ინტერიერის მოსაწყობად და თავისებური დიზაინის შესაქმნელად. თუ სარკეს ფანჯრის

დიზაინერები ტყუილად არ მიიჩნევენ სარკეს სახლის დეკორაციის საინტერესო და განსაკუთრებულ ელემენტად. გემოვნებით შერჩეულ სარკეს შეუძლია გააცოცხლოს მოსაწყენი ინტერიერი, დაფაროს დეფექტები და შექმნას სინათლის ილუზია.

მოპირდაპირე მხარეს დაკიდებთ, ის თქვენს ოთახს მეტ სინათლეს შესძენს. დიდი სარკე დიდი სივრცის ილუზიას ქმნის.

სარკე, რომელიც მთელი კედლის ზომაზეა განთავსებული, ოპტიკურად აორმაგებს ოთახის სიგანეს ან სიგრძეს, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გამოკვეთოთ რეალური და ოპტიკური სივრცის საზღვრები. ამისათვის სარკიან კედელთან დადგით რომელიმე ავეჯის ატრიბუტი — იქნება ეს პატარა დივანი, სამეული თუ მხოლოდ ჟურნალების მაგიდა.

ოთახის გადიდების ილუზიის კიდევ ერთი კარგი საშუალებაა ერთმანეთის მოპირდაპირე კედლებზე ჩამოკიდებული სარკეები. ისინი ზემო და გვერდითი შუქებით გაანათეთ.

დიზაინერების აზრით, სარკის მთავარი დეტალი მისი ჩარჩოა. დღესდღეობით აქტუალურია როგორც ხის, ასევე სხვადასხვა ფრად შეღებილი ან გალაქული ჩარჩოები, მთავარია, ის უხდებოდეს სახლის ინტერიერს. არსებობს ასევე სარკეები ჩარჩოს გარეშე, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა სიმეტრიის ფორმებით. თუმცა უმჯობესია, სარკე მაინც სტანდარტული ფორმისა იყოს — ასე უკეთ მიესადაგება სახლის ინტერიერს.

■

რა იწვევს ნაადრევი ნაოჭების გაჩენას

ხანდაზმულ ასაკში ნაოჭების გაჩენა სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. თუმცა, სწორი და სისტემატური მოვლა საშუალებას მოგცემთ, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ ახალგაზრდული კანი.

საერთოდ, ნაოჭების გაჩენას ყველაზე მეტად კანის გამოშრობა უწყობს ხელს. ზოგი ქალი გახდომის მიზნით, ძალზე ცოტა წყალს სვამს, რაც დაუშვებელია — კანი შრება და ელასტიკურობას კარგავს.

კანის მკვებავი სპეციალური საშუალებები

ნუშის ნატურალური რძე

25 გ გარჩეული, ტკბილი ნუში დანაყეთ, დაასხით 1/2?ჩ/ჭ თბილი, ანადუღარი წყალი, კარგად შეანჯღრიეთ, დაუმატეთ ცოტა მარილი, გაწურეთ დოლბანდში და შეინახეთ გრილ ადგილას. გამოყენებამდე (დილით და საღამოს) კვლავ შეანჯრიეთ, დაისხით ხელისგულზე 1-2 ჩ/კ სითხე და კარგად შეიზილეთ სახისა და ყელის მიდამოებში.

მცენარეული ნაყენის კომპრესები

√ თუ მშრალი კანი გაქვთ, ან — რაიმე გამონაყარი, სასურველია, დღეგამოშვებით თბილი კომპრესების დადება ან სახის გაწმენდა შემდეგი ნაყენით: 1 ს/კ ცაცხვის ყვავილი მოხარშეთ ნახევარ ჭიქა რძეში და მიღებული ნაყენი 20-15 წუთით მოათავსეთ ცხელ წყალში.

√ თუ მგრძნობიარე, ნაზი და ფორებიანი კანი გაქვთ, მაშინ ცაცხვის ყვავილის მაგივრად აიღეთ ვარდის ან სალბის მშრალი ფურცლები: 1/2 ს/კ მცენარე მოხარშეთ 1/2 ჭიქა წყალში და დაუმატეთ ამავე რაოდენობის რძე.

√ სახე უნდა გაიწმინდოთ ნაყენში

დასველებული ბამბის ტამპონით.

მარილიანი აბაზანები

მარილიანი წყლით დაბანა კარგად მოქმედებს სახის კანის კუნთებზე. დილით, კრემის წასმიდან 20-25 წთ-ის შემდეგ, სახე დაიბანეთ გრილი, მარილიანი ხსნარით (1 ჩ/ჭ წყალზე 1 ჩ/კ მარილი). პროცედურა შეასრულეთ 15-20 დღის განმავლობაში, ყოველდღე. 2-3 კვირის შემდეგ, კურსი გაიმეორეთ. ■

ნიღბები ტუჩების მოსავლელად

როდესაც სახის კანის მოსავლელი პროცედურების ჩატარებას იწყებთ, არც ტუჩები უნდა დაივიწყოთ, ისევე, როგორც სახის კანზე, ტუჩებზეც მოქმედებს ატმოსფერული მოვლენები — მზე, ქარი... ტუჩის კანი შეიძლება იყოს მშრალი ან ცხიმიანი. თუ ტუჩები გამომშრალი გაქვთ, აუცილებლად უნდა წაისვათ მკვებავი კრემი, წინაალმდეგ შემთხვევაში, კანი დასკდება, აიქერცლება და ამ ხარვეზს ყველაზე ხარისხიანი პომადაც კი ვერ დაფარავს.

ტუჩის ვარჯიში

• ტუჩები წინ წამოსწიეთ და პირი ოდნავ გააღეთ. შემდეგ დამუწეთ და ტუჩები მოადუნეთ. გაიმეორეთ 10-20-ჯერ.

• ქვედა ყბა რიგრიგობით ამოძრავეთ მარჯვენა და მარცხენა მიმართულებით. ვარჯიში 10-20-ჯერ გაიმეორეთ.

ტუჩის ნიღბები

• ტუჩებს არბილებს ხაჭოს ნიღაბი. ხაჭო წაისვით ბაგეზე და 10 წუთის შემდეგ მოიწმინდეთ.

• ქარში ტუჩები რომ არ დაგისკდეთ, კიტრის ან სტაფილოს წვენში არეული თაფლის, არაჟნისა და ხაჭოს ნაზავი დაიდეთ. 15 წუთის შემდეგ მოიშორეთ და მცენარეული ზეთი გადაისვით.

• თუ ბაგეზე კანი დამსკდარი გაქვთ, გახეხილ ვაშლში აურიეთ 1 ჩ/კ კარაქი და ნაზავი 15-30 წუთით გაიჩერეთ. ეს ნიღაბი აუცილებლად დაგირბილებთ ტუჩებს.

• თუ ამგვარი ნიღბის მოსამზადებლად დრო არ გაქვთ, მაშინ, უბრალოდ, თაფლი გამოიყენეთ. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

რჩევები დიასახლისებს

√ ფანჯრის რაფები და კარები გარეცხეთ წყალში გარეული ნიშადურის სპირტით (1 ლ წყალი, 1 ს/კ სპირტი). ფერადი საღებავებით შეღებილ კარ-ფანჯრების გარეცხვა რეკომენდებულია ჩაის ნაყენით (2 ჩ/კ მშრალ ჩაის დაასხით 1 ლ ცხელი წყალი, გააჩერეთ 10 წუთი და გადაწურეთ).

√ ფანჯრის მინებზე მიმხმარი საღებავი ჯერ ბრიტვით ან რაიმე ბასრწვერიანი საგნით ფრთხილად აფხიკეთ; დარჩენილი ლაქა კი სკიპიდრით მოაშორეთ.

√ ფანჯრის საწმენდად, გირჩევთ, გამოიყენოთ 3 რბილი ქსოვილი. თბილ წყალში ჩაფშვენით ცარცი (1 ლ წყალზე 3-5 ს/კ ცარცი). პირველი ნაჭრით მინა ცარციანი ხსნარით ჩამორეცხეთ; მეორე ოდნავ დაასველეთ, კარგად გაწურეთ, გაწმინდეთ ცარციანი მინა და დაელოდეთ მის ოდნავ შეშრობას; მესამეთი კი გააპრიალეთ.

√ ზამთარში ფანჯრის მინები რომ არ გაიყინოს, ორივე მხრიდან გლიცერინით გაწმინდეთ. ■

შოკოლადიანი კექსი



მასალად საჭიროა:

120 გ თაფლი;
60 გ შაქრის ფხვნილი;
50 გ კარაქი (ან მარგარინე);
1 ჩ/კ საფუარი;
250 გ ფქვილი;
2 ჩ/კ დარიჩინი;
1 მწიკვი მარილი;
50 გ გარგარის ჩირი;
400 გ მუქი შოკოლადი.

მოამზადების წესი:

თაფლი და კარაქი ორთქლზე გაათბეთ, შეურიეთ საფუარი. დაუმატეთ ფქვილი, წვრილად დაჭრილი ჩირი და ამოიყვანეთ ცომი. შედგით მაცივარში მთელი ღამით. მოათავსეთ ცომი ცხიმწასმულ ფორმაში და აცხვეთ დაახლოებით 20 წუთი, 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში. შემდეგ გააგრილეთ და ისე გადმოიღეთ ფორმიდან.

შოკოლადი გაადნეთ და კექსს ზემოდან მოასხით. ■

პროფესიები, რომლებიც აღარ არსებობს

ძველ რომსა და საბერძნეთში არსებობდა პროფესიები, რომლებიც დღეს საჭირო აღარაა. მაგალითად:

ვერცხლის მომპოვებელი

ძველ რომში ვერცხლს ხელით მოიპოვებდნენ. რომაელები პატარა ბიჭებს ღრმად ამოთხრილ მიწისქვეშა გვირაბებში უშვებდნენ, სადაც სიცხისა და მომწამვლელი გაზის გამო, 3 თვეზე მეტხანს ვერავინ ძლებდა, მაგრამ რომაელებს ეს არ ადარდებდათ, რადგან მუშებად მონები ჰყავდათ.

სტერკორარიუსი

კანალიზაციის პირველი „პროტოტიპი" ძველ რომში გაჩნდა. სისტემა ჯერ კიდევ დასახვეწი იყო, ამიტომ მისი გაწმენდა სტერკორარიუსს ევალებოდა.

ორგიის ორგანიზატორი

ამ პროფესიის ხალხი მაინცდამაინც არ უყვარდათ, მაგრამ სჭირდებოდათ. მას დარბაზის დაქირავება, საძინებლის მოწყობა, საჭმლითა და სასმლით მომარაგება, მუსიკოსებისა და ქალების მოწვევა ევალებოდა. ორგიის ყველაზე ცნობილი ორგანიზატორი გაიუს პეტრონიუსი იყო, რომელსაც „ელეგანტურობის არბიტრსაც" ეძახდნენ და იგი ნერონს ექვემდებარებოდა. როცა იმპერატორს ორგანიზატორი მოჰბეზრდა, მას თვითმკვლელობა უბრძანა.

ურინატორი

ურინატორის საქმიანობა ერთ-ერთი საპატიო და მაღალანაზღაურებადი იყო. იგი წყალქვეშ, 30 მეტრ სიღრმეზე ყვინთავდა და იქ აგებული კონსტრუქციების გამაგრება ევალებოდა. ურინატორს ზარის მსგავსი ჩაჩი ეხურა, წელზე კი ბაგირი ჰქონდა მობმული.

დიდებულის დამტარებელი

ამ პროფესიის ადამიანი კარგად ჩაცმული, სუფთა და მაძღარი უნდა ყოფილიყო. მას ტახტრევანით დიდებულის ტარება ევალებოდა. ეს საკმაოდ რთული საქმიანობა იყო, რადგან დამტარებელს მმართველი მიწაზეც და კიბეზეც გაუტოკებლად უნდა ეტარებინა.

გიმნაზიარქი

ძველ საბერძნეთში ვარჯიში და სპორტული შეჯიბრება განსაკუთრებით ფასობდა. გიმნაზიარქად 30-დან 60 წლამდე მამაკაცს ერთი წლის ვადით ირჩევდნენ. მას სპორტსმენების შერჩევა, გაწვრთნა და შეჯიბრების მოწყობა ევალებოდა. ეს ძალზე პატივსაცემი პროფესია გახლდათ და სხვათა შორის, გიმნაზიარქს ჯოხის ტარების უფლება ჰქონდა, რომლითაც შეეძლო, კანონის დამრღვევი მოქალაქე ეცემა კიდეც.

წყევლის ფირფიტის დამწერი

ძველად მიაჩნდათ, რომ თუ ადამიანი ტაძარში დაწყევლილ ტექსტს მიიტანდა, ღმერთი მას უეჭველად წაიკითხავდა და დამნაშავეს დასჯიდა. წყევლის დაწერა კონკრეტულ ადამიანს ევალებოდა — იგი ჯერ წყევლას ისმენდა, შემდეგ წერდა და ნაწერი ტაძარში მიჰქონდა. სხვათა შორის, არქეოლოგიური გათხრების დროს ბევრი ასეთი წყევლის წერილი აღმოუჩენიათ.

დაპრძალვის ჯამბაზი

ამ პროფესიის ადამიანს გარდაცვლილის ტანსაცმელი უნდა ჩაეცვა და მთელი დღე მისი გვამის გარშემო ემღერა, ეხუმრა — ამაში მდიდარი რომაელები ფულს უხდიდნენ. ძველ რომაელებს მიაჩნდათ, რომ ამ მეთოდით ბოროტ სულებს დააფრთხობდნენ და თანაც, თუ მიცვალებულს მხიარულად გააცილებდნენ, მას იმ ქვეყნად უდარდელი ცხოვრება ექნებოდა.

წყლის ორგანისტი

წყლის ორგანიც იმავე პრინციპით მუშაობდა, როგორითაც ჰაერის, ოღონდ, რასაკვირველია — წყალზე. ანტიკურ ხანაში ასეთი მუსიკალური ინსტრუმენტი ძალზე გავრცელებული იყო. წყლის ორგანისტს დღესასწაულებზე, წვეულებებზე იწვევდნენ და კარგ გასამრჯელოსაც უხდიდნენ. ■

წყალქვეშა სამყაროს საოცრებები

ეგვიპტე, ალექსანდრია

პორტის მახლობლად, წყალქვეშ სასახლის ნანგრევები აღმოაჩინეს. გადმოცემის თანახმად, ძველად აქ კლეოპატრას ტაძარი უნდა ყოფილიყო. ვარაუდობენ, რომ იგი 1500 წლის წინ მომხდარმა მიწისძვრამ დაანგრია და წყალქვეშ ჩაიტანა. იმისათვის, რომ აღმოჩენილი განძი აკვალანგისტების გარდა სხვებმაც ნახონ, ალექსანდრიაში წყალქვეშა მუზეუმის გახსნას აპირებენ.



ჯამბეის ყურე, ინდოეთი

ძველად ამ ადგილებში სავაჭრო ქალაქი და პორტი ყოფილა. დასახლების ნანგრევები, რომლებიც 9500 წლისაა, ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ წყალქვეშ აღმოჩენილი ნანგრევები ხარაპის ცივი-

საოცარი „მოლაპარაკე“ აპარატი

სიტყვა „ტელეფონი“ შორეულ ხმას ნიშნავს. გამტარების, ჰაერისა და სივრცის მეშვეობით ტელეფონს ჩვენი ნათქვამი თანამოსაუბრემდე მიაქვს, ბგერა უშორეს მანძილებს ელვის სისწრაფით ფარავს. დიდ მანძილებზე ბგერის გადაცემა ანუ ტელეკომუნიკაცია 1837 წელს, ტელეგრაფის ამოქმედებასთან ერთად დაიწყო, მაგრამ ტელეგრაფის მესიჯები მოკლე და უსახური იყო, რადგან ის ამ საქმეში გაწაფულ ოპერატორს უნდა გაეგზავნა, რომელიც კოდებს ბეჭდავდა, მიმღები ოპერატორი კი მათ შიფრავდა. ტელეფონის ქსელი XIX საუკუნის მეორე ნახევარში სწრაფად განვითარდა. 1887 წლისთვის მსოფლიოში, სატელეფონო ქსელში ჩართული 100 ათასზე მეტი აბონენტი იყო... დღეს ფიჭური ტელეფონებისა და სატელიტების ქსელის მეშვეობით შეგვიძლია ვეესაუბროთ მას, ვისაც გვინდა, სადაც გვინდა და როცა გვინდა.

ტელეფონის ზარის მიმართულება

ერთი ტელეფონით მეორესთან დაკავშირება სიგნალთა გადაცემის რთულ თანამიმდევრობას მოითხოვს, მაგრამ ეს ისე სწრაფად ხდება, რომ ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ.

ტელეფონის ნომერი იგივეა, რაც კონვერტზე დაწერილი მისამართი: ის ტელეფონის ავტომატს „ეუბნება“, თუ საით მიმართოს ზარი.

მინიატიურული საოცრება

მიკროელექტრონული და მიკროპროცესორული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების წყალობით, თანამედროვე ფიჭური ტელეფონები პატარა ზომის, მსუბუქი და მრავალნაირია. ზოგიერთში დამონტაჟებულია ფოტოაპარატი, მუსიკალური პლეიერი და სხვა მოწყობილობები.

1837 წელი, ტელეგრაფი

ტელეფონის გამოგონებამდე, დიდ მანძილზე სწრაფად გადასაცემი მესიჯები კოდირებულად იბეჭდებოდა და ტელეგრაფით გადაიცემოდა. ელექტრონული ტელეგრაფი დიდ ბრიტანეთში, უილიამ კუკმა და ჩარლზ უიტსტონმა გამოიგონეს, მოგვიანებით კი იგი სემუელ მორზემ (აშშ) გააუმჯობესა.

1876 წელი, ბელის საცდელი ტელეფონი

ანტონიო მეუჩიმ, ელიშა გრეიმ და ალექსანდერ ბელმა ტელეფონი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გამოიგონეს. თანამედროვე ტელეფონის განვითარებას ბელის მოდელი დაედო საფუძვლად.

1890 წელი, შანდლისმაგვარი ტელეფონი

ადრეულ ტელეფონებს სალაპარაკო და მოსასმენი ნიჟარა ცალ-ცალკე ჰქონდა. დარეკვის მსურველი აიღებდა ყურმილს და სატელეფონო სადგურის ოპერატორს სასურველ ნომერს უკარნახებდა... 1930 წლისთვის უკვე შესაძლებელი გახდა მოსმენა და ლაპარაკი ერთი და იმავე ყურმილით. ღილაკებიანი ტელეფონი 1961 წელს გამოვიდა.

1989 წელი, ფიჯური ტელეფონი

პირველი ფიჭური ტელეფონები დიდი, მოუხერხებელი და ძვირად ღირებული იყო.

წყალქვეშა სატელეფონო კაბელი

საერთაშორისო სატელეფონო საუბრების დიდი ნაწილი სატელიტების, ბევრი მათგანი კი წყალქვეშა სატელეფონო საკომუნიკაციო კაბელების მეშვეობით ხორციელდება, რომლებიც ოკეანის ფსკერზე, დიდ სიღრმეში, ათასობით მილზეა დამონტაჟებული. ლითონისა და პლასტიკატების ფენები სადენებში წყლის შეღწევას უშლის ხელს და მათ დაზიანებისგან იცავს. კაბელის გული — ოპტიკური ბოჭკოების ხვიაა, რომელიც ციფრულ სატელეფონო და ინტერნეტის სიგნალებსაც ატარებს. ■

ლიზაციას უნდა ეკუთვნოდეს, ზოგიერთი კი ამტკიცებს, რომ აღმოჩენა ლეგენდარული ატლანტიდის ნაწილია.

ჰხაიაოს ტბა, ტაილანდი

500 წლის წინ აგებული ტაძარი ტბის ფსკერზე (70 წლის წინ) აღმოაჩინეს. ტაილანდის მთავრობამ ტაძრის აღსადგენად მილიარდი დოლარი გამოყო, მაგრამ ბუნების დამცველებმა მისი რესტავრაცია გააპროტესტეს, — ტბაში უნიკალური თევზები ბინადრობენ და სამშენებლო სამუშაოები ეკოსისტემის დარღვევას გამოიწვევსო.

იონაგუნი, იაპონია

სულ რაღაც 20 წლის წინ, იაპონიის მახლობლად, წყალში პირამიდები აღმოაჩინეს. მეცნიერთა ვარაუდით, მათი ასაკი 10 ათასი წელია, მაგრამ ჯერჯერობით დაუდგენელია, რა დანიშნულებისთვის და რომელი ტომის ადამიანებმა ააგეს.

ჰავანა, კუბა

მეცნიერები დღემდე იკვლევენ იუკატის ყურეში აღმოჩენილ გიგანტურ წყალქვეშა ქალაქს. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ აქ უძველესი ცივილიზაცია ცხოვრობდა, რომელიც ინკების, მაიასა და აცტეკების კულტურამდე არსებობდა. ■

ერეკლე II და სიქჰი გმირი ზაქარია-ხანი

მიხეილ ლაბაძე

ნადირ-შაჰი შვილებთან ერთად. XVIII საუკუნის სპარსული მინიატურა

XVIII საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, იმჟამინდელი აზიის უძლიერეს და უდიდეს იმპერიაში — სპარსეთში ვითარება მეტისმეტად დაძაბული იყო: ისპაჰანში შაჰის ტახტი იმხანად, ავღანელი ჰოთაქიების დინასტიას ეპყრა, ხოლო სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელი, შაჰ თამაზ II თავრიზს აფარებდა თავს. 1725 წელს შაჰი მირ-მაჰმუდ ჰოთაქი, ზღვარგადასული სისასტიკის გამო, თავისივე ამალის წევრებმა სიცოცხლეს გამოასალმეს; ტახტზე კი მისი ბიძაშვილი აშრაფ-ხან ჰოთაქი აიყვანეს. ახალი შაჰი საკმაოდ სუსტი მმართველი აღმოჩნდა და ამან მალე გამოიღო შედეგიც — შაჰ თამაზ II-მ სპარსეთიდან ავღანელთა გასაძევებლად წამოიწყო ბრძოლა, რომელსაც მისი უერთგულესი სარდალი, ნადირ-ხან ავშარი ჩაუდგა სათავეში.

ნადირ-ხანმა ისპაჰანი მალე აიღო, აშრაფ-ხან ჰოთაქი სპარსეთიდან გააძევა და ტახტზე შაჰ თამაზ II დააბრძანა, მაგრამ აშრაფ-ხანის მსგავსად, ისიც არ იყო მართვა-გამგებლობის ნიჭით დაჯილდოებული — სანამ ნადირ-ხანი გაქცეულ ავღანელ შაჰს სდევნიდა და მის მშობლიურ, ყანდაარის მხარეს აოხრებდა, დასავლეთ ირანში ოსმალები შემოიჭრნენ და რამდენიმე ქალაქი აიღეს. შაჰ თამაზ II-მ მათთან შებრძოლება ვეღარ გაბედა და საზავო მოლაპარაკება დაიწყო. უკმაყოფილი ნადირ-ხანი სასწრაფოდ მობრუნდა ავღანეთიდან, ოსმალებს შეუტია, აღებული ქალაქები დაათმობინა და სპარსეთის მიწიდანაც გადარეკა. შემდეგ ისპაჰანში ჩავიდა, შაჰ თამაზ II ნადიმზე უგრძნობლად დაათრობინა, ბორკილები დაადო და ხორასანში, ერთ-ერთ მიუვალ ციხესიმაგრეში გამოკეტა. ახალ შაჰად კი მისი შვილი — 6 თვის აბას-მირზა აკურთხებინა, შაჰ აბას III-ის სახელით.

1736 წლის იანვარში, როდესაც ნადირ-ხანმა ოსმალებს საბოლოოდ ამოუკვეთა ფეხი სპარსეთის სამფლობელოებიდან (მათ შორის — აღმოსავლეთ საქართველოდანაც), მისმა მსტოვრებმა მცირეწლოვანი შაჰ აბას III მოწამლეს. სპარსეთში უკვე ბავშვმაც კი იცოდა, რომ ტახტზე ასასვლელად თავად ნადირ-ხანი ემზადებოდა. იმავე წლის 26 თებერვალს — ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულზე — ის საზეიმოდ აკურთხეს სპარსეთის შაჰად. ყოფილი სარდალი, ნადირ-ხანი ამიერიდან, ნადირ-შაჰად იწოდა. სხვათა შორის, შაჰად კურთხევის ცერემონიას საქართველოდანაც ესწრებოდნენ იმჟამინდელი „პროსპარსელი“ დიდებულები: ალექსანდრე დავითის ძე, აბდულა-ბეგ იესეს ძე, ალიყული-ბეგ ამირეჯიბი და ქაიხოსრო ყაფლანიშვილი. აღსანიშნავია, რომ ცერემონია არა ისპაჰანში, არამედ აზერბაიჯანში — მუღანის ველზე მიმდინარეობდა.

ამავდროულად, საქართველოში ძალზე დაძაბული სიტუაცია იყო შექმნილი — ქართლსა და კახეთში სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყება იყო დაწყებული, რომელსაც სათავეში ედგნენ: შანშე ქსნის ერისთავი, თეიმურაზ II კახთა მეფე და მისი ვაჟი, ერეკლე II. სწორედ ამის გამო მოხდა ისე, რომ ნადირ-შაჰმა სპარსეთის მპყრობელის ჯიღა არა სატახტო ქალაქ ისპაჰანში, არამედ საქართველოსთან ახლოს — მუღანის ველზე დიდგა; შაჰად კურთხევის შემდეგ კი, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა საქმეები განიხილა — ქართლ-კახეთისაკენ, მისი ბრძანების თანახმად, მრავალრიცხოვანი ლაშქრით გაემართა სარდალი სეფი-ხანი.

აღსანიშნავია, რომ იმხანად ქართლის მეფე ვახტანგ VI რუსეთში იყო გაქცეული და იქ ამაოდ ელოდა შემწეობას; სანქტ-პეტერბურგში მისთვის აღარავის სცხელოდა, რადგანაც ნადირ-შაჰთან საქმე უკვე მოგვარებული ჰქონდა — 1735 წლის „განჯის ტრაქტატით“, რუსეთმა სპარსეთს დაუთმო ბაქო-დარუბანდიც და აღმოსავლეთ საქართველოც. ვახტანგ IV ამაოდ დაშვრა და სამშობლოს მონატრებული, ასტრახანში გარდაიცვალა. მას დარჩა მემკვიდრე — უფლისწული ბაქარი, რომელიც 1729 წლიდან მოსკოვის ოლქის არტილერიის კანტორას ხელმძღვანელობდა, ხოლო მოგვიანებით, მისი თაოსნობით, რუსეთში პირველად დაარსდა ქართული სტამბა. 1737 წელს, მოსკოვიდან საქართველოსაკენ წამოსულ ვახტანგს ბაქარიც თან მოჰყვებოდა, მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ გზა აღარ გაუგრძელებია — ისევ რუსეთში დარჩენა ამჯობინა.

ერეკლე ბაგონიშვილი 18 წლის ასაკში. უცნობი მხატვრის ნახატი

უმეფოდ დარჩენილ ქართლში სპარსელების წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა შანშე ქსნის ერისთავი, მაგრამ უშედეგოდ — ნადირ-შაჰის გამოგზავნილმა სარდალმა სეფი-ხანმა აჯანყებულთა წინააღმდეგობას სძლია, ქსნის ხეობა ააოხრა, ხოლო ერისთავის მოკავშირე თეიმურაზ II კახთა მეფეს სასწრაფოდ ნადირ-შაჰთან, სპარსეთში ჩასვლა უბრძანა. შანშე ქსნის ერისთავი აოხრებულ ქართლს გაერიდა, იმერეთში გადავიდა, ხოლო თეიმურაზ II იძულებული გახდა, ისფაჰანში ნადირ-შაჰს ხლებოდა. იგი მრავალრიცხოვანი ამალითურთ სპარსეთში ჩავიდა და იქ რამდენიმე წლით დარჩა. ამ დროს მისი მემკვიდრე, 18 წლის ერეკლე ჯერ კიდევ არ იყო მეფედ ნაკურთხი.

ნადირ-შაჰი ქართველ მეფესა და დიდებულებს კარგად შეხვდა, საჩუქრებიც უბოძა და ვითომ ხუმრობით, საყვედურიც შეაპარა შანშე ქსნის ერისთავისთვის დახმარების გაწევის გამო. სტუმრები დიდხანს დატოვა თავისთან. თეიმურაზ II ბოლოს მიხვდა, რომ შაჰს მისი გაშვება არ სურდა; მოგვიანებით, ნადირ-შაჰმა ერთ-ერთ ნადიმზე კახთა მეფეს, როგორც იქნა, გულისნადები

გაუმხილა. „კახეთში მხოლოდ მაშინ გაგიშვებ, თუკი შენს შვილებს — ერეკლესა და ქეთევანს სპარსეთში ჩამოიყვან!“ — ირონიული ღიმილით უთხრა თეიმურაზ II-ს შაჰმა. „სხვა ძე არ მყვანდა, გასინჯეთ, ვინც იყოთ კაცი ბრძენია, აღარვინ მრჩება ოჯახში, ვით მოვითმინო, ძნელია!“ — წერდა შემდგომში ამის შესახებ მეფე-პოეტი.

ნადირ-შაჰმა თეიმურაზ II-ს საქართველოში მსტოვრები გამოაგზავნინა, თავად კი თან იახლა ყანდაარში. კახთა მეფემ საკუთარი თვალით იხილა ავღანეთის პირქუში ბუნება და ურჩი მოსახლეობა, რომელიც მუდამ მზად იყო ომისათვის. სანამ ნადირ-შაჰი ავღანეთის საქმეებს იხილავდა, ისპაჰანში ერეკლე და მისი და, ქეთევანიც ჩამოვიდნენ. სპარსელი დიდებულები დიდად მოიხიბლნენ 17 წლის უფლისწულით; იმხანად სპარსეთის შაჰის კარზე მყოფმა პორტუგალიელმა იეზუიტმა, ბერნარდუ და სილვამ თავის დღიურში ეს სტრიქონები ჩაწერა: „უფლისწული ჰერაკლიუსი მოხდენილი გარეგნობით გამოირჩევა, თუმცაღა უფრო ტანმორჩილია... იგი კარგად აღზრდილი პიროვნებაა და სამხედრო ხელოვნებაშიც კარგად არის გაწაფული“.

ნადირ-შაჰმა მეფის ასული ქეთევანი თავის ძმისწულს შერთო ცოლად, ერეკლესთან გასაუბრება კი კარგა ხანს არც მოუსურვებია. მხოლოდ ორიოდე კვირის შემდეგ, მორიგ ნადიმზე მიაქცია ყურადღება უფლისწულს და პირველივე ჯერზე მუქარანარევი კილოთი უთხრა: „თუკი გამეფება გინდა, ქრისტიანობა დაუტევე და მაჰმადიანობა მიიღე, ვითარცა წესად გიძევთ ბაგრატიონებს!“ ერეკლემ მრისხანე შაჰს ალმაცერად გადახედა და უშიშრად მიუგო: „მე ქრისტიანად დავბადებულვარ და ქრისტიანად მოვკვდები... რჯულშეცვლილები კი სანდონი აღარ არიან!“ შაჰს აღარაფერი უთქვამს და აღარც სხვა დროს შეუთავაზებია ერეკლესათვის გამუსლიმანება. საქართველოში გამოშვებაზე კი უარი უთხრა — ინდოეთში სალაშქროდ მჭირდებიო. ერეკლესაც სხვა გზა არ ჰქონდა — გამაჰმადიანებას ისევ შაჰთან ერთად ლაშქრობა სჯობდა.

აღსანიშნავია, რომ იმხანად სპარსეთი და ინდოეთი ერთმანეთს ედავებოდნენ ავღანური ტომებით დასახლებული პუშტუნისტანის გამო (თანამედროვე ავღანეთისა და პაკისტანის ტერიტორიებზეა), რომლის ადმინისტრაციული ცენტრი — ყანდაარი სპარსეთის ხელთ იყო, ხოლო უდიდეს ციხესიმაგრეს — ფეშავარს ინდოელები ფლობდნენ. სხვათა შორის, სწორედ მათთან აფარებდა თავს ისპაჰანიდან ნადირ-შაჰის მიერ გაძევებული აშრაფ-ხან ჰოთაქი და ბევრ პრობლემასაც უქმნიდა სპარსეთს — მისი მსტოვრები ყანდაარში ხალხს აქეზებდნენ და კვირა ისე არ ჩაივლიდა, რომ სპარსელ ჯარისკაცთაგან ვინმე არ მოეკლათ. 1737 წელს — სპარსეთში ერეკლეს ჩასვლამდე ერთი წლით ადრე — ნადირ-შაჰმა ყანდაარში ქართველთა დამსჯელი რაზმები გაგზავნა, ზემო ქართლის სადროშოს წინამძღოლ გივი ამილახვრის მეთაურობით. გივი ამილახვარმა ყანდაარი საბოლოოდ დაიმორჩილა, თუმცა ამისთვის მას ქალაქის მთლიანად აოხრება დასჭირდა. ავღანეთიდან დაბრუნების შემდგომ კი ნადირ-შაჰმა გივი ამილახვარს ქართლში ჩასვლა და შანშე ქსნის ერისთავის დატყვევება უბრძანა.

გივი ამილახვარი ადრე თავად იყო ქსნის ერისთავის თანამებრძოლი, მაგრამ მისთვის მიუღებელი იყო ის, რომ სპარსელებთან ბრძოლისას შანშე დაქირავებული დაღესტნელების (ანუ ქართველთა მოსისხლე მტრების) ლაშქარს ეყრდნობოდა და, ამავდროულად, ლეკებს იმ ქართველი დიდებულების სახლ-კარსაც აკლებინებდა, ვისი ჯავრიც სჭირდა. ამიტომაც აღარ უთქვამს უარი ამილახვარს შაჰის ბრძანების შესრულებაზე — თავისი ხალხიანად ის ქართლში ჩავიდა და სეფი-ხანთან ერთად, ცეცხლს მისცა იმერეთში გაქცეული შანშე ქსნის ერისთავის სახლ-კარი.

ინდოეთიდან კი ნადირ-შაჰს მსტოვრებმა ცუდი ამბები შეატყობინეს — დიდ მოღოლთა დინასტიის ფადიშაჰი, მუჰამად-ხანი პუშტუნისტანში შემოსაჭრელად ჯარებს ამზადებდა და ისპაჰანიდან გაძევებული აშრაფ-ხან ჰოთაქიც თან ჰყავდა. ინდოელები იმუქრებოდნენ, რომ პუშტუნისტანის აღებით აღარ დაკმაყოფილდებოდნენ და სპარსეთის საატახტო ქალაქსაც შემოუტევდნენ. ნადირ-შაჰი ინდოელთა მუქარამ გააცოფა და გადაწყვიტა, რომ თავგასული მოწინააღმდეგისთვის ჭკუა ესწავლებინა. სწორედ ამ დროს დაიბარა მან ისპაჰანში ერეკლე და დიდად კმაყოფილი დარჩა მისი ხილვით — ქართველი უფლისწული სამხედრო საქმეში ისე იყო განსწავლული, რომ ნამდვილად არ გაუჭირდებოდა შორეულ ადგილებში შაჰის მხარდამხარ ლაშქრობა.

ამავდროულად, დელიში — ინდოეთის ფადიშაჰ მუჰამად-ხანის კარზე გამალებული საომარი სამზადისი იყო გაჩაღებული. მოღოლები კარგად ხვდებოდნენ, რომ სპარსულ ჯარებს მარტო თავად ვერ გაუმკლავდებოდნენ და მოკავშირეებიც მოიძიეს — დასავლეთ ინდოეთში მდებარე მაჰარაშტრის ოლქის მაჰარაჯა რატანჯი ჩანდი და პენჯაბელი სიქჰების წინამძღოლი ზაქარია-ხანი. ფადიშაჰ მუჰამად-ხანს განსაკუთრებით ამ უკანასკნელის იმედი ჰქონდა — სიქჰები იმთავითვე ყველაზე მებრძოლ ხალხად მიიჩნეოდნენ მთელ ჩრდილოეთ ინდოეთში; ისინი მუსლიმანი მოღოლების ვასლები იყვნენ, თუმცაღა ამ ხალხის ბოღომდე დამორჩილება ფადიშაჰ მუჰამად-ხანს ისევე უჭირდა, როგორც ნადირ-შაჰს — ქართველებისა.

მუჰამად-ხანმა გადაწყვიტა, ნადირ-შაჰისთვის დაესწრო და თავად დაეკავებინა ხაიბერის სტრატეგიული უღელტეხილი (თანამედროვე პაკისტანში, ჰინდუქუშის მთებში მდებარეობს), რომელზეც ინდოეთში მიმავალი გზა გადიოდა. მან იქ თავისი ყველაზე ძლიერი სარდალი, ავადჰის სანავაბოს გამგებელი საადათ ალი-ხანი გაგზავნა. ავადჰის სანავაბო ჰიმალაის მთებში მდებარეობდა (ამჟამად ეწოდება უტარ-პრადეში) და ამიტომაც, საადათ ალი-ხანის ჯარიც ამტანი და სამხედრო ხელოვნებაში გამობრძმედილი ჰიმალაელი მთიელებისაგან შედგებოდა. მათთან გამკლავება არათუ

სიქჰების წინამძღოლი ზაქარია ხანი. XIX საუკუნის დასაწყისის ინდური მინიატურა

სპარსელებს, არამედ ავღანელებსაც კი ძლიერ უჭირდათ.

თავის მხრივ, ნადირ-შაჰიც მიხვდა, რომ ინდოელები ხაიბერის უღელტეხილის დაკავებას ეცდებოდნენ და მათ წინააღმდეგ უფლისწული ერეკლე და ქართველთა რაზმი გაუშვა. ყოველი შემთხვევისათვის კი მომთაბარე ბახთიარებიც მიაყოლა — ტიკაიტ რაიმ, რომელიც საადათ ალი-ხანს თან ახლდა ლაშქრობაში, მოგვიანებით, ქართველ მეომართა შესახებ ასეთი რამ დაწერა: „მათ ეცვათ წვრილად ნაქსოვი ჯაჭვის პერანგები, რომელსაც ჩვენი ისრები და ხმლები ვერას აკლებდა. თავზე ეხურათ ასევე ჯაჭვისაგან ნაქსოვი ჩაფხუტები და მიუხედავად იმისა,

კარნალის ბრძოლა. XVIII საუკუნის დასასრულის ინდური მინიატურა

მათ ქართველები ზურგიდან უნდა დაეცვათ, თუკი ამის საჭიროება იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ ქართველ მოლაშქრეთა უმეტესობა ერეკლესთან ბავშვობიდან თანშეზრდილი თუშ-ფშავ-ხევსურები იყვნენ, რომლებსაც ავღანეთის ფრიალო კლდეებზე ცოცვა სულაც არ უჭირდათ; ამიტომაც იყო, რომ ქართველებმა „ზურგის გასამაგრებლად“ კვალში ჩამდგარი ბახთიარები მალევე ჩამოიტოვეს უკან, უვნებლად გაიარეს ავღანელთა სოფლები და ხაიბერს მიადგნენ.

ხაიბერის უღელტეხილი ზღვის დონიდან 1,5 კილომეტრზე მდებარეობს და მუდმივი ნისლიანობითაა ცნობილი. ინდოელ მეომრებს სწორედ ამით ესარგებლათ და იმგვარად ჩასაფრებულიყვნენ, რომ ქვემოდან მომავალი მტერი მათ ვერასგზით დაინახავდა. სარდალი საადათ ალი-ხანიც შეუმჩნევლად იჯდა საფარში და უღელტეხილისაკენ მომავალ გზებს გასცქეროდა. იგი არ ღელავდა, რადგანაც სპარსელებს მოელოდა, მათთან ბრძოლა კი სულაც არ ეძნელებოდა. მეომრებიც კარგ განწყობილებაზე იყვნენ და აუღელვებლად ელოდნენ მტრის გამოჩენას. წარმოიდგინეთ მათი გაოცება, როდესაც გზაზე, სპარსელების ნაცვლად, უცხო ტომის მეომართა ერთი მუჭა რაზმი გამოჩნდა, რომელსაც სულაც არ აშინებდა მთის რთული რელიეფი და თავისუფლად მოიწევდა წინ.

ავადჰიელმა ჟამთააღმწერელმა, რაჯა

რომ თითოეულს თან ჰქონდა ორი მძიმე ხმალი, ფარი, თოფი და დამბაჩები, მაინც ისე მსუბუქად მოძრაობდნენ მთის გზებზე, რომ ჩვენც კი გვიკვირდა...“ ქართველი მთიელების შემყურე ინდოელი მთიელები დაიბნნენ და, რაღა თქმა უნდა, სწორედ ამან ითამაშა გადამწყვეტი როლი — უფლისწული ერეკლე და მისი რაზმი ყიჟინით შეესივნენ მტერს, აკაფეს და ხევხუვებში ჩაჩეხეს ისინი ისე, რომ როდესაც საადათ ალი-ხანი გამოერკვა, უკვე გვიან იყო — ინდოელი მეომრების დიდი ნაწილი ან მკვდარი იყო, ან მძიმედ დაჭრილი.

ამ დროს, ქვემოდან კვლავაც ყიჟინა მოისმა — ბახთიართა და სპარსელთა ლაშქარი ხაიბერისკენ მოაგელვებდა ცხენებს. საადათ ალი-ხანმა უკან დახევის ბრძანება გასცა და ინდოელთა განახევრებული ლაშქარი უწესრიგოდ, სირბილ-სირბილით დაიძრა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით — პენჯაბისაკენ, სადაც თავისი მეომრებით სიქჰი ზაქარია-ხანი იყო გამაგრებული. გაქცეულებს მაშინვე ყიჟინით დაედევნნენ ქართველები, ბახთიარები და სპარსელები.

პენჯაბში, კარნალის ველზე (ეს ადგილი ახლა ინდოეთის ჰარიანას შტატს ეკუთვნის) 1738 წლის 13 თებერვალს სპარსულ და ინდურ ჯარებს შორის გადამწყვეტი შეტაკება მოხდა. თავიდან, სპარსელებსა და მათ მხარდამხარ მებრძოლ ქართველებს ბრძოლა ძალზე

უჭირდათ, რადგან ინდოელებმა ბრძოლის ველზე სპილოები გამოიყვანეს და თვითონ უკან მიჰყვნენ ისე, რომ მოწინააღმდეგის ტყვიები და ისრები ვერ მისწვდენოდათ. რა თქმა უნდა, სპილოებს სპარსელები ვერაფერს აკლებდნენ, რადგან ტყვია და ისარი მათ სქელ კანს ვერ ხვრეტდა. ბოლოს, ისევ ქართველმა უფლისწულმა იმარჯვა: „აქლემებს დენთი ავკიდოთ და სპილოებზე მივუშვათ!“ — შესთავაზა მან ნადირ-შაჰს, რომელიც აღტაცებული დარჩა ერეკლეს ამგვარი მოხერხებით, თუმცა თვალებში მაინც შურის ნაპერწკლები აუკიაფდა.

შაჰის ბრძანებით, ოცდათორმეტ აქლემს ზურგზე დინამიტის მსგავსი ასაფეთქებელი მოწყობილობა — მანგალი აჰკიდეს, ცეცხლიც წაუკიდეს და სპილოებზე ასე მიუშვეს. ამას მართლაც კარგი შედეგი მოჰყვა — ცეცხლმოდებულ ცხოველთა დანახვამ გიგანტები ძალიან დააფრთხო. სპილოები მიტრიალდნენ და ინდოელთა ლაშქრის წინა რიგები გადათელეს. უპირატესობა ახლა უკვე სპარსელთა მხარეს იყო, თუმცა ინდოელი მეომრები ბრძოლას არ წყვეტდნენ. განსაკუთრებით მამაცურად იბრძოდა სიქჰი ზაქარია-ხანი, ვისაც ვერც ერთმა სპარსელმა ვერ გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა. ნადირ-შაჰის სურვილით, ქართველმა უფლისწულმა ხმალი იძრო და ბრძოლაში ჩაება. ერეკლემ მედგრად შეუტია ზაქარია-ხანს, მაგრამ ჯაბანი არც სიქჰი იყო — ორივენი დიდხანს ეპაექრნენ ერთმანეთს. ბოლოს კი ერეკლემ ზაქარია-ხანს ხმალი დააგდებინა და შეიპყრო. გოლიათ სიქჰს აქეთ-იქიდან მაშინვე მისცვივდნენ სპარსელები და ბორკილები დაადეს. 18 წლის უფლისწულმა მზერა აარიდა დატყვევებული გმირის ზვიად გამოხედვას.

კარნალის ბრძოლა სპარსელთა გამარჯვებით დასრულდა — ფადიშაჰმა მუჰამად-ხანმა ნადირ-შაჰის უზენაესობა აღიარა, ფეხებზე ემთხვია მას და რძლად მისცა თავისი უფროსი ქალიშვილი. რამდენიმე დღის შემდეგ, დელიში, გამარჯვებისადმი მიძღვნილ ნადიმზე ნადირ-შაჰმა უფლისწული ერეკლე თავისთან მიიხმო: „რადგან ყველაფერი ასე კარგად დასრულდა, მოწყალეობას გამოვიჩენ და ნებისმიერ სურვილს აგისრულებ... მთხოვე, რაც გინდა!“ — უთხრა მან ერეკლეს.

პატარა კახი არც შეყოყმანებულა: „თუ ეგრეა, მაშ ის ინდოელი გაათავისუფლეთ, მე რომ შევიპყარი!“ — ეს იყო მისი სურვილი. ნადირ-შაჰი ჯერ ბოროტად მიაჩერდა ქართველ უფლისწულს, მერე კი დატყვევებული სიქჰის გათავისუფლება ბრძანა. სპარსელებმა მაშინვე გამოიყვანეს ზაქარია-ხანი საპყრობილიდან, შაჰს მოჰგვარეს და ხმალიც დაუბრუნეს...

P.S. ზაქარია-ხანმა, რომელიც მაშინ 20 წლის იყო, ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა. იგი სიცოცხლის ბოლომდე დიდი პატივისცემით იხსენებდა გურჯების მეფეს, რომელმაც დაკარგული ღირსება დაუბრუნა.

■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ალკოჰოლი ღვიძლს აზიანებს

ალკოჰოლის ზემოქმედების შედეგად, ტვინის შემდგომ, ყველაზე ხშირად ღვიძლი ზიანდება. თუ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფსიქიკის დარღვევასა და აზროვნების უნარის დაბინდვასთან, მეორე შემთხვევაში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგება.

ალკოჰოლის ჭარბმა და ხანგრძლივმა მიღებამ ღვიძლის სხვადასხვა სახის დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს, რაც ღვიძლის ალკოჰოლური დაავადების სახელით არის ცნობილი. თითქმის 100%-ს ადამიანებისას, რომლებიც სისტემატურად იღებენ ალკოჰოლს, აღენიშნება ალკოჰოლური ცხიმოვანი ღვიძლი (ღვიძლის უჯრედებში ცხიმის დაგროვება), 35%-ს — ალკოჰოლური ჰეპატიტი, ხოლო 10-20%-ს — ალკოჰოლური ციროზი (ამ დროს, ღვიძლის უჯრედები კვდება).

ალბათ იკითხავთ — ბევრი სვამს, მაგრამ ღვიძლი ყველას ხომ არ უზიანდება?

როგორც აღვნიშნე, ალკოჰოლის ჭარბი და ხანგრძლივი მოხმარება (10-12 და მეტი წელი) ღვიძლს აზიანებს, თორემ ალკოჰოლის (მეტწილად, ღვინის) ზომიერად მიღებით (მაგალითად, სადილობისას 1 ჭიქა ღვინო), პირიქით — ჯანმრთელობას სარგებელსაც კი მოვუტანთ. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში, თავდაპირველად (რამდენიმე წელი), ღვიძლის დაზიანება პაციენტს არ აწუხებს, მაგრამ თუ აკლოჰოლის მოხმარებას განაგრძობს, დროთა განმავლობაში უეჭველად იჩენს თავს. მით უმეტეს, თუ ალკოჰოლის ჭარბად მიღებას თან ახლავს ფაქტორები, რომლებიც ამ დაავადების განვითარებას უწყობს ხელს. ასეთი ფაქტორებია, მაგალითად, ცუდი კვება (არაკალორიული, ცილებითა და ვიტამინებით ღარიბი საკვები), ასაკი (რაც უფრო ახალგაზრდა ასაკში იწყებენ ალკოჰოლის მოხმარებას, ღვიძლის დაზიანების მით უფრო მეტი შანსია), ალკოჰოლის მიმართ გენეტიკურად ჩადებული მგრძნობელობა, ნიკოტინი, ყავა, მოუწესრიგებელი სქესობრივი ცხოვრება და სხვა.

აქვე გაცნობებთ, თუ რა რაოდენობით ალკოჰოლია საშიში ჯანმრთელობისთვის. ღვიძლის პათოლოგიის განვითარებისთვის საკმარისია, მამაკაცმა რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატურად მიიღოს დღეში 40-100 გ ეთანოლი, რომელსაც დაახლოებით 100-125 მლ არაყი (კონიაკი, ვისკი და სხვა მაგარი სასმელები), 0.4-1 ლ ღვინო ან 1-2 ლ ლუდი შეიცავს; ქალებში ღვიძლის დაზიანებას 20 გ (50 მლ არაყი, 200 მლ ღვინო, 0,5 ლ ლუდი) ეთანოლის სისტემატური მიღებაც კი იწვევს. ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ სხვადასხვა სახის ალკოჰოლური სასმლის ერთდროულად მიღების შემთხვევაში, ადამიანის ჯანმრთელობას მეტი ზიანი ადგება.

ღვიძლის ალკოჰოლური დაავადებები სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოვლინდეს. ჩვენ ყველაზე ხშირ სიმპტომებს ჩამოვთვლით, რათა რომელიმე მათგანის გაჩენისთანავე, ექიმს მიმართოთ. გახსოვდეთ — საწყის ეტაპზე ღვიძლში განვითარებულ ცვლილებებს მკურნალობით დაძლევთ, ძლიერ გართულებულს კი — არა.

— ღვიძლის გადიდება (90%), რომელსაც პაციენტი თავდაპირველად მუცელში მარჯვენა მხარეს გაჩენილი უსიამოვნო შეგრძნებით აღმოაჩენს, შემდგომ ტკივილს გამოიწვევს;

— უმადობა (70%);

— წონაში დაკლება (55%);

— თითქოსდა უმიზეზო ტკივილი მუცელში (50%);

— სიყვითლე (50%);

— ცხელება ანუ ტემპერატურის მატება (45%);

— სისტემატური ხასიათის გულისრევა, პერიოდულად — ღებინება (40%) და სხვა.

მკურნალობა სიმპტომურია ანუ — რა სიმპტომიც ვლინდება (სუბიექტურიც — რომელიც პაციენტს აწუხებს, და ობიექტურიც — რომელიც გამოკვლევით დგინდება), მის აღმოსაფხვრელად, ექიმი მკურნალობას ნიშნავს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია — ალკოჰოლის მიღების შეწყვეტა. ასევე დიდი როლი ენიჭება კვებას: რეკომენდებულია კალორიული და ცილებით მდიდარი საკვები (ხორცი, კვერცხის ცილა და სხვა); ასევე აუცილებელია ვიტამინების კომპლექსის (B6, Â12, C, K, E) მიღება.

ალკოჰოლი წამლებთან შეუთავსებელია

წამალი და ალკოჰოლი ერთმანეთთან შეუთავსებელია. მათი ერთდროულად მოხმარება შეიძლება, საკმაოდ უარყოფითად აისახოს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ზოგ შემთხვევაში, წამლის მოქმედების დაქვეითება, ზოგში კი — გაძლიერება ხდება.

მაგალითად:

* ასპირინისა და ალკოჰოლის ერთდროულმა მიღებამ შეიძლება, კუჭის წყლულის ჩამოყალიბება გამოიწვიოს;

* სპირტიან სასმელებთან ერთად არანარკოტიკული ანალგეტიკების (ანალგინი, ამიდოპირინი, პარაცეტამოლი, ინდომეტაცინი, იბუპროფენი) მიღება იწვევს ტაქიკარდიას (გულის ცემის აჩქარება), მოთენთილობას, ყურებში ხმაურის შეგრძნებას;

* პარაცეტამოლისა და ალკოჰოლის „შეერთება“ იმდენად ტოქსიკურია, რომ მინიმალურ დოზებშიც კი შეიძლება, ღვიძლის მძიმე დაზიანება გამოიწვიოს;

* ალკოჰოლი ნებისმიერი წამლის ალერგიულ რეაქციას აძლიერებს;

* ალკოჰოლი რამდენჯერმე აძლიერებს სისხლის შედედების უნარის დამაქვეითებელი პრეპარატების მოქმედებას (დიკუმარინი, ნეოდიკუმარინი, სინკუმარი და სხვა), რასაც შეიძლება მოჰყვეს ძლიერი სისხლდენა და სისხლჩაქცევები შინაგან ორგანოებში, მათ შორის ტვინში;

* ალკოჰოლის ფონზე იცვლება ბევრი ანტიბიოტიკის მოქმედება: დოკსიცილინი — სუსტად მოქმედებს; ლევომიცეტინი — იწვევს წამოხურებას, კანკალს, გულისცემის შეგრძნებას, თავში ხმაურს; მეტრონიდაზოლის და ფურაზოლიდონის მოქმედება სრულიად იცვლება. კატეგო-

რიულად იკრძალება ალკოჰოლის მიღება ანტიბიოტიკებით მკურნალობის დროს;

* ალკოჰოლი აძლიერებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი პრეპარატების მოქმედებას (საძილე, სედატიური და სხვა ფსიქოტროპული პრეპარატები, სიცხის დამწევები, ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებლები ანუ ანალგეტიკები). ცნობილია მრავალი შემთხვევა, როცა ამ წამლების აბსოლუტურად უვნებელმა დოზებმა ალკოჰოლთან ერთად მიღებისას, მძიმე შედეგები და სიკვდილიც კი გამოიწვია;

* საძილე საშუალებებისა და დამამშვიდებლების ალკოჰოლთან ურთიერთმოქმედება იწვევს კოორდინაციის ძლიერ დარღვევას, ძილიანობას და შეიძლება, სავალალო შედეგით დასრულდეს;

* კრუნჩხვების საწინააღმდეგო (კლონაზეპამი), საძილე, ტრანკვილიზატორი (დიაზეპამი და სხვა) ალკოჰოლის გავლენით, სუნთქვის ცენტრის ძლიერ დათრგუნვას იწვევს და ხშირად, კომატოზური მდგომარეობის განვითარებას განაპირობებს;

* ალკოჰოლი ანტიჰისტამინური პრეპარატების (დიმედროლი, სუპრასტინი და სხვა) მომადუნებელ მოქმედებას აძლიერეს;

* ძალზე საშიშია აკლოჰოლისა და ანტიდეპრესანტების ერთად მიღება: ლუდის ან ღვინის სულ უმნიშვნელო დოზამაც კი შეიძლება გამოიწვიოს არტერიული წნევის მატება და ჰიპერტონიული კრიზი; ამასთან, ეს საშიშროება პრეპარატის მოხსნიდან 2 კვირის მანძილზე გრძელდება;

* რეზერპინის, ადელფანის, კლოფელინის, გემიტონის, დოპეგიტის ალკოჰოლთან ერთად მიღება იწვევს წნევის მკვეთრ დაცემას და ზოგჯერ, კოლაფსსაც კი;

* ალკოჰოლისა და ნიტროგლიცერინის ან პერიფერიული სისხლძარღვების გამაფართოებელი სხვა პრეპარეტების, ასევე — სპაზმოლიტიკური საშუალებების ერთდროულად მიღება იწვევს სისხლძარღვების ისეთ ძლიერ გაფართოებას, რომელმაც შეიძლება, სისხლძარღვოვანი უკმარისობა (კოლაფსი) გამოიწვიოს; ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროება;

* შარდმდენი საშუალებებით მკურნალობისას ალკოჰოლის ერთჯერადმა მიღებამაც კი შეიძლება განაპირობოს მძიმე მოვლენები: ძილიანობა, ღებინება, არტერიული წნევის ვარდნა, გულის მწვავე უკმარისობა;

* მთელი რიგი პრეპარატები ორგანიზმზე ალკოჰოლის მოქმედების გაძლიერებას იწვევს; ამ პრეპარატებს შორისაა: ამინაზინი, კეტოტიფენი, ცერუკალი (რეგლანი), ციმეტიდინი, ბრომოკრიპტინი, კოდეინი;

* სპირტიან სასმელებთან ერთად ჰორმონული პრეპარატების მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს: თრომბოფლებიტის, კრუნჩხვების, კუჭის წყლულოვანი დაავადების გამწვავების პროვოცირება.

აუცილებელია იცოდეთ:

ალკოჰოლი+ასპირინი=კუჭის წყლულს;

ალკოჰოლი+კოფეინი, ეფედრინი, თეოფედრინი, კოლდრექსი, წნევის ამწევი საშუალებები=ჰიპერტონიულ კრიზს;

ალკოჰოლი+შარდმდენები, წნევის დამწევები=არტერიული წნევის მკვეთრ დაცემას;

ალკოჰოლი+პარაცეტამოლი (პანადოლი, ეფერალგანი)= ღვიძლის ტოქსიკურ დაზიანებას;

ალკოჰოლი+შაქრის დამწევი საშუალებები (ინსულინი და აბები) = სისხლში შაქრის შემცველობის მკვეთრ დაცემას, კომას;

ალკოჰოლი + ნეიროლეპტიკები, ტკივილგამაყუჩებლები, ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები=ინტოქსიკაციას;

ალკოჰოლი+ საძილეები, ტრანკვილიზატორები=ინტოქსიკაციას, ტვინისმიერ კომას;

ალკოჰოლი+ანტიბიოტიკები, სულფანლამიდები=წამლის აუტანლობას, სამკურნალო ეფექტის არქონას;

ალკოჰოლი+ნიტროგლიცერინი, ანტიჰისტამინური (ალერგიის საწინააღმდეგო) საშუალებები =ტკივილის სინდრომის გაძლიერებას და ალერგიულ რეაქციას. ■

კვება და პროსტატის კიბო

წინამდებარე ჯირკვლის კიბოს განვითარებისა და მისი პროფილაქტიკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი კვების თავისებურებებს ენიჭება.

მამაკაცებისთვის „დიეტური აკრძალვის“ საფუძვლის რამდენიმე სიტყვით ფორმულირება ასე შეიძლება: არ გაგიტაცოთ წითელი ხორცით კვებამ (საქონელი, ღორი, ცხვარი), შეზღუდეთ ცხიმების, განსაკუთრებით, ცხოველური ცხიმების მოხმარება.

როცა წინამდებარე ჯირკვლის კიბოს განვითარებაში წითელი ხორცის მავნებლობაზე საუბრობენ, საქონლის, ღორისა და ცხვრის ხორცის გადაჭარბებულ მოხმარებას გულისხმობენ. რასაკვირველია, გარკვეული რაოდენობით ხორცი სასარგებლოა, რადგან შეიცავს ორგანიზმისთვის აუცილებელ ბევრ ნივთიერებას, მათ შორის, შეუცვლელ ამინომჟავებს, რომლის მიღებაც ახალგაზრდა ასაკში (ე.ი. მზარდი ორგანიზმისთვის) აუცილებელია. მაგრამ დღეს ვსაუბრობთ ზრდასრულ ადამიანებზე (განსაკუთრებით 40-50 წელს გადაცილებულებზე), რომლებიც არ არიან დაკავებული მძიმე ფიზიკური შრომით.

კიბოს შემსწავლელი მსოფლიო ფონდის (ეს არის ორგანიზაცია, რომელიც უკვე მრავალი წელია, მისდევს ონკოლოგიური დაავადებების განვითარებაზე კვების თავისებურებების გავლენის კვლევას) ექსპერტები ამ ასაკის მამაკაცებს ურჩევენ, არ მიირთვან დღეში 80 გრამზე მეტი ხორცი. ამასთან, ხორცი უნდა იყოს მჭლე ან მომზადებისას, შეძლებისდაგვარად, მთლიანად უნდა მოაცილოთ ცხიმი. რეკომენდებულია შებოლილი და დამარილებული ხორცის, მათ შორის, ძეხვის შეზღუდვა; იგულისხმება არა მარტო ცხიმის შემცველი ძეხვი, არამედ ისეთიც (მოხარშული ძეხვი, სოსისი), რომელიც თვალისთვის შეუმჩნეველ ცხიმს შეიცავს. რადგან თვალით შეუმჩნეველი ცხიმის წყაროები ვახსენეთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ უხილავ ცხიმს ასევე შეიცავს: ხაჭო, ყველი, არაჟანი, ნაღები, კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი და ა.შ.

წითელი ხორცის ნაცვლად, შეიძლება იკვებოთ თევზით და შინაური ფრინველის ხორცით. ამასთან, უნდა გახსოვდეთ — ყველაზე მეტ ცხიმს შინაური ფრინველის კანი შეიცავს, ამიტომ მიზანშეწონილია, კანი მოაშოროთ. ე.წ. „თეთრი ხორცი“ მთელ მსოფლიოშია მიჩნეულია სასარგებლო პროდუქტად. ამიტო-

მაც, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სწორედ მას ანიჭებენ უპირატესობას — ფრინველის გულმკერდს, რომელიც ფაქტობრივად არ შეიცავს ცხიმს. ჩვენი მოსახლეობა კი, სამწუხაროდ (სიიაფის გამო), ცხიმის შემცველ, ქათმის ბარკალს უფრო ეტანება.

თევზის შესახებ განსაკუთრებული რეკომენდაციები ალბათ საჭირო არც არის. გარდა იმისა, რომ თევზი იოლად ასათვისებელ, შეუცვლელი ამინომჟავების წყაროს წარმოადგენს, ის შეიცავს ომეგა-3 ცხიმოვან მჟავებს, რომლებიც პროსტატის კიბოს განვითარების რისკს ამცირებს. ზრდასრულ ასაკში, აბსოლუტურად ყველა მამაკაცმა თევზს უნდა მიანიჭოს უპირატესობა და არა ხორცს.

მოკლედ მოგახსენებთ კერძის მომზადების შესახებაც: როცა ხორცს ან თევზს ამზადებთ, არ დაწვათ ის, რადგან ამ დროს წარმოიქმნება კანცეროგენული ნივთიერებები.

ბოლო წლების გამოკვლევებმა უჩვენა, რომ კიბოს (მათ შორის, პროსტატის კიბოს) პროფილაქტიკისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბოსტნეული და ხილი. დღეს უკვე ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ბოსტნეულითა და ხილით მდიდარი დიეტა ავთვისებიანი კიბოს, მათ შორის საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოების — კუჭის, მსხვილი და სწორი ნაწლავის კიბოს განვითარების რისკს აქვეითებს.

მეცნიერთა მიერ შემუშავებული რაციონალური კვების წესების მიხედვით, ზრდასრული ადამიანისთვის რეკომენდებულია დღეში დაახლოებით 450 გ ბოსტნეულისა და 220 გ ხილის (იგულისხმება გასუფთავებული პროდუქტის წონა) მიღება. ამასთან, მიზანშეწონილია, რომ მოშუშული და მოხარშული ბოსტნეული, სალათები, ხილი, წვნი, კენკრა ერთდროულად კი არ მიირთვათ, არამედ 4-5 ულუფად გაყოთ და დღის განმავლობაში ასე მიიღოთ. არც ჩირით ზედმეტად გატაცება ღირს.

რაც შეეხება წინამდებარე ჯირკვლის კიბოს — სპეციალისტების აზრით, გამოხატული დამცავი თვისებები აქვს კომბოსტოს სხვადასხვა ჯიშს და მოყვითალო-მონარინჯისფრო ბოსტნეულს (კერძოდ, სტაფილოს).

ამერიკელ მეცნიერთა მიერ ჩატარებული სპეციალური კვლევებით დადგინდა, რომ მამაკაცებს, რომლებიც ხშირად მოიხმარენ პომიდორს, ტომატსა და ტომატიან წვნიანებს, პროსტატის კიბოს განვითარება ნაკლებად ემუქრება, ვიდრე მათ, ვისი კვების რაციონიც პომიდვრითა და მისი პროდუქტებით ღარიბია.

მეცნიერები მამაკაცებს ურჩევენ:

* შეამცირეთ წითელი ხორცის მოხმარება და თევზითა და თეთრი ხორცით შეცვალეთ იგი;

* შეეცადეთ, ნაკლებად მოიხმაროთ ცხოველური ცხიმი; მის ნაცვლად გამოიყენეთ მცენარეული ზეთები, ყველაზე კარგი ვარიანტია — არარაფინირებული მცენარეული ზეთები;

* კვების რაციონში ყოველდღიურად შეიტანეთ ბოსტნეული (კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, ხახვი, პომიდორი და მისი პროდუქტები, კიტრი, მწვანილი); ხილი, კენკრა. მიიღეთ არა მარტო მოხარშული, არამედ (უფრო მეტადაც კი) ნედლი სახით, რადგან კულინარიული გადამუშავების დროს ბევრი სასარგებლო ნივთიერება იკარგება;

* ძალზე სასარგებლოა მსხვილად დაფქული მარცვლეულისგან დამზადებული პროდუქტები;

* აუცილებლად შემატეთ თქვენს რაციონს რძის ნაწარმი (მაწონი, ხაჭო, ოღონდ ნაკლებცხიმიანი; ბიოიოგურტები და სხვა), ასევე პოლივიტამინები.

ეს რეკომენდაციები სასარგებლოა ყველა მამაკაცისთვის, განსაკუთრებით — მათთვის, ვისაც გვარში პროსტატის კიბოს შემთხვევები აქვთ. ეს რჩევები ასევე უნდა გაითვალისწინონ იმ მამაკაცებმა, რომლებსაც ძირითადად, მუცლის მიდამოში უგროვდებათ ცხიმი.

დიდი ხნის განმავლობაში, პროსტატის კიბოთი ავადობისა და მისგან სიკვდილიანობის მაჩვენებლები ეკონომიკურად განვითარებულ ყველა ქვეყანაში იზრდებოდა. მაგრამ დრო იცვლება, არ რჩება შედეგის გარეშე არც კიბოს წინააღმდეგ ბრძოლა იქ, სადაც ეს ბრძოლა თანამიმდევრულად, სისტემურად და საფუძვლიანად მიმდინარეობს. ამის მაგალითია აშშ-სა და ევროპაში არსებული სიტუაცია, სადაც ავადობის რაოდენობამ სერიოზული კლება დაიწყო. ■

ადამიანი

ცნობილი ადამიანების პორტრეტები
და უცნობისადმი მიძღვნილი სასიყვარულო ლექსი

„მუზა ღამით, სეირნობისას მომდის ხოლმე...“

თამთა დადეშელი

მხატვარი და პოეტი ვახუშტი რომელაშვილი დიდი ხანია, პორტრეტებისა და სახის ცალკეული ნაკვთების ხატვითაა გატაცებული. სამხატვრო აკადემიაში ის მხატვარ-დიზაინერის პროფესიას დაეუფლა, მაგრამ თავს მაინც პორტრეტისტად მიიჩნევს.

— 2009 წელს გადავწყვიტე, ცნობილი ადამიანების პორტრეტები დამეხატა, შემდეგ მომეწყო გამოფენა და ეს სურათები თითოეულისთვის საჩუქრად გადამეცა. ჩანაფიქრი განვახორციელე — ჩემი პირველი გამოფენა ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმში მოეწყო. ვინაიდან ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა, გადავწყვიტე, მეორე ჩვენება „არტ-გალერეაში“ გამეკეთებინა, თემა კი იგივე იყო — „ნაცნობი სახეები 2010 წელს“. ხალხს, ვისაც ვხატავ — ანუ ჩემს გმირებს დიდ პატივს ვცემ და ხატვის პროცესში მთელ სულსა და გულს ვაქსოვ...

— როგორ ფიქრობ — რა მოეწონათ შენს ნამუშევრებში?

— არ ვიცი... ალბათ, როცა შენთან ვიღაც მოდის და გთხოვს, — თუ შეიძლება, დაგხატავო, მერე კი გამოფენას აწყობს, სადაც რასაკვირველია, შენც გეპატიჟება და საბოლოოდ, ნამუშევარს გჩუქნის, ეს უკვე დაინტერესებას იწვევს. სხვათა შორის, საკუთარი პორტრეტი ყველას მოეწონა.

— გამოფენაზე სულ რამდენი ნამუშევარი გაიტანე?

— საერთო ჯამში, ორივე გამოფენაზე 76 ცნობილი ადამიანის პორტრეტი გავიტანე. მათ შორის იყვნენ: კომპოზიტორები, მომღერლები, მსახიობები, პოეტები და რამდენიმე მხატვარი.

— ვისი დახატვა იყო შენთვის ყველაზე საინტერესო?

— პირველად იმედა კახიანის პორტრეტი შევქმენი. ვინაიდან ეს ადამიანი ძალიან მიყვარს, დავუკავ-









შირდი და ვუთხარი, — თქვენი ნახვა მინდა-მეთქი. — მობრძანდითო, — მიპასუხა. როცა მასთან სტუმრად მისულმა საკუთარი პორტრეტი მივუტანე, გაოგნდა, საჩუქარმა ძალიან გაახარა. სწორედ მაშინ გამიჩნდა სურვილი, სხვებიც დამეხატა და გამოფენა მომეწყო. გამოვარჩევდი მუხრან მაჭავარიანს...

— ხატვა როდის დაიწყე?

— ბავშვობიდან ვხატავ. 17 წლის ვიყავი, „თოიძეში“ რომ ჩავაბარე, 2 წლის შემდეგ კი სამხატვრო აკადემიაში განვაგრძე სწავლა, რომელიც 2006 წელს დავამთავრე, ავეჯის დიზაინის სპეციალობით. მართალია, ავეჯის დიზაინიც კარგად გამომდიოდა, მაგრამ რატომღაც, პორტრეტებისა და ადამიანის ფიგურების ხატვა უფრო მომწონდა.

— თუ გახსოვს, პირველად რა დახატე?

— თავიდან ადამიანის სახის ცალკეულ ნაკვთებს ვხატავდი, ანგელოზების ხატვაც მიყვარდა... სხვათა შორის, ჩემი მშობლები მხატვრები არიან და აკადემიის გარდა, რა თქმა უნდა, რაღაცებს ოჯახშიც ვსწავლობდი. ჩემი პედაგოგები ჩემი მშობლები იყვნენ: დედაჩემი გობელენზე მუშაობს, მამა — ზეთში. ის არქიტექტორ-რესტავრატორია.

— როგორც ვიცი, ძირითადად, მხოლოდ საღებავებით ხატავ და ფანქარს არ იყენებ...

— წყლის საღებავით, გუაშითა და აკვარელით, შერეული ტექნიკით ვხატავ, ზეთში — ნაკლებად. აკადემიაში სწავლისას, ხეზე 2 ხატი — ღვთისმშობლის და წმინდა გიორგის — ამოვკვეთე. მერწმუნეთ, ფიჭვზე კვეთა ძალიან რთულია. ამ ხატებს სახლში ვინახავ, ორივე ნაკურთხია.

— შენი პორტრეტები იყიდება?

— არა და ჯერჯერობით ამაზე არც მიფიქრია. ხომ გითხარი — ვინც დავხატე, პორტრეტები მათვე ვუსახსოვრე-მეთქი. ახლა მინდა, ჩემი ნამუშევრები ხალხმაც შეაფასოს. სამუშაო კიდევ ბევრია და ვნახოთ, რა გამოვა.

— შენი ლექსების შესახებაც გვიამბე...

— ლექსებს ძირითადად, სიყვარულზე ვწერ... უფრო ხშირად, წერის სურვილი ღამით მიჩნდება. მუზა სეირნობისას მომდის ხოლმე და შეიძლება, სტროფები ქუჩაშივე ჩავიწერო.

— პირველი ლექსი როდის დაწერე? ალბათ შეყვარებული იყავი, ხომ ასეა?

— დიახ, ოღონდ — ცალმხრივად. სხვათა შორის, ის გოგონა, ვისაც ლექსი მივუძღვენი, არც კი მიცნობდა. მაშინ 15 წლის ვიყავი.

— შენი ლექსების კრებულში სულ რამდენი ლექსია შესული?

— კრებულმა — „სამოთხის გზა“ — 126 ლექსი დაიტია. მათ 11 წლის მანძილზე ვწერდი. სხვათა შორის, მთელი ტირაჟი გაიყიდა.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

— ახლა მორიგ სერიას ვქმნი. როცა მუშაობას მოვრჩები, მოვაწყობ გამოფენას, სადაც დამთვალიერებელი უცნობ, მაგრამ საინტერესო სახეებსაც იხილავს... ერთ-ერთი ფესტივალიდანაც მაქვს შემოთავაზება, მაგრამ მასში მონაწილეობა ჯერ არ გადამიწყვეტია. ასევე მინდა, გამოვცე წიგნი, სადაც ყველა პორტრეტი შევა, ოღონდ ამისთვის ფინანსების მოძიებაა საჭირო. ■





„მისტერ ნინოს“ მხიარული თავგადასავალი

ანუ როგორ გადაეყარა ქართველ მეცნიერს დათვი – ამერიკაში

ვინ იცის, გაჭირვებულმა ცხოვრებამ რამდენს ააღებინა ხელი საკუთარ სპეციალობაზე და საზღვარგარეთ გადახვეწა, რამდენს ლუკმაპურისთვის ბრძოლისას მომვლელადაც არ უთაკილია მუშაობა... ემიგრანტების მცირე ნაწილმა კი თავისი სპეციალობისა და საქმის ცოდნით მოახერხა, ღირსეული და შესაფერისი ადგილი მოეპოვებინა საქართველოს ფარგლებს გარეთ. მათ შორისაა, ჩიკაგოში მდებარე, ნორდვესტერნის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის ერთ-ერთი ნეირობიოლოგიური ლაბორატორიის დირექტორი ნინო ტაბატაძე, რომელმაც ოკეანის გაღმა დაუღალავი სწავლითა და შრომით დაიმკვიდრა ადგილი.

ანი აგულავა

სკოლის ატესტატიდან – ამერიკაში გასამგზავრებელ ბილეთამდე

ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან იქცევდა ნინო ტაბატაძის ყურადღებას ბიოლოგია და ატესტატის აღებისთანავე, მისაღები გამოცდები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა, ხოლო მაგისტრატურაში სწავლა გენეტიკის სპეციალობით გააგრძელა; 2005 წელს პროფესორ თეიმურაზ ლეჟავას ხელმძღვანელობით საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა და სწორედ ბატონ თეიმურაზს მიიჩნევს საკუთარ წარმატებულ კარიერაში „მთავარი როლის შემსრულებლად“...

ნინო ტაბატაძე:

— უნდა ითქვას, რომ გაჭირვების ფონზე მინიმალური სახსრებით ვახერხებდით პროექტებზე მუშაობას. მივხვდი — ასეთ ყოფაში, ცოდნის გასაღრმავებლად მხოლოდ ენთუზიაზმი არ კმაროდა, საზღვარგარეთ გამოცდილების მიღება იყო საჭირო. საერთოდ, მეცნიერება ნებისმიერი ქვეყნისთვის ფუფუნებაა — როცა ქვეყანა ძლიერია, მეცნიერების განვითარება მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, ეს კი, იმ ეტაპზე, საქართველოში შეუძლებელი იყო... 2005 წელს საქართველოს სამეცნიერო ტექნოლოგიური განვითარების გრანტი მივიღე და სწორედ ამის წყალობით გამიჩნდა ფინანსური შესაძლებლობა, ოკეანის გაღმა — ამერიკის შეერთებულ შტატებში 3 თვით გავმგზავრებულიყავი. იქ დოქტორ თეა კეკელიძის დახმარებით არკანზასის უნივერსიტეტის ნეირობიოლოგიური კათედრის პროფესორ სტივ ბერგერს დავუკავშირდი, რომელმაც თავის ლაბორატორიაში მიმიწვია. მისი ჯგუფი ძალიან ძლიერია გენეტიკური და მოლეკულური ბიოლოგიის საკითხებში. 3 თვის განმავლობაში პროფესორ სიუ გრიფინთან ვცხოვრობდი, რაც ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩემთვის. გაოცებული ვიყავი ამერიკელთა დახვედრით: ყოველ დილით დავრბოდი, ვვარჯიშობდი, ჰოდა, ქუჩაში ვისაც ვხვდებოდი, ყველა მიღიმოდა, გულთბილ სალამს არ იშურებდა. 3 თვის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ვიმყოფებოდი ქვეყანაში, სადაც ყველა სურვილი სრულდება, თუ, რა თქმა უნდა, საკუთარი საქმის სპეციალისტი ხარ.

მეორე ვიზიტი

— 2006 წელს, უკვე როგორც მეცნიერი თანამშრომელი, მეორედ გავემგზავრე ამერიკაში, კერძოდ, ჩიკაგოში, ნორდვესტერნის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრაზე სამუშაოდ. თავიდან ამ უზარმაზარი ქალაქის ცხოვრების რიტმისთვის ალღოს აღება გამიჭირდა. ამერიკელები ამბობენ ხოლმე: რაც უფრო ჩრდილოეთში მიდიხარ, კლიმატი მით უფრო მკაცრია და ხალხიც — ცივიო. ესეც გამოვცადე: ყველა თავისი საქმითაა დაკავებული, კონკურენცია დიდია, დისციპლინა მკაცრად უნდა დაიცვა, თორემ ერთი თვალის მოხუჭვას არ გაპატიებენ.

ახალ სამსახურში უკვე ნეიროფიზიოლოგიის დარგში ჩავები. 2 წელი დაძაბულ შრომაში გავატარე და საკმაო წარმატებასაც მივაღწიე. შემდეგ მერილენდის შტატში გადავედი და ჰოპკინსის სამედიცინო სკოლის ნევროლოგიის კათედრაზე გავაგრძელე მუშაობა. ეს უნივერსიტეტი ჰარვარდთან ერთად, უძლიერეს სასწავლო სამედიცინო დაწესებულებად მიიჩნევა.

წელიწად-ნახევრის შემდეგ ისევ ჩიკაგოში დავბრუნდი, რადგან დაფინანსდა გრანტი, რომელიც ჩემი შუამდგომლობით დაიწერა და ამჟამად, გრანტში ასახული პროექტების ხელმძღვანელობა დამევალა. ჩემი სამუშაო დღე დილის ცხრის ნახევარზე იწყება და საღამოს 6 საათამდე, ზოგჯერ კი 9-მდე გრძელდება. შაბათ-კვირასაც მიწევს ხოლმე მუშაობა.

„არაჩვეულებრივი გამოფენა“ – ამერიკულად

— აქ ყოფნის დროს ბევრი კურიოზი გადამხდენია თავს. მარტო ის რად ღირს — ჩემი სახელი მამაკაცის რომ ჰგონიათ და ჩემდამი გამოგზავნილი წერილები ხშირად, „მისტერ ნინოთი“ იწყება!.. კიდევ ერთს გავიხსენებ: ქართული ფილმის — „არაჩვეულებრივი გამოფენის“ არ იყოს, აქ ცოცხალ ადამიანებსაც უდგამენ ძეგლს. არკანზასში, სასწავლო ცენტრის წინ დგას იმ პიროვნების ძეგლი, რომლის სახელსაც დაწესებულება ატარებს. ერთხელ ერთ პროფესორს ამ ძეგლზე მივუთითე და ვკითხე, — ეს ადამიანი როდის გარდაიცვალა-მეთქი?..

მან ღიმილით მომიგო: ის დღესაც ცოცხალია და თავს ჯანმრთელად გრძნობსო.

ცოცხალი დათვის პირისპირ...

— მეგობართან ერთად ვირჯინიის ნაციონალურ პარკს ვესტუმრე. ეს არის ნაკრძალი, რომელსაც არაჩვეულებრივად უვლიან. აქ ბევრი ცხოველი და ფრინველიცაა. განსაკუთრებით, ირმებია იმდენად მომრავლებული, რომ მანქანით სავალ გზაზე წარწერებსაც შეხვდებით: „ფრთხილად, ირმების გადასასვლელია“. ირმები აქ მოშინაურებულები არიან — ჩემი ხელით ვაჭამე ბალახი. მომეწონა იქაურობა და მეგობარს ვკითხე, — ამ ადგილებში დათვები თუ არიან-მეთქი? მიპასუხა, — ალბათ არ არიან, მაგრამ თუ გადაეყარე, არ უნდა გაიქცეო... ერთ მოსახვევში მართლაც გადავეყარეთ დათვს. მეგობრის რჩევა დამავიწყდა და ისე მოვკურცხლე, დათვი კი არა, მგონი, მანქანაც ვერ დამეწეოდა... შემდეგ მეგობარმა სიცილით მისაყვედურა: მარტო რომ დამტოვე, დათვთან, არ შეგრცხვაო?!.

ევროპელი ჯორჯიელები და ხინკლით გადარეული ამერიკელები

ვაშინგტონში, ერთ-ერთ მუზეუმში მეგობართან ერთად შევედი. გიდი მოგვიჩინეს, რომელმაც გვაუწყა, — დღეს ერთი პატარა ქვეყნის ექსპოზიციაა, რომლის შესახებ ალბათ, არაფერი გსმენიათ: ეს ქვეყანა ევროპაში მდებარეობს და „ჯორჯია“ ჰქვიაო.

ლამის სიცილით გავიგუდეთ. გიდი გაოცებული გვიყურებდა, — ნეტავ რა აცინებთო?!. რომ ავუხსენი, სწორედ „ევროპული ჯორჯიიდან“ ვართ-მეთქი, სიხარულისაგან გადაირია.

ჩემს ამერიკელ მეგობრებს ქართული ხინკალი უყვართ. დედაჩემი მსტუმრობდა და როცა ქართულ კერძს გემო გაუსინჯეს, ყოველდღე სთხოვდნენ, — ხინკალი გაგვიკეთეო. ქართულ ღვინოზე კი მართლაც, ჭკუა ეკეტებათ...

ამერიკამ დიდი ცოდნა და გამოცდილება შემძინა. ამ ცოდნას სიამოვნებით გავუზიარებ ჩემს საქართველოს. თუ სერიოზული შემოთავაზება იქნება, უეჭველად დავბრუნდები! კარგად მახსოვს, „ვარდების რევოლუციის“ დროს ქართველთა გაბრწყინებული, იმედიანი თვალები. ქვეყანა წინ მიდის და მჯერა, რომ ქართველი ხალხი უკეთ იცხოვრებს, ჩვენ ამას ვიმსახურებთ.

■

უსამართლობის გამო გულდაწყვეტილი ფინალისტი

„მინდა, ვარსკვლავი გავხდე!“

ტელეგადაცემის — „დაამარცხე ვარსკვლავი“ — ფინალისტი, 28 წლის ლელა ბუტიკაშვილი, რომელმაც ნინო ჩხეიძე „გამანადგურებელი“ ანგარიშით დაამარცხა, დუტა სხირტლაძესთან შეჯიბრებისას თავად დამარცხდა. მას მიაჩნია, რომ ფინალური ტური უსამართლოდ ჩატარდა, რის გამოც გული დასწყდა, მაგრამ ლელამ დეპრესია უკვე დაძლია და ამჟამად, საკუთარი მიზნის მისაღწევად, ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს — სურს, სადღესასწაულო კაბების კოლექცია შექმნას.

ეთო ყორღანაშვილი

— ფინალში თამაშისას ძალიან ვღელავდი, რადგან ჩემი კონკურენტი დუტა გახლდათ: მას ცხოვრებაში მეტი გამოცდილება აქვს, ძალიან აქტიურია, სპორტულია... მოკლედ, დუტაა (*იცინის*)! ვნერვიულობდი, მაგრამ ვფიქრობ, ჩემზე მეტად დუტა ნერვიულობდა — ეს თამაშის ბოლოს შეეტყო... შუა თამაშში მოვდუნდი, ფსიქოლოგიურად „დაბლა ჩამოვედი“ — აღარ „დავფრინავდი“. გამიმართლა, როცა ღუდის კათხა ბოლოში „დავსვი“. ამ ფაქტმა მეც გამაკვირვა და დუტაც. მიმაჩნია, რომ ბოლო ტური უსამართლო იყო, მაგრამ რა თქმა უნდა, ამაში ჩემს მოწინააღმდეგეს არ ვადანაშაულებ.

— რატომ ფიქრობ, რომ ბოლო ტური უსამართლოდ ჩატარდა?

— მე და დუტას ძალიან განსხვავებული აღნაგობა გვაქვს. ხომ შეიძლებოდა, ისეთი შეჯიბრება ყოფილიყო, რომელშიც ადამიანის სიმაღლე და წონა გადამწყვეტ როლს არ შეასრულებდა? საერთოდ, ამ გადაცემისთვის დაახლოებით, ერთნაირი აღნაგობის პარტნიორებს გვარჩევდნენ.

— ძალიან გულდაწყვეტილი ხარ?

— ძალიან! განა იმიტომ, რომ წავაგე, უბრალოდ, თამაში სწორად არ გათვალეს და ამის გამო დეპრესიაში ჩავვარდი, მაგრამ დიდი ხნით — არა; ყურადღება ჩემს საქმეზე გადავიტანე.

— „დაამარცხე ვარსკვლავში“ მონაწილეობა რატომ გადაწყვიტე?

— როგორც კი რეკლამა ეთერში გავიდა, მაშინვე მომეწონა. გასაუბრებაზე მივედი, სადაც ვანო ჯავახიშვილი და კიდევ რამდენიმე ადამიანი დამხვდა. რაღაც ისეთი ვთქვი, რომ ყველას გაეცინა... მოგვიანებით დამირეკეს და ნინო ჩხეიძესთან ერთად თამაში შემომთავაზეს. სხვათა შორის, რომ ამბობენ — ნინო შეჯიბრებაში სუსტი იყოო, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ის სირთულეებს კარგად უმკლავდებოდა და ორმოც კარგად ამოთხარა. უბრალოდ, მე უფრო აქტიური ვიყავი, გასაქანი არ მივეცი (*იცინის*). დუტასთანაც ასეთი აქტიური რომ ვყოფილიყავი, კარგი იქნებოდა.

— მანქანის მოგება ძალიან გინდოდა?

— მანქანა ბოლოს მომინდა (*იცინის*)... ძალიან მინდა, მანქანა მყავდეს! ალბათ, ავტომობილის ყოლის ასეთი ძლიერი სურვილი მსოფლიოში არავის აქვს!

— ავტომობილს კარგად მართავ?

— ბავშვობიდან მონდომებული ვიყავი — ყველა მანქანის საჭესთან ვჯდებოდი. ნამდვილად კარგად ვმართავ. დღემდე მეგობრების მძღოლი ვარ — როცა დათვრებიან, შინ ყველა მე მიმყავს (*იცინის*).

— მართვა ვინ გასწავლა?

— მამამ. თავდაპირველად, როცა საჭესთან დავჯექი, მითხრა: მანქანა უნდა იგრძნოო! მეც ვიგრძენი და დღემდე ვგრძნობ (*იცინის*)!

— „დაამარცხე ვარსკვლავში“ მონაწილეობა რა მიზნით გადაწყვიტე?

— მინდა, ვარსკვლავი გავხდე! შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა მაქვს, მაგრამ მერწმუნეთ, ბევრი რაღაც შემიძლია.

— მაინც?

— ნებისმიერი სტილის ცეკვის ათვისება შემიძლია: ქართული, სამეჯლისო, აზიური... 20 წლამდე ქართულ ხალხურ ცეკვებს ვასრულებდი, შემდეგ „მეჯიკ-შოუ ბალეტში“ დავდიოდი, მერე კი თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში „მუცლის ცეკვას“ ვასრულებდი.

— ცეკვასთან დაკავშირებულ რაიმე კონკურსშიც ხომ არ მონაწილეობდი?

— შარშან, ბათუმის ერთ-ერთ კლუბში, რამდენიმე გოგონამ მაესტრო მორისთან ერთად ვიცეკვეთ და მე გავიმარჯვე. შემდეგ მაესტრო მორისმა თავისთან მიმიწვია, ცეკვის უფასოდ შესასწავლად. არადა, ცეკვას იქით ვასწავლი (*იცინის*).

— მუსიკალური ნიჭი თუ გაქვს?

— ნუგზარ კვირცხალიას (რომელთანაც ვმეგობრობ და ძალიან მიყვარს) ქალთა ანსამბლში ხალხურ სიმღერებს ვასრულებდი; შემდეგ ვოკალის მასწავლებელი — გოდერძი გველესიანი გავიცანი, რომელმაც თავისთან მიმიწვია. მითხრა: ნიჭი „ჩუმად“ გაქვსო. ხმა მქონდა, მაგრამ ადრე კომპლექსებიც მაწუხებდა. ასაკის მატებასთან ერთად, კომპლექსები მეხსნება. მართალია, მაშინ ვოკალის მასწავლებელთან სიარული არ მოვინდომე, მაგრამ მასთან ჩემი და მივიყვანე. გოდერძი გველესიანის (სამწუხაროდ, დღეს ის ცოცხალი აღარ არის) დახმარებით, ჩემმა დამ მუსიკალურ სკოლაში ჩააბარა. ამჟამად სიმღერით არ არის დაკავებული — უკვე 5 წელია, რაც მეუღლესთან ერთად, ესპანეთში ცხოვრობს და შვილიც ჰყავს. დედაჩემიც ესპანეთშია. საქართველოში მე, მამა, ჩემი ძმა და 2 და ვართ. არა მგონია, ჩემგან სერიოზული მომღერალი დამდგარიყო. ბავშვობიდან ჭრა-კერვის ნიჭი მაქვს — ეს ნიჭი ბებიაჩემისგან გამომყვა. სადღესასწაულო, საქორწილო კაბებს ვქმნი, რომლებსაც ადრე მაღაზიებში, სალონებში ვაბარებდი, ვაქირავებდი, ამჟამად კი „გაჩერებული“ ვარ — კაბები სახლში მაქვს.

— აღნიშნე, ნებისმიერი სტილის ცეკვის შესრულება შემიძლიაო. დღეს ამ საქმით აქტიურად დაკავებული არა ხარ?

— არა, რადგან საზოგადოება არ მიცნობს და რომელიმე ღონისძიებაში მონაწილეობისთვის იშვიათად მიწვევენ.

— ანუ დღესდღეობით, ცეკვით თავის რჩენას ვერ ახერხებ?

— ვერა, მაგრამ შანსი რომ მქონდეს, ჩემი ძირითადი მიზნის მისაღწევად ამ საქმესაც სიამოვნებით გამოვიყენებდი.

— შენი ძირითადი მიზანი რა არის?

— მინდა, წარმატებული დიზაინერი გავხდე: საკუთარი კოლექცია შევქმნა, ჩვენებები მოვაწყო, ამისთვის კი დიდი თანხაა საჭირო.

— დიზაინის სფეროში პროფესიული განათლება გაქვს მიღებული?

— არა, კერვა ბებიამ მასწავლა.

— ამ საქმით რა ასაკში დაინტერესდი?

— არც მახსოვს... ბავშვი ვიყავი. ბებია და ბაბუა სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდნენ და ბევრი ქსოვილი რჩებოდათ. ჰოდა, ბებია ამ ქსოვილებს მხოლოდ მე მაძლევდა, რადგან იცოდა, არ გავაფუჭებდი.

— სამოსს თოჯინებს უკერავდი?

— სხვათა შორის — ჩემს დასაც. იცი, სკოლის დამამთავრებელ კლასში ყოფნისას ჩემ მიერ შეკერილი სამოსი მეცვა, რადგან ტანსაცმლის ყიდვის საშუალება არ მქონდა. ისე მოხდენილად ვიცვამდი, რომ ყველას შეძლებული ოჯახიდან ვეგონე (*იცინის*). ერთხელ ცოდვაც ჩავიდინე: მატერიალურად არ გვილხინდა და იმის გამო, რომ ქართული ხალხური ცეკვის წრეზე მევლო, ოქროს ჯვარი გავყიდე. მოგვიანებით, ჩემი საქციელი მოვინანიე...

— სერიოზული სამოსი პირველად რა ასაკში შექმენი?

— 20 წლის ვიყავი, როცა სპილოსძვლისფერი კორსეტი ხელით შევქმენი და გასაქირავებლად ჩავაბარე. ერთ დღეს მითხრეს, თუ წინააღმდეგი არ იქნები, შენს კორსეტს გავყიდითო. ფული ძალიან მჭიდებოდა და რა თქმა უნდა, დავთანხმდი. მერე შევიტყვე, რომ ვიღაცამ ჩემი ნამუშევრით დიპლომი დაიცვა, რის გამოც, გული ძალიან დამწყდა...

ის სირთულეებს კარგად უმკლავდებოდა და ორმოც კარგად ამოთხარა

— ამჟამად კაბებზე ისევ მუშაობ?

— ჯერჯერობით — არა. არ მინდა, იაფფასიანი ნამუშევრები შევქმნა. ყოფილა შემთხვევები, როცა ჩემს კაბებზე მოთხოვნა არ იყო, ცოტა ხანში კი ისეთივე სტილის კაბები მსოფლიოს წამყვან დიზაინერებს წარუდგენიათ და ცხადია, ამის შემდეგ ხალხს ჩემი ნამუშევრებიც მოსწონდა. სხვათა შორის, ჩემს დას ქორწილში ჩემ მიერ შექმნილი კაბა ეცვა და თაიგულიც მე დავუმზადე (*იცინის*).

— შენი პირადი ცხოვრების შესახებ გვითხარი რამე. შეყვარებული გყავს?

— ჩემს ცხოვრებაში არსებობს ადამიანი, რომელიც მომწონს. ვნახოთ, რა იქნება...

— ქართველი დიზაინერებიდან შენი ფავორიტი ვინ არის?

— საკუთარი თავი (*იცინის*)!

— იმედია, შენს ჩვენებას მალე ვიხილავთ, მაგრამ იქნებ, მანამდე სხვების ნამუშევრებიც შეგეფასებინა...

— ამ შემთხვევაში, საზოგადოების უმრავლესობის აზრს ვეთანხმები: ავთანდილის ნამუშევრები მომწონს. მე, ძირითადად, სადღესასწაულო კაბებზე მუშაობა მინდა და ვიცნობ არაჩვეულებრივ მკერავს — ქალბატონ ნორას, რომელიც ძალიან მეხმარება ხოლმე.

— სამკაულებსაც ხომ არ ქმნი?

— კი. სამკაულებით ძირითადად, ტურისტები ინტერესდებიან. თექაზე ვმუშაობ — შარფებს, ჩანთებს, სხვადასხვა აქსესუარს ვქმნი. ჩემი ჩანთები მაღაზიაში ყოველთვის იწვევს ინტერესს — ძალიან განსხვავებული, ორიგინალურია. შემიძლია ნებისმიერი შოუ, დღესასწაული კარგად გავაფორმო. ფანტაზიის ნაკლებობას არ ვუჩივი, პირიქით — მოჭარბებულიც კი მაქვს (*იცინის*). ასევე, პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე, პუნქტუალური, წესიერი ვარ.

— საოჯახო საქმეებიც თუ გეხერხება, ეი. სასურველი საპატარძლო ყოფილხარ...

— (*იცინის*) დედის დამსახურებით, საოჯახო საქმეებიც კარგად გამომდის. სხვათა შორის, ჩემს პატარა ბიზნესსაც ვუძღვები — თონე მაქვს და პურის ცხობა თავადაც ვიცი. თონე იმისთვის გავაკეთე, რომ შემოსავლის წყარო მქონოდა, საკმარისი თანხა შემეგროვებინა და სადღესასწაულო კაბების კოლექცია შემექმნა. კოლექციის შექმნა დიდ სახსრებს მოითხოვს, „იქამდე“ როდის მივალ, არ ვიცი... არ დავმალავ და თამამად ვიტყვი: „დაამარცხე ვარსკვლავში“ მონაწილება იმიტომ მინდოდა, რომ ფართო საზოგადოებას გავეცნე.

■

ახალგაზრდების „მოწამლული გონება“ თუ უფროსების ჭირვეულობა

„თინეიჯერ გოგონებს ვერაფერი გავუგე“

გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ზოგადად მოზარდები თინეიჯერებად არ უნდა მოვიხსენიოთ, რადგანაც ეს სიტყვა ბევრი პატიოსანი ყმაწვილის სახელს აყენებს ჩრდილს; სამაგიეროდ, როგორც უნდა გაგიკვირდეთ, თურმე, თინეიჯერად შეიძლება 60 წლის, მაგრამ ამ ასაკისთვის შეუფერებელი საქციელის მქონე ქალბატონი ან ბატონი მოვიხსენიოთ.

ლიკა ქაჯაია

ზურა, *42 წლის:*

— ბაზრობაზე ვვაჭრობ. საშინელებაა ის, რასაც თინეიჯერები აკეთებენ — მათ უფროსების არაფერი ეყურებათ, ძალიან ჯიუტები არიან და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ რაღაც გააფუჭონ.

— ეი. თქვენი აზრით, თინეიჯერები გარკვეული ასაკის ადამიანები არიან?

— ჰო, სადღაც 12-დან 25 წლამდე ახალგაზრდები არიან, მაგრამ ამ ასაკის ყველა ბავშვზე ვერ ვიტყვი, რომ ცუდად იქცევა, ზოგიერთი კი ნამდვილი გიჟია; ალბათ, მათ აღზრდა-განათლებას ოჯახში ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ და ასეთი ცუდები ამიტომაც გაიზარდნენ.

— იქნებ გაიხსენოთ რაიმე ისეთი ფაქტი, როცა თინეიჯერმა ძალიან გაგაბრაზათ...

— მე ხილით ვვაჭრობ. ჰოდა, ამას წინათ ვიღაც გოგო მოვიდა და აგდებულად მითხრა: ლეღვი ამიწონეო. ცელოფანის პარკში რომ ვუყრიდი, დაიჯღანა, — რას აკეთებ? თუ შეიძლება, მე თვითონ ჩავყრი, თორემ შენ დაჭყლეტილებსაც ყრიო. — კარგი, ბატონო, თავად აარჩიე-მეთქი, — ვუთხარი. როცა აწონა დავიწყე, თავისი სასწორი ამოიღო და ურცხვად მითხრა, — თქვენ, ვაჭრებს ერთი სისხლი გაქვთ გადასხმული, რომ არ მოიტყუოთ, მოკვდებით, ამიტომ მირჩევნია, ჩემი სასწორით ამიწონოთო. თურმე, თავად იყო თაღლითი — როგორც აღმოჩნდა, მისი სასწორი 300 გრამს იტყუებოდა, ცხადია — მისსავე სასარგებლოდ. როცა ეს ამბავი გამოაშკარავდა (მერწუნეთ, მე „წონაზე“ არ ვმუშაობ, პატიოსანი გლეხი ვარ და საკუთარ ეზოში დაკრეფილ ხილს ვყიდი), ლანძღვა დამიწყო, ბოლოს კი სულ „ცისფერი“ მეძახა. კაცო, ამ ხნის კაცი ვარ და ჩემთვის ასეთი სიტყვა არავის უკადრებია. სხვა რომ არაფერი, 2 ცოლი მყავს გამოცვლილი და მეუღლეებმა 5 შვილიც გამიჩინეს, ჰოდა, კიდევ მე ვარ პედერასტი?! ისე, აღარ მიკვირს, ქალაქში ბევრი „ცისფერი“ რომ დადის...

— რას გულისხმობთ?

— ამ გოგონებს ისე აცვიათ, რომ კაცს მათზე გული არ მიუვა და აბა, რა იქნება? — დაერივნენ ბიჭები ერთმანეთს (*იცინის*). ისე, ეს ყველაფერი სასაცილო კი არ არის, მაგრამ ამას დადებითი მხარეც აქვს.

— რა დადებით მხარეზე ლაპარაკობთ?

— ჩვენ, ნამდვილ მამაკაცებს მეტი „ლუკმაპური“ გვექნება.

— როგორც ჩანს, ასაკის მიუხედავად, ისევ ქალების მუსუსი ხართ?

— მუსუსი არ ვიცი, მაგრამ კარგი ქალის დანახვისას კაცს გული ძალუმად თუ არ აუძგერდა, ის რა კაცია? მეც მომწონს კარგი გოგონები და მათი დანახვისას გული სიხარულით მევსება, მაგრამ ამ თინეიჯერ გოგონებს ვერაფერი გავუგე — თავს ძალით იმახინჯებენ, ისეთ რაღაცებს იცვამენ, აქაოდა, მოდაშიაო, რომ ჩექმებიან კატებს ემსგავსებიან და მერე უკვირთ, შინაბერებად რომ რჩებიან... არადა, ნორმალურად რომ ჩაიცვან, მერწმუნეთ, ქართველი ქალები ნებისმიერ სილამაზის კონკურსზე გაიმარჯვებენ.

ლუბა, *53 წლის:*

— ეს თინეიჯერები ქუჩაში ისე გამომწვევად იქცევიან, ისეთ სიტყვებს ამბობენ, რომ მათ ნაცვლად მე მრცხვენია ხოლმე და ხშირად, მათთან ჩხუბიც კი მომდის — ასეთ შემთხვევაში, იმის ნაცვლად, რომ უფროსს რაიმე დაგითმონ, სიტყვა შეგარჩინონ, ისეთი უხამსები და ველურები ხდებიან, რომ შესაძლოა, დედისტოლა ქალს სილაც გაგაწნან და ზედ წიხლებით შეგდგნენ. ადრე ახალგაზრდები სულ სხვაგვარად იქცეოდნენ... ვერ ვიტყვი, რომ სიტყვა „თინეიჯერი“ ახალგაზრდობასთან ასოცირდება. მე ბევრი ასაკოვანი თინეიჯერიც მინახავს.

— ანუ ის ასაკოვანი ადამიანები, რომელებიც ქუჩაში ცუდად იქცევიან და ვთქვათ, ცუდ სიტყვებს იძახიან, თქვენთვის თინეიჯერები არიან?

— რასაკვირველია! აბა, უმსგავსო საქციელი ზრდასრულ, უკვე ჩამოყალიბებულ ადამიანს როგორ შეეფერება?

— სიტყვა „თინეიჯერი“ 13-დან 19 წლამდე ასაკის მოზარდებს აღნიშნავს და წესით, არანაირ ცუდ საქციელთან არ უნდა ასოცირდებოდეს.

— თუ ასეა, ჩვენ გვაქვს უამრავი სხვა კარგი სიტყვა და ვუწოდოთ ახალგაზრდებს არა თინეიჯერი, არამედ — ნინველი, ყმაწვილი, მოზარდი... ვერ ვხვდები, რა საჭიროა ახალი სიტყვების დამკვიდრება? ნუთუ, თქვენი ჟურნალიც ეთანხმება ბატონი შაშკინის აზრს?

— რას გულისხმობთ?

— რომ ყველამ ინგლისური ენა უნდა ისწავლოს, რომ ამის გარეშე ვერ ვიარსებებთ?!

— ალბათ, ინგლისურის გარეშე არსებობას შევძლებთ, მაგრამ ცუდი არ იქნება, თუ თითოეულ ჩვენგანს ერთი უცხოური ენა მაინც ეცოდინება.

— როგორ ვერ ხვდებით, რომ

ახალგაზრდებს გონებას გიწამლავენ? მე პედაგოგი ვარ, სკოლაში მუსიკას ვასწავლი და მერწმუნეთ, მიუხედავად იმისა, რომ შეგვპირდნენ, თუ ინგლისურს ისწავლით, ხელფასს 200 ლარით გაგიზრდითო, მე ამ ენის შესწავლას არ ვაპირებ! არ გეგონოთ, რომ ამას ვერ შევძლებ, რომ ჩემი გონება ამდენს ვერ აიტანს, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ამ ენის დამკვიდრებას ვაპროტესტებ. თავის დროზე რუსული ვისწავლე და ეს მგონი, საკმარისი უნდა იყოს. ამას სჯობია, ჩვენი, ქართული ენა არ დავივიწყოთ და ახალი სიტყვები თუ ტერმინები არ დავამკვიდროთ.

— და თქვენი აზრით, როგორები არიან ასაკოვანი თინეიჯერები?

— მე ბევრ ასეთ ადამიანს ვიცნობ. მაგალითად ჩემი მოსწავლის მშობელს მოვიყვან, რომელიც სკოლაში კევის ღეჭვით მოდის და როცა საკუთარი შვილის შესახებ რაღაცებს გვეკითხება, პედაგოგებს პირდაპირ სახეში გვაფურთხებს; ისე იცვამს, რომ მის შემხედვარეს, მისივე შვილის ცუდი საქციელი გავიწყდება და საბოლოოდ რწმუნდები, რომ შვილი ოჯახის სარკეა! ის ქალბატონი ერთხელ ქუჩაშიც დავინახე — სიგარეტს აბოლებდა და ვიღაც კაცს საოცარი სიტყვებით ლანძღავდა. ჰოდა, უკვე ზუსტად ვიცი, რომ მისი შვილიც დედას დაემსგავსება და ამიტომაც, დიდად არ ვიკლავ თავს იმით, რომ ბავშვს რაიმე შთავაგონო.

— რატომ, უზრდელ ადამიანს არა აქვს უფლება, ცოდნა მიიღოს?

— არა, უბრალოდ, ის სკოლაში იმიტომ კი არ დადის, რომ განათლება შეიძინოს, არამედ იმიტომ, რომ მომავალში თქვას, საშუალო სკოლა ისე დავამთავრე, ერთხელაც არ ჩავრჩენილვარო და შესაძლოა, უნივერსიტეტშიც მოეწყოს.

— თქვენ 13-დან 19 წლამდე ასაკის შვილი, შვილიშვილი ან ნათესავი არ გყავთ?

— შვილიშვილები მყავს: ერთი 13 წლისაა, მეორე — 15-ის. რატომ მეკითხებით?

— ვიღაც მათ თინეიჯერებად მოიხსენიებს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ასაკისანი არიან...

— სხვათა შორის, ჩემს შვილიშვილებსაც არ უყვართ ეს სიტყვა და ყველას უსწორებენ, — მოზარდები დაგვიძახეთო. ისინი ჩემს მოსაზრებებს ეთანხმებიან და მიაჩნიათ, რომ ინგლისურის გაძლიერებულად სწავლას ქართული ენის საფუძვლიანად დაუფლება სჯობს.

ეკა, *28 წლის:*

— ჩემთვის სიტყვა „თინეიჯერი“ ასაკთან ასოცირდება. აბა, სხვას რას უნდა ვფიქრობდე? არა მგონია, ვინმე ისეთი ბნელი იყოს, რომ მოზარდების ამ სახელწოდებას ცუდად აღიქვამდეს.

— დამერწმუნე, შენნაირად ბევრი არ ფიქრობს. ზოგისთვის ეს სიტყვა სიჯიუტესთან, გარყვნილებასთან და ყველაფერ ცუდთან ასოცირდება.

— ასე ალბათ, ის ფიქრობს, ვინც განათლებასთან მწყრალადაა. საბედნიეროდ, მე ასეთი ადამიანების კატეგორიას არ მივეკუთვნები. მიმაჩნია, რომ გარყვნილი, ჯიუტი და ცუდი სიტყვებით მოლაპარაკე მხოლოდ თინეიჯერები არ არიან, ბევრი ისეთი ზრდასრულიც მინახავს, რომელსაც მოზარდი მოუწოდებდა წესიერებისკენ. თინეიჯერებს, უფროსებისგან განსხვავებით, სისხლი უდუღთ, ისინი საკუთარ საქციელს არ ნიღბავენ, ლაღად იქცევიან, ზრდასრულები კი ცდილობენ, ყველაფერი ჩუმად აკეთონ და მათ შორის განსხვავება მხოლოდ ამაშია.

ქეთი, *23 წლის:*

— საბედნიეროდ, კარგა ხანია, ამ ასაკიდან გამოვედი.

— რატომ — საბედნიეროდ? ზოგს უნდა, მთელი ცხოვრება თინეიჯერად დარჩეს...

— საბედნიეროდ იმიტომ, რომ ახლა თინეიჯერს არავინ მეძახის, მაშინ კი ცხოვრება ძალიან მიჭირდა — რატომღაც ყველას ეგონა, რომ აუცილებლად გიჟი, გადარეული უნდა ვყოფილიყავი. როცა ახლოს გამიცნობდნენ, უკვირდათ, — როგორ შეიძლება, ამ ასაკში უკვე „დაღვინებული“, ჭკუადამჯდარი იყოო?! გაოცებას ვერ ფარავდნენ იმის გამოც, რომ თანატოლებისგან განსხვავებით, გამომწვევად არ ვიცვამდი და არც რომელიმე ფანკლუბში ვიყავი გაწევრებული...

— შენი აზრით, ვისამე ფანობა სირცხვილია?

— არ მესმის, რატომ უნდა გადავიჭრა ვენები მაგალითად, ლელა წურწუმიას გამო ან რატომ უნდა დავწყევლო ვთქვათ, ხათუნა ჟორდანია მხოლოდ იმიტომ, რომ ზურა ხაჩიძის ცოლია?!

— შენ ლელა წურწუმიას და ზურა ხაჩიძის ბევრ ფანს იცნობ?

— მართალია, ახლა ჩემი კლასელები ამ ცნობილების გამო ვენებს აღარ იჭრიან, მაგრამ იყო დრო, როცა მართლაც, მათზე აფანატებდნენ. წლების წინ, ჩემი კლასელი გოგონების უმეტესობა ზურაზე იყო შეყვარებული და მერწმუნე, ამ ადამიანის გამო ჩხუბიც არაერთხელ მომხდარა, ბევრჯერ გოგონებს ერთმანეთისთვის თმაც კი დაუგლეჯიათ. ეს ყველაფერი მე სისულელედ მიმაჩნია! არ არის აუცილებელი, მოზარდი ვიღაცის ფანი იყოს... ასე რომ, ფანკლუბში გაწევრება შესაძლოა, სირცხვილი არ იყოს, მაგრამ ჩემგან ვინმეს ფანი ნამდვილად ვერ დადგება. მე მხოლოდ საკუთარი ოჯახის, მშობლებისა და მეგობრების, საყვარელი ადამიანების ფანი ვარ.

■

როგორ ერთობიან მოზარდები

ბაიკერების მულამი, როკერების საინტერესო სამყარო და სტუმრად – შატილში

იმის გასარკვევად, თუ როგორ და სად ერთობიან თინეიჯერები, ქუჩაში მოსეირნე მოზარდებს ვაჩერებდი და მათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ვთხოვდი. ბევრს ინტერვიუს ჩაწერის სურვილი არ გაუჩნდა და მხოლოდ ორიოდე სიტყვით შემოიფარგლა, ზოგმა კი ჩემს კითხვებს ხალისით უპასუხა.

ირინა, *18 წლის:*

— მეგობრები ხშირად ვაწყობთ „ფართის“ და ვცდილობთ, განწყობილება გავიუმჯობესოთ, ერთფეროვანი ცხოვრება ცოტათი მაინც გავილამაზოთ. ხშირად მივდივართ ექსკურსიაზე და შეიძლება ითქვას, თითქმის მთელი საქართველო შემოვლილი გვაქვს.

— **თუ საიდუმლო არაა, ბოლოს სად იყავით?**

— ვარძიაში — იქაურობას სამჯერ ვესტუმრეთ, მაგრამ მისი დათვალიერებით არ ვიღლებით. ვიყავით შატილშიც, სადაც საოცარი ბუნებაა. საქართველოს ეს კუთხე ისე მომეწონა და შინ ისეთი აღფრთოვანებული დავბრუნდი, რომ მშობლები და მეგობრები მაშაყირებდნენ, — შატილში უნდა გაგათხოვოთო. გათხოვების რა მოგახსენოთ, მაგრამ იქ ზაფხულობით, დასასვენებლად სიამოვნებით ჩავიდოდი ხოლმე.

მარიტა, *17 წლის:*

— როგორ ვერთობი? რა ვიცი, ხან თეატრს ვსტუმრობ, ხან — კინოთეატრს, ხანაც — მეგობრებთან ერთად ლაშქრობაზე მივდივარ ხოლმე. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა გავერთო?!

— **ბოლოს რომელი სპექტაკლი ნახე?**

— „სასიყვარულო ბარათები“, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში...

— **და რომელი კუთხე დალაშქრე?**

— ბოლოს, მეგობრებთან ერთად, ფონიჭალა „დავლაშქრე“. სხვათა შორის, თბილისის ამ უბანში ბევრი ისეთი ადგილია, სადაც ადამიანს სუფრის გაშლა და ქეიფი მოუნდება. ფეხით ავედით ლისის ტბაზეც, სადაც კარვები გავშალეთ და ერთი დღე-ღამე იქ გავატარეთ (*იცინის*). ალბათ, ახლა ვიღაც იტყვის, — ვაი, შენს პატრონს, დასალაშქრი სხვა ვერაფერი ნახეო? კი, ბატონო, კარგი ადგილების მეტი რა არის, მაგრამ მხოლოდ მეგობრებთან ერთად, თბილისიდან გასვლის უფლებას მშობლები არ მომცემდნენ, უფროსებთან ერთად „ლაშქრობას“ კი მუღამი არა აქვს... გარდა ამისა, ხშირად ვაწყობთ „სახლ-ფართის“ ანუ მეგობრები ერთმანეთის სახლებში ვიკრიბებით და ღამეებს ცეკვა-თამაშში ვათევთ. სამწუხაროდ, ახლა სასწავლო წელი დაიწყო და გართობაზე უარის თქმა მოგვიწევს.

— **რატომ, სწავლის პარალელურად გართობას ვერ მოახერხებთ?**

— ყოველ შემთხვევაში, ღამეებს ჩვენებურად ვეღარ გავათენებთ.

ბასტი, *16 წლის:*

— მე როკერი ვარ და შესაბამისად, როკის მოსმენით ვერთობი. ძალიან მომწონს, როცა ჩემი გარეგნობის წყალობით ხალხის ყურადღებას ვიპყრობ და თქვენ წარმოიდგინეთ, ამაზე მაგრად ვხალისობ.

— **რა არის სახალისო იმაში, რომ ხალხი გიყურებს?**

— ისეთი გამომეტყველება აქვთ, თითქოს, კოსმოსიდან ჩამოფრინდნენ. უფროსები დღემდე ვერ ეგუებიან მოზარდების როკით გატაცებას და პროტესტს იმდენად სასაცილოდ გამოხატავენ, რომ შეიძლება, სიცილით ჩაბჟირდე...

გიო, *17 წლის:*

— მე ბაიკერი ვარ და ცხადია, გართობას მხოლოდ ღამღამობით ვახერხებ. დღისით ვსწავლობ, საღამოს მოტოთი დავქრი. სხვათა შორის, ჩემი შეყვარებულიც გიჟდება ამ გასართობზე.

— **თეატრი, კინო...**

— (*მაწყვეტინებს*) ბალეტი, ოპერა... ეს ყველაფერი ჩემი საქმე არაა. ხშირად მივდივარ როკერების შეკრებაზეც, სადაც უამრავ სასიამოვნო ადამიანს ვეცნობი. მერწმუნეთ, მათი სამყარო საოცრად საინტერესოა და კარგი იქნება, თუ თქვენ, ჟურნალისტები მათ შესახებ ბევრს დაწერთ.

— **მაინც, რით არიან საინტერესოები?**

— თუნდაც იმით, რომ განსხვავებულად აზროვნებენ და ყველაფერზე საკუთარი, დამოუკიდებელი შეხედულება აქვთ.

■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

იმ სილამაზეს წარსულს

მ. მ-ს

ჩემი ბავშვობის სახლთან
ვხვდებოდი ფერმკრთალ ასულს
და შენ მაგონებ ახლა
იმ სილამაზეს წარსულს.
Სხვა რამ, შაირის გარდა,
როგორ გაჯადრო, აბა?
რარიგ გიხდება და გრთავს
ეს შინდისფერი ჯაბა!
ხედავ? ზამთარი ქრება,
ყვავილებს გაშლის ნუში;
ყველგან ხალისი, სევდა
მხოლოდ პოეტის გულში.
წუხილს წაიღებს ქნარი
და სტრიქონებად დაქსოვს.
– საღამო იყო წყნარი,
თქვენთან ვიყავი, მახსოვს...

ლადო ასათიანი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ზ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-37

ზალა გერმ. (ძვ.) — იგივეა, რაც დარბაზი.

ზალპი რუს. ლათ.-დან — შეწყობილი, ერთდროული გასროლა რამდენიმე ცეცხლსასროლი იარაღისა.

ზამბილი სპ. (ძვ.) — ჭილის ლაფნის და მისთ. კალათი.

ზამბურაკი სპ. — მცირეკალიბრიანი ზარბაზანი.

ზანგელა — წაბლისფერი, შავწითელი (ხარი, ფური).

ზარადი არაბ. (ძვ.) — მუზარადის გარშემო შემოვლებული ლითონის ბადე პირისახის, ყელისა და კისრის დასაცავად.

ზარადინი — ოქრომჭედლის იარაღი, მრავალწვერა გაზი მავთულის ან სხვა რისამე მოსახრელად.

ზარაფი არაბ. (ძვ.) — საფასურით ფულის დამხურდავებელი, აგრეთვე სარგებლით ფულის გამსესხებელი.

ზარაფხანა არაბ.-სპ. (ძვ.) — სახლი, სადაც ზარაფი ფულს ახურდავებდა და სესხად აძლევდა; 2. სახლი, სადაც ფულს ჭრიდნენ.

ზარბაბი სპ. (ძვ.) — აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი, ოქრომკედით ნაკერი.

ზარნაშო — დიდი ბუ.

ზარნიში სპ. — ლითონის ნივთებზე ამოჭრილი სხვადასხვა სახე, ოქროთი ან ვერცხლით ამოვსებული.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გიორგი ერისთავი

ქართველი დრამატურგი, პოეტი და თეატრის მოღვაწე. დაიბადა 1813 წლის 22 სექტემბერს სოფელ ოძისში (ახლანდელი დუშეთის რაიონი). სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ, მცირე ხანს — მოსკოვში, კერძო პანსიონში. მონაწილეობდა მეფის რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულებაში, რისთვისაც 1832 წლის დეკემბერში დააპატიმრეს. 1834 გადაასახლეს ქალაქ ვილნოში, სადაც ქვეითთა დივიზიაში გაამწესეს. ერისთავმა შეისწავლა პოლონური ენა და ლიტერატურა, დაუახლოვდა მოწინავე პოლონელთა ოჯახებს. საქართველოში 1842 წელს დაბრუნდა. ერთხანს თბილისში, სახელმწიფო სამსახურში იყო, 1854 წლიდან კი სოფელ ხიდისთავში დასახლდა.

ერისთავის პირველი გამოქვეყნებული ნაწარმოებია პოემა — „ოსური მოთხრობა“, რომელიც სრული სახელითა და ახალი სათაურით — „ზარე და ყანიმათ“ 1853 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა. მის პოეზიაში მნიშვნელოვანია ეროვნულ-პატრიოტული მოტივები... ერისთავის შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილი დრამატული თხზულებებია. მან ერთ-ერთმა პირველმა დაუდო სათავე ქართულ კრიტიკულ რეალიზმს, საფუძველი ჩაუყარა კომედიოგრაფიას, დააარსა ქართული პროფესიული თეატრი, რომელსაც 1850-1854 წლებში თავადვე ხელმძღვანელობდა. პირველი სპექტაკლი 1850 წლის 14 იანვარს (ამიტომ მიჩნეულია ქართული თეატრის აღდგენის თარიღად და XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან აღინიშნება, როგორც ქართული თეატრის დღე) თბილისის გიმნაზიის საალტო დარბაზში გაიმართა; ეს იყო ერისთავის რეჟისორობითა და მონაწილეობით დადგმული მისივე პიესა — „გაყრა“.

გიორგი ერისთავი იყო უდიდესი კულტურული წამოწყების ინიციატორი — პირველი ქართული სალიტერატურო ჟურნალის — „ცისკრის“ დამაარსებელი და რედაქტორი. მისი პირველი კომედია — დრამატული პოემა — „შეშლილი“ ეხება პოეტის დანიშნულებას, გადმოსცემს მის ხვედრს იმდროინდელ საზოგადოებაში. მის კომედიებში დახატული ძველი თაობის წარმომადგენლები ამაოდ ებღაუჭებიან წარსულ დიდებას (ნაწარმოებები — „დავა“, „გაყრა“), ხოლო რუსეთში სწავლამიღებული ახალი თაობა კი პრაქტიკული საქმიანობისათვის სრულიად მოუმზადებელია. მან ქართულ სინამდვილეში პირველად ასახა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები, მათი სიძუნწე, მომხვეჭელობა და მექრთამეობა (ნამუშევრები — „გაყრა“, „ძუნწი“), მეფის რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის მოხელეთა ანგარება და ბინწერება... ერისთავს თარგმნილი და გადმოკეთებული პიესებიც აქვს („უჩინმაჩინის ქუდი“, „თილისმის ხანი“, „ყვარყვარე ათაბაგი“, გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“). მან დრამად გადააკეთა „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო ლაფჩინსკისთან ერთად, პოემა პოლონურ ენაზე პროზაულად თარგმნა. მანვე ქართულ ენაზე გადმოთარგმნა მიცკევიჩის, პუშკინის, ლერმონტოვის, ჰიუგოს ლექსები.



„აი ოჯახის დაღუპვა, გვარის დამცირება! გაზარდეთ ყმაწვილები რუსეთში, კარგს რასმე ჰსწავლობენ... აღარც ძმის სიყვარული, აღარც ნათესავისა, არც — დედ-მამისა!“

პიესა „გაყრა“

1862 წელს ერისთავმა ევროპაში იმოგზაურა. მოგზაურობის შთაბეჭდილებანი კი გადმოსცა დაუმთავრებელ დღიურებში — „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა 13 ივნისსიდგან“.

მწერალი გარდაიცვალა 1864 წელს. დაკრძალულია იკორთის მონასტერში, სოფელ ზემო იკორთში (ახლანდელი ცხინვალის რაიონი). ■

გიორგი ერისთავის თანამედროვენი — ქართველ ხელოვანთა ჯგუფი

1898
ქართული თეატრი
ხუთშაბათს 1 მაისს
ქართული თეატრის ფუნდამენტის სასარგებლად
საიუბილეო წარმოდგენა
ბატონიშვილად
სამზადისი
გაყრა
ბოლოს
ქართული თეატრის დაფუძნებულის
ი. ბ. ერისთავის ანდერძისაებრ მოსალოდნელი
დ ე ბ ა უ ტ ს



ნინო

სოფელს გერგეტში, ქვემო უბანს, რომელსაც გვერდით ხევი ჩამოუდის და მოვარდნის დროს არა იშვიათად სახლებს მიუვარდება ხოლმე და აზარალებს მცხოვრებლებს, ყველაზე საშიშ ადგილს იდგა ერთი პატარა, ძველი და ნახევრად დანგრეული სახლი. პირველსავე ნახვაზედ თქვენ დარწმუნდებოდით, რომ ამ სახლის პატრონები შეძლებულები არ უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც ამისთანა საშიშს ადგილს ვერ მოსცილებოდნენ და სახლიც ვერ გაეახლებინათ. იქნებოდა ღამის 9 საათი, შუაგულს ზამთარში, როდესაც ამ სახლში კერაზედ ცეცხლი ოდნავ ბჟუტავდა, უფრო თვალის მოსატყუებლად, სანამ გასათბობად, კერას გარს შემოხვეოდა რამდენიმე ბალღი და ორი — ერთი ახლად მოწიფული და ერთიც კარგა მოხუცებული ქალი. იმათი ნაკონკი ტანისამოსი, აქა-იქ მიჩხლართულ-მოჩხლართულ სხვადასხვა ფერის ძონძებით, ვერ აღსრულებდა თავის დანიშნულებას და ძლივს უფარავდა ხორცს. ყველგან ნაკლულოვანება აშკარად გიჩვენებდათ იმათ ბედშავობას და მწუხარებას. ოთახში ბნელოდა, რადგანაც მბჟუტავი ცეცხლი საკმაო სინათლეს ვერ აძლევდა. ყველანი გაჩუმებულიყვნენ და რაღაცა სევდიანს მწუხარებას მოეცვა. ათასში ერთხელ ბავშვები, შიმშილით და სიცივით შეწუხებულნი, თუ დაარღვევდნენ სიჩუმეს და იმათ პასუხად დედისგან გამოისმოდა გულდასაწყვეტი, ნაღვლიანი კვნესა, რომელიც აშკარად ამბობდა: „ნეტა მე ვიქცე შეშად, რომ გაგათბოთ, ნეტა მე ვიქცე პურად, რომ გაგაძღოთ!..“

ეს გახლდათ მახია გოდერძიანთი, თავისი მოზრდილის ქალით ნინოთი და სამის პატარა ვაჟით, რომელთ გაჭირვებაც უკანასკნელს საზღვრამდინ მისულიყო.

მახიას ქმარი ადრე მოუკვდა და სრულიად უპატრონოდ დარჩა და სულს მარტო მეზობლების გულკეთილობით-ღა იბრუნებდნენ.

მახია უყურებდა თავის ნაშობებს და გული სდნებოდა, რადგანაც ხედავდა თავის შვილებს გაჭირვებაში, ხედავდა იმათ შიმშილს, წყურვილს და სიცივეს, უნდოდა ეშველა რითიმე. მაგრამ რა შაეძლო ქვრივს, უპატრონო მოხუცს, როდესაც სახლს ისეთი არავინა ჰყავდა, რომელსაც ოფლით მოერწყო ოჯახობა და სისხლით ლუკმა ეშოვნა!

— დედავ! — დაიწყო ფშრუკუნი ერთმა ბალღმა, — მცივა, მცივა!

დედამ შეხედა შეწუხებულის თვალით და პირისახეზედ აშკარად დაეტყო ის მწარე მტანჯველი მოქმედება, რომელიც იქონია ამ სიტყვების გაგონებამ.

— გაჩუმდი, — წყნარად წარმოთქვა მოხუცმა, — აი, კვერს ამოგიღებ და გათბები.

— ოჰ, კვერს!.. არ მინდა კვერი, ცეცხლი მინდა! — ჭირვეულად გაიმეორა ბალღმა.

— სუ-ღა, სუ, იყუჩე!.. აგერ მგელი ყმუის! — იეშმაკა დედამ, რომელსაც უნდოდა ბავშვების ყურადღება სხვა საგნისთვის მიექცია და გაერთო რითიმე.

ბავშვები მართლა გაჩუმდნენ და დაუწყეს ყურის გდება, მაგრამ გარედგან მარტო ქარის ზუზუნი და წვიმა მოისმოდა და გამშრალი, გაყინული თოვლის რაკა-რუკი ფიცრის კარებზედ. აშკარად ეტყობოდა, რომ გაშმაგებული ქარი ებრძოდა ყველას, რაც კი წინ შეხვდებოდა და თუ თან ვერ გაიტაცებდა, სუსხავდა და აყინულებდა.

— არ არის მგელი, პური მშია, მცივა!.. — ასტყდნენ ისევ ბავშვები.

— სუთ და „ლექსს“ გიამბობთ, — უთხრა ნინომ, რომელმაც ის-იყო გადასწია ნაცარს და გამოსაცხობლად ჩაფლულს „გუდუნას“, „არცისკანით“ წყნარა დაუწყო სინჯვა.

ბავშვები მიეხვივნენ დას, რომელმაც ისე იცოდა იმათი გართობა. ის იყო, ნინომ პირი გააღო, რომ დაეწყო „ლექსი“, როდესაც მოისმა კარებში რაკუნი და მოულოდნელობამ ყველა ერთბაშად შეაკრთო, ყველას პირში სიტყვა გაუწყვიტა.

ჩამოვარდა სიჩუმე, მოისმა კიდევ რაკუნი და ჩახრინწიანებული, უსიამოვნო ხმა.

— გაწყდით თუ რაი მოგსვლიათ?.. რაისთვი ხმას არა მცემთ?..

— ვინა ხართ? — იკითხა მახიამ

— მე ვარ.

— შენ ვინა ხარ?.. რაი გინდა ამ დროსა?

— ნაცვალია, — წასჩურჩულა დედას ქალმა.

— გააღე და გაიგებ... ჩქარა, გავიყინეთ! — აშურებდა გარეთ მყოფი.

მოხუცი წამოდგა, გაანთო „ჩირაღი“ (კვარი), ბუტბუტით მივიდა კარებთან და გასწია ურდულს. ოთახში შემოვიდა ნაბდით და ყაბალახ-მოხვეული კაცი, რომელსაც თოვლი დაზდებოდა და გძელს უშნო ულვაშებად ყინულები ჩამოჰკიდებოდა. იმან გადიგდო ბაშლუყი და შეიბერტყა ნაბადი.

— უჰ, ჰუ, ჰუ! ძალუმ არ ცივა!.. — წარმოთქვა შემოსულმა და სიფრთხილით გადისვა ულვაშებზედ ხელი.

— მოგიკვდა ჩემი თავი! ჩვენ კი არაყიც არ მოგვეძევება! — უთხრა მახიამ და დაუმატა — აბა რით-ღა გაგათბო, შეშაც აღარა გვაქვს!

— მე შეშა არ მინდა, — შეიჭმუხნა წარბები მოსულმა, რა გაიგო, რომ „ჩასაცეცხლებელი“ ასცდა, — აი რუსები მოვიყვანე თქვენთან დასაყენებლად.

— რუსები?! — ელდა-ნაკრავსავით წარმოსთქვა დედაკაცმა და გაფითრებული გაშრა.

— ჰო რუსები, სტეფანწმინდას აღარ დაეტია და აქ მოვიყვანე.

— ბედშაო ჩემო თაო! კაცი არავინა გვყავს და არა ცხო, საით ჩავიყენოთ ცხოთა კაცები?

— დედაისი, ნუ დავაყენებთ! — ხვეწნით მოეხვია ნინო მახიას.

— ჰაი, ჰაი რომ არ დააყენებდით, თუ თქვენს კითხვაზედ იყოს, — ჩაიცინა ნაცვალმა და მერე უფრო მკაცრად დაუმატა: — ხელმწიფეს სამსახური უნდა, მაშ რაი გეგონათ?

— ბარემდის, თუ შეგვეძლოს, მაგრამ ბეჩავები, ღარიბები ვართ...

— თქვენთან ლაპარაკისთვის არ მცალიან, — გააწყვეტინა ნაცვალმა, გაბრუნდა კარისაკენ და დაუძახა სალდათებს, რომლებიც ბარტყა-ბურტყით და ყაყანით შემოვიდნენ.

დედაკაცმა გაიშვირა ხელები მიმავლის ნაცვლისაკენ, რომელმაც რუსებს უჩვენა ეს სახლი და გაბრუნდა. უნდოდა რაღაც ეთქვა, შეხვეწნოდა, მაგრამ სიტყვა ვეღარ მოეხერხებინა.

ბავშვებმა რა გაიგონეს რუსის სახელი, მაშინვე ნინოს მიეკუჭნენ, თითქმის ზედ გაეკრნენ და შეშინებულები გამოიყურებოდნენ.

სალდათებმა მიიხედ-მოიხედეს, რამდენჯერმე დაურიდებლად, რუსულის წესით შეიგინენ სახლის მოუწყობლობაზედ და მიეხვივნენ კერას, საიდანაც გათოშილი ბავშვები გაიქცნენ.

სალდათები დასხდნენ, დაიხადეს ფეხთ და ოფლისა და უწმინდურების გამო ფეხზედ სახვევებს დაუწყეს შრობა, მაგრამ ჩამწვარი შეშა მალე ჩანელდა და სიცივემ თავისი ძალა მალე აგრძნობინა.

— როგორა დგანან ამ ჯოჯოხეთში? — დაიწყო ერთმა სალდათმა.

— „ბუსურმანები“ არიან და რა საკვირველია, — უპასუხა მეორემ და მცოდნე კაცის კილოთი დაუმატა: — ბუსურმანები მხურვალენი არიან, იმათ როდი შესცივათ.

— აგრე უნდა იყოს, თორემ ჩვენი დედაკაცი თუ ფეჩის თავზედ კარგად არ გამოცხვა, რა გააძლებინებს?

— ეგ ყველა-ყველა, მაგრამ განა შეშა არ გვეკუთვნის? — იკითხა ერთმა,

რომელიც აქამდინ ჩუმად იყო.

— რასაკვირველია, გვეკუთვნის, — უპასუხეს იმას.

— ვისგან გვეკუთვნის, მართველობამ უნდა მოგვცეს, თუ სახლის პატრონმა?

— რასაკვირველია, სახლის პატრონმა, ამიტომ რომ ეგ „მუჟიკია“, მუჟიკი უნდა ემსახუროს ხელმწიფეს, ჩვენ კი ხელმწიფის კაცები ვართ.

— აი ეგ მართალია, — მოუწონეს დანარჩენებმა, — რასაკვირველია, მუჟიკი სალდათს უნდა ემსახუროს, რადგანაც სალდათი ხელმწიფის კაცია. მუჟიკი რაა? ფუ! — გადააფურთხა მოლაპარაკემ, — ამის მეტი არაფერია.

— მაშ რატომ არ მოაქვს შეშა იმ ეშმაკის ფეხსა? — წარმოთქვა მეორემ და მიუბრუნდა მახიას: — ეი, დედაკაცო, შეშა მოიტანე!

მახიას ესმოდა, რომ იმას ელაპარაკებოდნენ, მაგრამ ვერ გაიგო, თუ რას ეუბნებოდნენ, რადგანაც რუსული არ იცოდა, და თუნდაც სცოდნოდა, მაინც ვერ დააკმაყოფილებდა იმათ სურვილს, რადგანაც ერთი „წკირი“ არ მოეძევებოდა სახლში.

— რა ეშმაკსავით დაგიჭყეტია თვალები? — შეუტიეს იმას, — შეშა, შეშა! „ცეცკლი!“

— ცეცხლი? — მიხვდა დედაკაცი, — საით მოგიტანოთ ცეცხლი?

— არა, არა! — გაბრაზებით და დაცინვით „გაუკირცხლეს“ მოხუცს. — თავში ქვა შემოიკარ და იშოვე.

— წმინა გივარგის მადლმა, არ გვაქვს, — შეჰფიცა მახიამ, თითქოს რუსებს ესმოდათ იმისი ლაპარაკი.

— რას უყურებთ მაგას, ჩვენ თვითონ მოვნახოთ და დავანთოთ, — არჩიეს სალდათებმა, — საცა იქნება, ვიპოვნით.

სამი სალდათის გარდა ყველანი წამოცვივდნენ და გაცვივდნენ დერეფანზედ, მაგრამ იმათ ვერა იპოვეს-რა. ბოლოს, ბევრი ძებნის შემდეგ, იმათ თვალი შეჰკრეს ერთს ურემს, რომელიც იქავ ეზოში ეგდო. ყველანი სიხარულით და ყიჟინით მიეხვივნენ.

— აი, შეშაც ვიშოვეთ, შეშაც!..

მახია, რომელიც გამოჰყვა და კარებიდგან უყურებდა, მიხვდა იმათ აზრს და გაექანა ხვეწნით:

— ღვთის გულისათვის!.. ნუ დამღუპავთ!.. ცხოთა ურემია, შეშის მოსატანად მათხოვეს!..

მაგრამ სალდათები, დარწმუნებულნი, რომ შეშა უნდა მიეცა ვისმე, აღარ არჩევდნენ, რასა შვრებოდნენ; იმათ მხოლოდ ერთი ის-ღა ჰქონდათ აზრში, რომ ჩქარა დააგუგუნებენ ცეცხლს და გათოშილს, გაყინულს სხეულს გაითბობდნენ, სხვა რა ენაღვლებოდათ?..

არც ხვეწნა, არც მუდარა, არც თავის შებრალება აღარ გადიოდა! ისინი მისცვივდნენ „ურას“ ძახილით ურემს და რადგანაც ცული ვერ ეპოვათ, ხელებით დაუწყეს მტვრევა.

ამ ხნის განმავლობაში სახლიდან მოისმა გულის გამგმირავი წივილი, რომელმაც მახია გააბრუნა სახლისკენ, სადაც შესვლის უმალ თვალ-წინ წარმოუდგა საშინელი და შემაძრწუნებელი სურათი:

ორიოდე სალდათი, რომელნიც სახლში დარჩენილიყვნენ, მისცვივნოდნენ ყუთებს, სენას და იქაურობას აბრუნებდნენ და აქოთებდნენ. ერთიც მივარდნოდა ლამაზ ნინოს და თავის დახეთქილს და უმსგავსო ხელებში სჯიჯღნიდა!.. შეშინებული ქალი გაფითრებულიყო და წივილ-კივილით ფართხალობდა. თავს არიდებდა უმსგავსო ტუჩებს, რომლითგან ოტკის სუნი ამოსჩქროლდა. ქალი მაგრა მიეკრა მკერდში და დორბლიანის და მხეცურის წადილით დამახინჯებული ტუჩებით ლოშნიდა.

მოხუცს გული მოუკვდა ამის დანახვაზედ, მისწვდა ქმრის დაჟანგებულს ხანჯალს, გააძრო ქარქაშიდგან და ანგარიშ-მიუცემლად, თუ რასა შვრებოდა, ძალზედ ჩასცა გამხეცებულს სალდათსა, რომელიც ღრიალით: მიშველეთ მომკლეს! დასისხლიანებული იქვე დაეცა. იმის ყვირილზედ შემოცვივდნენ სხვა სალდათები, დაუწყეს მახიას უწყალოდ ცემა და მაგრად შეუკრეს ხელ-ფეხი. ხმაურობა შეესმათ სოფლელებს და შეცვივდნენ სახლში, რომ მახია ხელიდგან გაეგდებინათ გაბრაზებულს სალდათებისთვის.

— ნინო, ნინოს უპატრონეთ! — ძლივს წარმოსთქვა მახიამ და გულშემოყრილი იქვე დაეცა.

ხალხმა ბევრი ეძება ნინო, რადგანაც ის სახლში აღარ იყო, ბევრს ეცადა, მაგრამ თითქმის ღამის უფსკრულს შთაენთქა, — ვეღარსად იპოვა.

ასე სამწუხაროდ გაუთენდა მახიას მეორე დილა, რომლის შემდეგაც იმის თვალს ცრემლი არ შეშრობია და გულს არ მოჰკლებია კვნესა... ჩქარა ისიც შეიბრალა ღმერთმა და მწვალებლების ხელიდგან სამარემ დაიხსნა.

ზამთარი შეიცვალა გაზაფხულით, მიწა აჭრელდა, მთიდგან თოვლები ზვავად მოსხლტა. ყველგან ხალხი სამუშაოდ ემზადებოდა და ღიმილით მოელოდა ზაფხულს.

ერთს დღეს რამდენიმე კაცს საქონელი ჩაერეკათ ხევში წყალის დასალევად, მაგრამ, რადგანაც გზა ზამთარში ძალზედ „ჩაეჩუმქრა“, თოვლი უშლიდა გავლას, იმათ ნიჩბებით დაუწყეს გზას წმენდა. ერთბაშად ნიჩაბი თოვლის ქვეშ რაღაცას მოედო და მუშამ დაიძახა:

— მიშველეთ, თოვლის ქვეშ რაღაცაა და არ ვიცი კი რაია!

ყველანი მიეხვივნენ, გადმოთხარეს და ერთბაშად მწარის მწუხარებით დაიძახეს:

— ნინო!

დიაღ, ეს გახლდათ საბრალო ნინო, რომელიც იმ უბედურს ღამეს შეშინებული გამოვარდნილიყო, ქარიშხალს გზა აერია და ხევში გადავარდნილი თოვლს დაემარხა. პატარა ძაღლს, რომელიც იმას განუშორებლივ თან დასდევდა, ეხლაც არ ეღალატნა და პატრონთან ერთად დამარხულიყო.

მაგრამ, ღმერთმა იცის, რა ერჩივნა ნინოს: სამუდამოდ განსვენება, თუ ცხოვრება, რომელიც, ვინ იცის, კიდევ რა განსაცდელს შეამთხვევდა?.. ■



ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-37

რუსუდან ბერიძე

— რას მეუბნები?.. და რატომ?

— ახლავე აგიხსნი. მართალია, უკვე არც ისე ახალგაზრდა ვარ, როგორც ზოგიერთი, — მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ნანუკამ ნათიას, — მაგრამ მგონი, ეს დღეს პლუსიც კია. ახლანდელი ნორჩი გოგონები ქმრებს ხშირად ტოვებენ და უფრო მდიდრებსა და იღბლიანებს მისდევენ ხოლმე. ვფიქრობ, ამაში უკვე პირადად დარწმუნდი.

ნანუკას თითქოსდა ნახევრად სახუმარო ტონში სევდა და მცირეოდენი იმედიც იგრძნობოდა.

— შენს ქმრობას რომ ვეღირსო, ამისთვის, სულ მცირე, ბანკირი მაინც უნდა გავხდე, — ანგლობას მაინც არ იშლიდა ლაშა.

— გახდები კიდეც!.. — უცბად დასერიოზულდა ნანუკა. — ოღონდ ისურვე და...

— და შენი მამიკოც მაშინვე ჯადოსნურ ჯოხს აიქნევს და პრინცად გადავიქცევი, ხომ? აუ, რა მოსაწყენი იქნებოდა ეს ყველაფერი...

— შენთან სერიოზული ლაპარაკი შეუძლებელია, — გაღიზიანდა ნანუკა.

სწორედ ამ მომენტში მუსიკაც აჟღერდა და ნათიას გვერდით მაშინვე სასიამოვნო გარეგნობის მაღალი ახალგაზრდა გაჩნდა.

— ვიცეკვოთ? — გულღიად გაუღიმა მან გოგონას და თან თავისი ქათქათა კბილები გამოაჩინა.

— მაპატიეთ, მაგრამ პირველ ცეკვას ჩემს მეგობარს შევპირდი, — არ დაიბნა ნათია, რომელსაც ლაშას ნანუკასთან დატოვება არაფრით სურდა.

ახალგაზრდამ ჯერ ლაშას და ნანუკას გადახედა მრავალმნიშვნელოვნად, შემდეგ გოგონას თავი თავაზიანად დაუკრა და მაშინვე გაერიდა.

ნათიას ასე კარგად თავი არასდროს უგრძნია. ის ლაშას მკლავებში განაბული ცეკვავდა და ეჩვენებოდა, რომ მთელი სამყარო მის გარშემო ტრიალებდა. გოგონა იმასაც აღფრთოვანებული აფიქსირებდა, რომ იქვე, სულ ახლოს, არაერთი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანიც ცეკვავდა, თუმცა მას ლაფაური მაინც მთელ ქვეყანას ერჩივნა. როცა მუსიკა შეწყდა, მათ კვლავ ლაშას ნაცნობები შემოეხვივნენ:

— რის ტრანსლირებას აპირებს თქვენი არხი?

— როგორც ყველა: ახალი ამბების, ფილმების, მუსიკის... ოღონდ, ეს ყველაფერი სხვებისგან ერთი მთავარი რამით იქნება გამორჩეული. ჩვენ ყველაზე ახალი და ობიექტური ინფორმაციები, ყველაზე უკეთესი ფილმები და ყველაზე კარგი გასართობი პროგრამები გვექნება.

— შენ რას წაიყვან?

— ეს ჯერჯერობით საიდუმლოა. სრულიად ახალი პროექტი იქნება. ჯერ საზღვარგარეთაც რომ არ არსებობს, ისეთი...

ამასობაში ნათიას ექსტრავაგანტურ კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა მიუახლოვდა:

— დარწმუნებული ვარ, ფოტომოდელი ბრძანდებით. მხოლოდ ის მიკვირს, აქამდე რატომ არსად მინახავხართ? თუ საიდუმლო არ არის, რომელ ჟურნალთან თანამშრომლობთ?

— მეე? — დაიბნა ნათია.

— „ვოგი“, „შანელი“, „ვუმენი“, — სასწრაფოდ წამოეშველა ნათიას ლაშა.

— მაგარია, — აღფრთოვანება ვერაფრით დამალა ახალგაზრდამ, — ჩემი სტუდია, რა თქმა უნდა, ასეთი ცნობილი არ არის, მაგრამ სულ პატარა თავისუფალი დრო თუ მაინც გამოგიჩნდებათ, იქნებ, ჩემს კოსტიუმებში პოზირებაზე დამთანხმდეთ. მალე იტალიაში, სან-მარინოში გაიხსნება ჩემი ნამუშევრების გამოფენა. ძალიან დამაფასებთ, თუ იქ ჩემს ნამუშევრებს წარმოადგენთ.

ამის შემდეგ ახალგაზრდამ ნათიას სავიზიტო ბარათი გაუწოდა და ცოტა ხანში ადამიანების ზღვაში ჩაიკარგა.

— ეს სამასკარადო კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა ვინ იყო? — ჰკითხა ნათიამ ლაშას.

— როგორ, არ იცნობ? ეს ხომ ჩვენი, ქართული მოდის ამომავალი ვარსკვლავი ალეკო მესხიაა.

— პირველად ვხედავ... ეტყობა, ჯერ კარგად არ ამოკაშკაშებულა, — გაეღიმა ნათიას.

გოგონა სიხარულს ვეღარ მალავდა. ის ხომ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო და ლამის ყველა მამაკაცი მას აქცევდა ყურადღებას. ლაშას ნაცნობები კი მის გაცნობასაც გულმოდგინედ ცდილობდნენ და ორივეს ერთად სტუმრად ეპატიჟებოდნენ.

— ბოდიშს გიხდით, — მიუახლოვდა ნათიას ერთ-ერთი ოფიციანტი, — ნათია ბრძანდებით, ხომ?

— დიახ, — სახიდან ღიმილი არ მოსცილებია ნათიას, მაგრამ რატომღაც მუხლები აუკანკალდა.

— ტელეფონთან გთხოვენ.

— მე?.. ტელეფონთან?..

— დიახ. თუ შეიძლება, დარბაზის ბოლოში მიბრძანდით. იქ, კიბის ქვეშ, ტელეფონის კაბინა დგას.

— წარმოდგენა არა მაქვს, ვინ შეიძლება, იყოს. ან აქ როგორ მომაგნო? — ძლივს გასაგონად წარმოთქვა ლაშას მდუმარე სახის შემხედვარე ნათიამ.

— ჩვენი არხის პრეზენტაცია ყველა ტელევიზიის საღამოს ახალ ამბებში გადასცეს და ალბათ, რომელიმე შენმა ძველმა ნაცნობმა გნახა. ნუ ღელავ, ეს ხომ მხოლოდ ტელეფონია.

— ჰო, მაგრამ... — სათქმელი ვეღარ დაასრულა ნათიამ, რადგან ამ დროს ლაშას კიდევ რამდენიმე ნაცნობი მიუახლოვდა.

ლაფაურმა მათთან მაშინვე გაცხოველებული საუბარი გააბა, ნათიას კი მთელი დარბაზის გადაჭრა მოუხდა, სანამ ტელეფონამდე მიაღწევდა. თან მთელი გზა თავს იმტვრევდა, თუ ვის შეეძლო, მისი აქ მოძებნა.

ლაფაურისა და მისი კოლეგების საუბარი ძირითადად ახალი არხის პერსპექტივებს შეეხებოდა. იგრძნობოდა, რომ ბევრი მასში უკვე ფარულ მეტოქესაც ხედავდა, რაც ლაფაურს მხოლოდ სიამოვნებას თუ ანიჭებდა.

— აუ, რა დრო გასულა... — წამოძახა უცბად ერთ-ერთმა მოსაუბრემ. — უნდა გავიქცე, სიუჟეტი მაქვს მოსამზადებელი...

ამ სიტყვებზე ლაშამაც საათზე დაიხედა და შეცბა. ნათიას წასვლიდან უკვე ათი წუთი გასულიყო. „ათი წუთი ქალისთვის საერთოდ და მით უფრო ტელეფონით სალაპარაკოდ დიდი დრო ნამდვილად არ არის, მაგრამ მაინც უნდა ავაჩქა-

რო“, — გაიფიქრა მან. მალე საღამოს ოფიციალური ნაწილი უნდა დაწყებულიყო და ლაშას უნდოდა, მას ნათიაც დასწრებოდა.

ლაფაურმა დარბაზის ბოლომდე გაღწევაში საკმაო დრო დაკარგა, რადგან გამუდმებით ვიღაც აჩერებდა და რაღაცას ეკითხებოდა. კიბე კი მალევე მოძებნა და სირბილით ჩაუყვა. კიბის ქვეშ „შეყუჟული“ ტელეფონის კაბინა რატომღაც ჩაბნელებული დახვდა. ლაშამ კაბინის კარი სწრაფად გამოაღო და ადგილზე გაშეშდა. კაბინა ცარიელი იყო, ტელეფონის ყურმილი კი მავთულზე კონწიალებდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხმებს გამოსცემდა.

— ეს დერეფანი საით მიდის? — ძლივს გააჩერა ნაირ-ნაირი სასმლით დატვირთული ლანგრით კიბისკენ სირბილით მიმავალი ოფიციანტი დაფეთებულმა ლაფაურმა.

— ეს სათადარიგო გასასვლელია და რესტორნის შიდა ეზოში გადის, — სიტყვა დაუგდო მან და მაშინვე გზა განაგრძო.

ლაშას გულმა რეჩხი უყო და გასასვლელისკენ გაიქცა, გარეთ უსწრაფესად გავარდა და ირგვლივ დაკვირვებით მიმოიხედა. რესტორნის შიდა ეზო დიდ ნაგავსაყრელს მოგაგონებდათ. ყველგან ცარიელი ყუთები, კოლოფები, შესაფუთი ქაღალდის ნაგლეჯები ეყარა. დამხმარე შენობების გვერდით კი ნაგვით პირთამდე სავსე ურნები ჩარიგებულიყო. ლაფაურმა მოედანი გადაჭრა და ღია ჭიშკართან აღმოჩნდა, საიდანაც ის წუთი იყო, ვიღაც უნდა გასულიყო, რადგან მისი ფეხის ხმა ჯერ კიდევ ისმოდა. უცბად, ბინდბუნდში ვიღაცის ჩრდილიც გაკრთა და მაშინვე სახლის კუთხეში გაუჩინარდა. ლაშას რომელიღაც, სრულიად აუხსნელმა გრძნობამ უკარნახა, რომ ნათია სწორედ იქ უნდა ყოფილიყო და არც შემცდარა. სახლის კუთხემდე სირბილით მისულმა უკვე კარგად გაარჩია, ვიღაც ახმახი მხარზე ნანადირევივით მოგდებულ გოგონას როგორ მიარბენინებდა. ლაფაურს ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ ეს გოგონა ნათია იყო. ახმახი კი უკვე შორიახლოს მდგარ ჯიპს უახლოვდებოდა.

— ეი, მეგობარო, დახმარება ხომ არ გჭირდება? — დაუძახა მას ლაშამ.

მოულოდნელობისგან ახმახმა სრულიად სწორ ადგილზე ისე მკვეთრად წაიბორძიკა, რომ გოგონა კინაღამ ძირს დაუვარდა, თუმცა გონსაც მალევე მოეგო:

— არა, ძმაო, გმადლობ. ეს ჩემი გოგოა. უბრალოდ, შამპანური მოუვიდა ცოტა მეტი და...

— იქნებ, მაინც დაგხმარებოდი. მე ხომ ექიმი ვარ.

— არ არის საჭირო. ხომ გითხარი, უბრალოდ ცოტა მეტი დალია- მეთქი, — ხმაში გაღიზიანება დაეტყო ახმახს, — სახლში მივიყვან, გამოიძინებს და ყველაფერი რიგზე იქნება.

ლაშა კი ამასობაში სიტუაციას აფასებდა. „კარგია თუ ეს ტიპი მარტოა, — ფიქრობდა, იგი, — მართალია, მოხეული კია, მაგრამ ცოტა მოხერხებულობა და მასთან გამკლავება მაინც არ გამიჭირდებოდა. მაგრამ თუ მანქანაში კიდევ ვინმეა და ორივე შეიარაღებულიცაა, მაშინ საქმე ძალიან გართულდება“.

ლაფაური მიხვდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ რაღაც არაორდინარულის მოფიქრება თუ უშველიდა და მოიფიქრა კიდეც. ირგვლივ დაკვირვებით მიმოიხედა და სახლის კედელთან დაგდებულ მოზრდილ კარტოფილს მოჰკრა თვალი. როგორც იარაღი, კარტოფილი ცხადია, არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენდა, მაგრამ ლაფაურს სულ სხვა აზრმა გაუელვა თავში; როგორც კი ახმახმა გოგონა მანქანის უკანა სავარძელზე მიაწვინა, კარტოფილს ხელი დასტაცა, ჯიპთან მიირბინა და აირგამშვებ მილში შეტენა. ამ ფოკუსს ის ბავშვობაში ხშირად უტარებდა ერთ მდიდარ მეზობელ კაცს, რომელიც ეზოს ბავშვებს თავისი ლაპლაპა მანქანის შორიახლოს ჩავლასაც კი უკრძალავდა.

ამასობაში ახმახმა მანქანის უკანა კარი მიხურა, თვითონ წინ, მძღოლის გვერდით ჩაჯდა და აბა, წავედითო, გადაულაპარაკა. ამის შემდეგ მანქანამ მხოლოდ ორჯერ დაიხრიალა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

— რა მოხდა? — შეუღრინა ახმახმა საჭეს ჩაფრენილ კაფანდარა მძღოლს.

— აზრზე არა ვარ, — კიდევ ერთხელ უშედეგოდ გადაატრიალა გასაღები მძღოლმა, მაგრამ „ჯიპი“ ადგილიდან მაინც არ დაიძრა.

— ჯანდაბა! — ჩაიბურტყუნა ახმახმა და მანქანიდან ხვნეშით გადმოვიდა.

— ვერაფერი გამიგია, — მანქანიდან სწრაფად გადმოხტა მძღოლიც, კაპოტი ახადა და ძრავას ჩააშტერდა, — წეღან ნორმალურად მუშაობდა.

— კრეტინო! — ხმას აუწია ახმახმა. — ამაზე პასუხს აგებ, იცოდე! შენისთანებს „ჯიპი“ კი არა, ველოსიპედი არ უნდა ანდოს კაცმა.

ლაშა მანქანას მიუახლოვდა და როცა დარწმუნდა, რომ შიგნით გოგონას გარდა აღარავინ დარჩა, ხმამაღლა წამოიძახა:

— დახმარება ხომ არ გინდათ, ბიჭებო? უცხოურ მანქანებში კარგად ვერკვევი.

ახმახმა რაღაც გაურკვევლად ჩაიბურტყუნა, რაც ლაშამ დასტურად ჩათვალა და მანქანის ძრავა ვითომ ძალიან ყურადღებით დაათვალიერა.

— ყველაფერი გასაგებია, — წამოიძახა მან მცირე ხნის შემდეგ. — უხარისხო ბენზინი ჩაგისხამთ.

— ეგ როგორ? — გულუბრყვილოდ იკითხა ახმახმა.

— რა, არ იცი, ეს როგორც ხდება? ძრავაში წყალია მოხვედრილი.

— ახლა რა უნდა ვქნათ?

— მანქანას უნდა მიაწვეთ. მოტორი წყალს გამოდევნის და ავტომობილი დაიქოქება, — სასწრაფოდ თადარიგი დაიჭირა ლაშამ. — შენ საჭესთან დაჯექი, — მიუბრუნდა ის მძღოლს, ჩვენ ორნი კი მივაწვებით.

უკმაყოფილო ახმახმა ჯერ კეფა მოიქექა, მაგრამ შემდეგ ეტყობა, მისმა ტვინმა ლაშას ნათქვამის გადახარშვა მაინც მოახერხა და მძღოლს კიდევ ერთხელ შეუღრინა:

— რას უდგახარ, იდიოტო? სწრაფად ჩაჯექი მანქანაში!

მძღოლი მაშინვე დაემორჩილა.

— ერთი, ორი, სამი, — ლაფაური ერთი ხელით ვითომ მანქანას მთელი ძალით აწვებოდა, მეორით კი ახმახს შარვლის ქამარში გარჭობილი პისტოლეტი ააძრო და თავში ისე გამეტებით ჩასცხო, რომ ეს უკანასკნელი ძირს მოცელილივით დაეცა.

— გასაღები ჩატოვე და მანქანიდან სწრაფად გადმოდი! — უყვირა შემდეგ ლაშამ გაოგნებულ მძღოლს, რომელიც უსიტყვოდ დაემორჩილა.

— დაწექი შენი „პადელნიკის“ გვერდით და განძრევა არ გაბედო! — ერთ ბრძანებას ლაფაურმა მეორე მოაყოლა.

მძღოლი ისევ დაემორჩილა.

ლაშამ მანქანის წინა უჯრაში სახრახნისი მოძებნა, აირგამშვები მილიდან კარტოფილი გამოაძრო, შემდეგ სასწრაფოდ ჩაჯდა და ჯიპი ადგილს მოსწყვიტა...

ნათიამ უცნაურად დამძიმებული ქუთუთოები ძლივს ასწია და ოთახს თვალი გაკვირვებულმა მოავლო.

— სადა ვარ? — წაიჩურჩულა მან.

— ჩემთან, სახლში. სად უნდა იყო? — ლაშა მის პირდაპირ სავარძელში იჯდა და ვაშლს შეექცეოდა.

— აქ როგორ აღმოვჩნდი?

— მარტივად. მე მოგიყვანე.

— მართლა? უცნაურია, მაგრამ საერთოდ არაფერი მახსოვს.

— გუდასავით გეძინა და რა გემახსოვრება?

— რატომ? — ნათიამ წამოწევა სცადა, მაგრამ თავბრუ დაეხვა და ისევ ბალიშზე მიესვენა. — შამპანური ხომ არ მომივიდა ზედმეტი?

— არა, მაგრამ რომ გითხარი, გვერდიდან არ მომცილდე-მეთქი, რატომ არ დამიჯერე? ჰოდა, მოგიტაცეს.

ლაფაურის სახუმარო ტონმა ისედაც დაბნეული გოგონა საბოლოოდ დააბნია.

— შეუძლებელია!.. მახსოვს, რომ მე და შენ ვცეკვავდით. მერე ტელეფონთან დამიძახეს. დაბლა ჩავედი, მაგრამ ტელეფონი დუმდა. უცბად უკნიდან რაღაც ხმაური შემომესმა. მოვიხედე და... მეტი აღარაფერი მახსოვს. მერე რა დამემართა?

— ვიღაც ტიპებმა სახეში რაღაც საზიზღრობა შეგასხეს და გაგთიშეს, მაგრამ დავარწმუნე, რომ შენი თავი ჩემთვის უნდა დაებრუნებინათ, — ლაშა ისევ არხეინად აგრძელებდა ვაშლის ჭამას.

— რა კოშმარია... გმადლობ... — ცრემლი მოერია ნათიას, — ეტყობა, თავს არასდროს დამანებებენ.

— უკვე დაგანებეს. ის კი არა და, თავისი ჯიპიც კი დამითმეს. ეტყობა, მიხვდნენ, რომ შენი აქამდე ხელით მოყვანა გამიჭირდებოდა.

— საზიზღრები, რა საღამო ჩაგაშხამეს...

— მე ასე სულაც არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, საღამომ გაამართლა. შენ კი იქ ბევრი საერთოდაც მოაჯადოვე.

— იცი, ყველაფრის ბოლომდე ნახვა როგორ მინდოდა?

— ბევრი არაფერი დაგიკარგავს... ბოლოს მოსაწყენი ადამიანების კიდევ უფრო მოსაწყენი სიტყვით გამოსვლებიღა იყო, — ლაშამ გოგონას პლედი გაუსწორა, — ახლა დაისვენე, მე კი ჩემი არხებით იმას გავარკვევ, ეს შავი ჯიპი ვის ეკუთვნის.

ერთი თვისთავზე ახალი ტელეარხი უკვე თითქმის არც ერთ წამყვან ტელეევიზიას ტოლს აღარ უდებდა და დიდი და პატარაც „სპექტრი 2“-სა და მის ნიჭიერ და პროფესიონალ წამყვანებზე ალაპარაკდა. ლაშა ტელევიზიაში გვიანობამდე რჩებოდა და კოლეგებთან ახალ, აქამდე სრულიად უცნობ პროექტებზე მსჯელობდა.

— მთელი მარილი სწორედ იმაშია, — არწმუნებდა მათ ლაფაური, — რომ ჩვენთან ყველაფერი სრულიად ახალი და სხვებისგან გამორჩეული უნდა იყოს. მეტიც, თვით ეს ახალიც კი გამუდმებით უნდა ვცვალოთ, რომ ჩვენი გადაცემები ძველ გაცვეთილ ფირფიტებს არასდროს დაემსგავსოს...

ხანდახან მსჯელობა და კამათი შუაღამემდე გრძელდებოდა. ერთხელაც, ერთ-ერთი ასეთი ღამის შემდეგ, ლაშა შინ თავისი მანქანით ბრუნდებოდა და ძალიანაც მიუხაროდა, რადგან იცოდა, რომ იქ მას ელოდნენ. ნათია ხომ მის დაბრუნებამდე არასდროს იძინებდა. მამაკაცს ჯერ კარგად დააპურებდა, შემდეგ მის ნაამბობ ახალ ამბებსაც ყურადღებით მოისმენდა და მხოლოდ ამის შემდეგღა უჩინარდებოდა თავის ოთახში მთქნარებ-მთქნარებით.

ლაშას მისი და ნათიას ურთიერთობის უკვე ძალიან უკვირდა. მას არ ესმოდა, ზრდასრულ ქალ-ვაჟს ერთ ჭერქვეშ ამდენ ხანს ერთად ისე როგორ უნდა ეცხოვრა, რომ მათ შორის საერთოდ არაფერი მომხდარიყო. მით უფრო მაშინ, როცა ამას, პრინციპში, წინ თითქოს არაფერი ედგა. ლაფაური ხანდახან აშკარად გრძნობდა, რომ ნათიას მისთვის გულის გადაშლა, რაღაც სანუკვარისა და ძალიან მნიშვნელოვანის თქმა უნდოდა, მაგრამ თავად მის აღსარებას ძალიან უფრთხოდა. ეშინოდა, რაღაც ისეთი არ გაეგო, რაც მათ ურითიერთობას კარდინალურად შეცვლიდა. ლაშას კი არაფრის შეცვლა არ სურდა. მეტიც, უნდოდა, რომ ეს ყველაფერი უსასრულოდაც კი გაგრძელებულიყო.

მას კიდევ ერთი უსიამოვნო ახალი ამბავი არ აძლევდა მოსვენებას. გაარკვია, რომ ჯიპი, რომლითაც ნათიას გატაცება სცადეს, ცნობილი დეპუტატის, პარლამენტის ერთ-ერთი წამყვანი ფრაქციის თავმჯდომარის თანაშემწეს ეკუთვნოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გოგონას ყოფნა-არყოფნა საზოგადოებაში ცნობილ ადამიანებთან იყო რაღაცით დაკავშირებული. შესაძლოა, ისინი წარსულში მისი მომსახურებით სარგებლობდნენ, ახლა კი, გამოაშკარავების შიშით, გოგონას გაქრობას ცდილობდნენ.

თუმცა თავად ნათიას ამაზე კრინტიც არ დაუძრავს. ის ან მართლა არ იცნობდა თავის გამტაცებლებს, ანდა, რაღაცას გულმოდგინედ მალავდა. ლაშამ კი ისიც გაიხსენა, თუ ნათიას ერთ-ერთი გამტაცებელი ადრე სად ნახა. იმ დღეს, როცა მან მანქანა ნათიას დააჯახა, სწორედ ეს ახმახი სთავაზობდა, გოგონას საავადმყოფოში მე წავიყვანო. „კიდევ კარგი, რომ არ დავთანხმდი“, — გულში უკვე მერამდენედ იმეორებდა იგი. ამ ფიქრებში გართული ლაფაური მანქანებისგან პრაქტიკულად თავისუფალ პროსპექტზე გავიდა. მას უყვარდა ღამღამობით ცარიელ ქუჩებში მანქანით სიარული. მძინარე ქალაქიც სულ სხვანაირი, თითქოს უფრო იდუმალი ეჩვენებოდა. უეცრად მის მანქანას უკან ვიღაცის უცხოური მარკის მანქანა ამოუდგა, მასში სამი ადამიანი იჯდა. მძღოლმა თან მაშუქებიც ჩართო და ლაშას თვალები მოსჭრა. ლაფაურმა ერთი შეიგინა და სიჩქარეს მოუმატა. მას არც უცხოური მანქანა ჩამორჩა. ლაშა ცოტა არ იყოს, ანერვიულდა, ამიტომაც სხვა ქუჩაზე შეუხვია და მოძრაობა ისე განაგრძო. თუმცა მისმა უცნობმა თანამგზავრებმაც ზუსტად იგივე გააკეთეს. ლაშამ კიდევ ერთ მოსახვევში შეუხვია და ეზოებზე გავლით მდევრების ჩამოშორება სცადა, მაგრამ მანქანა ისევ კვალში ედგა. მასში მსხდომნი უკვე აღარც კი მალავდნენ, რომ სწორედ მას მოსდევდნენ.

ლაშამ კიდევ ერთხელ შეიგინა და სიჩქარეს კიდევ უფრო მოუმატა. ამის შემდეგ მანქანების ნამდვილი რბოლა დაიწყო. ლაფაური თავს გამოცდილ მძღოლად მიიჩნევდა, მაგრამ ტოლს არც მეორე მანქანის მძღოლი უდებდა, ამიტომაც ხან ერთი გავარდებოდა წინ და ხან — მეორე. ეს კატათაგვობანა თითქმის ნახევარი საათი გაგრძელდა და ლაშას მოთმინების ძაფი გაუწყვიტა. ცხადია, მას შეეძლო, სიჩქარისთვის ნელ-ნელა მოეკლო, ანდა, სულაც გაჩერებულიყო, მაგრამ კაცმა არ იცის, მის მდევრებს თავში რა აზრი უტრიალებდათ. „ეს პატრული სადღა გაქრა?“ — გაფიქრება ძლივს მოასწრო, რომ ათიოდე მეტრში, გზის პირას მდგარი საპატრულო პოლიციის მანქანა დალანდა და შვებით ამოისუნთქა. პირდაპირ პატრულთან გავაჩერებ და ვნახოთ, რა მოხდება“, — გადაწყვიტა მან და სიჩქარის შენელება სცადა, მაგრამ მანქანა აღარ დაემორჩილა და საპატრულო მანქანასა და გაოცებით მომზირალ პოლიციელებს მთელი სისწრაფითაც ჩაუქროლა. ლაშამ ახლა მანქანის დამუხრუჭება სცადა, მაგრამ მანქანამ არც ამაზე მოახდინა რეაგირება და კვლავ გიჟივით მიქროდა. ლაფაური ამ გზას კარგად იცნობდა, ისიც იცოდა, რომ მალე საკმაოდ მკვეთრი მოსახვევი დაიწყებოდა და თუ მანამდე მანქანის დამუხრუჭებას თუ არა, ქროლის შენელებას მაინც ვერ მოახერხებდა, უბედურება გარდაუვალი იყო.

ლაფაურმა სპიდომეტრს ერთი დახედა და რომ დაინახა, ისარი უკვე 140-ის ნიშნულს უახლოვდებოდა, ხელის მუხრუჭი ინსტინქტურად მოქაჩა, თუმცა კვლავაც სრულიად უშედეგოდ. შემდეგ რაღაც ტკაცუნის ხმაც გაიგონა. „ხელის მუხრუჭიც მოიშალა, — გაიფიქრა მან. — ეს კი უკვე დასასრულის დასაწყისია“...

ნათია ადგილს ვეღარ პოულობდა. უკვე დილის ათი საათი ხდებოდა, ლაშა კი ისევ არსად ჩანდა. გოგონა მთელი ღამე ტელესტუდიაში დარეკვას და ამბის გაგებას ცდილობდა, მაგრამ ყველა ტელეფონი შეთქმულივით დუმდა. სტუდიასთან დაკავშირება მხოლოდ დილის ცხრა საათზეღა მოახერხა და იქ მყოფებმა ძალიან გაიოცეს, როცა გაიგეს, რომ ლაფაური ღამით შინ არ მისულა. „იქნებ, ავარიაში მოყვა?“ — გაიფიქრა ნათიამ და მაშინვე პოლიციაში დარეკა, მაგრამ იქ უპასუხეს, რომ ასეთი ნომრიანი მანქანა ავტოსაგზაო შემთხვევაში არ მოყოლილაო. რჩებოდა კიდევ ერთი ადგილი — ქალაქის მორგი, მაგრამ ნათიას ამაზე ფიქრიც კი ზარავდა.

„თუმცა ისიც ხომ შეიძლება, რომ ლაშამ საყვარელი გაიჩინა და მთელი ღამეც მასთან ერთად გაატარა? რატომაც არა! რა არის ამაში გასაკვირი? ცოლს გაცილებულმა ახალგაზრდა მამაკაცმა რატომ არ უნდა მისცეს თავს ამის უფლება? თან ლაფაურზე ხომ შტერის გარდა არც ერთი ქალი არ იტყვის უარს. ჰოდა, ეტყობა, მხოლოდ მე ვარ ასეთი შტერი“, — დაასკვნა მან ბოლოს და სკამზე უღონოდ ჩამოჯდა. სწორედ ამ დროს კარზე ვიღაცამ ზარი დარეკა. ნათია მაშინვე ჰოლში გავარდა და ლაშას გაფრთხილების მიუხედავად, — უკითხავად არავის გაუღოო, კარი მაინც ფართოდ გამოაღო. ზღურბლზე თავად ლაშა იდგა და უაზროდ იღიმებოდა. ნათია მიხვდა, რომ მამაკაცი უგონოდ მთვრალი იყო...

ხელის მუხრუჭის მოშლის შემდეგ ლაფაური პრაქტიკულად ბედს შეურიგდა, მით უმეტეს, რომ მკვეთრ მოსახვევამდე ორი-სამი ათეული მეტრიღა თუ რჩებოდა. მაგრამ უცბად, მანქანის მაშუქების შუქზე, გზის პირას ერთმანეთის მიყოლებით დაყრილი ქვიშის კარგა მოზრდილი გროვები დაინახა. ლაშას დიდხანს აღარ უფიქრია, მანქანის კარი გააღო და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ამ გროვებისკენ ისკუპა. ლაფაურს ამჯერადაც გაუმართლა. მან ქვიშის ერთ გროვას მხოლოდ თავი წააცალა და მეორეზე მთელი ტანით დაეცა. მანქანამ კი, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, ცოტა ხანს გზის პირას იქროლა და მის გასწვრივ ჩამწკრივებული ბოძები ერთმანეთის მიყოლებით წააქცია, შემდეგ ისევ გზის სავალ ნაწილზე შევარდა, ჰაერში რამდენჯერმე ამოტრიალდა, ზურგით დაეცა და ასფალტზე გასრიალებისას ნაპერწკლები გაყარა. ერთ-ერთ გროვას ამოფარებული ლაშა ჯერ კიდევ ქვიშით ამოვსებულ თვალებს იწმენდდა, როცა რაღაცამ გაიტკაცუნა და მანქანას ცეცხლი მოედო.

სწორედ ამ დროს მდევრებიც გამოჩნდნენ. მათ თავიანთი ავტომობილი მცირე ხნით ლაფაურის აალებული მანქანის შორიახლოს გააჩერეს, თუმცა გადმოსვლით არავინ გადმოსულა, შემდეგ მანქანა მოაბრუნეს და იქაურობას სწრაფად გაერიდნენ.

ლაშამ კი ვერც ერთი ტაქსისა თუ კერძო მანქანის გაჩერება ვერ მოახერხა: ღამით უცხო ადამიანის მანქანაში ჩასმას ხომ ყველა ერიდება. გამთენიისას ბედად თურქეთიდან მომავალმა ტრაილერმა ჩამოიარა, რომელსაც ქართველი მძღოლი მართავდა. როცა ამ უკანასკნელმა ცნობილი ტელეწამყვანი იცნო და მისი უცნაური თავგადასავალიც მოისმინა, შენი გადარჩენისა უნდა დავლიოთო, დაიჩემა. დიდად არც ლაშამ იუარა, რადგან ნერვები ისეთ დღეში ჰქონდა, რომ სასმელი ახლა წამლადაც კი წაადგებოდა. ერთ ჭიქას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და მალე ეს ახალგაცნობილი ადამიანები ერთმანეთს ძველი მეგობრებივით შეეხმატკბილნენ და ჭიქას ჭიქაზეც ცლიდნენ...

ეს ყველაფერი ლაშამ ნათიას მას შემდეგ უამბო, რაც შხაპი მიიღო და ოდნავ გონს მოვიდა.

— ახლა კი ცოტა მაინც უნდა წავუძინო, — წაილუღლუღა მან შემდეგ და ტახტზე მიწვა.

ნათიამ კი მაშინვე პლედი მოარბენინა და მზრუნველად გადააფარა. გოგონა ლაშას ამის შემდეგაც არ მოსცილებია და მისი დაჟეჟილ-ჩალურჯებული სახის მაცქერალს უცნაურად ეღიმებოდა. მას უხაროდა, რომ ლაფაურს ქალი არ ჰყავდა. უფრო სწორად კი უკვე ჰყავდა, ოღონდ ამის შესახებ ჯერ თავად არაფერი იცოდა.



მეორე დილით ლაფაურმა სტუდიაში დარეკა, ყველა დაგეგმილი შეხვედრა და ინტერვიუ გააუქმა და გოგი გელოვანს ორკვირიან შვებულებაში გაშვება სთხოვა. გელოვანი მიხვდა, რომ ლაფაურის თავს რაღაც ძალიან დიდი უბედურება ან შეიძლება, ბედნიერებაც კი იყო და მის თხოვნას ყოველგვარი ახსნა-განმარტების მოთხოვნის გარეშე დაყაბულდა. ლაშამ ყურმილი კმაყოფილი სახით დადო. შემდეგ ცოტა ხანს ჩაფიქრდა და დაიწყო:

— გუშინდლამდე ჩემი მოკვლა ორჯერ სცადეს. გუშინ მესამე მცდელობა ჰქონდათ...

— რაო? — ნათიას შიშით თვალები გაუფართოვდა. — ვის? რატომ?

— მეც სწორედ მაგის გაგება მაინტერესებს. ჯერჯერობით ამ მცდელობებმა შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ კაცმა არ იცის, ხვალ და ზეგ კიდევ თავში რა მოუვათ. ამიტომ გულხელდაკრეფილი ვეღარ ვიჯდები და ვერ დაველოდები, ბოლოს და ბოლოს, საწადელს როდის მიაღწევენ და გამანადგურებენ.

— იქნებ, ეს ჩემ გამო ხდება? — ხმა აუკანკალდა ნათიას.

— არა. შენ არაფერ შუაში ხარ. მათ მე ვჭირდები, მაგრამ ვერ გამიგია, ასე მაინც ვინ გავამწარე?

— პოლიციაში რომ წახვიდე და ყველაფერი უამბო?

— მაშინვე ფსიქიატრთან გამიშვებენ. ან კი რა უნდა მოვუყვე? რომ ჯერ საკუთარ სამზარეულოში გაზით კინაღამ გავიგუდე, მერე ქუჩაში ვიღაც მაწანწალები ამიხირდნენ და ბოლოს ჩემს მანქანას გაუმართავი მუხრუჭები აღმოაჩნდა-მეთქი? არა, მე სხვა გზა ავირჩიე. ჯერ თვითონ გავარკვევ, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან და მხოლოდ ამის შემდეგღა გადავწყვეტ, შემდგომში როგორ მოვიქცე.

— მაგრამ ეს ხომ ძალიან საშიშია!

— რა თქმა უნდა, მაგრამ გულხედაკრეფილი ჯდომა და არაფრის კეთება კიდევ უფრო საშიშია. თანაც, უკვე იმაშიც დავრწმუნდი, რომ შენც ვიღაც გემუქრება. ამიტომაც სანამ მე საკუთარი პრობლემების მოგვარებით ვიქნები დაკავებული, რის გამოც შეიძლება, შინ ღამეც კი ვერ დავბრუნდე, შენ ჩემი მეგობრის ბინაში იცხოვრებ.

— არა, არ შემიძლია! — სასწრაფოდ გააპროტესტა ლაშას გადაწყვეტილება ნათიამ.

— ნუ გეშინია, ბინა ცარიელია.

— მით უარესი. იქ მარტო რა გამაჩერებს. შიშით გულიც გამისკდება.

— აი, ჩემი ერთ-ერთი მობილური ტელეფონის ნომერი. ის სულ რამდენიმე ჩემმა ახლობელმა თუ იცის. თუ რამე საეჭვოს შენიშნავ, მაშინვე დამირეკე.

— მე შენთან მინდა, — ასლუკუნდა ნათია.

— არავითარ შემთხვევაში. სანამ ყველაფერი არ დამთავრდება, იმ ბინაში დარჩები, რადგან ახლა ჩემ გვერდით ყოფნაც კი საშიშია.

ნათიას პროტესტის მუხედავად, ლაშამ ის ქალაქის გარეუბანში მდებარე პატარა სახლში მიიყვანა და წინასწარ მომარაგებული ორი კვირის საჭმელ-სასმელიც დაუტოვა.

— იცოდე, თაგვივით ჩუმად უნდა იჯდე და გარეთ ცხვირის წვერიც კი არ გამოყო, გასაგებია? — გაეხუმრა ის გოგონას.

— გასაგებია... — ტირილს აღარაფერი უკლდა ნათიას, მაგრამ ლაშას ახლა მისი ცრემლებისთვისაც კი აღარ ეცალა:

— არ მოიწყინო. პირობას გაძლევ, რომ რაც შეიძლება, მალე დავბრუნდები და მერე შენს პრობლემასაც მივხედავ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რომანტიკა თუ დანაშაული?!

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. №31-37

არ ვიცოდი, როგორ ხასიათზე უნდა ვყოფილიყავი. შინ მივედი თუ არა, როგორც ყოველთვის, გავშიშვლდი და ბიკინისამარა დავიწყე ოთახში სიარული — წინ და უკან, წინ და უკან... თან ვფიქრობდი: რატომ დამინდო თედომ? რას ნიშნავდა მისი ჟესტი? მაგრძნობინა, კეთილი ვარო? იქნებ ინანა თავისი საქციელი? იქნებ ჩემ შემდეგ ილაპარაკეს ამ თემაზე და ნიკამ დატუქსა კიდეც? არ ვიცი, არ ვიცი... ის უფრო მაშინებდა, სხვა დროს არ გამოეყენებინა დირექტორს მისი ეს „კეთილგანწყობილი“ რევერანსი... და მერე რა, ამით? ჰგონია, რამე გაუვა? არასდროს!

ისე ღრმად ამოვიოხრე, გულიც ამოვაყოლე. როგორ მომინდა დალევაა! სიამოვნებით გადავკრავდი ახლა ერთორ ჭიქა კონიაკს... ან არაყს... ან მარტინის... და არც ერთი ჭიქით მეტს, თორემ ნაბახუსევზე გულისრევით მოვკვდები. საზიზღარი „პახმელია“ ვიცი, მთელი დღე მაღლებინებს. არაფერი მშველის, ძილის გარდა... ისიც, თუ დამეძინა, იმ შემთხვევაში. არადა, სად მცალია დასაძინებლად! უფროსმა დილით არ დააგვიანო, მჭირდებიოოო! რა საოცარი ენაა ქართული. მ-ჭირ-დები! ხედავთ, როგორ ჟღერს? ჭირი მაგას და დოზანა! სულ მისი ბრალია, რაც გუშინ გადამხდა!

ჩავალ და ერთ პატარა ბოთლს ამოვიტან, სუუულ პატარას, ორასგრამიანს... და ას გრამს დავლევ... და არც ერთი გრამით მეტს!

ფანჯარაში გავიხედე. რაღაც უცებ დაბნელებულა, ყოველგვარი გადასვლების გარეშე! ეგ როგორ? ახლახან არ მოვედი? ჯერ კიდევ დღის სინათლე იყო... და უეცრად ჩამობნელდა. იქნებ იმის ბრალია, რომ იშვიათად ვიხედები ფანჯარაში? ერთხელ დილით, ერთხელაც საღამოს...

ასე იყო თუ ისე, აშკარად ჩანდა, რომ დღე დასასრულს მიუახლოვდა. როგორი იყო ეს დღე? გუშინდელზე ნაკლებად საშინელი... და მაინც საშინელი. თანაც უცნაურად უცებ დაღამდა. ადრე მსგავსი არ შემიმჩნევია... რა ხდება ჩემს თავს, დეპრესია ხომ არ მომეძალა? რა გასაკვირია!

ოჰ, ახლა მარიკა მომცა აქ, რას ვიქეიფებდით! მამაკაცების ლანძღვა-გინებით ვიჯერებდით გულს არყის ფონზე! ან კონიაკის... ან მარტინის...

მორჩა! სასმელი ამომაქვს... და წვენიც... კვერცხი და პური მაქვს, ყიყლიყოს გავაკეთებ, ჩემი ბავშვობის საუზმევახშამს.

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ კარზე კაკუნი გაისმა და არა ზარი... თან ისე, პაროლივით — ერთი გრძელი კაკუნი, ორი — მოკლე... ერთი გრძელი — ორი მოკლე... თითქოს ვიღაც დოლზე უკრავდა... ფეხაკრეფით მივიპარე კართან და სათვალთვალოში გავიჭყიტე.

თითქოს თვალში დანა მატაკესო, ისე გადავაქნიე თავი და უკან გადავხტი. ახლა გული უკრავდა იმავე რიტმით, ოღონდ გაცილებით ჩქარა... დააგ-დუგ-დუგ, დააგ-დუგ-დუგ...

სადარბაზოში ნიკა იდგა...

იმდენად დავიბენი, კინაღამ დამავიწყდა, ოთხმოცდაცხრამეტი მთელი ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი პროცენტი შიშველი რომ ვიყავი. კიდევ კარგი, მაშინვე მოვეგე გონს, თორემ ეგრევე ვაპირებდი კარის გაღებას. ავირიე... დავირიე... შეშლილივით დავრბოდი ერთხანს ოთახიდან ოთახში. თავადაც არ ვიცოდი, რა მინდოდა, რას ვეძებდი. მერე კარადას მივვარდი, ჩემი ზურმუხტისფერი აბრეშუმის მოკლე ხალათი გამოვიღე, სასწრაფოდ მოვიცვი და ქამარი მჭიდროდ შევიკარი. ჯანდაბას! ამას ღილები არა აქვს, შეიძლება, რაღაც მომენტში გადამეღეღოს კიდეც... რა ვქნა, რაც არის, არის!

ფეხშიშველი რომ ვიყავი, არც გამხსენებია, ჰოლში დინჯი ნაბიჯებით გავედი, ერთი ღრმად ჩავისუნთქე ჰაერი და არც მიკითხავს, რომელი ხარო, ისე გადავატრიალე გასაღები. არ ღირდა ამის კითხვა. სულელიც კი მიხვდებოდა, სათვალთვალოში რომ გავიხედავდი.

მას თავი არ აუწევია, ეგრევე ჩემს შიშველ ფეხებს დაასვა მზერა.

— ქალო, გნახე ფეხშიშველიიიი... გამოგოგდი ეზოშიაااა... — წაიმღერა და დაბინდული თვალები მომაპყრო, — შევრიგდეთ?

ნიკას ხელში კონიაკის ბოთლი ეჭირა. მზერა მისი სახიდან სასმელზე გადავიტანე... დამუნჯებულივით ვიდექი და შტერი ბავშვივით გადამქონდა მზერა კონიაკიდან ნიკაზე, ნიკადან — კონიაკზე.

— სომხურია, — დამნაშავის ღიმილით ამიხსნა და სასმლიანი ხელი ჰაერში ასწია, მეორე კი კარის ძგიდეს მიაყრდნო.

ისე ჰქონდა თითები შემოჭდობილი ბოთლის ყელზე, თითქოს წახრჩობას უპირებსო. რა უცნაური კაცია! გუშინ კინაღამ ჩამქოლა, დღეს კი ბავშვობის მეგობარივით მიღიმის. თითქოს არაფერი მომხდარიყოს! თითქოს გუშინდელი დღე გაფუჭებული კადრივით ამოჭრა თავისი ცხოვრებიდან!

„ეგრე არ არის, თაყაო...“ — გამახსენდა ქართული ანდაზა. მან კი ამოჭრა, მაგრამ მე — არა. არც მიცდია... და არც ახლა ვცდილობ... და არც მომავალში ვეცდები...

დარჩეს, როგორც საშინელი ეპიზოდი... სამახსოვროდ...

ხომ გეუბნებოდით, საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა-მეთქი. როცა შეატყო, ჩემი მოლბობა არ გამოუვიდა, შეტევაზე გადმოვიდა.

— როგორ თქვი დღეს? თორემ ასეთ უაზრობას როგორ გავივლებდი გულშიო? ჰა? როგორ იყო? — მწარედ ჩაიღიმა და თავი კვლავ ჩაღუნა.

არც ამჯერად გავეცი პასუხი. „სამაგიეროს გიხდი“, — სახეზე მეწერა.

მოულოდნელად უცნაურად გაიქნია თავი, ოდნავ გვერდზე გადახარა, თვალები მოჭუტა და კოპებშეკრულმა მკაცრად მკითხა.

— რატომ არ მიშვებ? ის სხვა ვინმე ხომ არ გყავს საძინებელში, ჩემ მაგივრად „მხედველობაში“ რომ გყავდა და „ზემოთ“ რომ ზის? — დამგესლა.

„მგონი, ეჭვიანობს“, — ტუჩებს

ძლივს მოვუყარე თავი, რომ არ გამ-ცინებოდა.

— არა, — როგორც იქნა, პასუხის ღირსი გავხადე.

— აბა, რა გჭირს, მებუტები?

— არა.

— მაშინ რატომ არ მეპატიჟები? სტუმარი რომ ღვთისაა, არ უსწავ-ლებიათ შენთვის?

— არა, — ჯიუტად ერთსა და იმავეს ვპასუხობდი.

— სხვა სიტყვა არ გემეტება ჩემთვის? — ალერსიანად ჩამხედა თვალებში.

— ა-რა! — ახლა უკვე დავმარცვ-ლე უარყოფითი ნაწილაკი.

— და არც აპირებ, გაიმეტო? — აგრძელებდა თავისას.

— არა!

— ძალიანაც კარგი. მაშინ ასე გეტყვი, — წინააღმდეგი ხომ არ იქნე-ბი, შემოვიდე?

— არა... — ეს კი უნებლიეთ წა-მომცდა.

— ჰოდა, შემომიშვი მაშინ, — თითქოს ტვირთისგან გათავისუფლდაო, კარის ძგიდეს მოაშორა ხელი და ნაბიჯი წინ გადმოდგა.

გვერდზე გავდექი. მართლა ხომ არ გავაგდებდი, ბოლოს და ბოლოს, ჩემი უფროსი იყო.

— ყველაფერს აგიხსნი... მართლა... დედას გეფიცები... — ლუღლუღით იკვ-ლევდა იგი გზას სასტუმრო ოთახ-ისკენ.

ჰაერში სასმლის სუნი დატრიალ-და... მივხვდი, არ იყო ფხიზელი. ფეხდაფეხ მივყევი, მერე კი ხელები მკერდზე გადავიჯვარედინე და კარის ძგიდეს ზურგით მივეყრდენი. ნიკა დივანზე ჩამოჯდა და კონიაკის ბოთლი ჩემს მწვანედ შეფერილ მარ-მარილოს დაბალ მაგიდაზე შემოდ-გა.

— ნასვამი ვარ, — თავის მარ-თლებას მოჰყვა, როცა ჩემი უკმაყ-ოფილო სახე დაინახა, — მაგრამ იმდენად არა, რომ ხვალ არაფერი მახსოვდეს.

ხმას არ ვიღებდი, მხოლოდ თვალებით ვბურღავდი. აქ მე ვიყავი უფროსი, სიტუაციის ბატონ-პატრო-ნი... აქ ყველაფერი ჩემზე იყო დამოკ-იდებული.

— ნუ მიყურებ ასე... გთხოვ... მოდი, დაჯექი... — ხელი დივანზე დაატყაპუ-ნა.

არ გავნძრეულვარ.

— ლამაზი ბინა გქონია... დიდი და კოპწია... საჭმელი გაქვს რამე?

— არა.

— ყველაფერზე არა, არა და არა... მე ხომ პატიების სათხოვნელად მოვე-დი? მტერსაც კი აპატიებენ შეცდო-მას... რა ვქნა, მითხარი... წავიდე? — ხელები მუხლებზე ჩამოიყრდნო და საყვარლად მომაჩერდა.

— არა! — ეს უკვე გააზრებულად ვთქვი, არ წამომცდენია.

— კიდევ კარგი, ერთმა „არამ“ მაინც მომიტანა სარგებელი, — ჩაიცინა და ხელოვნების დონეზე აყვანილი არტის-ტული ტაში შემოკრა, ნელი, ჰაერო-ვანი, არისტოკრატული მანერით...

პასუხი არ გამიცია, შევტრიალდი და სამზარეულოში გავედი. პური დავჭ-ერი, ყველი დავჭყლიტე და კვერცხ-თან ერთად ავთქვიფე, რომ შემეწვა. აბა, ყიყლიყოს ხომ არ „ვაკადრებდი“?

სასტუმრო ოთახიდან ჩქამი არ ის-მოდა. ხომ არ ჩაეძინა? ახლა რომ დაძინებული დამხვდეს, კიდევაც გავგიჟდები.

ათ წუთში ყველაფერი მზად მქონ-და. პირველ რიგში, თეფშები და ჭიქები გავიტანე. ნიკა იმავე პოზაში დამხვდა, ოღონდ ამჯერად თავი ხელებში ჩაერ-გო.

— ნუ წუხდები, არ მშია... — მითხრა, წელში გასწორდა და დივნის საზურგ-ეს მიეყრდნო, თან ფეხი ფეხზე გადა-იდო.

— არ ვწუხდები, — გულგრილად ვთქვი.

— აბა, რას აკეთებ?

— სუფრას ვშლი, რომ ყველამ ერ-თად ვივახშმოთ, — ხაზგასმით წარ-მოვთქვი.

— ყველამ ერთად? — თვალები გაუფართოვდა. — ვისთან ერთად, თუ საიდუმლო არ არის? — და გაოცე-ბულმა ირგვლივ მიმოიხედა.

— კონიაკთან და ნაღვლიან აზრებთ-ან ერთად, — „გავუმხილე“.

— მართლა? ვიღაც კიდევ სახლში

არ მიშვებდა... არადა, როგორი სტუმ-რები გვყოლია...

„გვყოლია“ ყურში მომხვდა. აქაც კი უფროსად გრძნობდა თავს.

ნიკას პირდაპირ დავჯექი, სავარ-ძელში. მან სასმელი ჩამოასხა და ჭიქა მომაწოდა.

— მაპატიე, ხელცარიელი რომ მოვე-დი... ამ ერთხელ მაპატიე... არ ვიცო-დი, როგორ მოვქცეულიყავი და...

— არა უშავს, — რბილად ვუთხ-არი.

— აჰა, ორი სიტყვა თქვი და მაინც „არა“ გაურიე... — გახუმრება სცადა, — დავლიოთ?

— მე ვერ დავლევ, — თავი გადა-ვაქნიე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ხვალ სამსახურში ვარ წასასვლელი.

— მერე რა? მეც უნდა წავიდე ხვალ სამსახურში.

— შენ... შენ უფროსი ხარ... საკუ-თარ თავს ხომ არ დასჯი, ბატო-ნო ნიკა, მე კი... ჩვეულებრივი მდივანი ვარ, მდივნის დაჩაგვრა ადვილია... — ძალიან, ძალიან სარკასტულად შევნიშნე.

— შენს თავს არავის დავა-ჩაგვრინებ... არასდროს... — მტკიცედ თქვა.

— არც მე! — ნიშნის მოგებით ვუპასუხე.

— ვიცი... ვიწვნიე უკვე... და ყვე-ლაფერი გავიგე... ბოდიშს გიხდი, ასე რომ მოგექეცი... შენ გაგიმარჯოს, ლოლა! — საზეიმოდ წარმოთქვა და ჭიქა მაღლა ასწია.

— მე ვერ დავლევ, ბატონო ნიკა, — სარკაზმს არ ვეშვებოდი.

ჭიქიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა, მერე ნელ-ნელა ძირს დაუშვა და ჭიქა მაგიდაზე დადგა, ოღონდ თითე-ბი არ მოუცილებია.

— ნიკა დამიძახე! — შეცვლილი ხმით მითხრა... უფრო მიბრძანა...

— აქ, თუ სამსახურში? — დამ-ცინავი იერით გავხედე.

— აქაც და სამსახურშიც, — უცებ დამნებდა, მაგრამ მე შერიგებას არ ვაპირებდი.

— რა გინდა ჩემგან, ნიკა? რისთვის მოხვედი? — ცივად ვკითხე.

— მსიამოვნებს შენი დანახვა, შენ-თან ლაპარაკი, შენი ხმის გაგონე-ბა... მინდა, ახლო მეგობრები ვიყ-ოთ.

— და ერთი სული გაქვს, როდის მომხვევ მკლავებს, ჩამხედავ თვალებ-ში, შენთან მინდაო, მეტყვი და ლო-გინში შემიტყუებ?

— ეგ მე არ მითქვამს, ეგ შენ თქვი.

— მაგრამ შენ ეს გაქვს დასახუ-ლი მიზნად.

— არა!

— არა? მაშინ რას ნიშნავს შენი

საქციელი სამსახურში? ისე მექცევი, თითქოს დამლაგებელი ვიყო... თუმცა ჩემთვის, შენგან განსხვავებით, დამლაგებელიც ჩვეულებრივი ადამიანია...

— არ მინდოდა... ხომ გთხოვე, მაპატიე-მეთქი. გაბრაზებული ვიყავი... თანაც, ვერიდებოდი, იქ ვინმეს რამე გადაკრულად არ ეთქვა... ენა ბოროტია, ისეთ რამეს იტყვის, რაც შენც მოგიკლავს გულს და მეც. ამიტომ ვფიქრობდი, თუ დისტანციას შევინარჩუნებდით, ორივესთვის აჯობებდა. სხვანაირად არ შემეძლო.

— სასაცილოა, თავს რომ იმართლებ.

— მართლა? არ მეგონა, ამაში სასაცილოც თუ იქნებოდა რამე.

— თურმე ყოფილა.

— სად ისწავლე ასეთი მწარე სიტყვები?

— კოლექციას ვაგროვებ, — კიდევ უფრო მწარედ ვუპასუხე.

— ჩვეულებრივ, ქალები ფეხსაცმელების ან სამკაულების შეგროვებას ამჯობინებენ...

— მე ჩვეულებრივ ქალებს არ ვგავარ.

— ჰო... ეგ ვერ გავითვალისწინე... დალიე, რა... სულ ცოტა მაინც დალიე.

— არა.

— ჩემი ხათრით... თუ საერთოდ არ გაქვს ჩემი ხათრი? — თვალებმოწკურულმა გამომცდელად შემომღიმა.

— როგორც უფროსის, რა თქმა უნდა, მაქვს... — არ დავიბენი.

— როგორც სიმპათიური მამაკაცის?

სიცილი წამსკდა.

— დუმილი ვიცი, რომ თანხმობის ნიშანია, მაგრამ აი, სიცილი... ნეტავ, სიცილი რისი ნიშანია? თან ასეთი გულიანი სიცილი?

— ეს იმის ნიშანია, რომ ძალიან გამამხიარულე.

— მაგით რა გინდა თქვა, რომ სიმპათიური არ ვარ?

— ა-რااა! — გახალისებულმა თავი მტკიცედ გადავაქნიე. — გომბეშო და სიმპათიური ოდესმე გინახავს?

— გნებდები... შენ მოიგე, მაგრამ მაინც უნდა დალიო.

— მაინც რატომ?

— მე, რომ წავაგე, ისიც მეყოფა... რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, ერთ სურვილს გომბეშოსაც კი შეუსრულებენ.

— კარგი, კარგი, დავლევ... შენი ბაყაყობის ხათრით. — საბოლოოდ მოვლბი და სასმელი სადღეგრძელოს უთქმელად გადავკარი...

უჰ, როგორ მესიამოვნა! აი, ეს მინდოდა სწორედ! ერთი სურვილი უკვე ამისრულა ჩემმა ბაყაყ-გომბეშომ.

— შენ რა მაგარი ხარ! შეგერგოს! მიაყოლე რამე.

— პირველი ჭიქის მერე არ ვაყოლებ, — გავიხუმრე.

— ეგ რუსული ზღაპრიდანაა, შენ რამე ქართული თქვი.

— სომხურ კონიაკს ლუკმის მიყოლებით გავაფუჭებ? — მოვიფიქრე „ქართული“.

— გიჟი ხარ... შენ სიტყვაში ვერავინ მოგიგებს, — გულიანად ახარხარდა, მერე უცებ ჩემკენ გადმოიხარა და ლოყაზე მსუბუქად მიჩქმიტა.

ოჰ, ეს ჟრუანტელი... რა სასიამოვნო რამეა... ერთს დაგიშხუილებს ძარღვებში და სისხლს სასიამოვნოდ გაგიხურებს... მით უფრო, კონიაკის თანხლებით... ორივე ერთად ნამდვილი დოპინგია!

ყინული გალღვა... ატმოსფერო დათბა... საუბარი აეწყო... კიდევ ორი ჭიქა დავლიეთ... იმაზე მეტად მომეკიდა, ვიდრე ველოდი... ჩვეულებრივ, სამი ჭიქა არ მათრობს ხოლმე, ახლა კი, ისე ვგრძნობდი თავს, მეგონა, გალეშილი მთვრალი ვიყავი.

ოთახში მოულოდნელმა მდუმარებამ დაისადგურა. მე მხოლოდ ჩემი გულის ბაგაბუგი მესმოდა. მას... მეგონა, მასაც ესმოდა... კარგა ხანს ვუყურებდით ერთმანეთს და ხმას არ ვიღებდით.

— როგორი დიდრონი თვალები გქონია... — აჩურჩულდა მერე. — ადრე ვერ ვამჩნევდი, თუ ასეთი ლამაზი იყო... ოქროსფერი?.. არა, დაძველებული, კეთილი კონიაკის ფერი... არა, რძიანი შოკოლადის ფერი... ხედავ, როგორ დამაბნიე? ფერებსაც ვეღარ ვარჩევ... — მისი გამომეტყველებიდან ვამჩნევდი, როგორ ეძებდა შედარებებს, რომ ჩემი თვალების ფერი განესაზღვრა, ბოლოს ამოთქვა, — თაფლის... მუქი, წაბლის თაფლის ფერი... რომელსაც მზის სხივი დაჰკრავს... მართლა ასე გიბზინავს... მოდი ჩემთან, — მისმა იდუმალებით წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა თითქოს ოთახი ექოთი გაავსო...

„მოდი ჩემთან... მოდი ჩემთან... მოდი ჩემთან...“ — თითქოს შორიდან ჩამესმოდა ყოველ წამს...

დაჰიპნოზებულივით წამოვდექი და მის გვერდით დავჯექი. ხელი მხარზე მომხვია, მჭიდროდ მიმიკრა... კარგა ხანს ვისხედით ასე, ერთმანეთზე ტკიპასავით მიკრულები. მერე ნიკა ჩემკენ გადმოიხარა, ნელა მომიახლოვა სახე. ნაზად, ძალიან ნაზად მაკოცა, ოდნავ შემეხო მხოლოდ... როგორი ცივი ჰქონდა ტუჩები! „ალბათ სიმთვრალის ბრალია“, — სასმელს დავაბრალე...

რამდენიმე წამი და... ჩვენ თავდავიწყებით ვკოცნიდით ერთმანეთს... თავბრუდახვეული, უსაზღვრო სიამოვნების მეტს ვერაფერს ვგრძნობდი, ამქვეყნად ყველაფერი გადამავიწყდა. არსებობდა მხოლოდ ძლიერი მკლავები, მოწყურებული ტუჩები და კიდევ... აუხსნელი მომთენთავი შეგრძნება, რომელიც თანდათან იზრდებოდა, ძლიერდებოდა და ენით აუწერელი ბედნიერებით მთანგავდა. სისხლი გახურებული დარბოდა ძარღვებში, ხან ზევიდან ქვევით დაეშვებოდა, ხანაც ქვემოდან ზევით ავარდებოდა აზვირთებულ ტალღასავით. უეცრად ვიგრძენი, როგორ აუცახცახდა ნიკას სხეული და ისეთი გზნებით მაკოცა, სიამოვნების ზენიტში მყოფმა მოურიდებლად დავიკვნესე. კოცნა უსასრულოდ გაგრძელდა... ასე მეგონა, უჯრედ-უჯრედ ვიშლებოდი, იმდენად ვიძირებოდი ვნების ბურანში. არ ვიცი, რა მოჰყვებოდა ყველაფერ ამას, მკერდზე რომ არ წაევლო ხელი... წამიერად გავმოფხიზლდი და უეცრად წარმოვიდგინე, რაც შეიძლებოდა, მომხდარიყო და იმდენად შემაძრწუნა ამის გაფიქრებამ, რაც ძალი და ღონე მქონდა, ხელი ვკარი... მოულოდნელობისგან შეკრთა, თითქოს ძილბურანიდან გამოერკვაო და ამღვრეული თვალებით შემომხედა... იგი მძიმედ სუნთქავდა...

— გვეყოფა... — ჩავიჩურჩულე ერთიანად ალეწილმა, გვერდზე გავიწიე და ხალათის გულისპირის გასწორებას შევუდექი, რომელიც გადამღეღოდა.

— ვწუხვარ, რომ დაძალება არ შემიძლია, — დანანებით თქვა, — ყველაზე მეტად შენთან ლოგინში დაწოლა მინდა, ლოლა.

— და გგონია, რომ ამაზე ასე ადვილად დაგთანხმდები? — მრისხანედ დავაკვესე თვალები.

— არა, არ მგონია... — თავი გადაქნია. — უბრალოდ, შენთან ძალიან გულახდილი ვარ და იმედს ვიტოვებ, რომ გარკვეულწილად, შენც იზიარებ ჩემს გრძნობებს. თუმცა, დარწმუნებული არაფერში ვარ. ქალები, რომლებთანაც ურთიერთობა მქონია, სხვანაირად ფიქრობდნენ და სხვანაირად იქცეოდნენ.

— მე არ ვეკუთვნი ასეთ კატეგორიას, — ამაყად წარმოვთქვი, გამაღიზიანა მისმა სიტყვებმა, — მე — ეს მე ვარ, ლოლა კი თავისი წესების მიხედვით თამაშობს!

— გასაგებია... — ნიკამ ღრმად ამოიხვნეშა და თმაზე გადაისვა ხელი; მისი ნაცრისფერი თვალები უცნაურად დაბინდულიყო, თუმცა მაინც უბრწყინავდა. — არ ვიცი, რაში მდგომარეობს შენი წესებით თამაში, მაგრამ პირადად მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული — მე შენ ნებისმიერი პირობით მჭირდები, რომელსაც აირჩევ და მოისურვებ. თუ მხოლოდ ის გინდა, ჩემს კომპანიაში მდივნად იმუშაო, ამასაც შევურიგდები, ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნით მაინც... მაგრამ არ გავტანჯავ სულს იმის მტკიცებით, რომ ამაზე მეტი არ მსურს. გაცნობის დღიდან უდიდეს სიამოვნებას მანიჭებ. მინდა, გამუდმებით ჩემ გვერდით იყო,

ხშირად გხედავდე... აბა? როგორ მოგწონს თამაშის ასეთი წესები? თანახმა ხარ, გახდე ჩემი მეგობარი და კომპანიონი?

გულდასმით ვუსმენდი ნიკა მეტრეველს, კომპანია „აიპისის“ პრეზიდენტს, თან ვცდილობდი, დამეფარა ზედმეტი დაინტერესება. საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი. ნუთუ ის, ჩემი კერპი მამაკაცი, აქ ზის, ჩემ გვერდით, ჩემს დივანზე და მეუბნება, რომ მას ვჭირდები?! საოცარია! ნამდვილი სასწაული! თუმცა... ხანდახან ხომ სასწაულიც ხდება...

— ვცდი... — უფრო ამოვიხრიალე, ვიდრე ვთქვი, — მაგრამ ახლა უნდა წახვიდე... ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ, როცა ფხიზელი ვიქნებით.

მზერა ჭერს მიაპყრო, თითქოს დაფიქრდა. მერე წამოდგა და კარისკენ დაიძრა.

— კარგი... ოღონდ ერთი პირობით, — შეჩერდა და მოტრიალდა, — ხვალ საღამოს ერთ ადგილას უნდა გამომყვე.

უარის თქმა დავაპირე, მაგრამ არ მაცალა.

— მხოლოდ მე და შენ ვიქნებით, სხვა არავინ... და პირობას გაძლევ, შენი სურვილის წინააღმდეგ არ წავალ, რადაც უნდა დამიჯდეს.

მაინც ვყოყმანობდი.

— თან ძალიან მაგრად უნდა გეცვას, იცოდე... ნამდვილი პრინცესა უნდა იყო.

— მაგრამ...

— კაბას მე შეგირჩევ. ამაზე მე ვიზრუნებ, — შეპასუხებას არ მაცდიდა.

— რატომ, მე მაქვს კარგი კაბები, — ახლა კი გავაპროტესტე.

— ეჭვიც არ მეპარება, რომ გექნება, მაგრამ მე მინდა, რომ შევარჩიო. მომცემ ამის უფლებას? ყიდვას არ ვგულისხმობ, აქ მოვალ და შენი გარდერობიდან შევარჩევ... ოკეი? ოდესმე აგიხსნი, რატომაც. გთხოვ, უარი არ მითხრა. თუ გეუხერხულება, მითხარი, არ მეწყინება, თუმცა კი ძალიან მინდა, ასე მოხდეს. თანახმა ხარ?

თავი დაურწმუნებლად დავუქნიე. თამაშის ეს წესი საერთოდ გაუგებარი იყო ჩემთვის, აქამდე უცნობი და იდუმალი...

— დიდი მადლობა... ახლა კი წავედი, — თქვა და ჰოლისკენ დაიძრა.

— ნიკა, მოიცა! — დავუძახე.

ერთ ადგილას გაჩერდა და მხოლოდ თავი მოაბრუნა.

— შენი ხალათი გავრეცხე, შეგიძლია, წაიღო... — ოდნავ შესამჩნევად გავუღიმე და სკამიდან დაკეცილი ხალათი ავიღე.

— დიდი მადლობა, მაგრამ შეწუხებად არ ღირდა... მე გაურეცხავს ვამჯობინებდი, რომელსაც შენი სურნელი ექნებოდა შემორჩენილი.

როგორ გავწითლდი... ღმერთს მადლობა შევწირე, რომ იმწუთას ზურგით ვიდექი, რადგან ხალათს პარკში ვდებდი და მას ჩემი აჭარხლებული სახის დანახვა არ შეეძლო.

— შენზე ვიყავი გაბრაზებული და საერთოდ, ყველა დანარჩენ მამაკაცზე ამქვეყნად, ამიტომ დიდხანს ვრეცხე, რომ ჩემი სურნელი მთლიანად გამექრო, — ჩემსავე ნათქვამზე გამეღიმა.

— ახლა? ცოტათი მაინც თუ შემირიგდი მე და ძლიერი სქესის სხვა დანარჩენ წარმომადგენლებს?

— ცოტა-ცოტა კი, — საჩვენებელი და ცერა თითით „ცოტა“ მოვხაზე და გულიანად გავიცინე.

— რა საყვარელი ხარ... ეჰ... — პარკი ჩამომართვა და ხელი დამიჭირა, — წავალ ახლა და რომელიმე ჩემს გამრთობს დავურეკავ, — ხუმრობით თქვა თუ სერიოზულად, ვერ მივხვდი.

მომენტალურად შემეცვალა გამომეტყველება... მას ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

— აბა, რა ვქნა? შენ ჩემთან სექსი არ გინდა, მე კი მამაკაცი ვარ, როგორ მოვიქცე? ეს ჩვეულებრივი მოთხოვნილებაა, გესმის? მაშინ დავწვეთ ერთად და პირობას გაძლევ, სხვა ქალებს ახლოს არასდროს გავეკარები, მხოლოდ შენთან ვივლი.

— ის სხვა ქალებიც ამ პირობით ჩაიწვინე ლოგინში? — თვალებით გავბურღე.

ირიბად ჩაიცინა.

— არა, მათთან გარიგება არ მიხდება, ისინი თავისით მიხტებიან საწოლში.

— იმიტომ, რომ სიმპათიურად მიგიჩნევენ? — არ ვზოგავდი.

— ზესიმპათიურად, — შემისწორა.

— ნუთუ?

— მათ იციან, რასაც აკეთებენ...

— მაგას დიდი ხანია, მივხვდი.

— მართლა? როგორ? — ინტერესი გამოეხატა სახეზე.

— გგონია, არ ვიცი, რომ ასაკოვანი ქალები მოგწონს? — მივახალე.

— რაო, რაო?! როგორი ქალებიო? — ხელი ყურთან მიიტანა, თითქოს ვერ გაიგონაო.

— ა-სა-კო-ვანი.

— ეგ ვინ გითხრა?

— არავინ... დავინახე.

პასუხი არ გაუცია, კვლავ ისე ჩაიცინა, როგორც წეღან, ირიბად. ტყუილად ველოდი, არაფრის თქმას არ აპირებდა.

— შენ რითი ხარ დაკავებული თავისუფალ დროს, ეგ მე არ მეხება, ნიკა, — შეცვლილი ხმით ვთქვი, რადგან მივხვდი, არაფერს მეტყოდა.

— არ გეხება.

— ასე რომ...

— კარგი, კარგი, წავედი, თორემ შტორმის მოახლოებას ვგრძნობ, — შემრიგებლური ტონით ჩაილაპარაკა და კარი გამოაღო, — შენ რა უნდა აკეთო ამაღამ, იმას უნდა დაურეკო, „ზემოთ“ რომ ზის? — ეშმაკურად გამიღიმა.

— ეგ შენ არ გეხება, — ნიშნის მოგებით ვუთხარი.

— არ მეხება...

— მაშინ რაშია საქმე, რატომ ინტერესდები? — მტკივნეულ ადგილას მოვარტყი.

მოულოდნელად ისეთი შეუვალი გაუხდა სახე, გულში ვინანე კიდეც, სიტუაცია რომ დავძაბე.

— არა, არაფერი, — შეფიქრიანებულმა მიპასუხა, — შენი პირადი ცხოვრება ჩემი საქმე არ არის, — ცივად დააყოლა და კარი ისე გაიხურა, უკან არ მოუხედავს...

ეს იმას ნიშნავდა, რომ ხვალინდელი შეხვედრა აღარ შედგებოდა...

ვიგრძენი, როგორ ამოვარდა გული ბუდიდან... არა მხოლოდ ამოვარდა, საერთოდ განერიდა ჩემს სხეულს და ნიკას მიჰყვა უკან... დაცარიელდა საგულე... იქ სიცივემ დაისადგურა... მასზე შეყვარებულმა გულმა აღარ მოისურვა ჩემთან დარჩენა...

ნირწამხდარი კედელს მივეყრდენი... ცოტა ხანში მანქანის დაქოქვის ხმა გავიგონე... ფანჯარას მივვარდი... შავი ფერის ჯიპი ნელი სვლით ტოვებდა ეზოს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

ყველას მოგესალმებით დასავლეთ საქართველოდან. თურმე რა კარგი ყოფილა შვებულება... წამოწექი და იძინე, რამდენიც გინდა... ახლა ნუ დამცინებთ იმის გამო, დასასვენებლად წასულა და სძინავსო. ქვეყნად ყველაზე მეტად, ძილის უკმარისობას განვიცდი... თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც თავგადასავლებისა და კურიოზების უქონლობას ვუჩივი. ჰოდა, დავბრუნდები და ძალიან მაგარ ამბებს მოგიყვებით... იცოდით, რომ არსებობს რესტორანი „გადაყუდებული“ ან „ქვესკნელი“? არა? ჰოდა, რომ ჩამოვალ, დაწვრილებით მოგიყვებით. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ, რომლებსაც ბათუმის ბულვარში არსებულ, „ვეტერანთა კლუბ-ში“ მოხუც, პენსიონერ ბათუმელებს შორის ჩამჯდარი ვუყრი თავს.



სხვისი საიდუმლო

ნაშვილები

„ეჰ, მაარ, ეს სხვისი საიდუმლოებია, ხანდახან ძილს რომ მიტეხს და ჩვეულებრივზე მეტად მაფიქრებს ხოლმე... რაღა ჩემთან მოუნდება ამ ხალხს გულახდილობა, ვერ ვხვდები... სად შემიძლია ამ 42-კილოგრამიან გოგოს ამდენი?! რამდენიმე თვის წინ ერთმა ძალიან ახლობელმა ადამიანმა თავისი არეული ორიენტაციის შესახებ მიამბო და დავდივარ მას შემდეგ დაშტერებულ-აფორიაქებული... აქეთ მეორე ახლობელმა, რომელსაც რამდენიმე კვირაში აქვს ქორწილი, გამიმხილა, მუღამი მაქვს, ქორწილიდან უნდა გავიპარო და არავისთან წამოგცდესო. გამინათდა თვალები, მართლა რა უცნაური და ორიგინალური იქნება-მეთქი, რომ ჯერ სადა ხარ? თურმე საქმროსთან კი არა, სულ სხვასთან ერთად აპირებდა მუღამის გამუღმვას. რომ ვკითხე, ასე რატომ იქცევი-მეთქი? — მშობლებზე უნდა ვიძიო შური, ძალით რომ მათხოვებენო... აქეთ კიდევ, ჩემი უახლოესი მეგობარი ქორწინდება, იკითხავთ ალბათ, რაა ამაში უცნაურიო? რა და ის, რომ გოგო კი არა, მშობლების ფულით სავსე ტომარა მოჰყავს ცოლად... რა თქმა უნდა, უსიყვარულოდ. ვკითხე, — არ გეშინია, უბედური რომ გახდე, ან ის გააუბედურო-მეთქი? შემომხედა, ირონიულად გაიღიმა და, — ჩემს ათასულიან, უქონელ ოჯახში რომ მოვიყვანო ვინმე, მაშინ გავუბედურდები მეც და ისიცო... ვინ იცის, იქნებ მართალიცაა... ამ ყველაფერთან ერთად კი ბავშვობის მეგობარი მოვიდა და ყოველგვარი შესავლის გარეშე მომახალა, — იცი, რომ ნაშვილები ვარო? მეც, იმ სიტუაციაში როგორც შემეძლო, მშვიდად და გაკვირვებულმა ვუპასუხე, რა სისულელეა-მეთქი და ყველანაირად ვეცადე, ეჭვები გამეფანტა მისთვის... მართალია, ისიც დავურთე, — ეგ მართალიც რომ იყოს, ამ ადამიანების მიმართ უფრო მეტი პატივისცემა გმართებს-მეთქი, — მაგრამ... საბოლოოდ, მაინც ვიცრუე... მთელი დღე ვსაუბრობდით... მეორე დღეს დედამისი მომადგა და მადლობა გადამიხადა, — სახლიდან წასვლას აპირებდა და გადაიფიქრაო... მადლობა რისთვის? დიდი ტყუილისთვის!.. იმისთვის, რისთვისაც ადამიანი უნდა ისჯებოდეს და არა — პირიქით... ამას ასე თამამად იმიტომ ვწერ, რომ 1 კვირის წინ უცხოეთში წავიდა სასწავლებლად და კარგა ხანს არ ჩამო-

ვა... როცა სიმართლეს გაიგებს, ალბათ ჩემზეც ძალიან გაბრაზდება და ვფიქრობ, სამართლიანადაც... მაგრამ მე არ ვიცი სხვა გზა, როგორ შეიძლებოდა მოვქცეულიყავი ამ შემთხვევაში... ეს ცხოვრება მართლაც სპექტაკლია, უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი... ჩვენ, ადამიანები კი ყველაზე ნიჭიერი მსახიობები და ამა თუ იმ როლის უზადოდ შემსრულებლები ვართ... ხანდახან ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ზედმეტად სავსე ვარ, გაბერილი ბუშტივით; ერთხელაც გავსკდები და მერე... არ ვიცი, რა იქნება მერე... ალბათ წვიმა მოვა და ამ ნაწერს წაშლის? ამჯერად სენტიმენტალიზმით სავსე SWEET-GIRL“.

სომხურ-ქართული

„მოგეხსენებათ, თურქეთის ავტობუსზე გამცილებლად ვმუშაობ. ჩემი კოლეგა-მეგობარი მაგარი პრიკოლი ვინმეა — თბილისელი სომეხია, რუსული სკოლა აქვს დამთავრებული და ქართულად გამართულად საუბარი უჭირს. ერთხელ მიკროფონი აიღო ავტობუსში და, — ძალიან კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო, — გამოაცხადა. 8 მარტს ულოცავდა მგზავრებს და, — ყველანაირად გილოცავთ 8 მარტსო! ხალხი დაიხოცა სიცილით. ვქეიფობდით და სადღეგრძელოს ამბობდა, — იმისთვის ვარსებობთ ამქვეყნად, ერთმანეთს მხარზე დავადგეთო. ერთმანეთს ვაწყდებოდით სიცილით სუფრის წევრები. თავადაც რომ მხიარულობს თავის ნათქვამებზე?! რა იყო, რა, ერთი სომეხი გყავართ და ამიტანეთ, არ შეიძლებაო? გენაცვალე ლაპარაკში. ნუ გამიბრაზდები, ამას თუ წაიკითხავ, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ. მანაველი“.

ინტერნეტსიყვარული

„ერთი ისეთი ამბის მომსწრე გავხდი, ამას რომ მარი ჯაფარიძე შესწრებოდა, კიდევ ერთი ლამაზი „მინირომანი“ დაიწერებოდა. იყო ერთი, მეტად თავდაჯერებული ბიჭი, სიმპათიური. გაიცნო ერთი ჩვეულებრივი გოგო ინტერნეტის საშუალებით. მალე დამეგობრდნენ. ბიჭმა გოგოს მოქარგული ენით დაუწყო საუბარი და გოგოს მეტი რა უნდა? თავი მოაწონა, გააგიჟა, თავგზა აუბნია. ერთმანეთს ვერ სცილდებოდნენ, მთელ დღეებს ინტერნეტში ატარებდნენ. დადგა შეხვედრის სანატრელი დღე. ბიჭმა იმ დღესვე დაიჭირა გოგოში რაღაც უარყოფითი და მას შემდეგ თავს არიდებდა. პირდაპირ გამოუცხადა, რომ მისი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირდა... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გოგოს სულს ამ ურთიერთობამ მძიმე და სამარადისო დაღი დაასვა... ამის შემდეგ ჩვეულებრივად განვლო ბიჭის ცხოვრების ერთმა წელმა ისე, რომ ერთხელაც არ გახსენებია, როგორ იყო მისი „მსხვერპლი“. მსხვერპლი მაშინ გახდა თვითონაც, როცა ერთ მშვენიერ დღეს იმავე საიტზე მესიჯი მიუვიდა: „სალამი, გავიცნოთ?“ ფოტოებით მოიხიბლა ბიჭი, ძალიან მოიხიბლა, სრულყოფილება პირველად ნახა. ქალს მასზე მოქარგული ენა აღმოაჩნდა, თავბრუდამხვევი საუბრისა და სილამაზის მქონე ქმნილება, უშუალობით, ნიჭიერებითა და თავშეკავებით ხიბლავდა ვაჟს. ისტორია გამეორდა, ოღონდ ამ შემთხვევაში, ვაჟი აღმოჩნდა ქალის მსხვერპლი და იმაზე მეტად დაქანცა და დაადუმა მისი სული, ვიდრე იმ მოტყუებულ გოგოს გაუკეთა... ვაჟი სინანულის დიდმა გრძნობამ შეიპყრო. იმედია, მიხვდება თავის დანაშაულს. ლაკვასტი“.

პატიოსანი და უმუშევარი

„მოგესალმებით, ჩემო ძვირფასო „გზის“ მკითხველებო და მარი. მეტად საამოდ და საამურად შეგძლებია ადამიანთა გაოცება, მარი. გალაკტიონს კი უთქვამს, რომ „ეს ყოფილა ნიჭი“. ახლა კი გავეცნოთ საშინაო დავალებას: რევოლუციამდელ (ვარდების), „ავადმოსაგონარ“ ხანაში ჩემი ახლო მეგობარი დათა მუშაობდა კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლ ოპერატიულ სამსახურში. ერთ-ერთი ოპერაციისას მისი დანაყოფის თანამშრომლებმა დაკავებული „კამაზის“ მარკის 10 ნავთობმზიდი (ავტოცისტერნა) კოლონად ჩაამწკრივეს და გაუყენეს ტერმინალის გზას. მანქანების საჭესთან სამართალდამრღვევი მძღოლები დასვეს და ოპერთანამშრომლები გვერდით მიუსხდნენ. ავტომანქანა, რომელსაც დათა აცილებდა, კოლონას ბევრად ჩამორჩა. დათას ხელის რაციამაც უკანასკნელად ამოიხავლა და უიმედოდ „გაიტრუნა“. ასევე გამოირთო დათას მობილურიც, რითაც მშვენივრად ისარგებლა მძღოლმა და ტრასიდან პირდაპირ მარტყოფის მიმართულებით გადაუხვია. კავშირის გარეშე დარჩენილი დათა გრძელტარიანი ფარნის იმედადღა იყო. გადაწყვეტილება მალევე მიიღო, მძიმე ფარანი ხელში მოხერხებულად მოიგდო, მძღოლს ელვისებურად მოუღერა და... თითქოს ძალა ერთიანად გამოაცალესო, ნელ-ნელა, უღონოდ დაუშვა. მძღოლი, რომელიც დარტყმის მოლოდინში მოკუნტული ჩაფრენოდა საჭეს, გაოცებული მიაჩერდა, თუმცა გონს მალევე მოვიდა, ავტომანქანა ააჩქარა და სოფლის ორღობეშიც ბუღი დააყენა. დათას მოულოდნელი გახევების მიზეზი კი ავტომანქანის კაბინის საძილე ნაწილიდან მომზირალი, ათიოდე წლის ბიჭუნას თვალები იყო. დათას მოეჩვენა, რომ ფართოდ გახელილმა, შიშით მომზირალმა თვალებმა იმწუთას გარკვევით შესთხოვეს: — არ დაარტყა... მამაა ჩემი... არ დაარტყა, რა, ძია... მამას არ დაარტყა, რა... მანქანა სოფლის ცენტრის სიახლოვეს გაჩერდა. ნელ-ნელა ხალხმაც იწყო თავმოყრა. ბჭობის საგანი ოპერთანამშრომლის ბედი იყო — ჩაექოლათ „საწყალი ხალხის გამწარებისთვის“ თუ მხოლოდ მაგრად გაელახათ და ტრასაზე დაეგდოთ. დათასკენ რამდენიმე, ჯირკივით „ჩადგმული“ მამაკაცი დაიძრა და მათი მიახლოება კარგს არაფერს უქადდა ახალგაზრდა ოპერს. მან უმწეოდ მიმოიხედა, ეძებდა რამეს, რაც თავდასაცავად გამოადგებოდა. ამ დროს თვალი ჰკიდა იმ ათიოდე წლის ბიჭუნას, რომელიც მანქანაში იყო. ბავშვი გემრიელად იღმურძღლებოდა ცხელი ლავაშით და აინუნშიაც არ აგდებდა განწირული კაცის მზერას.

— ახია ჩემზე, რომ დაგინდე და ამ ბავშვს უმადლოდე, — შეუყვირა მძღოლს და ეროსავით მძიმე მჯიღიც იგემა მზის წნულში. არ წაქცეულა. ოდნავ შეტორტმანდა, მაგრამ იგრძნო, ფეხები ეკვეთებოდა.

უეცრად ბოხი და მტკიცე ხმა გაისმა:

— რაებსაა, რომ მიედ-მოედება ეს ახვარი, ჩურჩხელ? — ჭროღა თვალებით მომზირალი, ჭარმაგი მამაკაცი მძღოლს მიმართავდა. — შენ გეკითხები, ბიჭო, ბავშვი მანქანაში გეჯდა, რომ მოდიოდი?

მძღოლი ღიმილით დაეთანხმა. არ მომეშვა და წავიყვანეო. წამიც არ იყო გასული, რომ მძღოლი მიწაზე ეგდო. ჭარმაგი მამაკაცი თავს დასდგომოდა და ზიზღით დასცქეროდა. შემდგომ, წაქცეულს წიხლიც უთავაზა და კბილებში გამოცრა:

— ამ პატიოსან კაცს (დათაზე მიუთითა) თავზე ხელი რომ აეღო და თქვენს ძიძგილაობაში ავარია რომ მომხდარიყო და ბალღს რომ რამე მოსვლოდა, ხომ არ გაცოცხლებდით არც შენა, არც შენს ცალტვინა მოდგმასა?!

მამაკაცი, რომელსაც წუას ეძახდნენ, დათას მიუახლოვდა, ხელი მაგრად ჩამოართვა და ხმადაბლა უთხრა:

— ვაჟკაცი ყოფილხარ, ახლაც გიყურებდი, ბედს იყავი შეგუებული და ღირსეულად იქცეოდი. ბარემ ასევე ღირსეულად დააგვირგვინე... ამ საწვავის დახსნა მაქსიმუმ, 18 ათასი ლარი დაგვიჯდებოდა. 8 ათას ლარს ახლავე გამოგიტან, ოღონდ ეს ბალღი და ის უტვინო და უნამუსო მამამისი მე მაპატიე...

დათამ ჩაიცინა. მოსაუბრეს თვალებში შეხედა და მოკლედ მოჭრა:

— მანქანა ტერმინალში უნდა შევიდეს.

იმასაც მეტად აღარ დაუძალებია. დათამ წუას ტელეფონი სთხოვა. მანაც უყოყმანოდ მიაწოდა. თავის მეგობარსა და ჯგუფის უფროსს დაურეკა. შვებით ამოვისუნთქეთო, ყველა ძალიან ვღელავდით, სად და როდის მოგაკითხოთო? დათამ „კითხვის თვალებით“ წუას შეხედა. წუამ დახშული ხმით უპასუხა: წყალს გადაივლებს, თავს მოიწესრიგებს მძღოლი და წახვალთო. დათამაც, გულუბრყვილოდ, სიტყვასიტყვით გაუმეორა მეგობარს ნათქვამი, მაგრამ იმწამსვე ენაზე იკბინა და წარმოიდგინა, რა ხორხოცი ატყდებოდა, როცა გაიგებდენ, გატაცებული დათა კონტრაბანდისტს ელოდება, სანამ ის წყალს გადაივლებსო, მაგრამ უკვე გვიან იყო. გაფრენილ სიტყვას ვეღარ დააბრუნებდა.

დათა მანქანაში ჩაჯდა, მძღოლმა დაქოქა. წუა მანქანის საფეხურზე შეხტა და დათას კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი:

— მართალი კაცი ხარ, მილიონი რომ მოეცათ, არც მე ავიღებდი. იქნება, ვეღარასოდეს გნახო, მაგრამ გამიხარდა, რომ გაგიცანი.

დათას დანა კბილს არ უხსნიდა, მაგრამ მაინც ნაძალადევად გაუღიმა

და თბილად დაემშვიდობა.

მანქანა ტერმინალში შეიყვანეს, სადაც დათას ახალი სიურპრიზი ელოდა. ერთ-ერთმა განყოფილების უფროსმა იქედნურად ჩაიცინა:

— დათა, როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზეა, კაი მაყუთიც გაჭრა და წყლით სავსე ცისტერნაც დიზელად შემოგვასაღა.

პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა დათამ. იფიქრა, ექსპერტიზის დასკვნის მერე შერცხვებაო თავისი სიტყვების, მაგრამ როგორც მავანი იტყვის — ნურას უკაცრავად, იმ „გაქსუებულმა ჩინოვნიკმა“ დასკვნას დახედა და ცინიკურად ჩაიცინა:

— მთლად გაუფრენია, რა ალალი და უსაყვედურო მაყუთი გამაზა ამ რეგვენმაო!

დათას კი შერცხვა თავისი ხალხის, როცა ის „გაქსუებული ჩინოვნიკი“ ფინანსურ პოლიციაში მაღალ თანამდებობაზე, ხოლო თვით დათა — ქუჩაში, უმუშევარი დატოვეს.

P.S. მარი, უკაცრავად ასეთი დიდი ტექსტისთვის, მაგრამ რომ არ „ამომეთქო“, მახრჩობდა წლების განმავლობაში. ჩინებულ დასვენებასა და დროსტარებას გისურვებ, დიდებულო და მშვენიერო ადამიანო. ულიბკა“.

საყვედური დედას

„მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვეთ. თავიდან რომ დავიწყო, ერთი წიგნი დაიწერება, მაგრამ შენ პატარა ამბებს მოგწერ ხოლმე ჩემი ცხოვრებიდან და იმედია, დამიბეჭდავ. 7 წლის ვიყავი, ჩემი მშობლები რომ გაშორდნენ. ახლა 21-ის ვარ. უკვე 14 წელია, ასე არიან და დღემდე ვერ დაწყნარდა ვერც ერთი. მით უმეტეს — დედაჩემი. ძალიან დატანჯა ბედმა და შვილებიც გაგვაწვალა თავისი საქციელით. ყველა მშობელს ვთხოვ, ასე არ მოექცნენ თავიანთ შვილებს. სულ სასამართლოში დადის, მამაჩემს უჩივის და სიმართლე რომ გითხრათ, სიცოცხლე გამიმწარა. უკვე დიდი ვარ, ხალხის მრცხვენია. მამაჩემს არ ვამართლებ, რა თქმა უნდა, ისაა ყველაფერში დამნაშავე, მაგრამ მიუხედავად ამისა, დედას ვერ გავაგებინე, რომ სასამართლოში სიარულს ჯობია, წყნარად მოაგვაროს მამასთან ურთიერთობა. მიკად“.

„ჩემი მეგობრის ნათესავის მშობლები დაშორებულები არიან. ერთმანეთი ისევ უყვართ, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო, ამ სიყვარულს გულში იკლავენ. თათია უკვე 14 წლისაა და მამა არც კი იცის, როგორია. მისი არც სურათი აქვს ნანახი. იცის მხოლოდ ის, რომ მას მამის თვალები აქვს. როდესაც ქუჩაში დადის, ყველა ადამიანს აკვირდება და ეძებს ცისფერთვალებას, სევდიანი გამოხედვით. პატარამ არც კი იცის, რომ მას მამა აჩრდილივით უკან დაჰყვება და ალბათ ვერც ვერასოდეს გაიგებს, თუკი დედამ ეს საიდუმლო არ გაუმხილა. P.S. ქალბატონო, თქვენს ამბავს მე ვუმხელ მთელ ქვეყანას საიდუმლოდ და იმედია, შეძლებთ, თქვენ იგივე, პატარა თათიასთან გააკეთოთ. სანსლი“.

იმედგაცრუებული

„მარი, მოგესალმები. გთხოვ, დამიბეჭდე. ცუდად ვარ, აღარ შემიძლია უკვე ამდენის ატანა, იქნებ ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდეს და იმან მაინც დამაყენოს სწორ გზაზე. ერთი წლის წინ ერთ ადამიანს ვხვდებოდი, მისი საყვარელი ვიყავი. ვიცოდი კიდეც, რომ ერთ დღეს მიმატოვებდა. თითქოს მიჩვეული ვიყავი კიდეც ამ აზრს, მაგრამ ერთ დღეს ცა თავზე ჩამომემხო, როცა მითხრა, ცოლი მომყავსო. ვერაფერი ვუთხარი, დედაჩემის საფლავთან დიდხანს ვტიროდი, შველას ვითხოვდი. მან ცოლი მოიყვანა, მეც გავთხოვდი, უბედნიერესი ოჯახი მაქვს, მაგრამ დღეს მივხვდი, რომ მენატრება. მასაც ვენატრები, მაგრამ ოჯახები გვაკავებს. მინდა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით ვუთხრა, რომ მე ის მენატრება, მაგრამ“...

კახელი ჰერაკლე

„რამაზი და მისი მეგობარი დავითი („ნახალოვკელები“ არიან) სტუმრად ეწვივნენ გურიას. როგორც მოგეხსენება, მასპინძლებმა თავი გამოიდეს, აქაოდა, სტუმრები უპატივცემულოდ არ დაგვრჩესო, რაც კი ღირსშესანიშნაობები არსებობდა, დაათვალიერებინეს. ჰოდა, ერთ დღეს ჩვენმა სტუმრებმა გადაწყვიტეს, ენახათ ყველასგან მივიწყებული ტბა (არსენას ტბა ჰქვია; რატომ დაარქვეს, ვერც მე გეტყვით). ჰოდა, ერთ საღამოს ტბაზე წასულებს გზა აერიათ. ტყე ჰქონდათ გასავლელი და გვარიანად შემოაღამდათ. შეშინებულები ვერც გზას იკვლევდნენ. თანაც, ტურებისაც ეშინოდათ, რადგან მრავლად არიან. ჩვენი რამაზი თანმხლებებს ანუგეშებს, თქვენ ნუ გეშინიათ, მე დაგიცავთო. ვაჟკაცობას იჩემებს. როგორც იქნა, წანწალის შემდეგ გზა იპოვეს, მაგრამ რამაზი ისევ კაიბიჭობს. სად იყო, სად — არა, ორღობიდან ქუჩის ძაღლი გამოვარდა. არ იკითხავთ, ამ დროს სიმამაცით განთქმულმა რამაზმა რა გააკეთა? ტურა ეგონა და ისე მოჰკურცხლა, არავინ გახსენებია ჩვენს გმირს. რომ არა თანმხლებების შეძახილი, არავინ იცის, გურულები როგორ შეეგუებოდნენ კახელი ჰერაკლეს დაკარგვას. ამ ამბავს როცა ვიხსენებ, ვხვდები ქართული ანდაზის ჭეშმარიტებას: „ხარს ხართან რომ დააბამ, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“. მას შემდეგ ერთი თვეა გასული. ჰერაკლე ბელგიაში წავიდა საცხოვრებლად, დავითი კიდევ, გურიაშია. ამ მესიჯით ყველა კუთხეს ვეფერები. ერთიან და ძლიერ საქართველოში გვეცხოვროს, ტკივილისა და გაჭირვების გარეშე. გკოცნით ყველას. მიუხედავად ყველაფრისა, შეიძლება, ეს გზავნილი არ დაიბეჭდოს. გურული სოფო“.

დაწუნებული, სოფლელი სიძე

„საქართველოში სულ რაღაც 1 წელია, დავბრუნდი. 5 წლის განმავლობაში მენატრებოდა სამშობლო, მეგობრები და ნათესავები. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გამომრჩენია — ჩემი საუკეთესო მეგობარი გათხოვდა რაიონში. ყოველთვის ვაპროტესტებდი მის გადაწყვეტილებას, მაგრამ ჩემს ყოველ საყვედურს ერთი სიტყვით იგერიებდა — „მიყვარს“. რომ დავბრუნდი, ერთი სული მქონდა, მეგობრები მენახა და ყველანი ჩემთან დავიბარე. ჩემს დაქალს მეუღლეც წამოჰყოლია. ეიფორიაში, მისი იქ ყოფნა არც შემიმჩნევია და დაქალს დანახვისთანავე მივაყარე საყვედურები — რა იყო, სოფლელს რომ არ გაჰყოლოდი, უკეთესი ვერავინ ნახე?! რამდენიმე მწარე პწკენამ და მუჯლუგუნმა მომიყვანა გონს. დაქალის გაფართოებულ თვალებს რომ შევხედე, მხოლოდ მერე მივხვდი, ვინ იყო მის გვერდით მდგომი ბიჭი. ერთი წელი გავიდა, ჩვენ შორის არაფერი შეცვლილა. მისი კავალერი დღემდე არ მომწონს... რა უნდა თქვა ადამიანზე, რომელიც თავის მეუღლეს XXI საუკუნეში სწავლას დაუშლის? ჭკუით მოვიქცეთ, გოგონებო, ჭკუით! გკოცნით, ბუსკა“.

ჯიუტი

„მკითხველებო, მე ქეთი მქვია. პირველად გწერთ და იმედი მაქვს, რომ ჩემს წერილს დაბეჭდავთ. ზუსტად აღარ მახსოვს, მე-5 თუ მე-6 კლასში ვიყავი. დედაჩემი და მამაჩემი ერთმანეთთან გაშორებულები იყვნენ. მამაჩემი გაღმა სოფელში იყო, დედაჩემი — თავისი დედმამის სახლში, გამოღმა. მე დედაჩემი მზრდიდა, მაგრამ მამაჩემთანაც ხშირად დავდიოდი. ძალიან უჭმელი ბავშვი ვიყავი, სულ მეჩხუბებოდნენ ჭამაზე. ერთხელაც, ზაფხულში, როცა დედულეთში ვიყავი, დამიწყეს ჩხუბი. არ ვჭამე საჭმელი. დედაჩემი გავაბრაზე, იმან კიდევ დაიჩემა, აგერ ნახე, მამაშენთან თუ არ გაგიშვა და ჩემთან აღარ მოგიშვებო. ამაზე გული მომივიდა და გადავწყვიტე, ამ სიტყვებისთვის დედაზე შური მეძია (სხვათა შორის, დედაჩემი ამას, როცა გავაბრაზებდი, ყოველთვის მეუბნებოდა). დავიმალე დიდი მსხლის ხეზე. ცოტა ხანი რომ გავიდა, დამიწყეს ძებნა. ხმაც არ ამოვიღე, 2-3 საათის შემდეგ უკვე ამ ყველაფერმა სერიოზული სახე მიიღო, მეძებდნენ და დედაჩემი ლამის გიჟს ჰგავდა. მე უკვე ძირს ჩამოსვლას ველარ ვბედავდი. შევშინდი, მესმოდა მათი საუბარი, მაგრამ ვერ მამჩნევდნენ. გადაწყვიტეს, მამაჩემთან გადასულიყვნენ სოფელში, იქნებ იქ წავიდაო. წავიდნენ ბებია, ბიძაჩემი და დედაჩემი. ხეზე გავატარე თითქმის მთელი დღე. მისულან მამაჩემთან, მამაჩემიც გადარეულა, აქ არ არის ბავშვიო. დაბრუნდნენ. ეზოში რომ შემოვიდნენ, დედაჩემი ტიროდა და ამბობდა, ვიცი, ბავშვი იქაა, მაგრამ არ გამომიჩინეს, ხმა მესმოდა მისიო. ისე განვიცადე ეს ყველაფერი, კინაღამ ხიდან ჩამოვვარდი. მეც ავტირდი. დედაჩემი მოსთქვამდა, ოღონდ გამოჩნდეს და აღარასოდეს გავუწყრებიო. მთელ სოფელში მეძებდნენ. შემდეგ თქვეს, შეიძლება, მდინარეზე წავიდაო. რომ აპირებდნენ მდინარეზე წასვლას, მაშინ ვიკადრე და ხიდან ჩამოვედი. დედას დავუძახე, აგერ ვარ-მეთქი და ტირილი ამივარდა. დედაჩემი ჩემს დანახვაზე ჩაიკე-

ცა. არავის საყვედური არ უთქვამს, იმდენად შეშინებულები იყვნენ ჩემი გაუჩინარებით. ახლა ამას ძალიან ვნანობ და რომ გწერთ, ცრემლები მცვივა... ახლა უკვე მე თვითონ დედა ვარ და ასე რომ ჩემმა შვილმა გამიკეთოს, არ ვიცი, რა მომივა და არ ვიცი, რას ვუზამ. ამ წერილით მინდა, ჩემებს პატიება ვთხოვო, რომ ამდენი ვანერვიულე ყველა. მაპატიეთ, მიყვარხართ სიგიჟემდე“.

ცნობილი მესაიდუმლე

„ჩემი მეზობლისთვის ზედგამოჭრილი თემაა. ისეთი „მესაიდუმლეა“, ნუუ... თან — ცნობისმოყვარეც. ჩაიჭერს ვინმეს და: მითხარი, კაცო, რას მიმალავ, ხომ იცი, ენის მიტანა მეჯავრება და ა.შ. „მსხვერპლიც“ საიდუმლოს ეტყვის და იმავე საღამოს ბიკენტის წამოსცდება მეორე მეზობელთან, თან აფრთხილებს, არსად წამოგცდესო. დილით ბიკენტი გამყიდველს მოუყვება, შემდეგ — მეეზოვეს და კვლავ: „ჩვენში უნდა დარჩეს, გთხოვ“. გივიმაც ვეღარ მოითმინა, — შე კაი კაცო, რაღა უნდა დაიმალოს, ეს ამბავი გუშინ მომიყვა კობამ, კობას გოგიმ უთხრა და გოგის — შენ. გამწარდა ბიკენტი, მაგ ჭორიკანას 1 საათი ვეჩიჩინე, არ წამოგცდეს-მეთქი და დაღონებული შემოგვჩივლებს: ვეღარ ენდობი კაცს; ამას წინათ კობას რაღაც გავანდე, დავანამუსე, არ წამოგცდეს-მეთქი და ქვეყანას მოსდოო. ასეთი მესაიდუმლეა ბიკენტი. საცოლესაც ეტყვის: ქეთო, მიყვარხარ, ჩვენ ორში დარჩესო. მერე მეგობარს მოუყვება: ქეთოს ვაკოცე; ცეცხლია, ცეცხლი, ოღონდ მთხოვა, ჩვენ ორში დარჩესო. დარჩეს, ძმაო, თქვენ ორშიო, გაიცინებს მეგობარიც. აი, ჩემო მგზავნელებო, ასეთი მოლაყბეა ბიკენტი, ოღონდ არსად წამოგცდეთ, რა, ჩვენში დარჩეს... ან-ნუკი“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ეეჰ, ახლახან ისეთი რამ გავიგე, გადავირიე ქალი. ჩემი მეზობელი, რომელსაც დიდ პატივს ვცემდი, რა ყოფილა! ტელე მეთხოვა, კარტას ჩავდებო და მესიჯები დარჩა თურმე ჩემს ტელეში და მეთქი, რა მესიჯებია? ყურო, ნუ გაიგონებ იმ სიტყვებს. თურმე საყვარლების რიგი უდგას. არადა, რა ოჯახი აქვს!.. გაკოცეთ ყველას. ფერია77“.

„ერთი უბრალო, პროვინციელი ქერა ბიჭი შემიყვარდა. ვიცოდი, როგორი ცხოვრების წესითაც ცხოვრობდა, მაგრამ მაინც მიყვარდა... არასდროს მინანია მისი გაცნობა და არც ჩვენი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა. არც ის იყო რომეო და არც მე — ჯულიეტა, მაგრამ მისით უსაზღვროდ მოვიხიბლე. ხატების წინ დაჩოქილი, ღმერთს ვევედრებოდი, ოღონდ ვყვარებოდი და ნახევარ სიცოცხლეს დავთმობდი, ყველაფერს გავუგებდი. ცხარე ცრემლით ვტიროდი, მაგრამ... მაგრამ მისმა სიმტკიცემ, გაუტანლობამ, გულგრილობამ დაამსხვრია ჩემში ოცნებები, თითქოს წიხლით გადამიარა და წავიდა. მე დღემდე მახსოვს ის. ვერც შევიძულე და ვერც დავივიწყე. ან კი დამავიწყდება ოდესმე?! პეპელა“.

„ერთი ახლობელი ბავშვია, ძალიან ენამოსწრებული, ჭკვიანი და საყვარელი. 4 წლის იყო სოფო, დეიდაშვილებს კარტს რომ ეთამაშებოდა. ჰოდა, სცადა დეიდაშვილების მოტყუება (ჰმ, სოფომ 4 წლის ასაკში იცოდა, რომ თუ არ გიმართლებს კარტში, ტყუილი — მოგების ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდია. ეს მე ჯერაც ვერ ავითვისე). ჰოდა, მოტყუების მცდელობა ჩაფლავდა, ბავშვები მიუხვდნენ და, — აბა, დაიფიცე, რომ არ იტყუებიო. სოფომაც დაუფიქრებლად, — ბიძიას გეფიცები, თუ ვიტყუებოდეო. იქვე მყოფი ბიძამისი კინაღამ გადაირია სიხარულით, — ბავშვს ისე ვუყვარვარ, ჩემს სახელს იფიცებაო, — მაგრამ როცა ჩაეძია სოფოს, — რატომ დამიფიცეო? — აბა ტყუილზე დედიკოს და მამიკოს ხომ არ დავიფიცებდი, მომიკვდებიანო... ასე დატოვა სოფომ ბიძამისი „გაღიმებული“. P.S. ბევრის ათვისება შეიძლება სოფოსნაირი, ჭკვიანი ბავშვებისგან. ჩუი.

„ეს სიყვარული არ იყო... ეს იყო სიგიჟე, სიგიჟე და სისულელე. ყველაფერი გაუგებრად დაიწყო და ალბათ ლოგიკურიცაა, რომ გაუგებრადვე უნდა დასრულებულიყო. გოგო სევდიანი იყო და ჭეშმარიტი სიყვარული სურდა; ბიჭი — პატარა და ალბათ, მხოლოდ ფიზიკური ურთიერთობა უნდოდა გოგოსგან, მაგრამ ვერ აღწევდა მიზანს. გოგო ზამთარს ვერ იტანდა, თუმცა ის ზამთარი არასოდეს წაიშლება მისი მეხსიერებიდან. იყო ბევრი ცრემლი, აუტანელი ტკივილი და ცოტა სიხარული, ცაში აფრენაც და მიწაზე დანარცხებაც, სიჯიუტე და დაშორებები, მონატრება და შერიგებები, ბოლოს კი გაუსაძლისი გახდა ყველაფერი. გოგო უკვე აღარ ეძებდა სიყვარულს მასში, უკვე ვეღარც კი იტანდა ბიჭს, მაგრამ საბოლოო წერტილის დასმას მაინც ვერ ახერხებდა. რამდენიმე თვე გაგრძელდა ეს ამბავი. გოგო ხვდებოდა, რომ თუ დროზე არ უშველიდა თავს, დაიღუპებოდა. ვერც გაზაფხულმა უშველა... აღარც ჩიტების ჭიკჭიკი ესმოდა და ვეღარც ულამაზესი ყვავილებით გადაპენტილ ატმის ხეს ამჩნევდა. პირველად და უკანასკნელად მოატყუა — უთხრა, რომ სხვასაც ხვდებოდა, მასთან კი მხოლოდ ერთობოდა. იცოდა, ღალატს არ აპატიებდა. არც აპატია“...

„როცა მოღალატე ქმარს ღალატობ მასზე უკეთეს საყვარელთან და მოღალატე საყვარელს — მასზე უკეთეს ახალ საყვარელთან, შეუდარებელი სიამოვნებაა და საუკეთესო საზღაურია ღალატისთვის. რა ვქნა აბა, დავჯდე და ვიტირო? ერთი კი მიყვარს არანორმალურად, მასაც ვუყვარვარ, მაგრამ კაცია და მაინც იწევს სხვისკენ. მერე მაინც ჩემთანაა... მეც ასე ვარ, ვიწევ სხვისკენ, მაგრამ მაინც მასთან ვარ. ღალატის საზღაურად ვხვდებით, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ შექმნილები. რა თქმა უნდა, არ იცის, მეც რომ ვღალატობ ხოლმე. ეს საიდუმლო კი ქვეყნად არავინ იცის, თქვენ გარდა. აფროდიტე“.

„ხშირად, ღალატზე რომ ჰყვებოდნენ, სხვებზე გული შემტკიოდა, მაგრამ მეგონა, მე ასეთი რამ არასდროს დამემართებოდა, მაგრამ თურმე „არასოდეს თქვა „არასოდეს“. ჩემი „ვითომ რომანი“ ისევე უეცრად დამთავრდა, როგორც დაიწყო. ისე გამცვალა სხვაში, თვალიც არ დაუხამხამებია — ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ჯერ ყურადღება მოადუნა, მერე სრული იგნორი და შემდეგ — სხვა გოგო მის გვერდით. ოღონდ არ გეგონოთ, ამას ხანგრძლივი დრო დასჭირდა — ძალიან მოკლე ხანში მოახერხა ვაჟკაცმა ყველაფერი. არც დავბოღმილვარ, არც დეპრესია დამწყებია, მით უმეტეს, შურისძიებაზეც არ მიფიქრია. რატომ? მივიჩნიე, რომ მოღალატე თავისთავად, უღირსი ადამიანია და მე ასეთი ამარიდა უფალმა. მინდა მივმართო მათ, ვინც ღალატის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ: გული ნუ დაგწყდებათ ასეთ ადამიანებზე, მათ ისიც ეყოფათ, რაც „ზევით“ მოეკითხებათ. გააგრძელეთ ცხოვრება, იყავით ოპტიმისტები, თქვენ ხომ ასეთი იღბლიანები ხართ, რადგან გვერდს აღარ „გიმშვენებენ“ მოღალატეები! კეთილი ფერია“.

„ერთ ბიჭს ვუყვარდი მაგრად, მე კი მხოლოდ მეგობრულად ვუყურებდი. ეს ბიჭი მეუბნებოდა, თბილისში ორი სახლი მაქვს, ასე ვცხოვრობ და ისეო. მე უმაღლესში ჩავაბარე და ფასიანზე მოვხვდი. ბევრი ვიფიქრე, ჩემი მშობლები როგორ გავაწვალო, ამდენი მამზადეს და ახლა ფასიანზე მასწავლონ-მეთქი?.. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ავდექი და იმ ბიჭს გავყევი. მწარედ მოვტყუვდი... უარეს გაჭირვებულ ოჯახში ჩავვარდი. სტუდენტური სესხი გამიკეთეს. ისიც ვერ გადამიხადეს, ბანკშიც „გამაშავეს“. 2 თვეში დედამთილ-მამამთილმა სახლიდან გამომაბუნძულა, ისე ვიწროდ ვიყავით და ახლა შვილით და (ვითომ მდიდარი) ქმრით ქირით ვცხოვრობ. რა მაგარია, არა? ვგიჟდები ჩემს საქციელზე. გკოცნით. დიკა-დუკა“.

„ერთი ახლობელი ბიჭია და შვილიშვილიან ქალთან ცხოვრობს; ეს ქალი კიდევ, ახალგაზრდა ბიჭით არ კმაყოფილდება და მაინც ღალატობს. ვუთმინე ამ ქალს, ვმალე ერთი ამბავი, მეორეც და რამდენიმე დღის წინ ამ ბიჭთან მივედი და ყველაფერი მოვახსენე: ცოდო ხარ, ადე, ძმაო, ცოლი მოიყვანე, ნახე, ყველა წყვილადა ვართ-მეთქი. ამ დებილმა კი სამეგობროს გამოგვიცხადა, — თქვენი არ მჯერა და თქვენს ჯიბრზე ხელს მოვაწერ ამ ქალთანო. ავთანდილ, ჩვენ რას გვეჯიბრები, შენ გაიღვიძებ ყოველ დილით მაგ ბებოსთან. აბა, შენ იცი... ენამწარე წერო“.

■

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ინტერნეტსყვარული“.
ამბები შეგიძლიათ
გამოგზავნოთ მესიჯებით
ტელეფონის ნომერზე:
8.77.45.68.61 ან
მომწეროთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

ღირს თუ არა ცოლგაშორებულ კაცზე ფიქრი

„მამაკაცის ცხოვრებაში შვილი დაბრკოლება არ უნდა იყოს“

გზის“ №36-ში დაიბეჭდა 18 წლის ბუზღუნას მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ შეუყვარდა 29 წლის ცოლს გაშორებული მამაკაცი, რომელსაც შვილიც ჰყავს. „არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ცოლობას მთხოვს, მაგრამ ვიცი, ჩემი მშობლებისგან წინააღმდეგობას წავაწყდები. დედ-მამა ძალიან მიყვარს და მათი დაკარგვა არ მინდა. თუმცა, არც ის მინდა, ბედნიერებაზე ვთქვა უარი“.

ლიკა ქაჯაია



მარია:

„ახლა ალბათ, წარმოუდგენლად გეჩვენება, რომ ოდესმე მის დავიწყებას შეძლებ, მაგრამ მასზე ფიქრი მართლა არ ღირს. ჯერ თავად „29 წლის მამაკაცი“ უნდა ხვდებოდეს, რომ 18 წლის გოგონას მასთან და მის შვილთან ცხოვრება გაუჭირდება. ჩემი ქმარი ჩემზე 6 წლით უფროსია და მაინც განსხვავებული გემოვნება, აზრები გვაქვს. იცოდე, თავს ნუ გაიუბედურებ“.

მარ 5:

„ჩემო კარგო, მას ცოლიც ჰყავდა და შვილიც ეზრდება. კარგად დაფიქრდი, შეცდომა არ დაუშვა. იცოდე, დედ-მამას შენთვის კარგი უნდა. სიყვარული კიდევ გეწვევა, დამიჯერე“.

თამრიკო:

„ჩემო ბუზღუნ, შენზე ბევრად უფროსი ქალბატონი გეხმიანები. იმედია, იცი ნამდვილი მიზეზი იმისა, თუ რატომ დაშორდა შენი რჩეული მეუღლეს. თუ არ იცი, მაშინ აუცილებლად უნდა გაიგო და ამის შემდეგ შეგიძლია, პირველი ნაბიჯი გადადგა. შენი კეთილის მსურველი!“

რუსპირი:

„გამარჯობა. იცი, რა მაინტერესებს? 18 წლის გოგოს მეტი სადარდებელი არა გაქვს? რა დროს შენი სიყვარული და მით უმეტეს, ასეთი სერიოზული ურთიერთობებია (ახლა არ თქვათ, სიყვარულმა ასაკი არ იცისო)? ჩემი აზრით, შენმა შეყვარებულმა ახალგაზრდა, სავარაუდოდ ლამაზი გოგო გამოიჭირა და მის გამოყენებას ცდილობს. დაფიქრდი, მან ცოლ-შვილი მიატოვა და შენ რას გიზამს? დარწმუნებული ხარ, რომ ისეთი მამაკაცის გამო, რომელსაც კარგად არც კი იცნობ, მსხვერპლის გაღება ღირს? გირჩევ, მშობლებს ახლავე დაელაპარაკო, მაგრამ მათგან თავზე ხელის გადასმას ნუ ელი. P.S. ლიკ, ხომ დამიბეჭდავ? მომენატრეთ“.

ბამბუჩა:

„მსგავსი შემთხვევა ძალზე ხშირია და ეს პრობლემა მოგვარებადია. მშობლები ცოლგანაშვებ კაცთან ურთიერთობას რომ გიკრძალავენ, ეს ბუნებრივია — მათ ხომ შვილისთვის საუკეთესო უნდათ! თუმცა, ჩემი აზრით, მამაკაცის ცხოვრებაში შვილი დაბრკოლება ნამდვილად არ უნდა იყოს. ჩემს დაქალს ჰყავს საქმრო, რომელიც ცოლგანაშვები და შვილიანია. ისინი არაჩვეულებრივად უგებენ ერთმანეთს, ერთურთზე უზომოდ შეყვარებულები არიან. ჩემს დაქალს იმ ბიჭის შვილთანაც თბილი დამოკიდებულება აქვს. ასე რომ, საყვარელი ადამიანი უნდა მიიღო მთელი თავისი ღირსებით, ნაკლითა და შეცდომებით (თუ შეიძლება შვილს „შეცდომა“ ვუწოდოთ), მშობლები კი დროთა განმავლობაში შეგირიგდებიან“.

გრუზინკა:

„უმჯობესია, შენი შეყვარებული ოჯახს გააცნო. მერე რა, თუ ცოლს გაცილებულია? იქნებ ბიჭი მოეწონოთ და თქვენს ურთიერთობაში ცუდად არ ჩაერიონ. მთავარია, ღირსეული ადამიანი იყოს. წინასწარ ნურაფრის გეშინია. ხომ გაგიგონია, რომ ამბობენ, — როგორც ქუხს, ისე არ წვიმს ხოლმეო“.

რუსა:

„ძძიმე სიტუაციაა. ვერ გეტყვი, საყვარელი ადამიანი ასე ადვილად დათმე-მეთქი, მაგრამ მისი ყოფილი ცოლი ყველაფერს ართულებს. თან, იმ კაცს შვილიც ჰყავს, რომელიც წარსულს აუცილებლად გაახსენებს. თუმცა, მას აქვს უფლება, მეორედ სცადოს ბედი. შეიძლება ძალიან კარგი ოჯახი შექმნათ, მაგრამ დაფიქრდი, ხარ მზად იმ წინააღმდეგობებისა და სირთულეების გადასალახად, რასაც მასთან ყოფნის შემთხვევაში წააწყდები? გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღო. ღმერთი გფარავდეს“.

გოგონა:

„გენაცვალე, 3 წლის წინ მეც ასეთივე პრობლემა მქონდა და „ლოვეს“ ოჯახი ვამჯობინე, მშობლებს ამაგი დავუფასე. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ახლა ამას არ ვნანობ. იქნებ შენც კარგად დაფიქრდე და მიხვდები, რომ ოჯახზე ძვირფასი ამქვეყნად არავინაა. მთელი ცხოვრება წინ გაქვს, ჰოდა, აუცილებლად შეხვდები ადამიანს, რომელიც გაგაბედნიერებს და ამხელა ტვირთს არ აგკიდებს. მერწმუნე, მშობლებს შენი ბედნიერება სურთ. სიხარულო, ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ!“

უცნობი:

„დაფიქრდი, იცნობ ამ კაცს? იქნებ, ის არც ისეთი კარგია, როგორიც გგონია? თანაც, პატარა გოგო ხარ. მართალია, ახლა ასაკს არაფრად აგდებ, მაგრამ როცა ასაკი მოგემატება, მერე მიხვდები, რომ შეცდომა დაუშვი. მერწმუნე, 30 წლის ასაკში 41 წლის მამაკაცი ვეღარ დაგაკმაყოფილებს და თვალი შენხელა ბიჭებისკენ გაგექცევა. თანაც, მისი ცოლ-შვილი ცალკე შარია... დაფიქრდი, იქნებ ეს უბრალო გატაცებაა და არა — დიდი სიყვარული? დამიჯერე, თუ ცოლად გაჰყვები, ამას მერე აუცილებლად ინანებ. სიყვარული ის კი არაა, როცა მასთან ცხოვრება გინდა, არამედ ის, როცა მის გარეშე ვერ ცხოვრობ“.

გადარეული:

„შენ კიდევ, ცოლშვილიანი კაცი სად ნახე? ეს ნაბიჯი არ გადადგა, თორემ მერე ინანებ. ჯერ 18 წლის ხარ, გაიხედ-გამოიხედე“.

დამხმარე რაზმი:

„ჩემო დაიკო, მინდა გთხოვო, რომ ყველაფერი კარგად გააანალიზო. ამბობ, — 29 წლისაო, თანაც, ცოლგანაშვებია და შვილიც ჰყავს. ჰოდა, რა გარანტია გაქვს, რომ მომავალში ბედნიერი იქნები, რომ შენც არ მიგატოვებს? 18 წლის ხარ, ცხოვრება წინ გაქვს და მას ვიღაცის გამო ნუ დაინგრევ. იცოდე, მშობლებს ვერავინ შეგიცვლის. „დალშე“ შენ უნდა გადაწყვიტო — ეს მხოლოდ ჩემი რჩევაა“.

ბუბუ:

„ჩემო კარგო, წინასწარ რატომ ნერვიულობ? მშობლებს დაელაპარაკე, იქნებ მხარში ამოგიდგნენ. მათ აუხსენი, რომ ძალიან გიყვარს და მის გარეშე არ შეგიძლია. წარმატებები!“

სოფო 13:

„არც ერთ მშობელს არ უნდა, მისი შვილი იტანჯებოდეს. შენს ადგილას შესაფერის დროს გამოვნახავდი და მშობლებს ყველაფერს მოვუყვებოდი; ვეტყოდი, როგორ მიყვარს და რომ არა

აქვს მნიშვნელობა, მას ცოლი ჰყავდა თუ არა. დედ-მამას უთხარი: მთავარია, ახლა მე ვუყვარვარ და მასთან ყოფნა მინდა, მისი შვილიც ძალიან მიყვარს-თქო“.

სოფო 16:

„ჩემო კარგო, ასაკს და იმას, ნაცოლები რომ არის, მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ კარგი იქნებოდა, შვილი არ ჰყავდეს. იქნებ დაფიქრდე და გადაწყვიტო, ვინ უფრო გიყვარს — 29 წლის მამაკაცი თუ მშობლები? გავა დრო და იმ კაცის ნაცვლად სხვას, უფრო ღირსეულს იპოვი. მერწმუნე, მისი შვილი დიდ პრობლემას შეგიქმნით. და კიდევ, გაარკვიე, რატომ დაშორდა ცოლი? იქნებ ის არ არის ისეთი პიროვნება, რომელსაც ოჯახი უნდა? კარგად დაფიქრდი, საყვარელო!“

ლუკა:

„რა დროს შენი გათხოვებაა, მით უმეტეს, 11 წლით უფროს ადამიანზე. თავში ტვინის ნაცვლად, რა გიდევს? წადი, შვილო, წიგნი წაიკითხე, იქნებ რამე ისწავლო და ვიღაცას გამოადგე“.

დათუკა:

„კარგად დაფიქრდი, ისეთი ნაბიჯი არ გადადგა, რომელიც მერე სანანებელი გაგიხდება. არა მგონია, შენს მშობლებს შენი ბედნიერება არ უნდოდეთ“.

მისტერ:

„ცუდ კი არა, ისეთ მდგომარეობაში ხარ, როგორც „ობმოკიდებული ბუბლიკი“. ჩემი აზრით, ის შენი მამაკაცი, ახალგაზრდა და ნორჩი ხორცის „დათრევას“ სიყვარულის სახელით ცდილობს. ის კარგა ხანს „დაგქანცავს“ და მერე ახალ შენნაირს დაუწყებს ძებნას. ეჰ, ეს რა გოგონების თაობა მოდის, რა“.

ჯენი:

„მესმის შენი. მერე რა, მსგავსი რამ ბევრს დამართნია. თუ ენდობი და გჯერა, რომ მასთან ერთად ბედნიერი იქნები, ცოლად გაჰყევი, მაგრამ ისე არ მოხდეს, რომ მერე შენც დაგშორდეს. ახალგაზრდა ხარ და არ მინდა, ცხოვრება დაგენგრეს. ერთხელ თუ შეცდები, მერე ხომ იცი, უკან დასაბრუნებელი გზა არ გექნება“.

დადუ:

„ჩემო კარგო, მეტად რთული პრობლემა გქონია. ამ საქმეში ჩარევა ძნელია, რადგან მსგავსი სიმწარე მეც გამომიცდია. იცი, შენგან განსხვავებით, მე იმ ადამიანის ნაკლიც და ღირსებებიც საკუთარი თვალით ვნახე და მხოლოდ ამის შემდეგ მივხვდი, ჩემი მშობლები ოჯახში მისი მიღების წინააღმდეგები რატომაც იყვნენ. გირჩევ, ყველაფერი კარგად გააანალიზო და გადაწყვეტილება მერე მიიღო. სიყვარულით“.

უცნობი:

„აბა, ბუზღუნ, ასე დიდი და თანაც, ცოლშვილიანი რამ შეგაყვარა? რა, ბიჭები დაილია? გირჩევ, როგორმე დაივიწყო, მით უმეტეს, რომ მშობლებიც გეწინააღმდეგებიან. ცხოვრებას რეალურად შეხედე, კარგად დაფიქრდი და გადაწყვეტილება შემდეგ მიიღე. აბა, წარმატებები!“

ლუნა:

„ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე გოგო ხარ, ცხოვრება წინ გაქვს და არ მესმის, რატომ იტანჯავ თავს, როცა ირგვლივ ამდენი თავისუფალი ბიჭია?! ისე, რაღა მაინცდამაინც ნაცოლართან გააბი ურთიერთობა? თანაც ამბობ, — ერთმანეთი გვიყვარსო. ეს ერთი შეხედვით, კარგია, მაგრამ ცხოვრებაში უამრავ პრობლემას წააწყდები. მერწმუნე, ამ ნაბიჯს თუ გადადგამ, მხოლოდ დედ-მამას კი არა, უკეთესი ცხოვრების შანსსაც დაკარგავ. იმაზე არ დაფიქრებულხარ, თუ რატომ დაშორდა შენი „ლოვე“ ცოლს? იქნებ არც ისეთი ანგელოზია, როგორადაც თავს გაჩვენებს? ერთი თუ ასე ადვილად დათმო, რა გასაკვირი იქნება, რომ შენც უგულოდ მოგექცეს? ნუ დაგავიწყდება, მას ყოფილ ცოლთან შვილი რომ აკავშირებს. დამიჯერე, ნამდვილად არაფერი გიჭირს იმის ფასი, რომ ცხოვრება ნაცოლარს დაუკავშირო. ჰოდა, მორჩი ახლა ბუზღუნს და ჩემს ნათქვამზე იფიქრე, ხოლო თუ ვცდები და თქვენ შორის წრფელი სიყვარულია, თუ ამდენი დაბრკოლების მიუხედავად, მაინც ერთად ცხოვრებას გადაწყვეტთ, მთელი გულით მარადიულ ბედნიერებას გისურვებთ! გკოცნი“.

თამუნა (წყევლა):

„გასაგებია, რომ გიყვარს, მაგრამ გირჩევ, მშობლებს მოუსმინო, — მათზე მეტად ვის ვუყვარვართ, რო? შეეცადე, სიტუაცია სწორად შეაფასო. თუ იმ კაცს მართლა უყვარხარ, ცოტას დაგიცდის, რათა მშობლებთან ყველაფერი გაარკვიო. ბუზღუნ, ცხოვრება წინაა, ნუ იჩქარებ“.

სოფო, გურული:

„სიმართლე გითხრა, არ მეგონა, ამდენი ბუზღუნა თუ არსებობდა; ვფიქრობდი, რომ ასე მხოლოდ მე მერქვა. ახლა, რაც შეეხება შენს მესიჯს: მინდა გირჩიო, რომ მშობლები არასდროს და არავის გამო არ დაკარგო. მით უმეტეს, ჯერ კიდევ პატარა ხარ და ცხოვრება წინ გაქვს. რაც შეეხება იმას, რომ ცოლს გაშორებულია, ეგ არაფერი — ყველას აქვს უფლება, ბედნიერი იყოს. წარმატებები და ღმერთი იყოს შენი მფარველი“.

მაკი:

„გირჩევ, შვილიან კაცზე ფიქრს შეეშვა. მისთვის ყოველთვის ორი ოჯახი იარსებებს და შეიძლება, შენ თავი ზედმეტადაც კი იგრძნო. დედ-მამას გაუფრთხილდი, მათი ნდობა არ დაკარგო. ამ ადამიანებს ხომ შენთვის მხოლოდ ყველაფერი საუკეთესო უნდათ. კარგად დაფიქრდი“.

მილენა:

„სჯობს დაშორდე და სწავლაზე იფიქრო, რათა მომავალში წარმატებული ქალი გახდე — ასე მშობლებსაც არ დაკარგავ, სიყვარული კი მომავალშიც გეწვევა. ბედნიერებას გისურვებ! მპუა“.

მაირა:

„ჩემო კარგო, იყო დრო, როცა მეც მსგავს მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ გავბედე და ეს ნაბიჯი გადავდგი — ჩემს ქმარს გოგონა ჰყავდა, დღეს კი მისი დედა ვარ. მართალია, ამ გადაწყვეტილების გამო მშობლებმა უარმყვეს, მაგრამ დღეს ბედნიერი ვარ და არაფერს ვნანობ. შენ კი, როგორც გული გიკარნახებს, ისე მოიქეცი“.

ფერია 777:

„გირჩევ, ეგ მამაკაცი დაივიწყო და ვინმე შენი ასაკის შესაფერისი მოძებნო. წარმატებები! გაკოცე“.

ნათკა:

„თუ მასში დარწმუნებული ხარ და ერთმანეთი გიყვართ, არ დაკარგო. ძალიან გთხოვ, ყველას აზრს ნუ გაითვალისწინებ. ბედნიერებას გისურვებ! გკოცნი. შენი ძალიან კარგად მესმის“.

მეტალი:

„ხალხო, რა გჭირთ, ცხოვრებას ძალით რატომ ირთულებთ? ყველაფერს ჯობია, სწავლას მიხედო, რადგან წუთისოფელი ისედაც ხანმოკლეა და დროის ფუჭად კარგვა არ ღირს. მერწმუნე, არც ერთი ბიჭი არ ღირს იმად, რომ მშობლები დაკარგო. კარგად დაფიქრდი, სხვა თუ მიატოვა, შენგან არ წავა? ბოლოს სულ მარტო არ დარჩე. მაპატიე, რასაც ახლა ვამბობ, მაგრამ წინ გაიხედე, მთლად ნუ გამოშტერდები!“ ■

„ჩემმა შეყვარებულმა თავის მოკვლა სცადა...“

ნია:

„ლიკა, გამარჯობა. ძალიან გთხოვ, ეს „ესემესი“ დამიბეჭდე, ნუ გამწირავ, საშინელ დღეში ვარ. მე და ერთ ბიჭს ერთმანეთი შეგვიყვარდა, მაგრამ მალე მან მავნე ჩვეული გამოავლინა, ყველაფერზე ეჭვიანობს. უნდა, რომ მის გარდა არავისკენ გავიხედო, ოჯახის წევრებისა და ნათესავების ჩათვლით. დაშორება გადავწყვიტე, მაგრამ თავის მოკვლა სცადა. დედამისმა დამირეკა და შემევედრა, — შვილს ნუ მომიკლავო. მობილური ტელეფონი გავთიშე, მაგრამ სამსახურის ნომერი იცის და იქ მირეკავს. დამეხმარეთ, გევედრებით“

P.S. ***მაშ ასე, თუ ნიას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*** ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. მინდა გავიცნო 25-დან 30 წლამდე მამაკაცი, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 25 წლის, ქერა და მწანეთვალება გოგონა. თუ გსურთ, მომწერეთ. მეკო.

2. ვარ განქორწინებული, 44 წლის ქალბატონი. მყავს 10 წლის გოგონა, მაქვს ბინა, სამსახური, მანქანა. მხოლოდ სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ ყურადღებიან, სერიოზულ, დასაქმებულ, პატიოსან, კარგი ხასიათის მქონე მამაკაცს, ვისთვისაც ჩემი შვილი ტვირთი არ იქნება. ეკატერინე.

3. ვარ 35 წლის, თბილისელი, ექიმი, ყოფილი მოცეკვავე. ბინით, მანქანით, მხიარული. ოჯახის შექმნის მიზნით დამირეკოს (სმს — არა) თბილისელმა, ინტელიგენტმა, მატერიალურად უზრუნველყოფილმა მამაკაცმა.

4. ვარ ექიმი, ბინით, მანქანით, აგარაკით. დამირეკოს თბილისელმა, უზრუნველყოფილმა, ინტელიგენტმა მამაკაცმა, 37 წლის ზემოთ.

5. ვეხმაურები „გზა“ №35, მე-14 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი.

6. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35-45 წლის, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ მომხიბვლელი, სუფთა წარსულის მქონე 35 წლის მანდილოსანი. გასართობად ნუ შემეხმიანებით.

7. ვარ თბილისელი, 40 წლის ქალბატონი. სამსახურით უზრუნველყოფილი. მყავს ერთი შვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წესიერ, უზრუნველყოფილ, 40-48 წლამდე მამაკაცს.

8. მთელი გულით მინდა შევქმნა ბედნიერი ოჯახი. თუ სურვილი გაქვთ, სერიოზულად ოჯახის შექმნის, დამირეკეთ და შემეხმიანეთ. ვარ ირმა. შევქმნათ ერთად ბედნიერი, საამაყო ოჯახი.

9. გავიცნობ 20-25 წლამდე ასაკის ბიჭს. ვარ 19 წლის, ნატალი. ვარ 180 სმ სიმაღლის, 55 კგ. სერიოზულები გამომეხმაურეთ.

კაცები

10. გავიცნობ საღად მოაზროვნე ქალბატონს, ვისაც სურვილი აქვს, ჰქონდეს ოჯახი, ჰყავდეს შვილი. თუნდაც იყოს განათხოვარი ან რაიმე საპატიო ნაკლით. ვარ 38 წლის. გელით.

11. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, სულით მდიდარ, ქალბატონს, 34-36 წლამდე. ვარ 37 წლის, მაქვს ნორმალური სამსახური. დანარჩენი პირადად. მომწერეთ 19 სთ შემდეგ. ოთარი.

12. ვარ 25 წლის, დასაქმებული. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით ლამაზ გოგონას. გამომეხმაურეთ.

13. გავიცნობ კარგ მანდილოსანს, 19-23 წლამდე. ვარ ყველაფრით უზრუნველყოფილი. მქვია გია. 27 წლის.

14. ვარ 20 წლის, 190 სმ. სიმაღლის, 70 კილო. 37-ე ნომრის მე-5 მესიჯის ავტორს ვეხმაურები და ნომერს ვუტოვებ. გიო.

15. გავიცნობ 40 წლამდე მანდილოსანს, თბილისელს, ბინით უზრუნველყოფილს. ვარ 40 წლის. ვისაც სიყვარული აკლია, დამირეკოს.

16. ვეხმაურები „გზის“ 36-ე ნომრის მე-5 მესიჯის ავტორს. რედაქციას გთხოვთ მომწეროთ მისი ტელეფონის ნომერი.

17. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, სუსტ, როგორც ხორციელად, ასევე სულიერად ლამაზ გოგოს. მირჩევნია, ღარიბი იყოს და სულიერად მდიდარი. 165/70/29. აუცილებლად ეკლესიური.

18. გავიცნობ ქუთაისელ მანდილოსანს, 30-40 წლამდე. ვარ 22 წლის. დათო.

19. ვარ 35 წლის, დასაოჯახებელი. ვცხოვრობ კახეთში. გთხოვთ, გამომეხმაუროს ისეთი მანდილოსანი, რომელსაც სოფელი ეყვარება. უკეთესია, აღმოსავლეთიდან. მსუქნები ნუ შეწუხდებით.

20. ვარ 23 წლის. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 20-25 წლამდე გოგოს. არასერიოზულები ნუ შემეხმიანებით.

21. გავიცნობ 23-დან 35 წლამდე მანდილოსანს, ფარული ურთიერთობისთვის. ვარ 25 წლის, სიმპათიური ჯარისკაცი.

22. ვარ დასაოჯახებელი. სერიოზული ურთიერთობისთვის და დაოჯახების მიზნით მსურს გავიცნო 38 წლამდე ასაკის, უბრალო წარმომავლობის ქალბატონი.

23. გავიცნობ სიმპათიურ გოგონას. აუცილებლად უნდა იყოს ვნებიანი.

24. ვარ 22 წლის, 178 სმ. სიმაღლის. გავიცნობ 18-დან 26 წლამდე ასაკის, ლამაზ, შავგვრემან გოგოს. მომწერეთ 6 საათის მერე.

25. ვეხმაურები 34-ე ნომერში, მე-2 მესიჯის ავტორ ქალბატონს. სიამოვნებით გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით.

26. ვარ 25 წლის, სიმპათიური მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზ, ჭკვიან და შეძლებულ მანდილოსანს. დამირეკეთ. გურამი.

სხვადასხვა

• გამანადგურებ როგორც ნიკალას/ და სადმე კიბის ძირას მოვკვდები,/ თოვლიან ქუჩას ისე მიკვალავ/ ვით სახინკლის გზას დილით ლოთები,/ ივსება სული შენი ზმანებით,/ ისე მიყვარხარ როგორც არასდროს/ და გუგუნებენ ცისკრის ზარები,/ ჩვენი ცოდვილი ბედის სანაცვლოდ/ მე სადმე კიბის ძირას მოვკვდები,/ გამანადგურებ როგორც ნიკალას,/ ვით ქარიშხალში ხმელი ფოთლები,/ მეც ამ ცხოვრების ბილიკს მივკვალავ. ვუძღვნი ჩემს სიყვარულს, დიდი მონატრებით და დაბრუნების იმედით. მისტერ ბორჯომი.

• როგორ ხართ, ბავშვებო? არასდროს მომიწერია თქვენთვის და შეიძლება ბანალურადაც კი მოგეჩვენოთ ის, რომ შორიდან ყველა ძალიან მიყვარხართ. განსაკუთრებით ჭკუა მეკეტება SWEET-ზე. რუისპირი მომწონს ძალიან და ბევრი... იმედია, მიმიღებთ. ემილია.

• ქ-ნო ნანი, არ მინდა, კადნიერად გამომივიდეს ამის თქმა, მაგრამ ძალიან მინდა ახლოს გიცნობდეთ, რადგან თქვენნაირი სათნო და კეთილშობილი ადამიანები ძალიან იშვიათი არიან. ჩემი აზრით, ღირსეუ-

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

ლი ქართველი მანდილოსნის ტიტულს იმსახურებთ. ძალიან დიდხანს იცოცხლეთ. მატიტელა.

• დიდი ხანია, ვკითხულობ „გზას“ და მხოლოდ ამიტომ მივცემ საკუთარ თავს ჩემი აზრის გადმოფრქვევის უფლებას, ვაჟბატონი მისტერის შესახებ და საერთოდ, მგზავნელებს ვეკითხები, განსაკუთრებით გოგოებს, რატომ აბლატავებთ? თქვენი ბრალია, რომ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. ვინც ბევრს ლაპარაკობს, ცხოვრებაში უმაქნისი და უჯრგისია. მაარ, შენ გაიხარე, სმს რომ დამიბეჭდე, ჯიგაარ... P.S. მოვიკითხავ დებს... სალის, მარის და ნინი მიქელაძეებს.

• მირიან მირიანაშვილო, მსოფლიოში ყველაზე კარგი მეგობარი იყავი, მაგრამ 08.08.08 სულიერად და ფიზიკურადაც ისე შეგცვალა, რომ ძველი მირიანისგან მარტო ტელეფონის ნომერიღა დატოვა. იცი, როგორ ვნერვიულობ შენს ცხოვრებას ასე რომ ექცევი? მენატრები ძალიან და რა ჩემი ბრალია? მ.კ.

• უი, ჰო, მართლა... როგორ ხართ, მგზავნელებო? ისა და მაგ მისტერს მაგოდენას რას ალაპარაკებთ? მართლა და მართლა? ჰგონია, მაგარი ბიჭი ვიქნები, თუ გოგოების გრძნობებზე ვითამაშებთ? ეჰ... ეგ მაგ გოგოების ბრალი უფროა. რომ გაახილონ თვალები და უფრო ყურადღებით იყვნენ, მიხვდებოდით, რა ჩიტია თუ ყვავი, ეგ თქვენი მისტერი. ყოველ შემთხვევაში, ყველა კაცმა უნდა იცოდეს, რა უნდა და ვინ უნდა ცხოვრებაში. კაცი კაცურად უნდა იქცეოდეს. კრუსუნა (წყევლა).

• მარის ნანასგან მეგობრული სალამი. მარ, ერთი სათხოვარი მაქვს, ჩემი გზავნილი უნდა გამოაქვეყნო. გთხოვ, როგორც უფროს მეგობარს. ჩემს დაქალს მინდა, ყველას გასაგონად დიდი მადლობა გადავუხადო. ეს ადამიანი თეო მანაშვილია. წუთითაც არ მომშორებია გვერდიდან მაშინ, როცა მართლა მაგრად მიჭირდა. ერთი კვირა ჩემ გვერდით ათენაღამებდა. თეო, ჩემი დებილი დაიკუნა ხარ და მაგრად მიყვარხარ. მოკლედ ვიტყვი: ყველაფერი კარგად გადამეხადოს. მაგრად მიყვარხართ ყველანი. ციცო დეიდა, ნათია, გელა ძია, გიო, ნუგო, ის ტკბილი მოხუცი და არაჩვეულებრივი ქალი, რომელსაც ნათელა ბებო ჰქვია, პაწია ანუკი, რომელიც „ლუბოის“ გაჯობებთ სიყვარულით და მეგობრობით. კიდევ, ჩემი ლამაზი თამრიკო დეიდა. ვიცი, ახლა კითხულობ ამ მესიჯს და ჩაფიქრებით გეღიმება. თეო, ჩემი დაიკო ხარ. ამ მესიჯს ვალიდან გწერ. აქ კარგი ხალხია. ვალის მეორე სკოლის მასწავლებლებს ჩემგან გულთბილი მოკითხვა. გაიხარეთ ყველამ. მიცანით? მე ნანა მისირელი ვარ.

• მოგესალმები მარი და მივესალმები „გზის“ ყველა მკითხველს. პირველად ვამესიჯებ და გთხოვ, დამიბეჭდო. უზომოდ მიყვარს მეუღლე, ყველაზე და ყველაფერზე მეტად კი სიყვარულის პატარა ნაყოფი, 3 წლის ნუციკო. ამქვეყნად ვერც ერთი ქალი ვერ შეძლებს ჩემი პატარა და სიყვარულით სავსე ოჯახის დანგრევას. ღალატის საზღაურს რაც შეეხება, მე, როგორც ქალი და მეუღლე, მივიჩნევ, რომ თუ მეუღლეებს შორის სხვა პიროვნება ან საყვარელი ჩაერია, ის ოჯახი ნდობის გარეშე დარჩება. ხოლო უნდობლობა ყველაფერს ანგრევს, რაც გზად ხვდება. გკოცნით. თიკო. ქმარ-შვილზე საოცრად შეყვარებული, ქართველი ქალი.

• ახლა ბაკურიანში ვარ... მოწყენილობით ვკვდები, თან ლოგინში „ვგდივარ“ და გწერთ! ძალიან მიყვარხართ მგზავნელებო. თქვენი KINDGIRL... იმედია, მიმიღებთ.

• საერთოდ, ერთი ადამიანი მეორეს მხოლოდ იმიტომ აკრიტიკებს, რომ მოსწონს ის ადამიანი და უნდა, მისნაირი იყოს. გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ადამიანი თავისებურია და თავისი სტილი აქვს, აღფრთოვანებული ვარ მისტერის პიროვნებით, მისი სტილით და საერთოდ, მისი თავისებურობით. ამიტომ, სურვილი მაქვს მისი გაცნობის. დუდე.

• ახლა ვკითხულობდი „გზაში“ მინირომანს — „ჩემი მეგობარი“. ზუსტად ასეთი ურთიერთობა მაქვს მეც, ვინმე ლევანთან, ზუსტად ასე, თვეში ერთხელ მომწერს მაშინ, როცა ფაქტობრივად დავიწყებული მყავს და მერე პასუხს აღარ მაღირსებს. შოკში ვარ!

• ჩემს უცნობ რძალს, დარეჯან ლიონიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და უღრუბლო ცას, საყვარელ ქმართან და პატარა მაიკოსთან ერთად. ღმერთი გფარავდეთ. უცნობი დედამთილი.

• მარიამულ, ძალიან მომეწონა „გზავნილები“. შენს მინირომანზე და „სიტუაციაზე“ დავიშოკე! მიყვარხარ, ასეთი საოცარი რომ ხარ! გკოცნი და გეხუტები!

• პირველ რიგში მადლობა ვისო? მარი ჯაფარიძესო! შენ გაიხარე მაარ, მეორე ჩემს დაქალსაო, სოფჯეკს, რომელმაც ყურნალი მიყიდა. აბა, მშობლებმა ყურიც არ მათხოვეს. უჰ... მარია და მაო, ნუ, ჯიგრები ხაართ, ჩემს აზრებს კითხულობთ. მისტერი თვითკმაყოფილი იდიოტია, „გზის“ წამონაზარდი, ვითომდა კაცობს და ფილოსოფობს, ტლიკინა ბავშვს მახსენებს. P.S. მისტერი პათოლოგიურიური მატყუარა თუ გულუბრყვილო ფანტაზიორი? თამუნა.

• გამარჯობა მარი. როგორ ხარ? ხომ ხარ ისე, როგორც შენს გულს გაუხარდება? კარგია „გზავნილები“. მგზავნელებიდან მოვიკითხავ დიდი სიყვარულით მისტერს, ბერბიჭას, დამავოის, რუისპირს, სტიქიას, გრუზინკას, კამელიას, ემიგრანტს, გადარეულს, გიჟპოეტას, ვერძს, 9717-ს, ატარექსიას, ლაკვასტის, გურულს, მუმუს, მეგის, ყირამალას, კლეოპატრას, ლედის, SWEET-GIRL-ს, ჰუმას, ოლეგარიოს. ოლეგარიო, სად დაგეკარგე, კარგი ადამიანი ხარ, ლუნას, მარიკუსას, ლიკას, ONLY FOR YOU-ს, დელპიეროს, კოპი20-ს, ულიბკას, ლიმონას, ძალიან თბილ და განათლებულ ქალბატონს, ნანი დუმბაძეს, კიბორჩხალას, თოლიას, ილინს, ვანელს, CRAZY GIRL-ს, გერასიმეს, კოლოთოს, კუტრინას, ფიფქიას, მის რეალს და ციცინოს. მაგრები ხართ სიხარულებო. ნანა მისირელი.

• მარი, ათენიდან გწერ. აღარ მინდა „გზა“ ვიყიდო, რადგან სულ ვტირი ჩემს პატარა ერს. აქ კი ისე ცხოვრობენ ადამიანები, აღარ იციან, სად დაისვენონ და გაატარონ დრო. მია.

• 030, ოთხი თვის მანძილზე დღეს პირველად გამეცინა ასე გულიანად. დათი ფოსტისკენ იყო წასული სტადიონზე, სათამაშოდ. ვერ დავურეკე და მივაკითხე. წვიმა დაიწყო, თან დაღამდა. ვთხოვე და გამომყვა. თან მეუბნება, არ მინდა ინერვიული, გიფრთხილდები, მაგრამ მე ახლა დედიკოს ბიჭი გამოვედი, იტყვიან, მოაკითხა დედიკომ და ესეც უსიტყვოდ გაჰყვა. როგორ ვკაცობთ, უნდა ნახო. გავუშვი და დამპირდა, არ ინერვიულო, 10 წუთში შენთან ვარო. მოვკვდი სიცილით სიხარულო, რა მეშველება? რა ახლოს არის სიცილთან ტირილი. ჯოჯოხეთური ოთხი თვე გავიდა დღეს. იცი, რამდენ რამეზე ვფიქრობ და 13 დეკემბერზეც ვიფიქრე. დღეს ამას ჩვენს მეტი ვინმე მიხვდება ბაჩი, როგორ მტკივა გული? ყოველი სასამართლოს დღე მაგიჟებს. ისევ ადრე მოვედი. 10 საათია, ჯერ. ვერ გავჩერდი სახლში. ვცდილობ კარგად ვიყო. როგორ მინდა შეგეხო... რამდენს გაუძლებს გული, არ ვიცი. ნუ გეშინიარ, რომ მეუბნები სიხარულო, როგორ არ უნდა მეშინოდეს? დღეს შენს თვალზე ცრემლი დავინახე. მოვკვდები ბაჩი, ამას ვერ გავუძლებ. უფალი არ გაგვწირავს, ვიცი. გამაგრდი, მე შენ მჭირდები. ყველაფერი კარგად იქნება სიხარულო, შენ ხომ ძლიერი ხარ, ჩვენ ხომ ბევრს გავუძელით და კიდევ გავუძლებთ. ვერაფერი და ვერავინ მოგვერევა. ჩვენ კარგად ვართ. შენს ცოლის დას კვირაში ერთხელ ხილი მოაქვს დათისთვის. ფული ამ კვირაში რუსომ ჩაგირიცხა. დედა საჭმელს გვიგზავნის, ჩვენზე არ ინერვიულო. დათიზე არ ინერვიულო, არ ვიცილებ გვერდიდან. უშენოდ ჯამბულისთან ვერ მივედი. ზაზამ რომ მითხრა, იმ დღესვე წავედი. ველაპარაკე და გაგიყდა, გოგი არ ვიცი მეო, ბავშვი მომიყვანე ხვალვე, ნუ ჩამიყრით წყალში ამდენ წარმატებას, მასში საქართველოს ჩემპიონატზე პირველი ადგილი აიღო, ალანიაში მესამეს არ ველოდი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარო. დათისაც უნდა. დავიწყეთ უკვე სიარული. ჰო, მართლა, ლაშა იყო მოსული, ვიღაც ახლობელი რომ ჰყავს, მერაბი, ხელი რომ სტკივა, იცი შენ, ბიჭი მოუკვდა. ავარია მოუვიდა ისევ ლაშას ბიჭს და ერთად ყოფილან. ლაშაც დამტვრეულა „პერეველზე“ და ასე ცუდი ამბავი შემთხვევიათ. სხვა რა გითხრა, კაის ვერ გაიგებ ვერაფერს. ისე, ნუ ინერვიულებ ახლა, მაგრამ დათიც იწევს მანქანისკენ. მთხოვს დავსვა, მოვაბრუნებინო მაინც. რა ვუყო, ყოველთვის ვერ ვეუბნები უარს, დედას კაცუნაა, ხომ იცი. ბაჩი, ასე მგონია, გელაპარაკები და ცოტა ვითომ კარგად ვარ. ბარტყიც კაცუნაა უკვე, ბაბუ მოენატრა ძალიან. რომ მიდის, დადუს მაგივრად მე მკოცნის. რა ვეღარ ჩამოვიდა, დავურეკოთ და მოვაო. როგორ ვუძლებ ამ ყველაფერს, არ ვიცი. დავიღალე სიხარულო, ძალიან. ვიცი, შენც რას გრძნობ, როგორ გენატრება ყველა. გავუძლოთ იქნებ. გაკოცე უამრავი.

• მაარ, როგორ მინდოდა, ჩემთვის ეს გზავნილი დაგებეჭდა, იცი? მაგრამ მე ფარ-ხმალს არ დავყრი, არ დავნებდები და კიდევ მოგწერ ამ კვირას.

• რა გამწარებულ-აზარტულად ვეძებდი?! მაგრამ „ჟიზნ ტაკოვა“... გამაწბილეს. მილოცავ მაინც დაებეჭდათ. უშენობას ვბრალებ, მაგრამ არა უშავს, მთავარია, ხალასი იყოს. ულიბკა.

• არა, არა, პარიჟანკა მაინც სულ სხვაა. ძალიან მიმზიდველი და გამორჩეული სტილი აქვს. ახლა შენს ნაჯაფარს უნდა დავეწაფო, მარი და წინასწარ მსიამოვნებს უკვე. გაიხარე.

• გამარჯობა მარი, გული მტკივა ყველაფერზე. სადმე წასვლა რომ მინდა, ვერ მივდივარ, ყველაფერზე გული მწყდება, უქონლობის გამო. ამ გაუთავებელი პრობლემის გამო აღარ მინდა სიცოცხლე. ნი.87.

• სიბნელეს მოუცავს დაღლილი გონება, სიცოცხლის წყურვილი მეცლება ხელიდან, გრძნობები მე უკვე არ მებატონება, ძნელია გადარჩე ტკივილის ფსკერიდან. მივდივარ, მივყვები, ფოთლიან ბილიკებს, აჩრდილად მომდევენ წარსულის ნოტები, ნელ-ნელა გონებაც მალულად გივიწყებს, გგონია შენთან ვარ, არადა გშორდები. სიბნელეს მოუცავს დაღლილი გონება, არ ვიბრძვი, ძალები მე გამომელია, მივდივარ, მერე რა, ფიქრი თუ გშორდება, მივდივარ, მერე რა, თუ გული შენია. ბელურას. კლეოპატრა.

• მარი, გგონია, რომ ყველაფერი შეგიძლია? უკვე ორი კვირაა გწერ და არ მიბეჭდავ.

• ამაღამ ალბათ ისევ გავათევ, ვერ მოვიშრუბ ფიქრებს საზარელს, ვიცი, სიკეთე რომ გაიმრავლებს, ვიცი, ბოროტი დღესაც წააგებს. ავდგები ჩუმად, ავიღებ სანთელს, საკურთხეველთან ჩუმად დავანთებ, მინდა, რომ შენთვის ვეეედრო ხატებს, მინდა, რომ ქვეყნად სიკეთის გწამდეს. მინდა, ყველანი ძლიერ გიყვარდეს და აგაშოროს ღმერთმა სიავე, სადღაც იღვრება მთვარის სინათლე და გათელილი ტირის სიმართლე. 9717.

• გამარჯობა, მაااარ. :) ახმეტელო თათა, რა ვი, მეც მინდა გაცნობა ახმეტელების და რა ვი, ვინც ხართ, თქვით ერთი დღე, შეიკრიბეთ და მანდ ვარ. :) სალამი ვერძი, გაიხარე. :) 9717.

• როგორ ხართ? ჩემი ნიკი იქნება ბუხუნხულა.

• ჩემში საძულველი არაფერია და ერთადერთი მიზეზი, რატომაც არ ვუყვარვარ ჩემს საყვარელ ადამიანს, ისაა, რომ მას ყველაზე მეტად საკუთარი თავი უყვარს და ისე ზუსტად იცის რომ საყვარელია, თუ გავბედავ მის სიძულვილს, არა მგონია, გავიხარო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ჰოდა, ასე, ჩემი მარიკუნავ, რაღა დაგიმალო და მე მიყვარს ქობულეთი. ჟუკ-100.

• მარიი, ჩამოვედი როგორც იქნა და წავიკითხე „გზა“. ვერძი, სიამოვნებით ვიმეგობრებ შენთან, გენაცვალე. ფიფქია.

• როგორ ხართ მარია და ჩემო ბასასუნებო? როგორც ჩანს, ჩვენს მგზავნელებს მუზები არ შორდებიან. მშვენიერიაა! წერეთ, წერეთ, სანამ ეს თავხედი მუზები თქვენს გონებაში დასეირნობენ და გულს წერა უხარია. მაგარია ცხოვრება! რატომ? იმიტომ, რომ ყველაფერი კარგი მოულოდნელად ხდება და ეს ემოცია დიდხანს გაგყვება. შეიძლება ცუდი ვარ, შეიძლება — კარგი, მაგრამ მთავარია, რომ სიყვარული შემიძლია. მიყვარს უფალი, მიყვარხართ თქვენ და მთელი სამყარო. გმადლობთ, რომ არსებობთ (პეპელა რამდენიმე დღე ცოცხლობს, მაგრამ გარემოს ალამაზებს. მეც მინდა ასე ვიყო, თუნდაც ახლავე მოკვდე, ოღონდ ბედნიერი ვიყო. პეპელა.

• 9717-ს: ძმი, გინდა? ვიშაიროთ, „გზას“ შევმატოთ ხალისი, სხვებთან ერთად, ჩვენც შევავსოთ, მეგობრობის სასმისი. იმედია, დამთანხმდები და ამავსებ ლექსებით, იმდენსაც ნუ გამოგზავნი, რომ არ გითხრა — მეხსენი. გიჟპოეტა.

• კლეოპატრა, შენს ლექსებს რომ გადავახტე, რაღა დარჩა წასაკითხი? :) გენაცვალე. გადარეული.

ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



• „ეს ჩემი ზომა არ არის, ქალბატონო“.

• „ლიფები გამოძახებით, ადგილზე მიტანით, გასინჯვითა და მონტაჟით“. კიბორჩხალა.

• „რად გინდათ ეს, როცა ისედაც მშვენიერი ხართ?“

• „ეეეე, ძაან გავსუქდი, ეს ძუძუები ამ ლიფში აღარ მეტევა, ახალი უნდა ვიყიდო!“

• „ნუ ნერვიულობთ, მეორეც მაქვს“.

• „ერთ დროს დინოზავრებიც გადაშენდენ. ასე რომ, კაცებიც იმავეს განიცდიან“. ნიკოლოზი.

• „მამიკო, ჩაიცვი, რა, სირცხვილია, უკვე დიიიდი გოგო ხარ“.

• „გორდიას კვანძი“: ვთხოვო თუ არ ვთხოვო?..“

• „ვისაც ეს მოერგება, ცოლადაც მას მოვიყვან“. ზენონი.

• „ტუტუცო, ამის დამკარგავი, ქალი ხარ ახლა შენ? ნატალი37“.

• „აქ მგონი, ულიფოდ დადიან, რაღა მე ჩავიცვა ამ სიცხეში?“

• „მე ცოტა მიჭერს და ხომ არ მოისინჯავდით?“

• „ჯერ ნუ იხდი, ზღვაზე ვართ და უხერხულია, ყველა შენ გიყურებს“.

• „ქალბატონო, ეს თქვენია? ყველგან ასე ტოვებთ?“ გადარეული.

• „ნეტავ, ჩემს ცოლს მოერგება? იმასაც ამხელა მკერდი აქვს“.

• „დევოჩკა, ხვატიტ, მი ტოჟე ლიუდი, და!“ მამედ.

• „ადრე ხშირად ვვარჯიშობდი, აღარა მაქვს ჰანტელი, ჰოდა, ისე გავსუქდი, ვითხოვე ბიუსტჰალტერი!“

• „მგონი, მე უფრო მჭირდება, ვიდრე შენ“. 47.

• „ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა და ბიუსტჰალტერი, რომელმაც — მკერდი“. ჟეკ-ბელურა.

• „უი, ეს ხომ ჩემი ცოლის ლიფია?!“

• „წაისვი ჯერ მკერდზე მზის დამცავი კრემი და მერე ჩაიცვი აი, ეს ლიფი, ჩემო ჯორჯონეს ვენერავ!“

• „ახლოს მივიდე? რად მინდა? მაინც ვერ შევყვლეფ ვერაფერს, ასე შორიდან ვუყურებ, ეს მირჩევნია ყველაფერს“.

• „ყვავილებიანი შორტიც აღარ მომწონს და იქნებ კვლავ დამეხმარო?“ 47.

• „ვისაც ზუსტად მოგერგებათ, გაჩუქებთ“.

• „თანამედროვე კონკია: ვისაც მოერგება, ცოლად მოვიყვან“. უხეირო.

• „მამაკაცს ლიფი რად უნდა? ჩქარა მიეცი ქალსაო და თუ ნახევრად ნუდისტია, რა დაშავდება ამითა?“

• „აი, ეს აიღეთ ქალბატონო, მხოლოდ ამის მოპარვა შევძელი“.

• „ეს „კუპალნიკის“ ზედა არ გიხდება. ჯობია, მე მეჭიროს, შენ არ გჭირდება“.

• „მეც მასე გავირუჯები“.

• SWEET GIRL, არ მივდივარ, გენაცვალე. :) რა ყველას გადარეულობა გინდათ? შენ გაგიფრენია, თმას რას ერჩოდი? გადარეული.

• ICE-LADY, შენმა ლექსებმა ისე იმოქმედეს ჩემზე, ვერ წარმოიდგენ... რატომ წერ ასეთ სევდიან ლექსებს, თუ საიდუმლო არ არის? JERRY.

• სად იყავი, დეივიდ? როცა აცივდება, მაშინ ჩნდები „გზის“ ფურცლებზე? ლედი.

• მარიკუნა, როგორ ხარ? მე ცუდად ვარ. კლეოპატრა, ძალიან საყვარელი ხარ.

• გეთანხმები, ძნელია, როცა ადამიანი გიყვარს და მან ეს არ იცის. ძალიან გულიანი ადამიანი ყოფილხარ, ამდენი ხანი, 6 წელი გიყვარს ადამიანი. ვაფასებ შენნაირ ადამიანებს. იქნებ სახელი დაწერო, ვინ ხარ? ლედი.

• მართლა, მგზავნელები შეეკრიბეთ. მაგარი იყოოო! :) მოკლედ, ფლამინგო ვერ გავაჩერეთ, რა ლაპარაკი სცოდნია?! :) ფლამინგო, გენაცვალეეეე. გადარეული.

• დღენათელი შენ, მარი და ქ-ნ. ნანის ნებართვა ხომ მაქვს? ჰოდა, ახლა დაგირეკავ და გადმომეცი მისი ნომერი, გთხოვ მთელი გულით. გთხოვ. გთხოვ. გთხოვ. მემე.

• ახლა „გზის“ თვალიერებით ვერთობოდი და მეც მომინდა მომეწერა. ძალიან მომწონს „გზავნილები“. ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ, ამჟამად მოწყენილობაში მყოფი. მთელი დღეები არ ვიცი რა ვაკეთო, მაგრამ ამ დროს ხშირად გენიალური აზრებიც მომდის და როცა ვიღაცაზე გაბრაზებული და ნაწყენი ვარ, სამაგიეროს გადახდის გეგმებს ვაწყობ.

• ერთ მშვენიერ საღამოს ჩემი დაქალი ჩემთან დარჩა. სახლში მარტოები არ ვიყავით, პაპა იყო, რომელიც 1-ელ საათზე აეროპორტში მიდიოდა, ნათესავის გასაცილებლად. ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა, მე და მარიამი ბევრს ვხალისობდით. უცებ მარიამს ლოვემ, ლაშამ დაურეკა. თბილისიდან ჩამოვიდა სანახავად. მე რა თქმა უნდა, ავტეხე ამბები, ბესომ (პაპაჩემმა) თუ გაიღვიძა, რა ვქნა-მეთქი? არ ვუშვებდი. ბოლოს და ბოლოს, ლაშამ ძალიან მთხოვა გამოუშვი, ხომ ჩემი ძმა ხარო. დამითანხმეს და დაქალი გავაპარე. 10 წუთით გავუშვი, მაგრამ 3 წუთში დავუწყე რეკვა, ამოდი-მეთქი, რადგან პაპაჩემი ადგა და... ძალიან მეშინოდა, ბესოს რო დაეძახა, დამერხეოდა. საბაზანოში ჩავიკეტე, წყალი მოვუშვი თან ისე, რომ ლამის მეზობელი დავალბე. მარიამს ვწერდი გამწარებული, ამოდი-მეთქი. კართან რომ მოვიდა, მომწერა. შემოვუშვი. კარს ვკეტავდი, რომ უცებ ვიღაც მიაწვა კარს და შემოსვლას აპირებდა... ნერვიულობისგან ვერ ვზროვნებდი და კარი მაგრად მივაჯახუნე. გავიგე სასოწარკვეთილი ხმა: ვაიიი! მაშინ მიეხვდი, რომ ლაშა იყო და კარში მოვაყოლე თავი. აუუ, რამდენი ვიცინეთ?! ჩემს დაქალსაც თავში ხელი მაგრად ჩავარტყი, უნებურად. სიცილისგან მთელი ღამე ვერ დავიძინეთ. მერე ლაშა წერდა მარიამს, მინდოდა სალი (ანუ მე) მენახა პაპამისის შარვალში (ამ დროს სახლში პაპაჩემის დიდი შარვალი მეცვა, მციოდა და...) და მაგან კიდევ თავები გაგვიტეხაო. ასე დავსახიჩრე ჩემი დაქალი და მისი შეყვარებული. მართალია გამიტყდა და შემრცხვა, რაღაც მომენტში, ლაშას ასე მაგრად რომ მოვცხე, მაგრამ რას ვიზამთ? ასე მითხრა, შენ რომ ჩემთან ამოხვალ, ჩაქუჩით უნდა დაგხვდეო. იმედია, გზავნილს დამიბეჭდავთ.

• გადავცქერი შემოდგომის სურათებს, ჩემ წინ არის გარინდული სამყარო, თითქოს დუმან, ბუმბერაზი ვერხვები, იმ მთიდან კი მონაქროლ ქარს ვეხვევი, მდინარეც კი ჩუმად მიედინება... ეს ხომ არის მონატრების ცრემლები, აღარ ხარობს, არც ბერმუხის ყლორტები, არც ჭიკჭიკის მოტრფიალე მგოსნები. აქ სიცოცხლე თითქოს გარდაცვლილია, ჯოჯოხეთის დროშა აღმართულია... მხოლოდ არის ღვთისმშობელის სანთელი და გმირულად დაცემული ქართველი. მტკივა ყველა სევდიანი სურათი, ჩვენი ტაძრის დანგრეული გუმბათი. აქ ხომ ღმერთი არავინ არ იწამა, აქ ხომ არის ქართლის დედის გმინვაღა. თუმცა არ ვხრით თამარ მეფის მახვილს და ცხრა ძმას ისევ ვეშველებით მხარითა, არ ვთმობთ... ვერ ვთმობთ ჩვენი მიწის სიმცირეს, წინაპართა დანატოვარ სიმდიდრეს, ჩვენ ავაგოთ ჩვენი ტაძრის გუმბათი, ჟრიამულით გავაცოცხლოთ სურათი... ლაკვასტი.

• ლოვესთან ერთად ბათუმში მივდიოდი, მგზავრობას ვერ ვიტან და ჩემს ბეყეს ვთხოვე, „მარშრუტკით“ როდის ჩავალთ, თვითმფრინავით წავიდეთ-მეთქი და თავი გაიგიჟა, არა, ჩამოგვაგდებენო. გაგიჟდი? ვინ უნდა ჩამოგვაგდოს-მეთქი და პოლონეთის პრეზიდენტი ჩამოაგდეს და მე არ ჩამომაგდებენო? :) გავეკაიფე, კაი, მაშინ გემით წავიდეთ-მეთქი და სრული სერიოზულობით მითხრა — კარგი რა, ჩემი სიკვდილი გინდა? აისბერგს დავეჯახებით და ჩავიძირებითო. ერთხელ ვკითხე, „ვეფხისტყაოსანი“ ვინ დაწერა-მეთქი და ამაყად მიპასუხა, ილია ჭავჭავაძემო. ხარხარი რომ დავიწყე, არა, არა, როგორ შემეშალა, ვაჟა-ფშაველამო. ჩემს თავზე მეშლება ნერვები, ასეთ დაუნებს სად ავიკრავ ხოლმე? ღმერთო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულს, მაგის ჩათვლით. :) ICE-LADY.

• ედო ძანძავა, მენატრები.

• ღორმუცელა, ჩემო მონატრებავ და სიყვარულო, უკვე 5 თვე გავიდა გუშინ (როგორ მძულს 15 რიცხვი), რაც ჩემგან შორს ხარ, იმ დაწყევლილ ადგილზე, ძალიან ძნელია ამ ყველაფრის გაძლება. არ ვიცი, რით გიშველო, საკუთარი თავი მძულს, რომ ვერაფრით გეხმარები. შენ ხომ ჩემს გადასარჩენად ყველაფერს გააკეთებდი. დღეს, 16-ში გირიცხავ 30 ლარს, ვანოს სახელზე. ვეცდები, ტანსაცმელიც შემოგიგზავნო. მძულს იქ მოსვლა, რადგან თავს ვერ ვერევი და ატირებული მოვდივარ. შენ იქ ხარ, ახლოს და მე შენი ნახვაც კი არ შემიძლია. გული მეკუმშება და ცრემლები მდის, ახლაც რომ გწერ, მენატრები და როგორ მოვიქცე, თუ უშენოდ არ შემიძლია? რა გაუძლებს ამდენ დატანჯულ დღეს.

• მინდა, ჟურნალის საშუალებით ვაგრძნობინო მეუღლეს, რომ არასდროს არ მავიწყდება. უფალმა დაგლოცოთ „გზაც“ და მისი ერთგული მკითხველიც.

• ნანა, რადგანაც მშია, შუადღის ლანჩი მე, გულის შემბრაწველი პაჩი — შენ. წყევლა, სითბო და ალერსი არა, რძე კი ნამდვილად მაკლდა. ჰოდა, იგულკეთილე და მომაწოვე, რაა...

• ბამბუჩ, არ მესმის, რა მიზეზით წერ ამ სიგრძე სმს-ს და შესაბამისად, ითხელებ ჯიბეს, როცა ვერავითარ შედეგსა და სარგებელს ვერ ჰპოვებ. შენ კი, მარია ხარ თუ დიშოვკა ფხვნილი დარია, რა ჩემი ვუფსი-დუფსი გინდა? :-) გეფიცები, შენს ნაბოდვრობებზე იმდენი ვიხალისე, ხელებს ლამის ფეხიც მივაშველე, სიცილის სიმძლავრის შესაკავებლად. :-) შენ რა, ღვთის სიტყვებით რომ საუბრობ, თავი მოსეს დაქალი გგონია? :-) შენც რიგითი ტვინბანჯგვლა ხარ, რომელიც გამოსირენებული ფრაზებით ჩემს განწყობილებაზე ზრუნავს და მახალისებს. დაბოლოს, პროგრესგანცდილო შამბალებო, კანი რომ გაქვთ თეთრი და აზრები კი შავი ფერი, შეგრგებოდეთ ბენ ლადენის ჭუჭყიანი და ყავისფერი. :-) მისტერ.

• მა, როგორ ხარ? ძაან მენატრები. მა, თაკო 50-იანში მოხვდა. მალე გვნახე მა, მომენატრე.

• ჩემი სმს წინა ნომერში ბოლომდე არ დაიბეჭდა. ახლა მივმართავ იმ მგზავნელს, რომელმაც ჩემთან მეგობრობის სურვილი გამოთქვა. მარის გამოართვი ჩემი ნომერი. ატარექსია.

• „ბარხატნი სეზონი“ მაინც სულ სხვაა! :) თოლიებიც უფრო ხაერდოვნად და ნაზად ჭყივიან. :) გულთბილი მოკითხვა მგზავნელებო. ატარექსია.

• მაარ, დამიბეჭდე რა, პირველად გწერთ. უსაყვარლესები ხართ კლეოპატრა, ილინ, ლუნა. მე საბა ვარ, მიმილებთ, მგზავნელებო? საბა 77.

• ნენოს: სწორედ მაგ დღის შემდეგ ჩაიგუბეს პირში წყალი თევზებმა და აღარ ლაპარაკობენ. :) ატარექსია.

• მარი, როგორ ხარ? ძალიან მენატრები ანგელოზო. მე უკვე იტალიაში ვარ, მაგრამ მიყვარხარ. გპირდები, მალე ჩამოვალ, გულში ჩაგიკრავ და ისე გაკოცებ, რომ არასდროს დამივიწყო. ბოდიში მარ, ვიცი, წინა ხუთშაბათს ელოდებოდი მესიჯს, მაგრამ მარიამულმა არ დამიბეჭდა. იმედია, ამას მაინც დაბეჭდავს. მარი, მიყვარხარ, სიხარულო. გკოცნი. ლუკა.

• ახლა ვიპოვე 2010 წლის 1-ელ მარტს დაწერილი მესიჯი, რომელიც აკრიბე, მაგრამ რატომღაც არ გამომიგზავნია და სურვილი დამებადა, ახლა გამომეგზავნა: „მარი, ახლა „გზავნილებს“ ვკითხულობდი და განსაკუთრებულებს ჩემს ძმას ხმამაღლა ვუკითხავდი. კარგად ვიხალისეთ. როგორც იქნა, შემდეგი ნომრის თემასაც მივადექით. ახლა საავადმყოფოში ვართ, ჩემი ძმა ფეხმოტეხილი წევს და მე ღამეს ვუთენებ. ჰოდა, აქ რატომ მოხვდა? ცხენით დაეჯახა მანქანას. ცხენი მოკვდა, მანქანა აღარ ვარგა, ეს კი წევს და ელოდება ხვალინდელ ოპერაციას. ამაზე შეშლილი კიდევ ვინმეა ნეტავ?

• სირცხვილი ჩემმა დაქალმა ქამა, კარაქიანი პურის ქამა რომ გადაწყვიტა თან ჯემი გადაუსვა. ამ დროს კარი გაიღო და მისი ქალბატონი და ბატონი შემოვიდნენ. კაცმა ხმამაღლა უყვირა, ჩემს „მარმელადს“ რატომ ქამო? მარიამ ამის გამო ბევრი იტირა და მეც ვიტირე. არადა, სულ პატარა პური ეჭირა ხელში. გკოცნით. გერასიმე.

• მინდა, ჩემი პატარა ამბავი მოგიყვეთ. სკოლაში ვიყავი. დასვენება იყო. ჩემს კლასელ ნიკას ხელი ჰქონდა ნატკენი და ვერ ამოძრავებდა. მე ვკითხე, ანძრევ ხოლმე? სულაც არ მიფიქრია, უზრდელურად გამომსვლოდა. უცბად კლასში წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა და ცოტა ხანში ყველა მაგრად ხარხარებდა, მე კი ვიდექი გაწითლებული და სად დავმალულიყავი, არ ვიცოდი. აი, ასე ვჭამე სირცხვილი. კაპუა.

• ერთხელ ბიძაშვილთან და დასთან ერთად ზოოპარკში წავედი. ატრაქციონებთან რომ მივედით, გადავწყვიტეთ, მანქანებით „გვეკატავა“. მართალია, ტარება არ ვიცოდი, მაგრამ სურვილმა მძლია და დავჯექი. ზედამხედველმა რომ დაინახა ვერ ვატარებდი, მითხრა, როგორ უნდა მეტარებინა. მერე სხვას მიუბრუნდა და რაღაც აუხსნა. ის ჩემკენ ზურგით იდგა და ვერ დაინახა, რული რომ მოვატრიალე და უნებურად მისკენ წავედი. მას ისე დავეჯახე, რომ ფეხი მანქანებს შორის მოჰყვა და სიმწრისგან კინაღამ იყვირა. რიჟიკა.

• გამარჯობა მარი, ძველად ერთგული მგზავნელი ვიყავი. დიდი ხანია, აღარ მომიწერია. ახლა ვეცდები, ისევ დავუბრუნდე „გზას“. თაისი ვიყავი. აწი დუდა ვიქნები.

• მინდა, რაღაც გითხრა. როგორც გინდა, ისე მიიღე — რჩევა, თხოვნა ან უბრალოდ, კეთილი სურვილი. პატარა ნოვაცია მაქვს, თუ მოგეწონება და დაამკვიდრეს „გზავნილებში“, ძაან გამახარებ. შეგიძლია არც თქვა, რომ მე გირჩიე. უბრალოდ, თუ ამ აზრს გაითვალისწინებ, მე მაგითაც ბედნიერი ვიქნები. მგზავნელებს უთხარი, რომ გამოთქვან თავიანთი სურვილი. რა თემაც უნდათ, იყოს მომდევნო ნომერში. შენ შეარჩიე შენთვის მისაღები თემა და თვეში ერთხელ „გზავნილების“ თემა იყოს მგზავნელების მოფიქრე-

ბული. მერე შენი გზავნილიც დაბეჭდე ამ თემაზე. ვფიქრობ, საინტერესო იქნება. მგზავნელებიც გააქტიურდებიან. ყველას ექნება სურვილი, მის შემოთავაზებულ თემაზე ილაპარაკონ სხვებმა და თვით მარი ჯაფარიძემ. აუ, გთხოვ მარ, წაიკითხე ყურადღებით ჩემი მესიჯი. იქნებ საინტერესოდ ჩათვალო. დუდა.

•გამარჯობა. დროში ვერ ვეტევი, ამიტომ მოკლე მესიჯს გწერ. ფარცხანაყანელო ვიტალი კუჭუხიძევ, შენი ანგელოზი ოჯახის ცქერით სიცოცხლის ხალისი მომეცა. მე ჩემი შეძლებით შენ გვერდით ვარ. სიტყვის გამტეხი კაცი ღმერთს არ უყვარს. არც მე და არც შენ გეყვარება. 19 სექტემბერს ამანათს ქუთაისში გამოვგზავნი. 899 28 78 82-ზე დარეკავ.

•ნინო, თეა, გენკა, სოსო, ყველას დიდი მადლობა, ვინც ჩემს ლაშას მესიჯებით ამხნევებთ. ამ სიკეთეს ღმერთი არ დაგიკარგავთ. შენ კი შვილო, ლაშა, „არასოდეს თქვა — არასოდეს“. ამ ბრძნულ ნათქვამ სიტყვებში შენ დამარწმუნე! საყვედურს არ გეუბნები, დეე. მომენატრა შენი ხმა, შენი დაძახილი — დედი, დედაა! თამრო.

•გამარჯობა მარი, მე ახალი ვარ, მაგრამ დიდი მოყვარული „გზის“. მინდა, შემოგიერთდეთ. ვარ ემიგრანტი და ძალიან მენატრება საქართველო და ჩემი ლამაზი შვილები.

•ფლამინგო, გენათალე დაი, მაგ თბილ გულუნაში. ძალიან მიყვარხარ. კლეოპატრა.

•გენათალე მარიკუნა, როგორ ხარ? მიყვარხაროო. კლეოპატრა.

•ლაკვასტი, დიდი მადლობა, ცნობისმოყვარეობა რომ დამიკმაყოფილე. კარგი ხარ, გენაცვალოს ნანი დუმბაძე.

•ულიბკა, რა დაგიშავე? ვერ მივხვდი. გთხოვ, ამიხსნა. ნანი დუმბაძე.

•ჩემო ვერძო, როგორ გამახარე, ჟურნალში რომ გამოჩნდი. შენი სიყვარული ჯერაც არ გამნელებია. გაფასებ, როგორც კეთილშობილ, გულისხმიერ გოგონას. მიყვარხარ. ნანი დუმბაძე.

•ყველაზე ძალიან მომეწონა ემიგოს ენამახვილობა: „ტოფე მნე, ანა კარენინა“. ნანი დუმბაძე.

•ლექსში, საბრალო ბულბული, შესწორება: დაბეჭდილია ჩაისინსილა, უნდა იყოს ჩაისისინა, დაბეჭდილია — აღარ გამოვა, უნდა იყოს — არრა გამოვა. ნანი დუმბაძე.

•ჩვენო მართლა სათაყვანებელო მგზავნელო, ლიმონა, გაგეცანი წინა წლებში, ჟურნალ „გზაში“ დაბეჭდილ შენს მესიჯებს. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ შენ, შენი ხედვით, ინტუიციითა და საერთოდ, ცხოვრების აღქმით გამორჩეული ხარ. შენი გულიდან გაღებული სითბო თითოეული მგზავნელისადმი ამის დასტურია. თბილო გოგონა, მინდა გიწინასწარმეტყველო, რომ შენ იურისპრუდენციაში დიდებული მომავალი გელის. შენი დონე მაძლევს ამის საფუძველს. დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები და მაშინ გამიხსენე. მიყვარხარ. ნანი დუმბაძე.

•სიდედრის ბარათი უხეირო სიძეს (ვანო ცინცაძე). ასე ჩვენ ვერ მოვრიგდებით, ჩვენო სიძეე ბატონო, ადრე შარვალგახეულო, დღეს კი, ჯიპის პატრონო. ქალი მოგეც ქარაშოტი, შენატროდა ქვეყანა, რა მზითევი გაგატანე (სჯობდა, გადამეყარა). რწყილზე ფეხს არ აბიჯებდი, ახლა გახდი დიდგული, იცოტაევ პიანინო, დაიწუნე ეიგული, ხელისგულზე კვერცხს შეგიწვავთ! — გვპირდებოდი თავიდან, იმის მერე შე ქაქანაე, 10 წელი გავიდა. კვერცხის შეწვას ნეტავ ვინ გთხოვს, უმადურო მესჩანო, ოღონდ მე და ჩემი შვილი ცოცხლად აღარ შეგვჭამო, ოჯახს გირჩენ, თავს გევლები, გაჭმევ, გაცმევ, გახურავ, ისე ვატყობ, მგონი მალე, გადაგექეცე მსახურად. თუმც იმედი არ მაქვს შენგან ამ სიკეთის დანახვის, დედაშენი არ გახსოვს და მე რა ხეირს დამაყრი? დაგეზარდა პატარები, აკვანი არ გინახავს, გიყურებენ შვილები და ვერც კი გცნობენ, ვინა ხარ. საწყალ მშობლებს მობეზრდი, შეგიკედლე ზედსიძედ, ჩემზედ ყვირი გიჟიაო (ცმის ქუჩას, გაზონებს), შენისთანა სიძის ხელში კიდევ კარგად ვაზროვნებ. მუქთად ცხოვრობ, არ ატოკებ არც თავსა და არც ხელებს. ძმაკაცებში ჩემზე უხეშ ანეკდოტებს ავრცელებ... ეს რა ქაჯი ბებო გყავთო, ბავშვებს ჩემზე აქეზებ, შენს თავს რატო არ უყურებ? ეშმაკს ჰგავხარ სახეზე. გაზულუქდი, ლოთობ შფოთობ, თავი არ გაქვს არაფრის, ძმაკაცები გეძახიან „ბოსიაკს“ და შარაფისტს, როდის იყო ჩვენში სიძეს არ უყვარდა სიდედრი? ხარ მიზეზი ინფარქტის და ჩემი თმების სითეთრის. დედაშენი, მამაშენი, გემუქრება სახრითა, შვილს ვფიცავარ, მითხრეს დღესვე, გააგდეთო სახლიდან. შვილისა და შვილიშვილის სიყვარული რომ არა, სახლში როგორ გაგაჩერებ, მართლა ტიკიტომარავ? გაგაგდებდი უკვე შენი რიდიც არ მაქვს პაწია, მაგრამ ჩემი ქმარი მიშლის, თავმოყვარე კაცია, დაიხსომე სიძეე ჩემო, გაგხდომივარ ვიდრე მტრად, ან ის ჯიპი დააბრუნე, ან მიწამე სიდედრად! დავიღალე, აღარ მინდა, შენთან ჩხუბი კმარაო, თუ გინდა რომ შეგირიგდე, მინიავე მარაო!

•მარი, როგორ ხარ სიხარულო? იცი, ძალიან მომენატრეთ. ისეთი დღის რეჟიმი მაქვს, რომ წერას ვერ ვახერხებ, მაგრამ „გზავნილებს“ სულ ვკითხულობ. უფროსმა რამდენჯერმე ჟურნალით დამიჭირა და�ა... მაგრამ ვერ გელევითო... ახლა გამათავისუფლეს, ხვალ დაბადების დღე მაქვს და მიტო. ჰოდა, ასეთი სათხოვარი მაქვს შენთან. დიდი იმედი მაქვს, დამეხმარები. ეს ერთ დაკარგულ მეგობარს ეხება. მასზე ძალიან ცოტა რამ ვიცი... მინდა გავიგო როგორააა და საერთოდ, არის კი აქ? მაშ ასე, დავიწყე, მასზე რაც ვიცი. ვიცი ის, რომ ლევანი ჰქვია, ეროვნებით არის ოსი. ჰო, დაბადების დღე აქვს 19 ოქტომბერს. ცხოვრობდა ნახალოვკა-ლოტკინზე, აქვთ ორსართულიანი, საკუთარი სახლი, ეზოში მაღაზიით. ჰყავს ერთი ძმა, მგონი თემური ჰქვია. ის ასე, დაახლოებით 5 წლის წინ ძალიან ცუდად იყო და გორში დაჰყავდათ ექიმბაშთან, მგონი ყოველდღე. მის მერე ვერაფერი გავიგე მასზე და ძალიან მწირია ეს ინფორმაცია, მაგრამ მინდა, რომ რამით მაინც დამეხმაროთ. თუნდაც სულ მცირედით. მე ბევრს ვეცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა... დიდი მადლობა, მარიამულ და იმედი მაქვს თქვენი. გაიხარეთ და გამრავლდით. იქნებ ვინმემ რამე იცოდეს მასზე. „გზავნილების“ მეშვეობით გამაგებინოთ, გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ. გმადლობ.

•ისა და საკუთარ ლექსს, სხვაგან ან სხვისთვის მიძღვნილს რომ წაიკითხავს ადამიანი, როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეს და რა უნდა ქნას, ნეტავ? ცივი წყალი დალიოს ან ღრმად ჩაისუნთქოს? უჰ, ღრმად ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა თუ მიშველის, აჰა, პარაზიტივით ვფშუი... მაგრამ რაა? არაფერი. SWEET-GIRL.

•ფინტიკოზა, ბედნიეროოო... კიდევ კარგი, შენი მისამართი არ ვიცი, თორეეე... წამოგაცუნცულებდი მაგ შენი თუთიყუშიანად და ნახავდი მერე... ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარს ეგეთი სულიერი არსებები... ამას წინათ მე და სკარლეტს პატარა ლეკვუნია გადაგვეყარა გზად. ჰოოდა, რას ვიზამდი მე, გარდა იმისა, რომ ხელს დავავლებდი და წამოვიყვანდი? ასეც მოვიქეცი... ჩვენს ზღვაში ჭყუმპალაობაში ხომ მოიარა მთელი პლაჟი, მერე პატარა ბავშვისთვის დადგმულ, გასაბერ აუზშიც ჩახტა და მერე რომ მივიხედ-მოვიხედეთ, აღარსად იყო... არადა, დღემდე მაწუხებს სინდისის ქენჯნა... ან რას წამოვიყვანე, ან თუ წამოვიყვანე, რატომ არ მივხედე? მინდა, ჩემი ზოოპარკი მქონდეს... უცნაური სურვილია, არაა? ჰო, ჰო, ვიცი... და კაი ახლა, დაცინვებს არ ვართ... SWEET-GIRL.

•რაღა უჭირს „გზას“? ერთი პროვოკატორი ჟურნალის თავში ჰყავს (უნიჭიერესი ადამიანი) და სხვა დანარჩენი შუაშია თავმოყრილი, ანუ „გზავნილებში“ (ცუდი შედარებაა, მაგრამ). მარის თქმის არ იყოს, რაღას უფითილებთ ამ მისტერს? რა გინდათ, წეროს ბავშვმა, თავისას ისწორებს, ნუ მიაქცევთ ყურადღებას და გაჩერდება... ატყდება ახლა ისევ ერთი ამბავი, გაწევა-გამოწევა, მერე ვიღაც უცხო ნიკით დაწერს, ვიღაც მეცამეტე გოჭივით გამოხტება და წავიდააა... ჩვენ კი მერე ისღა დაგვრჩენია, ვალერიანის წვეთები დასამშვიდებლად, ნიშადური — მოსასულიერებლად და სხვა ატრიბუტები შემოვიწყოთ ირგვლივ ხუთშაბათობით, რომ გული არ წაგვივიდეს, „მობილიზაციის“ ნახვისას... გამოვცადეთ უკვე და აღარ გვინდა მეტიიი... SWEET-GIRL.

•პირმშვენიერო მარი, მინდა ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება. ყველას ჰყავს გამორჩეული მასწავლებელი და არც მე ვარ გამონაკლისი. ის ერთ-ერთ ბაღნაროვან (ქუჩის დასახელების ერთგვარი ანალოგიაა) ქუჩაზე, დაწყებითების მასწავლებელია. მისი ანცად მომზირალი თვალები უმალ დაგატყვევებთ ზღვარგადასული კეთილშობილებითა და კდემით. ჩემთვის კი იგი ცხოვრების სიხარული და დიდი მაკვარანცხია. ამიტომაც, მთელი „გზავნილეთისა“ და სრულიად საქართველოს გასაგონად კი არადა, დასანახად მივუძღვნი ამ ვარიაციას (ბატონ ტერენტის ჩემი მდაბალი, მუხლმოდრეკილი ბოდიში, ასეთი უტიფრობისათვის). მე დავდიოდი მასთან მარადის/ მე დავდიოდი მასთან დაღლილი/ მასთან მიმქონდა მე ეს ბარათი/ მასთან მიმქონდა მე ეს გზავნილი. ჩუდო ჩელოვეკ.

•ბევრი ადამიანის საიდუმლო ვიცი. მარტო ჩემი ნაცნობ-ახლობელ-კლასელ-მეზობელ-მეგობრისა და დაქალის სიყვარულის ამბები რად ღირს, თან ზოგიერთის ისეთია, სიტყვა რომ დამცდეს, უეჭველი მოკლავენ და მეც მიმაყოლებენ ზედ. ისიც ვიცოდი, თუ ვინ რეკავდა ზარს ღამის 2 საათზე, ჩემს ტურფა მეზობელთან და აღვიძებდა, მაგრამ როცა მეკითხებოდნენ, საიდუმლოს არ ვცემდი. :) ერთხელ, ღამის 3 საათზე, სრულიად უცხო გოგონა გვესტუმრა. ადრე ჩვენს ბინაში ცხოვრობდა. წასასვლელი არსად ჰქონია და იცით, ჩანთაში ათასობით დოლარი აღმოაჩნდა და მეორე დღეს, იმავე ჩანთაში რამდენიმე კილო ოქრო იდო. ლომბარდში ჰქონდა და გამოიტანა და ეს ჩანთა რამდენიმე დღე ჩვენს ბინაში იყო ჩემი, ჩემი დისა და რამდენიმე მეგობრის იმედზე. თან კარგად მოვულხინეთ, ერთად წავილოთავეთ კიდეც. ესეც ჩვენი სხვისი განძის საიდუმლო. ფლამინგო.

•თუ გაიგეთ, ფლამინგო გარდაიცვალაო, არ შემიბრალოთ, რადგან სიხარულისგან და დიდი ბედნიერებისგან გული გამისკდება, რადგან ამდენი თბილი და ტკბილი სიტყვების წაკითხვისა და უსაყვარლესი მეგობრების არსებობის და მათგან წამოსული ამხელა სითბოს შემდეგ რა დამემართება, აბა? :) ლაკვასტიმ ხომ მთლად გამაგიჟა, ისეთი კარგია, რომ სულ მინდა, ვწერო და ვეჭიორაო საყვარელო, მახსოვხარ კი არა, შენს სმს სათუთად ვინახავ, რადგან მენანება გულიდან ამოსული ამდენი თბილი სიტყვის წაშლა. ძალიან კარგი ხარ დაიკო, ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანი. აბა, თუ იცით, ბედნიერების საიდუმლო სად არის? მე — კიიი! ფლამინგო.

•ლუნა და კოზანოსტრა, მაგრად მომწონს თქვენი სმს-ბი. საკალელი ვინმეები ხართ. მე ახალი ვარ. გაკოცეთ. ფერია77.

•მოგესალმებით ყველას. ძალიან გამიხარდა „გზაში“ ჩემი სმს რომ ვნახე... რაც შეეხება თემას, პირადად მე სხვისი საიდუმლო არასდროს გამიმხელია, მაგრამ ჩემი საიდუმლო ერთმა უღირსმა გოგომ გაამხილა, რაზეც მაგარი გული დამწყვიტა. მინდა მივმართო მას: გრცხვენოდეს საკუთარი თავის... ვიცი, ამ სმს წაიკითხავ. თიკ93.

•მარი, გეძახი გოგოოო! :) აუ მაარ, ორშაბათს სწავლა მეწყება. მენერვიულება. ახალი ბავშვები, ახალი გარემო, მშობლებისგან ცალკე ცხოვრება, მაგრამ გულის რომელიღაც კუნჭულს მაინც უხარია. სხვა თუ არაფერი, ახალი ცხოვრების დასაწყისია. მაარ, მიყვარხარ. ფიფქია.

•ჩემი ბევრი სმს არ დაბეჭდე მაარ და რეიზა ასეთი სისასტიკე? მისტეერ, კაი იყო, მარიამ რომ მიგასვაა? პირველი მგზავნელებში არ ხარ, მაგრამ უკანასკნელი კაცის შთაბეჭდილებას ნამდვილად ტოვებ. შემობერდი ჟურნალების კითხვაში და ჯობია, გაიძურწო. წყევლა.

•მარია, ლუნა, ლაკვასტი, ჯაყისმანელი, გიჟპოეტა, მოხიბლული ვარ თქვენით, საუკეთესოები ხართ. წყევლა.

•უბედურებაა, როცა ადამიანის გული გამაძღარი და კმაყოფილია, ხოლო როცა იგი მშიერია და გლახაკი, ეს უფრო კარგია. გლახაკი ძლიერი ყინვის დროსაც კარდაკარ დარბის და მათხოვრობს. წავიდოდა სამათხოვროდ, პურის ნატეხი რომ ჰქონოდა? როცა უბედურებას გრძნობს ადამიანი, მის შფოთსა და შრომას დასასრული არ უჩანს. ასევეა

გულიც! როცა მას უბედურების, სიგლახისა და შიმშილის გრძნობა ეწვევა, მოსვენებას არ აძლევს იგი არც სხეულს, არც სულს. ხან ამას აკეთებს, ხან — იმას. თავს არ იბრალებს და ნებისმიერ შრომას არად დაგიდევთ. შიმშილსა და უბედურებას კი უფალი უგზავნის მლოცველსა და მავედრებელს. ეს ჯანმრთელობის ნიშანია. ავადმყოფს კი მადა არ აქვს, იგი მაძღარია, თუნდაც ერთი კვირა არაფერი ჭამოს. უფალო, შეგვინყალენ! მოკლედ, ძაფით დაბმული ჩიტი აფრინდება და ჩამოვარდება, ისევ აფრინდება და ჩამოვარდება. როცა ძაფი გრძელია, ჩიტი უფრო მაღლა და შორს გაფრინდება, მაგრამ ისევ თავისი მიჯაჭვულობის ადგილზე ეცემა. ძაფი რომ არა, გაფრინდებოდა ჩიტი მწვანე ველებისაკენ. დიდ გალიებშიც დაფრინავენ ჩიტები, მაგრამ თავისუფლება არა აქვთ მათ. როგორ დავიხსნით თავს? როდესაც ცეცხლი ემუქრება დაბმულს, ისეთი ძალით გაიწევს, რომ რკინის ჯაჭვს გაწყვეტს, არათუ სუსტ ძაფს: რაღა დაგვრჩენია, დაანთე უბედურების ცეცხლი შენ გარშემო, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს, უდროობაშიც ზოგჯერ ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავენი. უმჯობესია, წინასწარ არაფერი ჩაიფიქროთ, არც მონასტერში წასვლა და არც მონასტრის იქით, რამე თუ ამის ძალები არ გაქვთ... თქვენი შინაგანი უნდა შეამფოთოთ და ააფორიაქოთ, რომ არ დაეძინოს. ძილში სამსონიც კი შეკრეს, თმა შეჭრეს და ძალები ნაართვეს. როცა გულში მონასტერია, მაშინ მონასტრული წყობა გინდა იყოს და გინდა არა, სულ ერთია. გულში მონასტერი, აი, რა არის: ღმერთი და სული კაცისა. ოღონდ თუ კი ღმერთი მოგიხმობს მონასტერში, უნდა წახვიდე. ოღონდ წინასწარ ნუ იფიქრებთ, რა შეგხვდებათ იქ. წარმოდგენაც არ შეგიძლიათ. თითოეული იქ ხვდება იმას, რაც სწორედ მას სჭირდება. ერთი მაგალითი მეორესას არ ჰგავს. უმჯობესია, ღვთის ნებას მიენდო და ყოველივე მიიღო ისე, როგორც ღვთის ხელიდან მომავალი! დიდება უფალს... ლაკვასტი.

•ერთ მშვენიერ, სიცხიან დილას მძინავს კეთილი ძილით. უეცრად ტელეფონის ხმა მაღვიძებს. ცალი თვალით ძლივს დავხედე ტელეფონის ეკრანს. მესიჯი იყო მოსული. მწერდა 9717 (შემდეგ გაირკვა ვინ იყო). „ლაკვასტი, შენზე მიამბეს, პოეტობს... კაიფი უყვარს ფრთიანი, იუმორი აქვს კახური, სიტყვას მაჰყვება წყლიანი“. წაკითხვის შემდეგ მეორე თვალიც ინსტინქტურად გავახილე და ასევე ინსტინქტურად, ცერა თითი ავამუშავე, ტელეფონის კლავიატურაზე. „მართალი უთქვამთ, ვპოეტობ, ვცდილობ ლექსები ვამზეო, იუმორსაც ვსხლავ კახურად, ერი რომ ამით ვამხნეო“. 9717-მაც არ დააყოვნა და რამდენიმე წუთში კვლავ გაისმა სმს-ის ხმა: „კარგად ლექსაობ გოგონი, ეთამაშები მუზებსა და მაინც ფრთხილად იყავი, ერიდე კელა-ბუზებსა“. ამას დააყოლა, თურმე მე კახური იუმორი ნაკლებად მაქვს. ამის ამოკითხვის შემდეგ თვალები ოდნავ მოვჭუტე და უფრო მონდომებით ავამოძრავე ცერა თითი კლავიატურაზე და კახური რითმაც არ დავიშურე, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი პუბლიკას: „აბა რა ვუყო მიშიკო, ლექსი ხომ ჩემი სტილია, თამაში მიყვარს მუზებთან, ბუზი ფეხებზე მკიდია“. ამის შემდეგ ჩემი მისამართით კახურკაიფიანი სიტყვები გამოუშვა და მეც ამ რითმით ვუპასუხე: „ამჯერად მე შენ დაგითმობ, დილაა, სადილ მშიანო, ტვინი აღარა მუშაობს, სათქმელს კარგს ვერა თქმიანო, წავალ ხემსს ვიზამ ცოტასა, მერმე ისეთ რამ გიამბობ, კახელთა სიცილ-ხარხარი ალაზნის ველსა წვდიანო“. იმ დღეს ამ მეტად ნიჭიერმა, უშუალომ, პოეზიაში ღრმად ჩახედულმა ადამიანმა, 9717-მა მიმახვედრა კიდევ ერთხელ, რომ ცხოვრება მშვენიერია. დიდი მადლობა მიშიკო, ამისათვის. ასევე მინდა მოვესიყვარულო დინჯ და გაწონასწორებულ ფლამინგოს, შეუდარებელ კლეოპატრას, ყველაზე მოუცლელ და უთბილეს ედელვაისს და ღამაზი სულის ქალბატონს, ნანი დუმბაძეს. მე ბედნიერი ვარ, რომ მომეცა უფლება, თქვენთან ოდნავ ახლოს მოვსულიყავი და ამისთვის დიდი მადლობა ჟურნალ „გზას“ და ჩემს უმშვენიერეს მარის. დიდი მადლობა, რომ არსებობთ. თქვენზე უაზროდ შოკირებული ლაკვასტი.

•სანამ გზავნილზე გადავალ, ჩემი პაუზის მიზეზები მინდა აგიხსნათ (მოსწავლეები რომ ვიმართლებთ თავს დამრიგებლის წინაშე, ისე ვარ). უპირველეს მიზეზად იმას დავასახელებ, რომ თითქოს ამოვიწურე, როგორც მგზავნელი. ჩემი მოწერილი ამბების შინაარსი სხვადასხვა იყო, წერის სტილი კი იგივე... მე თვითონ აღარ მომწონდა უკვე ჩემი მზისსხივნაღირსები ან „განსვენებული“ გზავნილები. ჰოდა, პაუზა ავიღე და დავფიქრდი. ჰოოდა, ამ ფიქრის დროს ბევრ რამეს მივხვდი (კაი ყოფილა ფიქრი, ხომ იცით). ამიერიდან თუ რამეს მოგწერ, თემის შესაბამისად ან შეუსაბამოდ, მაქსიმალურად სადად, ვაი-პომპეზურობის, გაჰიტებული ტერმინების გარეშე... მაქსიმალურად ქართულად და თუ მაინც ვიხილავ ჟურნალის ფურცლებზე, ე.ი. მცოდნია წერა, რას მერჩით? ჰო, კიდევ, პაუზის დროს აი, რას მივხვდი: მგზავნელობა ბლოგერობას ჰგავს, რაღაცით, თავიდან ადვილია წერა. წერ უმისამართოდ, ყველა თემაზე. ძირითადად მაშინ, როცა ძალიან კარგად ან ცუდად ხარ. ბლოგერობას ერთი ნაკლი აქვს, გამსწორებელი არ ჰყავს და ზოგიერთი ბლოგისკენ გახედვაც არ მოგინდება (ყველას არ ეხება, ცხადია). გზავნილებს კი მარი, შენ ახარისხებ, ასწორებ და ჩვენამდე დახვეწილი სახით მოგაქვს. ბლოგერს შეუძლია ერთი პროფილი აირჩიოს (ვთქვათ, კინოხელოვნება, ლიტერატურა, ფოტოგრაფია ან სულაც ელექტროდღიური შესთავაზოს მკითხველს). „გზაში“ კი ერთ თემას ვერ მიაკვდები. თემები იცვლება და ჩვენც ზოგიერთი უბრალო ამბის მოცემულ თემასთან დაკავშირებას ვსწავლობთ. ამის შემდეგ შეიძლება მკითხოთ, აბა რით ჰგავს ბლოგები „გზავნილებსო“? მე, როგორც „გზის“ და ზოგადად ბლოგების აქტიური მკითხველი, მსგავსებას იმაში ვხედავ, რომ „გზავნილებშიც“ და ბლოგებშიც ხშირად ერთმანეთის მსგავს ამბებს სხვადასხვა რაკურსით, სხვადსხვა ადამიანის ხედვით ვნახულობთ... რაც მთავარია, „გზავნილებიც“ და ბლოგსამყაროც ვირტუალურია, მაგრამ რეალობას ოდნავადაც არ სწყდება... ჰოდა, შევესიოთ „გზას“ და ბლოგებს. შენ კი, მარი, პერსონალური მადლობა. შენგან ბევრის სწავლა შეიძლება, რაც დამწყებ ან სტაჟიან ბლოგერს უბრალოდ წერის და ქართული ენის ჩემსავით მოყვარულს გამოადგება. მადლობა მარი. პ.ს. მე დავბრუნდი (მარა პაუზებს ისევ ვერ გამოვრიცხავ, ჩემი მომავალი აბიტურიენტობის გამო). ჩუპი.

•არ ვიცი, ჩემი ნაწერი შეესაბამება თუ არა თქვენს თემას, მაგრამ ძალიან მინდა, რომ დამიბეჭდოთ.

•მთავარია დოკუმენტი (როსტომ ყენია). ზეიმი აქვთ ნადირთ მოდგმას, ყველა ერთად შეიყარა, ლომი, ვეფხვი ავაზები, მელიები — მაბეზღარა, დათვი, მგლები და ტურები, აფთრები და ენოტები, ვეფხვმა ბრძანა: — მაშ, დავიწყოთ, ნეტავ ვიღას ველოდებით? სწორედ ამ დროს მოედანზე, შემობრძანდა დინჯად ვირი. გადახედა ნადირთ მოდგმას, აიბზიკა მაღლა ცხვირი და შესძახა — აქ უზემოდ რა თათბირი გაგიმართავთ? რატომ არ შემატყობინეთ? სთქვით, ეს როგორ დაგემართათ?! შეიშალა ნაღდად ვირი, უთხრა მგელმა მელაკუდას, ვირისაგან ეს რად გიკვირს? ვირი? ვირი არის მუდამ. რაო, რაო? ვირი შენ ხარ, მე ვარ თქვენთვის კარგის მდომი და იცოდეთ, დღეიდან ვარ თქვენი მეფე, თქვენი ლომი. ამ დროს ლომმა დაიქუხა და განერთხო ყველა მიწას, — ლომი მე ვარ, ყველას მოგსპობთ, ყველას გაგსრესთ, ღმერთსა ვფიცავ, — ლომი შენ ხარ? — უთხრა ვირმა, — როგორ, შუბლზე გაწერია? გთხოვთ მიბოძოთ დოკუმენტი, ერთი ვნახოთ, რა წერია? — რა დოკუმენტს? გეუბნები, კბილები მაქვს, მაქვს ფაფარი, სადაც მივალ, ჩემი შიშით ძრწის, კანკალებს მთა და ბარი. ტორს რომ ჩაგცხებ მართლა ვირო, დაგესხმება უმალ რეტი. თვალებიდან ცეცხლებს გადენ, მაშინ მთხოვე დოკუმენტი. — ნუთუ მართლა? ეს რა გვესმის? დატრიალდა ტყეში ჯარა, ვირმა თავის დოკუმენტი ლომს თვალებზე მიაფარა, ლომი შეცბა, გაიტრუნა, საქმე არის გასაკვირი. დოკუმენტში ჩაუბეჭდავთ: — ნადირთ მეფე არის ვირი. — ამას ასე არ დავტოვებ, ნადირთ მოდგმა ვირმა მართოს? და სიმართლის დასადგენად გაიმართა სასამართლო. სამართალს სჯის დიდი სპილო, ნიანგები, აქეთ-იქით. ვირის მხარეს იცავს მელა, სხარტი ენით, კუდის ბრექით და იმსჯელა სასამართლომ, ბევრი ჰქონდა მოსასმენი. ბოლოს, სპილომ წაიკითხა საბოლოო განაჩენი. ლომი ვიცით არის ლომი, ვირი ვიცით არის ვირი, მაგრამ ვირს აქვს დოკუმენტი და ეს არის გასაკვირი. ლომსაცა აქვს დოკუმენტი, რომ ის არის მართლა ვირი, ჩვენ ბევრს აღარ მოგახსენებთ და ვიქნებით სიტყვაძვირი. დავადგინეთ საბუთების და ფაქტების დამტკიცებით, სწორედ ლომი არის ვირი! ვირი არის — დასტურ ლომი! მორალი ამ იგავისა რაღა ვინდათ ამის მეტი? შენს კაცობას ვინ კითხულობს? მთავარია დოკუმენტი! ნანი დუმბაძე.



გილოცავ!

• ჩემს მონატრებულ შვილს, ახალციხეში, მერაბი აბრამიშვილს ვულოცავ 19 სექტემბერს დაბადების დღეს და მთავარანგელოზობას. ბედნიერი და ჯანმრთელი მეყოლე მთელი ცხოვრება, ჩემო 3 წლის უნახავო შვილო. ძალიან მიყვარხარ და უზომოდ მენატრები, ჩემო ბუთხუზა. დედიკო.

• ზვიად ბიწაძე, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, ოჯახთან ერთად. გაიხარე, გამრავლდი. ბედნიერება და ჯანმრთელობა არ მოგაკლოს უფალმა. მზია ბებო.

• ზვიად ბიწაძე, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ყველა ამქვეყნიურ სიკეთეს. გაიხარე, გამრავლდი. სიდედრი თამუნა, ცოლისძმა, ნიკა სტურუები. გკოცნით.

• ჩემს უსაყვარლეს ადამიანს, ეკა ელიოზაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 18 სექტემბერს და ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს, თავის ოჯახთან ერთად. ნანა.

• ჭრიჭის ვულოცავ გაბედნიერებას. უფალი იყოს თქვენი შემწე, ყველგან და ყოველთვის. ძალიან მიყვარხარ, დაი. კლეოპატრა.

• 2 წლის ნანო ხაჩიშვილს 19 სექტემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. უფლისგან დალოცვილი ყოფილიყავი. გაგეხარებინოს შენი მშობლებისა და პაპა-ბებიების გულები. ზოია ბებო.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფაქტ-აუდი

ნობელის პრემია



• დინამიტის გამომგონებელმა — ალფრედ ნობელმა დააწესა პრემია, რომელსაც მოგვიანებით მისი სახელი ეწოდა. ჯილდო ხუთ ნომინაციაში (ფიზიკა, ქიმია, ფიზიოლოგია, მედიცინა, ლიტერატურა და მშვიდობის დამყარება ხალხთა შორის) გაიცემა.

• 1969 წლიდან შვედეთის ბანკმა ეკონომიკის დარგში საკუთარი ჯილდო დააწესა.

• ნობელის ფონდი 1900 წელს შეიქმნა. მისი კაპიტალი 31 მლნ შვედურ კრონს შეადგენდა (ახლანდელი კურსით, 1,5 მლრდ კრონი). პირველი პრემიის დროს 150 ათასი კრონი გაიცემოდა. ახლა ჯილდო დაახლოებით 10 მლნ კრონია.

• ოქტომბრის დასაწყისში ნომინანტებს ასახელებენ, დაჯილდოება ყოველი წლის 10 დეკემბერს (ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეს) ორი ქვეყნის დედაქალაქში — შვედეთსა და ნორვეგიაში იმართება. ოსლოში ჯილდოს, მშვიდობის დარგში გამარჯვებულს გადასცემენ, ხოლო სხვა ნომინანტებს — სტოკჰოლმში. გამარჯვებულს ფულად ჯილდოსთან ერთად, ნობელისგამოსახულებიან მედლითა და დიპლომით აჯილდოებენ.

• ნობელის პირველი ბანკეტი 1901 წლის 10 დეკემბერს გაიმართა. ახლა ბანკეტი ქალაქის რატუშის ცისფერ დარბაზში იმართება. წვეულებაზე 1300-1400 ადამიანს იწვევენ. მამაკაცებს ფრაკები აცვიათ, მანდილოსნებს — საღამოს კაბები. წვეულებისთვის მენიუს სექტემბერში ადგენენ. კერძებს რატუშასთან არსებული რესტორნის საუკეთესო მზარეულები ამზადებენ. მენიუ წვეულებამდე საიდუმლოდ რჩება. მაგიდებს მოწვეული დიზაინერი აფორმებს. სუფრებსა და ხელსახოცებს კუთხეებში ნობელის გამოსახულება ამშვენებს. დარბაზი სან-რემოდან გამოგზავნილი 23 ათასი ყვავილით ფორმდება.

• 1991 წელს ნობელის საიუბილეო (90 წლისთავისთვის) ექსკლუზიური სერვიზი ორგანიზატორებს 1,6 მლნ დოლარი დაუჯდათ. იგი 6750 ჭიქის, 9450 დანა-ჩანგლის, 9550 თეფშისა და ერთი ჩაის ჭიქისგან შედგება. ეს უკანასკნელი, პრინცესა ლილიანას ეკუთვნის, რომელიც ყავას არ მიირთმევს.

• ბანკეტზე ყველა მოქმედება წუთების სიზუსტითაა გათვლილი. მაგალითად, სტუმრებისთვის კერძების მირთმევას ოფიციანტები 2, ხოლო ნაყინის დარიგებას — 3 წუთს ანდომებენ. ცისფერ დარბაზში სამეფო ოჯახი ზუსტად 19 საათზე ცხადდება. ბანკეტი ნაყინის გამოტანით მთავრდება. 22:15 სთ-ზე მეფის ბრძანებით, ცეკვები იწყება; 1:30-ზე სტუმრები იშლებიან.

• ყველა მსურველს ბანკეტზე გამოტანილი კერძების დაგემოვნება სტოკჰოლმის რატუშასთან მდებარე რესტორანში შეუძლია. მენიუ 200 დოლარი ღირს და მას ყოველწლიურად 20 ათასი ადამიანი აგემოვნებს.

• პრემიის გადაცემისა და წვეულების შემდეგ, კონცერტი იმართება. მასში სკანდინავიის ქვეყნების კლასიკური მუსიკის შემსრულებლები მონაწილეობენ. შემსრულებლები ბანკეტზეც უკრავენ.

• ამბობენ, რომ ნობელმა პრემია საკუთარი დანაშაულის გამოსასყიდად დაამტკიცა, რადგან დინამიტის გამოგონების შემდეგ ფრანგულმა გაზეთებმა ნობელს „სიკვდილის გამყიდველი“ უწოდეს.

• 508 ნომინანტი ქალიდან, ნობელის პრემიის მფლობელი მხოლოდ 11 გახდა. მათ შორისაა — მარია სკლოდოვსკაია-კიური (ფიზიკისა და ქიმიის დარგში) და ლინუს პაულინგი (ქიმიისა და მშვიდობის დამყარება ხალხთა შორის), რომლებმაც ჯილდო ორ-ორჯერ მიიღეს.

• მამაკაცთაგან ჯილდო ორჯერ მიიღეს — ჯონ ბარდინმა (ორივე ჯილდო — ფიზიკის დარგში) და ფრედერიკ სენგერმა (ორივე ჯილდო — ქიმიის დარგში).

• ნობელის პრემია ორგანიზაციებსაც გადაეცემა. საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაცია ჯილდოს მფლობელი სამჯერ — 1917, 1944 და 1963 წლებში გახდა, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა კომიტეტი

— ორჯერ — 1954 და 1981 წლებში.

• ჯილდოს მხოლოდ გამოჩენილი მეცნიერები როდი იღებენ. 1926 წელს ნობელის პრემია გადაეცა იოხანეს ფიბიგერს. იგი დაინფიცირებული ტარაკნებით ვირთხებს კვებავდა და მათში კიბოს უჯრედების წარმოქმნას იკვლევდა.

• არსებობს ნობელის საპირისპირო — ანტინობელის (შნობელის) პრემია; მას იმ გამოგონებების ავტორებს გადასცემენ, რომელთა ცდების გამეორება წარმოუდგენელია. ნომინაციას ხუმრობით დაარქვეს: „მიღწევა, რომელიც ჯერ სიცილს, შემდეგ დაფიქრებას იწვევს“. ეს პრემია 1991 წელს მარკ აბრაჰამსმა დააწესა. დაჯილდოება ოქტომბრის დასაწყისში, ნობელის პრემიის ნომინანტების დასახელების შემდეგ ტარდება.

• რამდენიმე წლის წინ ანტინობელი გადაეცა ამერიკელ ფერმერს, რომელმაც დაამტკიცა, რომ ძროხა უფრო მეტ რძეს მოიწველის, თუ მას მეტსახელი ექნება. შვეიცარიელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტის შედეგად დაადგინეს, რომ ადამიანისთვის ერთნაირად საზიანოა ლუდით სავსე და ცარიელი ბოთლის თავში ჩარტყმა. ■

რისი სჯერათ და რისი არ სჯერათ...

ძველად, ავი თვალისგან დასაცავად, ყველა ბერძენს ჯიბეში (ჩანთაში) ღამურის ძვალი ედო. ამასთანავე, ცხოველის მოკვლა ავისმომასწავებელ ნიშნად მიიჩნეოდა. ასევე ავი თვალისგან დასაცავად, ბერძნები საკუთარი სახლის ეზოებში კაქტუსებს რგავენ.

არც ერთი ინგლისელი არ გახსნის სახლში ქოლგას და არ დააწყობს ფეხსაცმელს მაგიდაზე, რადგან ეს სიკვდილის მომასწავებელი ნიშნებია.

უბედურება რომ არ მიიზიდოს, იაპონელი არასდროს უპასუხებს ძილში მოლაპარაკე ადამიანს; ხელს არ მოჰკიდებს გატეხილ სავარცხელს და არ გადაიღებს სურათს ორ ადამიანს შორის მდგომი ან მჯდომი.

იტალიელებს ავი თვალის ძალიან ეშინიათ. მათ ზეითუნის ზეთის საშუალებით შეუძლიათ, გაიგონ, გათვალულია თუ არა პიროვნება. ამისათვის, ნაკურთხ წყალში ზეითუნის წვეთს აწვეთებენ; თუ ის ფორმას შეინარჩუნებს, ყველაფერი კარგადაა, ხოლო თუ წყალს შეერევა, გათვალულია.

ჩინელების აზრით, ცოცხში სულები ცხოვრობენ. სახლიდან ჭუჭყის გახვეტა შეიძლება, მაგრამ ცოცხით წმინდანების ქანდაკებების გაწმენდა აკრძალულია... თუ არ გსურთ, ადამიანს უბედურება დამართოთ, ცოცხით არ სცემოთ.

ჩინეთში ბედნიერების მომტან ციფრად 8 ითვლება, უბედურების — 4 (ის ისევე გამოითქმის, როგორც „სიკვდილი“). ასევე ცუდი ციფრია 1 — მარტოობას ნიშნავს. ■



ქეთათო ჩარკვიანის სასაცილო და საყვარელი ოთხფეხა მეგობარი — კაფკა

„ქალბატონ“ კაფკასთან ქეთათო ჩარკვიანს 10-წლიანი მეგობრობა აკავშირებს. კაფკას უცნაური გარეგნობა ყურადღებას იქცევს, მაგრამ ძაღლის წინაპრების შესახებ არავინ არაფერი იცის. ქუჩაში ცხოვრებისთვის განწირული სასაცილო ლეკვი წლებია, რაც ჩარკვიანების ოჯახის სრულუფლებიანი წევრია.

ეთო ყორლანაშვილი

— უკვე 10 წელია, რაც ჩემი ოთხფეხა მეგობარი — კაფკა ჩვენი ოჯახის სრულუფლებიანი წევრია. მახსოვს, გვიანი შემოდგომის ერთ-ერთ მზიან დილას მაღაზიაში პროდუქტების საყიდლად მივედი. დახლთან პატარა, უსაყვარლესი, საოცრად სასაცილო შესახედაობის ლეკვი დავინახე: გრძელცხვირა, „მელიისფერი“, გაბერილი მუცლით. კომიქსის გმირს ჰგავდა! თურმე, დოდო აბაშიძის სახელობის ბაღში ობლად უთენდებოდა და უღამდებოდა, სადაც ბავშვები ეთამაშებოდნენ, ხანდახან თამაში წვალებაში გადადიოდა. ერთ-ერთ დილას, როცა „მელიქიშვილზე“ მანქანების ნაკლებობა იყო, ქუჩა გადაჭრა და სურსათის მაღაზიას შეეკედლა. ჩვენი შეხვედრაც სწორედ იმ მაღაზიაში მოხდა. გამყიდველს ლეკვზე გული შესტკიოდა და ხალხს სთავაზობდა — ხომ არ წაიყვანთო? მაგრამ ჩვენთან ლეკვის ქუჩიდან აყვანის აღბათობა ძალიან მცირეა. რა თქმა უნდა, ადამიანები ამ საყვარელი არსების „ერთჯერადი“ მოფერებით კმაყოფილდებოდნენ და ლეკვის ბედში ჩარევას არ გეგმავდნენ. მახსოვს, გულისცემა გამიხშირდა და გამყიდველს მორიდებით ვუთხარი: თუ ჩემი კატა არ გააპროტესტებს, ძაღლს მე წავიყვან-მეთქი. თავის დაზღვევის მიზნით, რეზერვში 1 დღე დავიტოვე: თუ კატა და ლეკვი ვერ დამეგობრდებოდნენ, ლეკვს უკან დავაბრუნებდი. გრძელცხვირა არსება ქურთუკში ჩავისვი და სახლში მივიყვანე, სადაც ახალი ბინადრით, მისი განსხვავებული სუნით გაოგნებული ჩემი კატა, სახელად — შიში საბოლოოდ „დაიშოკა“ და სადღაც მიიმალა! მე და ირაკლიმ გადავწყვიტეთ, რომ ბედის ანაბარა დარჩენილი ლეკვი ჩვენთან დაგვეტოვებინა. სახელიც შევურჩიეთ — კაფკა (მწერალ ფრანც კაფკას პატივსაცემად). მას შემედგ კაფკამ არაერთი ნივთი გადაღეჭგაანადგურა.

— მგრძნობიარე ძაღლია?

— ძალიან ემოციური და სიცოცხლის მოყვარე ლეკვი იყო: პარკეტს „ტორებით“ ქექავდა, რბილ ავეჯს ბდღვნიდა, ჩემი და ირაკლის საცვლების დაუძინებელი მტერი გახლდათ! ლეკვობაში მოსასაქმებლად ხუთჯერ გაგვყავდა, მერე თანდათან, ორჯერად გასეირნებამდე „ჩამოვედით“.

— თქვენი კარგად ესმის? ჭკვიანია?

— ლეკვობიდან ყველაფერი კარგად ესმის, მაგრამ რას აკეთებს, ეს სხვა საქმეა.

— კაფკა რა ჯიშის ძაღლია?

— მისი გასეირნების დროს ხშირად უკითხავთ: ეს უცნაური ძაღლი რა ჯიშის წარმომადგენელიაო? ზოგჯერ ვპასუხობდი: ქუჩის ძაღლი — „დვორნიაშკაა“-მეთქი, რაც ხალხის გაოგნებას იწვევდა, რადგან ეგონათ, ძაღლის სუფთა სისხლს ვმალავდით. ზოგჯერ ვამბობდით, რომ მეტისია (ნაჯვარი). ერთი რამ ფაქტია: კაფკას წინაპართა შესახებ არავინ არაფერი იცის, მაგრამ მისი განუმეორებელი გარეგნობა და ხასიათი ყოველთვის ყურადღებას იქცევს, მე კი ცხოვრებას მილამაზებს.

— თქვენს შვილთან როგორი ურთიერთობა აქვს?

— ბავშვს დიდი მცველივით გაეკიდება ხოლმე, რაც მართლა საოცრად გამოსდის. ჩემი შვილი ძალიან უყვარს.

— კაფკას შინ მარტო თუ ტოვებთ?

— ლეკვობაში მისი სახლში მარტო დატოვება აბსოლუტურ ქაოსს ნიშნავდა! სახლი გადაღრღნილ-გადაჭმული გვხვდებოდა, მაგრამ იმდენად სასაცილო და საყვარელი არსება იყო, რომ ასეთ საქციელს ვპატიობდით. თანდათან ურთიერთობა კატასთანაც მოაგვარა და ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. როცა ქალაქიდან გავდივარ, ძაღლს დედაჩემს ვუტოვებ.

— კაფკას ყეფა უყვარს?

— ჩვენს სახლში არის ყეფა, ყეფა და ყეფა! ძაღლის წყალობით, სადარბაზოში ყოველი ადამიანის გადაადგილების საქმის კურსში ვარ... აი, ასეთი „ქალბატონია“ ჩემი 10 წლის კაფკა (*იღიმის*)! ■

„ნათლობა“ და გრიმის ცხება ყვარლის მარანში

პირველკურსელი სტუდენტების მსახიობად „მონათვლის“ ტრადიცია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალ ათეულ წელს ითვლის. ოღონდ ესაა — წყვეტილად იცავდნენ: ჯერ კიდევ კოტე მარჯანიშვილის დროს შემოიღეს — ახალბედებს თავად ქართული თეატრის „მამა“, აცხებდა სახეზე გრიმს; ეს რიტუალი მისივე სახლის მარანში იმართებოდა; ტრადიცია XX საუკუნის 80-იან წლებში გააცოცხლეს... ახლა კი, XXI საუკუნეში, უკვე მესამე წელია, მესამედ აღდგა.

ელენე ბასილიძე

რამდენიმე დღის წინ პირველკურსელებმა „მსახიობური“ ფიცი დადეს, რის შემდეგაც ისინი ცნობილმა მსახიობებმა „მონათლეს“. „მსახიობად ნათლობა“ ყვარელში, კოტე მარჯანიშვილის სახელობის მუზეუმში, კომპანია „რედიქსის“ მხარდაჭერით გაიმართა.

ნიკა წულუკიძე:

— ძალიან მიხარია, რომ ტრადიცია აღდგა. მსახიობობა ხომ ჩვეულებრივი პროფესია არ არის!.. ეს სტუდენტები კარგი არტისტები უნდა დადგნენ, მათ საზოგადოებისთვის დღესასწაულის მოწყობა ეკისრებათ. დღეს კი მათთვის მოეწყობა დღესასწაული, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დაამახსოვრდებათ. როცა ბავშვები თეატრალური უნივერსიტეტის კედლებში პირველად შემოდიან, არ იციან, სად მოხვდნენ; მათ სტუდენტობა მხოლოდ გართობა და თამაში ჰგონიათ. დროთა განმავლობაში კი აცნობიერებენ, თუ რამხელა პასუხისმგებლობა დააწვათ მხრებზე. ეს ნათლობა ბავშვებს დიდი პასუხისმგებლობის გათავისებაში დაეხმარება. ძალიან მომწონს პირველკურსელები. მათგან ყველა ვერ დადგება კარგი არტისტი, მაგრამ რამდენიმემ მაინც რომ ივარგოს, ძალიან კარგი იქნება. მე უკვე მესამედ ვმონაწილეობ „ნათლობაში“ და მომავალშიც დიდი სიამოვნებით დავესწრები ამ რიტუალს.



გივი ბერიკაშვილი:

— ჩემს ოჯახში მსახიობი არავინ იყო. როცა თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება გადავწყვიტე, ვფიქრობდი, ცოტას გავერთობი და ვიმაიმუნებ-მეთქი... მაშინ რა ვიცოდი, რა მდუღარეში ვადგამდი ფეხს (*იცინის*)?!. თქვენ არ იცით, როგორ მიხარია, დღეს ეს პატარა მსახიობები რომ უნდა „მოვნათლო“ (*იღიმის*). მინდა, თითოეულმა მათგანმა მსახიობობის სირთულე გაითავისოს. დღევანდელი ფიცის დადების რიტუალი მათ მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. რაც ფიცის დადების ტრადიცია აღდგა, არ ვტოვებ შესაძლებლობას, რომ ამ ზეიმს დავესწრო.

მუზეუმის მარანში, სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე ბატონმა ჯემალ ღაღანიძემ ფიცის ტექსტი წაიკითხა, სტუდენტები კი სიტყვასიტყვით იმეორებდნენ. ფიცის დადების შემდეგ, სცენაზე მყოფმა მსახიობებმა სტუდენტები გრიმით მოთხუპნეს. ამ პროცესმა ყველა მსახიობი გაამხიარულა.

ნანუკა ხუსკივაძე:

— დღეს ამ სტუდენტებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა! დარწმუნებული ვარ, ფიცის დადებისა და „ნათლობისას“ თითოეულ მათგანს განსაკუთრებული შეგრძნება ჰქონდა. მახსოვს, როცა პირველ კურსზე ვიყავი, გრიმი ვერიკო ანჯაფარიძემ მაცხო. ისე ვღელავდი, ღამის გული გამისკდა... წელს პირველად ვარ ამ ცერემონიაზე. სამწუხაროდ, შარშან და შარშანწინ გადა-



ღებები მქონდა და ვერ მოვახერხე, ამ შესანიშნავ ზეიმს დავსწრებოდი.

ლევან წულაძე:

— ამ რიტუალზე ყოველთვის დავდივარ, ყოველ ჯერზე დიდ სიამოვნებას ვიღებ და მომავალ თაობასაც ინტერესით ვათვალიერებ. ტრადიცია ძალიან მომწონს.... დღეს ეს მსახიობები იმ დიდი ამქრის წევრები ხდებიან, რომელსაც ქართული თეატრი ჰქვია. ფიცში ერთი არაჩვეულებრივი წინადადებაა: „ვფიცავ, ვემსახურო ქართველ ხალხს!“ დარწმუნებული ვარ, მათგან ყველა ეცდება, ეს სიტყვები შეასრულოს.

თეკა ჯამაკაშვილი, *სტუდენტი:*

— თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტობა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. რომ ჩავირიცხე, სიხარულისაგან ვეღარ ვლაპარაკობდი. დღევანდელი დღე ჩემთვის, ისევე, როგორც ყველასთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან არაჩვეულებრივი ადამიანის, კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში ვიმყოფებით და ფიცისა და „ნათლობის“ ცერემონიაში ვმონაწილეობთ. ვამაყობ, რომ ამ სახლში „მოვინათლე“. დარწმუნებული ვარ, კოტე მარჯანიშვილის — გენიალური ადამიანის შემოქმედებითი აურა, რომელიც აქ ვიგრძენი, აუცილებლად დამეხმარება კარგ რეჟისორად ჩამოყალიბებაში. დღეს, ფიცის დადების ცერემონიაზე ყველას ჟრუანტელი გვივლიდა. ისეთი ამაღელვებელი დღე იყო, ჯერ კიდევ ეიფორიაში ვარ (*იღიმის*). ■

სასკოლო პროგრამაში „დაჩაგრული“ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება — „ქართული პროზის საგანძურში“

დღეს მკითხველმა „ქართული პროზის საგანძურის“ 30-ე ტომი — XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლის, ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებები მიიღო, რომლებშიც მწერალი იმ პერიოდის მთიელი ხალხის ცხოვრებას აღწერს. ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაზე სასაუბროდ, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ლიტერატურული სტუდიის გამგეს — ქალბატონ ნინელი ჩიხლაძეს ვეწვიეთ, რომელიც სინანულით აღნიშნავს, რომ ქართული ლიტერატურის უფროსკლასელთა სახელმძღვანელო უცხოური ნაწარმოებებითაა გადატვირთული, ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებიდან კი ბავშვები მხოლოდ „ხევისბერ გოჩას“ სწავლობენ, თან — ისეთ ასაკში, როცა პერსონაჟების საქციელის აღქმას კარგად ვერც ახერხებენ.

ეთო ყორღანაშვილი

ნინელი ჩიხლაძე:

— პროექტი — „ქართული პროზის საგანძური“ ძალზე მნიშვნელოვანია: გარდა იმისა, რომ დიდი ქართველი მწერლების ნაწარმოებების პოპულარიზაცია აუცილებელია, ახალგაზრდების წიგნთან „მიყვანა“ ჟურნალის საშუალებით უფრო შედეგიანია. სამწუხაროდ, დღეს კარგი წიგნების შეძენა საშუალო ფენის წარმომადგენლებსაც არ შეუძლიათ, „ქართული პროზის საგანძურის“ ტომები კი მკითხველისთვის ხელმისაწვდომია. ლიტერატურა — მასწავლებელია, საოცარი სიმდიდრის — ცხოვრებისეული გამოცდილების მატარებელია. ამ საგანძურს გაფრთხილება სჭირდება. კარგია, რომ ჟურნალ „გზის“ პროექტის საშუალებით, უსამართლოდ მივიწყებულ, „დაჩაგრულ“ ისეთ მწერლებს იხსენებთ, როგორიც ალექსანდრე ყაზბეგია.

— „მივიწყებული, დაჩაგრული“ — რატომ?

— მიმაჩნია, რომ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება სათანადოდ დაფასებული არ არის. ვფიქრობ, არ შეიძლება, სასკოლო პროგრამაში ყაზბეგის ნაწარმოებებიდან მხოლოდ „ხევისბერი გოჩა“ იყოს შეტანილი. მწერლის შემოქმედებაში ადამიანის პიროვნების მრავალწახნაგოვნება ჩანს. ამ მწერლის ცხოვრებაში ბედიც და უბედობაც ერთმანეთთან შერწყმული იყო: კარგ გარემოში დაიბადა, „ხელიხელსაგოგმანებლად“ ზრდიდნენ, ღვთისგან ბოძებული ნიჭით იყო დაჯილდოებული... მერე მამა გარდაეცვალა და ცხოვრებისათვის მოუმზადებელ ყმაწვილს ოჯახის მთელი სიმძიმის საკუთარ თავზე აღება მოუხდა. მისი აღზრდისას დაშვებული შეცდომების „წყალობით“, გიმნაზია ვერ დაამთავრა, ხელმოკლეობის გამო — ვერც უნივერსიტეტი... ალბათ ამიტომ, მისი ყველა ნაწარმოები ტრაგიკული „შეფერილობისაა“. ალექსანდრე ყაზბეგი თავისი ეპოქის საოცარი აღმწერია — არაფერს ალამაზებს! „ელგუჯაში“ რუსული ჯარის ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა, რუსი სამხედროების მიერ დატრიალებული საშინელებები ძალზე რეალისტურადაა აღწერილი, რასაც სხვა ნაწარმოებებში ვერ შეხვდებით: მთიელებმა რუსი სამხედროები გააფრთხილეს, — ურმით მოლიპულ გზაზე ვერ გაივლითო, მაგრამ რუსებმა არ დაიჯერეს — შეგნებულად გვიშლითო! ცხენი მართლა რომ გადაიჩეხა, მაინც ქართველები დასაჯეს — ულელში ქალები შეაბეს! იმ პერიოდში რა ხდებოდა, ამაზე უკეთ როგორ უნდა აჩვენო?!

— როგორც აღნიშნეთ, ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებიდან სასკოლო პროგრამაში მხოლოდ „ხევისბერი გოჩაა“ შეტანილი. ამ ნაწარმოებს რომელი კლასის მოსწავლეები სწავლობენ?

— მეშვიდე-მერვეკლასელები. ეს ასაკი „ხევისბერი გოჩასათვის“ ცოტა ნაადრევი მეჩვენება, რადგან ბავშვებს თუნდაც ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის — ძიძიას საქციელის აღქმა უჭირთ. მოზარდი თაობა ყველაფერს დღევანდელი საზომით უდგება, ხშირად რაღაცებს შეცდომით იგებს. ვფიქრობ, ყაზბეგის შემოქმედების გასააზრებლად, გასაანალიზებლად, სხვა ასაკი და უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო. მის ნაწარმოებებში პიროვნება „დევს“, მთელი თავისი სირთულით, მრავალფეროვნებით. ცხადია, ონისე ერის მოღალატე არ ყოფილა — ადამიანს სიცოცხლეში ერთხელ შეყვარების უფლება აქვს, — მაგრამ როცა შენი ერი განსაცდელის წინაშე დგას, პირადი ბედნიერების უფლება არა გაქვს. დღეს ქართველებში ეროვნული სიამაყის გრძნობა ნაკლებადაა, რაც

ვაჟა-ფშაველასთან ერთად

გულს მტკენს. როცა ქართველების სიზარმაცეზე საუბრობენ, ვბრაზდები: ზარმაცი ერი უფლისციხეს, ვარძიას ვერ გამოკვეთდა, ვერც ნიკორწმინდას ააგებდა. თუ რატომ გავზარმაცდით, დამოუკიდებლობის 200-წლიანმა დაკარგვამ ჩვენი მენტალიტეტი როგორ შეცვალა და ამის შველა როგორ შეიძლება — ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში ყაზბეგის შემოქმედება დაგვეხმარება. არ მახსოვს — სად, მაგრამ ერთხელ წავიკითხე: თურმე ჩრდილოეთ კავკასიაში ძარცვა მოხდა; ერთ-ერთი მძარცველი ქართველი აღმოჩნდა. მანანა ორბელიანმა 40 დღე ძაძები ატარა — ქართველმა ეს როგორ იკადრაო?! აი, ასეთი განცდა ყაზბეგის ყოველ ფრაზაში იგრძნობა! თუ გვინდა, რომ ლიტერატურული აზროვნების განვითარების საკითხში წინსვლა შევძლოთ, ერთ-ერთი, ვისაც მოზარდი თაობა უნდა ეყრდნობოდეს, ალექსანდრე ყაზბეგია.

— მოსწავლეთა სასახლეში სკოლის პროგრამით არ იფარგლებით, შესაბამისად — ბავშვებს ალექსანდრე ყაზბეგის სხვა ნაწარმოებების გაცნობის საშუალებაც აქვთ. ამ მწერლის შემოქმედების მიმართ ახალგაზრდების ინტერესი დიდია?

— ადამიანში ცნობისმოყვარეობის გრძნობა ყოველთვის არის. ვცდილობთ, ბავშვებს ყველა მასალა (შეძლებისდაგვარად) მივაწოდოთ და დასკვნა, ანალიზი თავად გააკეთონ. რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთ წიგნში ალექსანდე ყაზბეგის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული, ჩემთვის უცნობი რამდენიმე ფაქტი აღმოვაჩინე: რუსეთიდან დედას მისწერა, — ცოლი მომყავსო, მაგრამ გოგონა არ გაჰყვა, თუ რატომ — არავინ იცის (შემდგომ არასოდეს გავრცელებულა ინფორმაცია, რომ მწერალს ვინმე მოსწონებოდა). ინტერესი ჩნდება: ეს ის ტრაგიკული სიყვარული ხომ არ იყო, რომელიც ონისესა და ძიძიას ურთიერთობაში გამოხატა?.. ჩემს მოსწავლეებს ვეუბნები: აბა, სხვა ნაწარმოებებიც წაიკითხეთ, იქნებ რაიმე მინიშნება იყოს-მეთქი.

— რას ურჩევთ იმ ადამიანებს, ვინც ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების გაცნობას ან კიდევ ერთხელ წაკითხვას აპირებს?

— დიდი მწერალი იმიტომაა დიდი, რომ ის მხოლოდ „ხაზზე“ კი არა, „ხაზებშუაც“ წერს!.. გამიხარდება, თუკი მკითხველი ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებების „ხაზებშუა“ წაკითხვასაც შეძლებს. მოსწავლეთა სასახლეში უფროსკლასელთა კლუბი — „საფიხვნო“ გვაქვს. ერთხელ სამსჯელოდ, ფსიქოლოგიც მოვიწვიეთ და განვიხილეთ თემა: აღზრდისას დაშვებულმა შეცდომამ ხომ არ განაპირობა ის, რომ მწერალი ცოტათი ჩაკეტილი, გულჩათხრობილი, ტრაგიკული ბედის პიროვნებად ჩამოყალიბდა და საზოგადოებასთან ადაპტირება გაუჭირდა? მოზარდებისთვის საინტერესო მსჯელობა მშობლებისა და შვილების ურთიერთობის თემაში გადაიზარდა. ალექსანდრე ყაზბეგს მართლაც საინტერესო ბიოგრაფია აქვს, ნებისმიერი დიდი მწერლის ბიოგრაფია კი ყველაზე უკეთ მისსავე ნაწარმოებებში იკითხება. ■

გეოგრაფიასა და მათემატიკაზე შეყვარებული ექსპერტის გატაცებები

ხათუნა გახტურიძე

ირაკლი სესიაშვილი — ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში — დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ჩემს შეთავაზებას, ჩამეწერა რუბრიკისათვის — „ერუდიტი“. როგორც გაირკვა, ის ინტელექტუალურ თამაშებში ყოველთვის ენთუზიაზმით ებმება, რითაც მშვენივრად ერთობა. უყვარს ფილოსოფიური ლიტერატურის კითხვა და წუხს, რომ მისი დღევანდელი საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად, სულ სხვა შინაარსის ლიტერატურის კითხვა უწევს. ამბობს, რომ პროფესიით იურისტი, გერმანისტი და ჟურნალისტია. გერმანიაში მშვიდობისა და უსაფრთხოების პოლიტიკაც შეისწავლა. ექსპერტობა კი უბრალოდ დააბრალეს.

პრეამბულის მაგივრ

— ბატონო ირაკლი, ექსპერტობა ვინ დაგაბრალათ?

— ტელემედიის წარმომადგენლებმა, იმის გამო, რომ თავად ასე სჭირდებოდათ... შესაძლოა, უსაფრთხოებისა და ჯარისკაცთა დაცვის საკითხების კარგი მცოდნე ვარ, მაგრამ ძალიან ახალგაზრდა გახლავართ იმისთვის, რომ ექსპერტობაზე მქონდეს პრეტენზია. ეს საქმიანობა ალბათ იმიტომ დამაბრალეს, რომ თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაზე ღიად საუბარი ადრეულ ასაკშივე დავიწყე.

— რამდენი წლის ხართ?

— 37 (*ფიქრობს*)? არა, ჯერ 36-ის.

— რატომ დაფიქრდით?

— (*იცინის*) გამოვთვალე.

— ცუდი მახსოვრობა გაქვთ?

— არა, მაგრამ რაღაც-რაღაცებს მართლა ვერ ვიმახსოვრებ. ლექციებს იმის გამო აღარ ვკითხულობ, რომ სტუდენტების სახელები და გვარები ცუდად მამახსოვრდება და უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები... აი, გეოგრაფიაში კი ნამდვილი „მხეცი“ ვარ.

— ლექციებს რა საგანში კითხულობდით?

— გერმანულს ვასწავლიდი.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— დროის გატარება ოჯახთან ერთად ძალიან მიყვარს, მაგრამ უბედნიერესი ვარ მაშინ, როდესაც სათევზაოდ ან სანადიროდ მივდივარ.

— ეი. იარაღშიც კარგად ერკვევით...

— სხვათა შორის, იარაღი არ მიყვარს, უბრალოდ, ბუნებაში ყოფნა მსიამოვნებს. ხელით თევზაობაზე ვგიჟდები, ძალიან მიყვარს ცხოველები, განსაკუთრებით — ძაღლები.

— მაშინ გადავიდეთ კითხვარზე: მითხარით, რომელია მტაცებელი, ძუძუმწოვარი, ჭკვიანი, საზრიანი და ადვილად შემგუებელი ცხოველი, ძაღლისებრთა ოჯახიდან.

— მგელი.

— კარგი. ახლა იმას შევამოწმებ, როგორი „მხეცი“ ხართ გეოგრაფიაში: სად არის ტიბეტის ზეგანი?

— ჩინეთში.

— დაასახელეთ შოტლანდიის დედაქალაქი.

— ედინბურგი.

— ვინ არის კანადის სახელმწიფოს მეთაური?

— პრემიერ-მინისტრი: ქვეყანა ფორმალურად, ინგლისის დედოფალს ემორჩილება.

— დაასახელეთ ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში.

— მეორე მსოფლიო ომი.

— ვინ იყო რიბენტროპი?

— რიბენტროპი იყო (*ფიქრობს*)... დიდი ბრიტანეთის ცნობილი სტრატეგი.

— ის გერმანელი იყო.

— ვაიმე, მომიკვდეს თავი! სად წავედი?!. რიბენტროპი ნაცისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ.

— კი, ბატონო. ეგრეთ წოდებული „ნაღმების მახეები“ მენაღმეთა ლიკვიდაციისთვისაა განკუთვნილი. რა ხდება, როდესაც მენაღმე ასეთ ნაღმს გააუვნებლებს და მიწიდან ამოიღებს?

— მის ქვეშ მოთავსებული მეორე ნაღმი ფეთქდება.

— რა ჰქვია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობისგან შექმნილ სამხედრო ფორმირებას?

— ლაშქარი.

— რამდენი ტყვია ჩადის ავტომატ „კალაშნიკოვის“ მჭიდში?

— სტანდარტულ მჭიდში 30-ია, თუმცა 40-იც შეიძლება.

— ირანი, იტალია, შვეიცარია, ესპანეთი — ჩამოთვლილი ქვეყნებიდან რომელი არ მდებარეობს ნახევარკუნძულზე?

— ირანი.

— დაასრულეთ ზირაქის ცნობილი გამონათქვამი: „რასაც უნდა აკეთებდე, იფიქრე...“

— (*ფიქრობს*) სამშბოლოზე?

— არა, შედეგზე. რომელ თეატრში მოღვაწეობდა ეროსი მანჯგალაძე?

— რუსთაველის თეატრში.

— სადაური ფირმაა „სიმენსი“?

— გერმანული. ეგ როგორ არ მეცოდინება? გერმანიაში ვსწავლობდი!..

— რა ეწოდება ესტონეთის პარლამენტს?

— ისე, მაგას ძალიან „სტრანი“ სახელი აქვს.

— კი, გეთანხმებით.

— მგონი, სეიმი.

— არა, სეიმი ლიტვის პარლამენტს ეწოდება.

— მაშინ, ცოტა ხანს მადროვეთ... ნამყოფიც კი ვარ იქ (*ფიქრობს*)... ვერ გავიხსენე.

— რიიკუგუ. ვინ არის გამოსახული ორდოლარიანზე?

— უიმე, ორდოლარიანი თვალით არ მინახავს, მაგრამ გეტყვით (*ფიქრობს*), რომ ვაშინგტონი ნამდვილად არ არის; მგონი, ჯეფერსონია.

— მართალია.

— ნახე, რა მაგარი ვარ?! „ამერიკულად" ვიფიქრე.

— ეგ როგორ?

— ამერიკელებისთვის ერთდოლარიანსა და ორდოლარიანს საკრალური მნიშვნელობა აქვს; რაკი ჯეფერსონი მათი „მამაა", ადგნენ და ორდოლარიანზე მისი პორტრეტი დაბეჭდეს.

— რომელ საუკუნეში გამოცხადდა რუსეთში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა?

— X საუკუნეში.

— მეცნიერების რომელ დარგში მოღვაწეობდა ილია ვეკუა?

— მათემატიკაში. ბაბუაჩემის მეგობარი იყო.

— თქვენ როგორ იცით ეს საგანი?

— შესანიშნავად, მათემატიკაზე ვაფრენ.

— წრეწირის სიგრძე რომ ორჯერ გაიზარდოს, რამდენჯერ გაიზრდება წრეწირის რადიუსი?

— ორჯერ.

— ბრტყელ ზედაპირზე ამობურცულ სკულპტურულ გამოსახულებას რა ჰქვია?

— ეგ უკვე მათემატიკა აღარ არის.

— ვიცი, მაგრამ მაინც უნდა მიპასუხოთ.

— რომ არ ვიცი?

— ბარელიეფი. რა ეწოდება ისრების ჩასადებ ბუდეს?

— არც ეგ ვიცი.

— კაპარჭი. როგორ ჯარს ეწოდება კავალერია?

— საცხენოსნოს.

— ვინ არის ავტორი ლექსისა — „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო"?

— ეს ხომ ხალხური ლექსია?!

— დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ ხალხური ლექსი იყო, მაგრამ როგორც გაირკვა, მისი ავტორი რუსებისგან დევნილი პოეტი და ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი — მიხა ხელაშვილი ყოფილა.

— არ ვიცოდი.

— რომელი იმპერატორის მეტსახელი იყო კალიგულა?

— გაიუს იულიუს კეისრის.

— „ერთი ადამიანის სიკვდილი — ტრაგედიაა, ბევრის — სტატისტიკა"; ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— ვერ ვიხსენებ.

— იოსებ სტალინს. — რა ჰქვია შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე უმაღლეს მმართველს?

— (*იცინის*) მიშა...

— ეს — ხუმრობით, სერიოზულად კი ამ სახელს უწოდებდნენ ძველი აღმოსავლეთის მონათმფლობელურ მონარქიებში უმაღლეს მმართველს. მოგვიანებით ასე მოიხსენიებდნენ თავნება ადამიანს, რომელიც სხვის სურვილს არაფრად აგდებდა. მისი სინონიმებია — ტირანი, მტარვალი.

— დესპოტი?

— დიახ. დასახელეთ ქართველი ოფიცერი, 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული არმიის როტმისტრი, წმინდა გიორგის ჯვრის ორდენოსანი (*მაწყვეტინებს*)...

— მაზნიაშვილი?

— არა, მაგრამ გიორგი მაზნიაშვილთან და გიორგი კვინიკაძესთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული არმიის შექმნაში. 1921 წლიდან მონაწილეობდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ საერთო-სახალხო გამოსვლებში, რის გამოც 1923 წელს გენერალ კოტე აფხაზთან ერთად დააპატიმრეს და იმავე წლის 20 მაისს დახვრიტეს.

— ვერ ვიხსენებ.

— სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი. 1922-1924 წლებში რა შენობა-ნაგებობებს აგებდნენ „ჩეკისტები" ქართველი სამხედროების საფლავებზე?

— არ ვიცი.

— საპირფარეშოებს.

— არადა, ზუსტად ეგ ვიფიქრე, მაგრამ მაგის თქმის შემრცხვა. ისიც ვიცი, ეკლესიებში აბანოებს რომ აწყობდნენ...

— აკაკი წერეთლის რომელი ნაწარმოების გმირია ბათუ?

— იმ ნაწარმოებიდან რაიმე ფრაზა რომ წამიკითხოთ?

— კი, ბატონო: „საფარ-ბეგო! პირშავობა/ შენი ვიცი, შემიტყვია!../ და დღეიდან ჩვენ ორს შუა/ მოციქული არის ტყვია!"

— „გამზრდელი".

— რა ჰქვია ოფიციალურ ცნობას საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების ან შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ?

— პირველი ასო მითხარით.

— კ-

— ვაიმე, ეს როგორ ვერ მოვიფიქრე? კომუნიკე.

— მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპირებულ დანიაში ნაცისტებმა გამოსცეს ბრძანება, რომლის თანახმადაც, ადგილობრივ ებრაელებს დავითისვარსკვლავიანი სამკლავური უნდა ეტარებინათ, რათა საჭიროების შემთხვევაში, ადვილად შესძლებოდათ ხალხის მასაში მათი ამოცნობა და დაპატიმრება. ბრძანების დარღვევა ვერავინ გაბედა, მაგრამ ფაშისტებმა ებრაელების ხელყოფა მაინც ვერ შეძლეს. რატომ?

— (*ფიქრობს*) რაღაც ასეთი კი მაქვს წაკითხული, მაგრამ ვერ ვიხსენებ.

— მეორე დღეს უკლებლივ ყველა დანიელი ქუჩაში ასეთი სამკლავურით გამოვიდა.

— უი, გამახსენდა! პირველად დანიის მეფემ გაიკეთა ეს სამკლავური და მერე — ყველა სხვა დანარჩენმა.

— დიახ, მართალია. სიკვდილის წინ რა სიტყვები თქვა ნერონმა?

— არ ვიცი.

— „ეჰ, რა მსახიობი ვიღუპები!"

— ეს საიდან უნდა ვიცოდე?! ამ კითხვას ვაპროტესტებ (*იცინის*)!

— აბა, ვნახოთ, ამ კითხვას თუ გააპროტესტებთ: რომელია ელზასის ისტორიული დედაქალაქი და საფრანგეთის დეპარტამენტის — ქვემო რაინის ადმინისტრაციული ცენტრი?

— სტრასბურგი.

— ვისი სიტყვებია — „როდესაც იარაღი ქუხს, კანონი დუმს"?

— ანტიქტონის?

— არა, ციცერონის.

— ვაი, ვიცოდი...

— ჩამოთვლილთაგან, რომელი რელიგიაა ყველაზე ახალგაზრდა — ბუდიზმი, ქრისტიანობა, იუდაიზმი თუ ისლამი?

— ისლამი. ყველაზე ძველი — იუდაიზმია.

— ვინ შეუქმნა აფხაზებს რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებული ანბანი?

— არ ვიცი.

— რუსმა შოვინისტმა — პიოტრ უსლარმა. ჩვენი კითხვები ამოიწურა.

— მართლა? სამწუხაროა, კარგად გავერთე.

■

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. დაასახელეთ სპორტის სახეობა, რომელშიც აუტს ის გუნდი აწვდის, რომელმა გუნდმაც ბურთი აუტში გაგზავნა.
2. ვის ეკუთვნის სიტყვები: „რევოლუცია ველოსიპედს ჰგავს — თუ წინსვლას ანელებს, ჩერდება და ძირს ენარცხება“?
3. დაასრულეთ რობერტ ფროსტის სიტყვები: „განსხვავება ბავშვებსა და დიდებს შორის მათი სათამაშოების ...“
4. შუა საუკუნეების ევროპაში ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეებში მძიმე ლოდების გარდა კატაპულტებით მკვდარ ცხოველებსაც ისროდნენ. რა მიზნით?
5. სადაური წყევლაა: „დიდი გარდაქმნების პერიოდში გეცხოვროსო“?
6. დაასრულეთ ესქილეს სიტყვები: „ვისაც შურით არვინ ხედავს, ...“
7. ვისი შექმნილია ნახატი — „ჰიტლერის ფანტაზიის კოსმოსური გაფრენა“?
8. სად მოდის ნალექების ყველაზე მცირე რაოდენობა მსოფლიოში?
9. რა ჰქვია ისრაელის სადაზვერვო სამსახურს?
10. რა ჰქვია „ვობლას“ ქართულად?
11. დაასახელეთ რუსი ბალერინა, რომელმაც 9 თვის ფეხმძიმემ სცენაზე ერთ-ერთი ურთულესი პარტია შეასრულა.
12. რა თანხით დააჯარიმეს ნიკიტა ხრუშჩოვი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე ტრიბუნაზე ფეხსაცმლის ბრახუნისათვის?

* * *

— იცით, ექიმო, ამ ბოლო დროს ძალზე ადვილად ვღიზიანდები!
— რა ბრძანეთ?
— ყრუ ხარ, შე შობელძაღლო?!.

* * *

სვანს ჯაჭვის პერანგი იღლიებთან დაუჟანგდა.

* * *

აზერბაიჯანელი სტომატოლოგთან მივიდა. ექიმმა დასვა სავარძელზე და პირი გააღებინა. ხედავს, ყველა კბილი ოქროში აქვს ჩასმული.
— კი, მაგრამ რა გაწუხებთ? — ეკითხება ექიმი.
— არაფერი, სიგნალიზაცია მინდა, რომ დავაყენო!

* * *

— გილოცავ, მიხავ, ცოლი მოგიყვანია.
— ვა, შენთანაც ისმოდა, კაცო?!

* * *

სვანი თვითმფრინავით მიფრინავს. უეცრად სალონში შუქი გამოირთო.
— ვაა, ეტყობა, გვირაბში შეფრინდა.

* * *

— პატიმარ ციხელაშვილის ნახვა თუ შეიძლება?
— გუშინ გათავისუფლდა. ერთი თვის შემდეგ გამოიარე.

* * *

— ჩემმა ძმაკაცმა გუშინ სერვერი გატეხა!
— ვაა, ჰაკერია?!
— ჰაკერი კი არა, დეგენერატია, ხელიდან გაუვარდა!

* * *

— საინტერესოა, კაცთან რომ ქალი მივიდეს და უთხრას, ნებისმიერ ორ სურვილს შეგისრულებო, მეორე სურვილი რა იქნება?

* * *

მაზოხისტის დღიურიდან: „დილიდან საშინლად მტკიოდა კბილი. მერე მანქანის კარში მომყვა ხელი. მოკლედ შინაარსიანი დღე იყო“.

* * *

კახეთის რადიო ახალ ამბებს გადმოსცემს: „სკოლიდან სახლში დაბრუნებულმა 12 წლის სანდრო გულმაძღარაშვილმა მამამისის მიერ მაგიდაზე დატოვებული „ვიაგრის“ ოთხი ტაბლეტი აღმოაჩინა. იმავე საღამოს ბავშვი გურჯაანის საავადმყოფოში მოათავსეს ხელისგულების მესამე ხარისხის დამწვრობით“.

* * *

პაციენტი ექიმთან შერბის ყვირილით:
— რა მჭირს თვალებზე?! რა მჭირს თვალებზე?!
— დამშვიდდით, თქვენ ბუასილი გაქვთ.
— როგორ, ბუასილი სახეზე?!.
— აუუუ!.. ეგ სახეა?!.

* * *

— როგორ გამოვიცნო ათი სომხიდან რომელია უფრო წუწურაქი?
— კენჭი უნდა ყარო.

* * *

— ძალიან ძნელი ბავშვობა მქონდა. ხუთ წლამდე მეგონა, რომ „გაჩუმდი“ მერქვა სახელად.

* * *

— რას მიირთმევთ?
— მენიუ მომიტანეთ.
— მენიუ ძალზე უგემურია, ბატონო.

* * *

ერთი სვანი ეკითხება მეორეს:
— მილიონი რამდენი ნულით იწერება?
— ექვსით.
— ორი მილიონი?
— მაგას რაღა კითხვა უნდა, თორმეტით!

* * *

— მამა, მე შენ არასოდეს წამოგყვები საციგურაოდ!
— კარგი, რა, გეყოფა წუწუნი. რატომ გაჩერდი, „მაკატავე“, რა!..

* * *

სვანს სკლეროზი აქვს. ფურცელზე ჩამოწერილი აქვს, რაც უნდა გააკეთოს. იღვიძებს დილით და კითხულობს:
— „ადექი!“ — დგება.
— „შედი აბაზანაში!“ — შედის.
— „დაიბანე პირი!“ — იბანს.
— „დაივარცხნე თმა!“ — ივარცხნის.
— „გამოიხეხე კბილები!“
— მეზარება... — ჩაილაპარაკებს თავისთვის. ჩახედავს შემდეგს:
— „გამოიხეხე-მეთქი!“

* * *

ორი მეგობარი ქუჩაში სეირნობს. გვერდზე ახალგაზრდა, სიმპათიურმა გოგომ ჩაუარა. ერთი ეუბნება მეორეს:
— შეხედე, შეხედე, გამიღიმა!...
— დიდი ამბავი, მე რომ პირველად გნახე, კინაღამ სიცილით მოვკვდი!..

* * *

— მამიკო, რატომ აქვთ გორილებს ცხვირის ამხელა ნესტოები?
— სქელი თითები აქვთ და იმიტომ!

* * *

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:
— როგორ არის გერმანულად წიგნი?
— ბუხ!
— ორი წიგნი?
— ბუხ, ბუხ!
მეორე მოსწავლე მასწავლებელს ეუბნება:
— მასწ, ახლა არ ჰკითხოთ, ბიბლიოთეკა როგორ არისო, თორემ აგვაფეთქებს, ასიანი!..

* * *

ერთი წურბელა მეორეს ურეკავს:
— საქმეს ხომ არ მოგწყვიტე?!

* * *

ცოლი:
— მოგეწონა ვახშამი?
ქმარი:
— ისევ ჩხუბის მიზეზს ეძებ?

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. რაგბი.
2. ერნესტო ჩე გევარას.
3. „ღირებულებაშია“.
4. რათა ქალაქის დამცველებსა და მოსახლეობას შორის ეპიდემია გამოეწვიათ.
5. ამგვარად ჩინელები იწყევლებიან.
6. „არც აქვს ბედი შესაშური“.
7. ლადო გუდიაშვილის.
8. ანტარქტიდაში.
9. მოსადი.
10. „ნაფოტა“. ეს თევზი იმდენად მარგებელია, რომ წყალქვეშა ფლოტის მეზღვაურების ულუფაშია შეტანილი. ნამდვილ ასტრახანულ „ვობლას“ მაგიდის კიდეზე რტყმა არ სჭირდება, იგი ისედაც რბილია.
11. ანასტასია ვალაჩკოვა.
12. 10.000 დოლარით.

ჩვენი ფოტო მაღვრეა

ჰოროსკოპი

23-29 სექტემბერი

ვერძი

შესაძლოა, შვილებთან ერთად საზღვარგარეთ მოგიწიოთ გამგზავრებამ. საყვარელი ადამიანი ოცნებას აგისრულებთ. მშობლები ძვირად ღირებულ საჩუქარს გიმზადებენ.

ჯუჯი

დაწყებული საქმეები დასვენების დღეებამდე მოაგვარეთ და მთელი დრო საყვარელ ადამიანს დაუთმეთ. ეცადეთ, ყველაფერი თქვენებური გამჭრიახობით გათვალოთ.

ტყუპი

ექსპერიმენტებისა და თავგადასავლების დროა. საყვარელი ადამიანი სიურპრიზებით გაგანებივრებთ. კვირის შუა დღეებში ვალების გასტუმრებასა და კრედიტის დაფარვას მოახერხებთ.

ჯიჩიხალიტი

ნათესავებთან და მეგობრებთან შეხვედრა კარგ განწყობილებას შეგიქმნით. საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. დანაზოგით რემონტის წამოწყებას შეძლებთ.

ლიმი

სამსახურში მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემების მოგვარებას კოლეგების დახმარებით შეძლებთ. ამ პერიოდში ნუ ეცდებით სტილისა და იმიჯის შეცვლას.

ჟანგწული

საოჯახო საქმეები საყვარელ ადამიანთან ერთად მოაგვარეთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ბავშვებს. მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე და შეძლებისდაგვარად ივარჯიშეთ.

სასწორი

თავისუფალ დროს მელანქოლიამ რომ არ შეგიპყროთ, სამომავლო გეგმები დასახეთ. საყვარელ ადამიანს მოთხოვნებით ნუ მოაბეზრებთ თავს.

ბიჭიბედი

საქმეები ცოტა ხნით გადადეთ და მთელი დრო გართობასა და დროს ტარებას დაუთმეთ. ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში. ესტუმრეთ მეგობრებს.

მუშაიდლისაწი

დაძაბული სამუშაო დღეების შემდეგ მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გაემგზავრეთ და სპორტით დაკავდით. უამრავ ახალ პროექტს წამოიწყებთ.

თხის რქა

სიურპრიზებითა და საჩუქრებით დატვირთული პერიოდი გელით. თქვენს ცხოვრებაში გამოჩნდება ადამიანი, რომელიც პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ.

მერწყული

ფულის მოგების შანსი შესაძლოა, მეორედ აღარ მოგეცეთ, ამიტომ მოგებული თანხა გონივრულად გადაანაწილეთ. დასვენების დღეები შვილებთან ერთად გაატარეთ.

თევზები

სამსახურში საუკეთესოდ შესრულებული საქმეებისთვის პრემიას მიიღებთ. დასვენების დღეებს საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარებთ.

სისუფთავის მოყვარული ნიშნები

• ვერძს უნდა, რომ ყველაფერი წესრიგში ჰქონდეს. სახლს იშვიათად, მაგრამ საფუძვლიანად ალაგებს.

• კურო ზარმაცობს. შესაძლოა, ზოგჯერ მისი ბინა დაწკრიალებული, ზოგჯერ კი, ავეჯი მტვრის სქელი ფენით იყოს დაფარული.

• ტყუპს სახლის დალაგება არ უყვარს. ყველაფერი მიყრილ-მოყრილი, არეულ-დარეული აქვს. ბინის წესრიგში მოყვანა, დროის უქმად დაკარგვად მიაჩნია.

• კირჩხიბისთვის სისუფთავე და აკურატულობა უმთავრესია. ყველა ნივთი თავის ადგილზე უნდა იდოს, რადგანაც არ უყვარს, როცა მის ნივთებს სხვა ეხება.

• ლომს იძულებით სახლს ვერ დაალაგებინებთ. მაგრამ თუ მოინდომა, მისი სახლი სისუფთავით იბრწყინებს.

• ორი სახის ქალწული არსებობს — სისუფთავის მოყვარული და ბინძური. აკურატული ქალწული ყოველთვის დალაგებულ ბინაში ცხოვრობს და სუფთა ტანსაცმელი აცვია.

• სასწორს სისუფთავე უყვარს, მაგრამ სახლის დალაგებას ყოველთვის მაინც სხვას გადაულოცავს ხოლმე. თავად კი ურჩევნია, რომ ყვავილები მორწყას ან ოთახები გაანიავოს.

• თუ მორიელმა სახლის დალაგება გადაწყვიტა, გაფრთხილდით: მან ნაგავს შესაძლოა, საჭირო დოკუმენტებიც მიაყოლოს.

• მშვილდოსანი სახლს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ალაგებს. ნივთების მიყრა-მოყრა იცის და ამიტომ, მის სახლში მუდმივი ქაოსია. ის სახლის დალაგებას ფილოსოფიურად უდგება — რატომ დავალაგო, თუ ისევ აირევა?..

• თხის რქა თავადაც მოწესრიგებულია და სხვებსაც წესრიგისკენ მოუწოდებს. არეულ სახლში (კაბინეტში) ვერ გაჩერდება. ბინას ზედაპირულად კი არა, ყოველთვის საფუძვლიანად ალაგებს.

• მერწყული სუფთა ბინაში ცხოვრობს, მაგრამ სახლის დალაგებას, მოგზაურობა, უცხო ენის შესწავლა და ახალი ექსპერიმენტების წამოწყება ურჩევნია.

• თევზები სიბინძურეშიც იცხოვრებენ, მათ სამუშაო მაგიდაზე მუდმივად ქაოსია. დალაგებულ ბინაში საჭირო ნივთებს ვეღარ აგნებენ.

ბიოენერგოთერაპევტი, პარაფსიქოლოგი და ეზოთერიკოსი ნანა კენჭაძე 35 წელია მკურნალობს ალტერნატიული მედიცინით.

მკურნალობისას იყენებს:

ბიოენერგოთერაპიასა და აკუპრესურას (შიაცუ, რეიკი). ზოგ შემთხვევაში მიმართავს ინფორმაციულ მედიცინას.

კურნავს საკმაოდ რთული გამოვლინებების მქონე დაავადებებს:

1. დეპრესიას;
2. ნევრასთენიას;
3. ბრონქიალურ ასთმას;
4. არაქრონიკულ რადიკულიტს;
5. მიოზიტს;
6. პლექსიტს;
7. თავის ტკივილს;
8. უძილობას;
9. ენურეზს (ბავშვებში);
10. მიოპიას (ბავშვებში);
11. არატოქსიკურ ჩიყვს;
12. სისხლის მიმოქცევასთან დაკავშირებულ პრობლემებს;
13. შაქრიან დიაბეტს;
14. კეთილთვისებიან სიმსივნურ წარმონაქმნებს.

R

ტელ: 899 92 19 16, 52-75-33; www.magnetism.ge

1. შუშხუნა ღვინო
2. რაიმე შემთხვევის დამსწრე
3. დიდი მოურავი
4. შიშველი სხეული ხელოვნებაში
5. საკლესიო თანამდებობით ვაჭრობა
6. განსათებელი მოწყობილობა
7. ქრისტიანული დღესასწაული
8. ხორცის ნაწარმი
9. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
10. წყლის ტუმბო
11. ძვირფასი ქვა
12. ქალაქი საუდის არაბეთში
13. საგაზეთო იუმორისტული მოთხრობა
14. ქვეყანა ევროპაში
15. ... კუროსავა
16. პირის ნაცვალსახელი
17. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი
18. ქარისგან ჰაერში ატანილი თოვლი
19. ატმოსფერული ნალექი
20. სპორტსმენთა ყიდვა-გაყიდვა
21. რისამე სულ მცირე ნარჩენი
22. ხვავი
23. აზრი-ჩანაფიქრი
24. გაბედული, მამაცი
25. სამართალდამცავი ორგანო
26. უეფას პრეზიდენტი
27. დიოგენეს მხლებელი ბერძ. მით.
28. გველის ხმიანობა
29. იგივეა, რაც ხანჯალი
30. სკანდინავიური თქმულება
31. მესამე მუს. ნოტი
32. ცრუ-მოძრაობა ფეხბურთში
33. ფოთლოვანი ხე
34. რაიმე ამბის ერთერთი ახსნა
35. მხედართა ჯგუფი
36. წიგნთა-წიგნი



ზონა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. ბადრიჯანი; 2. დასი; 3. ნიკორა; 4. აპათია; 5. მისისიპი; 6. რესტორანი; 7. რეზონი; 8. ნასკვი; 9. რიგა; 10. ანეკდოტი; 11. თელა; 12. კურსი; 13. ბაგე; 14. ოაზისი; 15. პორტერი; 16. მარიო; 17. მეანი; 18. ტინი; 19. ხაჭო; 20. კოლუმბი; 21. ალია; 22. მიმი; 23. მი; 24. ტარკანი; 25. სემინარია; 26. ჭინჭილა; 27. ბლუ; 28. ალიზი; 29. ტრიუკი; 30. იატაკი; 31. ილიადა; 32. ვიოლინო; 33. ჰავანი; 34. მადა; 35. მოდილიანი; 36. უგანდა; 37. ანტიპათია; 38. კოდალა.

სურათებზე: 1. ბარაკ ობამა; 2. ჰილარი კლინტონი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. რა ერქვა თამარ მეფის მამას; **ზ**. მომღერალი ზაზა კორინთელი, იგივე ...; **ა**. კრეტის მეფის მინოსის ასული, რომელმაც თეზევსს ჯადოსნური ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **ვ**. შვიდი ქულა ძიუდოში; **ი**. სოფელი კასპის რაიონში, რომლის გავლისასაც მძღოლები ტრასაზე ხურდა ფულს ყრიან; **ს**. რაიმე დამსახურების აღსანიშნავად გაცემული საბუთი; **თ**. წვრილი ღვედი; **ვ**. რუსული ანსამბლი, რომელსაც ერთ-ერთი სიმღერა ვალერი მელაძესთან ერთად აქვს ჩაწერილი; **ი**. ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომელიც მამის, დედალოსის მიერ დამზადებული ფრთებით გაფრინდა კრეტის ლაბირინთიდან. ფრენისას ძალზე მიუახლოვდა მზეს, რის გამოც ცვილი, რომლითაც ფრთები ჰქონდა მიმაგრებული, გალღვა და ზღვაში ჩავარდა; **ს**. ალექსანდრეს მოფერებითი სახელი; **ა*. კარტოფილის სამშობლო; **ო*. ეშმაკობა, ხრიკი, ფანდი; **დ*. მუსიკალური ნიშანი, რომელიც ნახევარი ტონით ამაღლებს ბგერას; **ა*. ინგლისის ძველი სახელწოდება; **ბ*. დაბა სვანეთში; **კ*. რა ჰქვია აქლემის შვილს; **ი*. სუფთა მოგება ძიუდოში; **თ*. პატარა, მღრღნელი ცხოველი; **ხ*. რა ერქვა კარმენის სატრფოს; **ვ*. ჰიტლერის საყვარელი კომპოზიტორი; **ე*. საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი; **ლ*. რა ერქვა ბეთჰოვენს; **ი*. ფაშიზმის სამშობლო; **ს*. თავის კანი თმიანად, რომელსაც ინდიელები მოკლულ მტერს აჭრიდნენ; **თ*. მაღალმთიანი კუთხე საქართველოში; **ვ*. ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ი*. ჟამთასვლის რომაული ღვთაება, რომელსაც ორი სახე აქვს, ერთი წარსულისკენ იყურება, მეორე მომავლისაკენ; **ს*. ბედი, ბედისწერა; **ა*. ყდაში ჩასმული წიგნი ან რვეული ლექსების ჩასაწერად, სურათების ჩასახატავად, ფოტოების ან მარკების ჩასაკრავად; **ო*. თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ*. გოპაკი: **ზ*. ზვარი; **ა*. არტალა; **გ*. გეიზერი; **ზ*. ზეობა; **ი*. იქსი; **ს*. სრა; **თ*. თუნგი; **ვ*. ვაკე; **ი*. იტალია; **ს*. სიცილია; **ა*. აქსიომა; **ო*. ორდენი; **ბ*. მზაღო; **კ*. კახეთი; **ი*. იმედი; **თ*. თხუნელა; **ხ*. ხალიფა; **ვ*. ვაიმარი; **ე*. ელჩი; **ლ*. ლეონიდე; **ი*. იშხანი; **ს*. სტარტი; **თ*. თიანეთი; **ვ*. ვიცინი; **ი*. იავა; **ს*. სეინერი; **ა*. ათაბაგი; **ო*. ოტო.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

პატიოსან კაცს დახეული ჩოხა აცვიაო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

6	8	4	7	3	9	2	1	5
7	2	9	5	6	1	3	8	4
1	3	5	4	2	8	9	6	7
4	9	6	3	1	7	8	5	2
8	1	2	6	5	4	7	9	3
3	5	7	9	8	2	6	4	1
2	4	3	1	9	6	5	7	8
5	6	1	8	7	3	4	2	9
9	7	8	2	4	5	1	3	6

8	9	1	2	6	3	5	7	4
3	4	5	1	7	9	8	2	6
2	7	6	5	8	4	3	9	1
1	2	7	6	5	8	9	4	3
4	6	3	9	1	7	2	5	8
5	8	9	4	3	2	1	6	7
7	5	4	3	9	1	6	8	2
9	1	2	8	4	6	7	3	5
6	3	8	7	2	5	4	1	9

1	4	3	2	6	7	8	9	5
2	5	7	3	8	9	1	4	6
9	8	6	1	5	4	3	2	7
8	6	5	4	9	2	7	1	3
7	1	9	6	3	5	4	8	2
4	3	2	7	1	8	6	5	9
6	7	8	9	2	1	5	3	4
3	2	1	5	4	6	9	7	8
5	9	4	8	7	3	2	6	1

* **მარტივი**

					5		1	
	3				1		4	
7			9					2
6				1		4		
		8	6			9		
		1	5	3				6
3					8			7
	6		2				8	
	5		1					

** **საშუალო**

		1	3			6		
		7	6				9	
			8				1	
	2		4	7				1
		3			2	8		
7			9				3	
	5				6			
	7				5	9		
		9			8	2		

*** **რთული**

	3				6		7	
					3	8		
1					4		6	
	7				1		2	
		6	4		2	3		
	5			8			9	
	4		1					9
		5	3					
	6		7				8	

ფოტოკუიზები





b119/34

კეტონალი®

კეტოპროფენი 2,5%, 50გრ

გელი

ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით





- **სწრაფად ხსნის ტკივილს**
- **აქრობს ანთებას**
- **ამცირებს შეშუპებას**

ჩვენება:

ტკივილი წელის არეში, ტკივილი სახსრებში, ტკივილი კისრის არეში, ტკივილი სპორტული ტრავმების დროს, ტკივილი კუნთებში ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, დაჟეჟილობა, დაჭიმულობა, რევმატიზმი, რადიკულიტი

დოზირება:

გელის 3-5სმ სიგრძის მასა მსუბუქად შეიზილეთ მტკივნეულ ადგილას 1-3-ჯერ დღეში

კეტონალი გელი № 1 ტკივილგამაყუჩებელი!

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

გ. ტაბიძის ქ. №18;
ტელ.: 98 27 30; 98 27 50
NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია